



This is a digital copy of a book that was preserved for generations on library shelves before it was carefully scanned by Google as part of a project to make the world's books discoverable online.

It has survived long enough for the copyright to expire and the book to enter the public domain. A public domain book is one that was never subject to copyright or whose legal copyright term has expired. Whether a book is in the public domain may vary country to country. Public domain books are our gateways to the past, representing a wealth of history, culture and knowledge that's often difficult to discover.

Marks, notations and other marginalia present in the original volume will appear in this file - a reminder of this book's long journey from the publisher to a library and finally to you.

Usage guidelines

Google is proud to partner with libraries to digitize public domain materials and make them widely accessible. Public domain books belong to the public and we are merely their custodians. Nevertheless, this work is expensive, so in order to keep providing this resource, we have taken steps to prevent abuse by commercial parties, including placing technical restrictions on automated querying.



We also ask that you:


- + *Make non-commercial use of the files* We designed Google Book Search for use by individuals, and we request that you use these files for personal, non-commercial purposes.
- + *Refrain from automated querying* Do not send automated queries of any sort to Google's system: If you are conducting research on machine translation, optical character recognition or other areas where access to a large amount of text is helpful, please contact us. We encourage the use of public domain materials for these purposes and may be able to help.
- + *Maintain attribution* The Google "watermark" you see on each file is essential for informing people about this project and helping them find additional materials through Google Book Search. Please do not remove it.
- + *Keep it legal* Whatever your use, remember that you are responsible for ensuring that what you are doing is legal. Do not assume that just because we believe a book is in the public domain for users in the United States, that the work is also in the public domain for users in other countries. Whether a book is still in copyright varies from country to country, and we can't offer guidance on whether any specific use of any specific book is allowed. Please do not assume that a book's appearance in Google Book Search means it can be used in any manner anywhere in the world. Copyright infringement liability can be quite severe.

About Google Book Search

Google's mission is to organize the world's information and to make it universally accessible and useful. Google Book Search helps readers discover the world's books while helping authors and publishers reach new audiences. You can search through the full text of this book on the web at <http://books.google.com/>

BERKELEY
LIBRARY
UNIVERSITY OF
CALIFORNIA







ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამოცემა № 88.

თხზულმზანი

ვაჟა-ფშაველასი



ტფილისი


სტამბა წიგ. გამ. ქ. აბხ-სა. X Типография Груз. Иад. Т-ва.

1899

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Апрелья 1899 г.

ГО УКУ
ДІВНОУДАО

3 0 0 0 0 0



მოხუცის ნათქვამი

I



ავებერდი, შეილო, დავებერდი,
 ამიკანკალდა მუხლები;
 ათრევას, ზეზე დადგომას
 მთელი დღე-ღამე ვუნდები.
 მაგრამ ტიალი ე გული
 წინანდებურად ცხელია,
 მესმის რა თოფის გრიალი,
 აღარ მასვენებს,—ხელია.
 ვაჰმე, სიბერემ წყეულმა
 გრკალად მომხარა წელშია!
 რომ საქართველო თათარმა
 აიკლოს, ჩაწვას ცეცხლშია,
 ვერ მოვახტები ლურჯასა,
 ხმაღს ვერ შევირტყამ წელზედა,
 ჩვენის სჯულის მტერს, მუხანათს
 ზიანს ვერ დავდებ მკერდზედა.
 ეს რა დროებას მოვესწარ?
 გამოიცვალა ქვეყანა:
 მამალიც ჰყივის სხვა გვარად,
 კაცსა სძულს მისვლა კაცთანა;

ბიჭები გალაჩრებული
 უბედობენ სიყვარულზედა;
 უმზგავსო მათი სიცილი
 ეკლად მეხევა გულზედა.
 რომ გავიარო ტყის პირად
 ჩინჩხვრების მოსაკრებადა,
 მთელ ცისმარე დღეს ერთ-პირად
 სხედან დუქნის წინ ერთადა.
 (მათ სასიმღერო ლექსები
 მარტო ღვინო და ქალია...
 ამ გვარს ვაეკაცებს ქალებიც
 თან სდევს, ვით ყანას კალია.
 სცხვენოდეს ახალ-უხლოებსა,
 კაც იყოს, თუნდა ქალია,
 რომ მთელი მათი არსება,
 ფუჭმა საგნებმა დალია!
 კაცმა ქალობა დაიწყო,
 კობტაობს, სიტყვა-ნაზია,
 ფერსა და უმარილს ისომს,—
 მაშ არ მომივა ბრაზია!?...
 X ჩემს დროსა ქალი ვაეკაცსა
 შეიყვარებდა მაშინა,
 როცა ჰხედავდა მებრძოლსა
 შეუპოვარად მტრის წინა.
 ჩემს დროს ლამაზი ვაეკაცი
 არ იყო ქალის პირისა,
 არამედ შავი, მამაცი,
 მუხლ-მგელი, გულით რკინისა.

ქალიც და კაციც გაფუჭდა—
 აღარ სძევთ ძველი ფერია,
 მათ გულში ქაჯი დაბუღდა,
 კაცის ნამუსის მტერია.
 აფსუსო, ძველო დროებაე!..
 რას ვაქნევთ გარყუნას ნეტარა?!
 რად არ ამაყოფს დიაცი
 ქმრის სიმამაცით მკვებარა?

II

ერთს ამბავს გეტყვით, შეიღებო,
 ჩემის თვალითა ნანახსა,
 მაშინდელს, როცა ტყვიის ზმას
 ვეძახდით დედის ნანახსა.
 ერთხელ გავარდა ამბავი,
 მოდის თათრების ჯარიო,
 ჯარს მოთავეობს მაჰმადი
 ქრისტიანების მსრაფიო...
 მაშინ მეფობდა ერეკლე,
 ჩვენი პატარა კახია:
 ქვა-კირით არის ნაგები,
 გულთაფლი, სახით მკვებია.
 უინევანს მოვიდა ქალაღლი,
 მოწერილობა მეფისა:
 „აბა, არაგვო, აჩქარდი,
 შენი ერეკლე გელისა.
 ნუ მაქმევთ თათრების ჯაფრსა,
 თქვენს მკლავეებს ვენაცვალები,

ბიჭები გალაჩრებული
 ყბედობენ სიყვარულზედა;
 უმზავსო მათი სიცილი
 ეკლად მეხვეა გულზედა.
 რომ გავიარო ტყის პირად
 ჩინჩხვრების მოსაკრებადა,
 მთელ ცისმარე დღეს ერთ-პირად
 სხედან დუქნის წინ ერთადა.
 მათ სასიმღერო ლექსები
 მარტო ღვინო და ქალია...
 ამ გვარს ვაჟკაცებს ქალებიც
 თან სდევს, ვით ყანას კალია.
 სცხვენოდეს ახალ-უხლებსა,
 კაც იყოს, თუნდა ქალია,
 რომ მთელი მათი არსება,
 ფუჭმა საგნებმა დალია!
 კაცმა ქალობა დაიწყო,
 კობტაობს, სიტყვა-ნაზია,
 ფერსა და უმარილს ისომს,—
 მაშ არ მომივა ბრაზია!?...
 X ჩემს დროსა ქალი ვაჟკაცსა
 შეიყვარებდა მაშინა,
 როცა ჰხედავდა მებრძოლსა
 შეუპოვარად მტრის წინა.
 ჩემს დროს ლამაზი ვაჟკაცი
 არ იყო ქალის პირისა,
 არამედ შავი, მამაცი,
 მუხლ-მგელი, გულთით რკინისა.

ქალიც და კაციც გაფუჭდა—
 აღარ სძევთ ძველი ფერია,
 მათ გულში ქაჯი დაბუღდა,
 კაცის ნამუსის მტერია.
 აფსუსო, ძველო დროებაჲ!..
 რას ვაქნევთ გარყვნას ნეტარა?!
 რად არ ამაყოფს დიაცი
 ქმრის სიმამაციო მკვებარა?

II

ერთს ამბავს გეტყვით, შვილებო,
 ჩემის თვალითა ნანახსა,
 მაშინდელს, როცა ტყვიის ზმას
 ვეძახდით დედის ნანასი.
 ერთხელ გავარდა ამბავი,
 მოდის თათრების ჯარო,
 ჯარს მოთავეობს მაჰმადი
 ქრისტიანების მსრავიო...
 მაშინ მეფობდა ერეკლე,
 ჩვენი პატარა კახია:
 ქვა-კირით არის ნაგები,
 გულ-თაფლი, სახით მკვებია.
 ჟინვანს მოვიდა ქალალდი,
 მოწერილობა მეფისა:
 „აბა, არაგვო, აჩქარდი,
 შენი ერეკლე გელისა.
 ნუ მაჰმევთ თათრების ჯაფრსა,
 თქვენს მკლავებს ვენაცვალეზი,

თუ აიკლებენ ტფილისსა,
 სჯობს დავითხაროთ თვალები*.
 ეს ხმა გაეარდა სოფელში,
 აღელდნენ ვაჟკაცგზია,
 სოფლიდამ სოფელს გასძახის
 ბუკის, ნალარის ხმებია.
 მთილამ ამცნებენ სოფლებსა,
 რომ გამოვიდნენ გულადნი,
 ექმნენ მფარველად ობლებსა.
 რა ვნახე შეფის ქალალდი,
 გულმა დამიწყო ფრიალი:
 თვალთ მომეჩვენა ვაჟკაცთა
 ომი, შუბ-ხმალთა ტრიალი.
 ყმაწვილად ვიყავ მაშინა,
 ახლად წვერ-შემომდინარი,
ომი ქობულთა მეგონა,
სისხლის რუ—წყარო მდინარი.
 მკლავთა დამიწყეს თამაში,
 და მირბენს ჟრუანტელია;
 ხირიმი მიდევს კალთაში,
 ხმაღზედ მიჰიდავს ხელია.

III

ველი,—სადა და როდისა
 თქრიალს მოიღებს ჯარიო,
 რომ მეც მოვხატე შავრასა,*
 პირს დავისახო ჯვარიო;

*) ცხენი.

მეც მერგოს წილად ომს ყოფნა
 მფარველად მამულისაო, —
 ისე ჰგონია მაშინ კაცს,
 ნათლული არის ლეთისაო.
 დიდი ზარი აქვს მაინც ჯარს,
 მას შეედრება ვერა-რა,
 ბუკსა, ნადარას, ბაირაღს
 ვერსად წაუხვალ ველარა!
 არ გაუფლია დიდ ხანსა
 თოფის ხმამ მთანი აპროა,
 ნუგეში იცა ყველამა,
 სთქვეს: ეგ მთიელთა ჯარია.
 ცოტა ხანს შემდგე მოისმა
 მათი სიმღერა მკენესარი...
 არწივთა მალლის მთისათა
 ნეტავ რად უნდა მქებარი...
 ათას ფეროვნად ჩაცმულნი,
 შესახედავად კარგნია,
 დინჯ-მოუბარნი, გულ-ტკბილნი,
 გაჭირების დროს მარგნია.
 რკინას იცომენ ტანზედა,
 თავზედ მუზარაღს იდგამენ...
 თუ საქმე მიდგა ხმაღზედა,
 უნს მტერს, რო საქმეს იზამენ!
 რაც უნდა მტერი მოვიდეს,
 არ ვინ შეიმჩნევს კირადა,
 ხმაღს აშველებენ ფარებსა,
 მტრისას დაიკვრენ ძვირადა.

წინ მიუძღოდა დროშითა
 თეთრ-წვერა ხევის ბერიო,
 თითქოს მოჰქონდეს კულუხნი, *)
 სიმღერით მოსდევს ერიო.
 ჩვენებიც შეკრბენ, მოვიდნენ,
 მე მიმელიან მარტოსა;
 დედა მიმზადებს საგზალსა:
 პურსა, ყველსა და ხაჭოსა.
 ქალებს დაუბამთ ფერხული
 და გასძახიან არავგსა:
 „არაგვო, უყარაულე
 ომში მიმდინარ ლაშქარსა.
 თუ ვინმე გამოქცეული
 ურცხვად მოადგეს შენს კიდეს,
 ლამი აჭამე შერცხვენისს,
 რომ სახლში ველარ მოვიდეს!“
 წინ მივეგებეთ, დაეძახეთ:
 „მთიულებს გაუმარჯოსო,
 ხარობდეს საქართველოი,
 თათრები დაუმარცხოსო!“
 იმათ იშიშვლეს ხანჯლები,
 გავარდა თოფი-თოფხედა,
 გააფთრებული ცხენები
 ჰფეთქენ, ღგებიან ტოტხედა.

*) ტაბლა.

IV

როცა ღრმა ღელეს გავედით,
 ვნახეთ მთის წვერზე მხელარნი,
 ლამაზად ჩანდნენ გორის პირს,
 ჩვენისა გზისა მკვლევარნი.
 თითოთ უღერდა ჩვენზედა
 თეთრ-ცხენოსანი კაციო,
 მას სხვანი ედგნენ გვერდზედა—
 არ ითქმის მათი ფასიო.
 მაშინვე იცნეს ბიჭებმა,
 სთქვეს: „ის ერეკლეს ცხენია,
 სწორედ ის არის, ღვთის მადლმა,
 ვაჟკაცი კახი ჩვენი“.
 ერთს წამს მოსხლიტეს მერნები,
 მეც გამიფიცხლა ცხენიო,
 მაგრამ ჯარს უკან მივყვები,
 მოვქანჩე ელვებრ მფრენიო.
 მე არ მენახა ჯერ მეფე,
 მის ნახვა მეკრძალებოდა,
 სალამს ვერ გავუბედავდი,
 მიტომ არ მეჩქარებოდა.
 მეფეც დაიძრა ამალით
 პირ-და-პირ ჩვენკენ დენითა,
 და ჩვენც დოსტოლოვ *) მივედით
 თოფ-იარაღის ეღვრითა.

*) ტყვიასაებ შეუპოვრად, პირდაპირ.

სიმხდალღე-სიბერესაო,
 არა სთქვან,—სუსტი ყოფილა,
 ცრემლი სდის ერეკლესაო.

VI

აქით წაეედით ქალაქსა,
 იქ დაგზენენ ქართლელ-კახელნი,
 პურიტ და ლვინით განთქმულნი,
 დიდის წვა-დაგვის მნახველნი.
 ყველანი შეეკრბით ერთადა,
 შეეკარით ძმური პირობა:
 „ქული ნუ ჰხურავ თავზედა,
 ვინც არ იჩინოს გმირობა;
 ვინაც ცოცხალი მტერს დარჩეს
 ყმადა და სასაცილოდა,
 ღეთისაგან წყეული იყოს
 გვარით საშვილი-შვილოდა!
 თუ ვერ შევიძლოთ საცადი,
 ჯავვწირონ სასიკვდილოდა,
 მოვკვდეთ—გეგზუროს მიწისა
 ნაბადი მოსათბილოდა“.

ქალაქით კრწანისს გავედით,
 ველოდებოდით მტერსაო,
 შორს მოდიოდნენ წყეულნი,
 ცაში აღენდენ მტვერსაო.
 დაჰკრეს ნალარას, საყვირსა,
 აქოთდა გიეი ბუკები,
 ჩვენი აქ, იქით თათრისა,

ღვინოსებ სისხლის მღუღებში.
 ცამ მოიღრუბლა, მიწაჲ
 ასტეხა გლოვა-ზარია,
 სისხლისამ მორწყო წვიმაჲ
 ქართველთა მთა და ბარია.

VII

როგორც ღრუბელი, მოვიდა
 მრისხანედ თათრის ჯარია;
 ისეთი ეჩანდით იმასთან,
 ვით ზღვასთან წვიმის ცვარა...
 მაგრამ ვინ იტყვის იმასა,
 მტერი გაქარბებს რიცხვითა;
 ბევრჯელ უტეხავ ქართველსა
 კლდეები გულის ფიცრითა!
 შემოკალთულნი ჩოხებში
 მტერს უცდის ქართველებიო
 და გველის-პირულს ფრანგულებს
 აღნება ქარქაშებიო.
 რა ვნახეთ მტერი, მივცვივდით
 ხმალ-მოწვდით, გამალულები
 და დავინთქენით სპარსებში,
 გარს მტრისგან შემორტყმულები.
 ხმალო სტვენას, ცხენთა ჭიხვინსა
 ბანს აძლევს სისხლის ჩხრიალი
 და თავმომწონე დროშებსა
 ჰაერში გააქვს ფრიალი.
 აბრეშუმზედა ნაკერი
 ბრწყინვალებს ჩვენზედ ჯვარია—

იმისი შემაკერალი
 იბრძვის ქართველთა ჯარია.
 იბრძვიან გამწარებულნი,
 თითო ოცოცის მკვლელოა...
 მაგრამ დავმარცხნით სიმრავლით,
 გაცუდდა ვაჟკაცთ ხელია!
 გაწყდნენ სამშობლოს ერთგულნი,
 მტრისა სისხლითა მთვრალნია,
 დაიგეს მიწის ლოგინი,
 დახუჭეს მუდმივ თვალნია.
 იმათ აღგება ნათელი,
 დასტირის ღამ-ღამ მთვარეო;
 მათ სიმამაცის მნახველი
 დღესაც ჰყენეს არე-მარეო...

არაგვის პირით წასული
 მე დავრჩი ვარმად ცალია,
 მიპოვნა ერთმა მეცხეარემ
 დაჰრილი, ცოცხალ-მკვდარია.
 გადავრჩი, მაგრამ სიცოცხლე,
 შეიღებო, ჩემთვის მწარეთა;
 ქართველთ ქვის სეტყვა გვეწვია,
 სპარსთ კი დაუდგათ დარია.
 ამ ქირთა ქირმა სიბერემ
 შექამა გული, ტვინია,
 არ მომდევს ღონე, არც მუხლი,
 რომ მით მოვიკლა ენია...
 ეს სთქვა თეთრ-წვერა მოხუცმა
 და გადმოჰყარა ცრემლები,
 თან ჩამოისო წვერზედა
 დამქნარი, წმინდა ხელები.

გოგოთურ და აფშინა

(ძველი ამბავი)

I

მბობენ, ბლოელ *) აფშინა,
მინდლოდურის გვარისა,
სკარკვავს რჯულდიან-ურჯულოს,
მარჯვედ მომხმარე ფარისა,
ქერხო აავსო უნჯითა,
როგორც სალოარო ხანისა,
თანაც იტყვიან: გოგოთურს
ჯანით ვერ შეედრებო,
ნეკით გასტყვარცნის, აფშინა
ხე და ქვათ შეეცხებო.
მეფესაც უთქვამს: „გოგოთურ
ათასს კაცთანო ვადარე,
ათასგანა მყავს ნაკადი,
ათასგან ომში ვატარე;
გოგოთურს რკინის გული აქვ,
ჯანი ხო გადამეტია,

*) ბლო—სოფელია ხევსურეთში.

რამდენჯერ მარტომ შაბერტყის
 მტერი ქვიშაზედ მეტია.
 ომში სიკვდილს ჰგავ გოგოთურ,
 შეუბრალები, უკვდავი,
 მტერსაც ზარსა სცემს უზომოს,
 როგორაც სულთა-მხუთავი...
 ისე აგორებს მტრის რაზმებს,
 როგორც ნავს ტალღთა დენანი,
 აღბად, სწყალობენ ვაჟკაცსა
 ის ანგელოზნი ზენანი“!

რამდენჯერ სთხოვა ბატონმა
 დარჩომა მეფის კარადა,
 მაგრამ ვაჟკაცი ეტყოდა:
 — მეფეც, ვერ გავსძლებ ბარადა.
 თუ მთის ნიაფი არა მცემს,
 გული ქალებურ ტირისა,
 არ მინდა ჰური, არც წყალი,
 აღარც გაღება პირისა!
 მამეხიბლება გუნება,
 ვერა ვარ გამძლე ქირისა.
 გოგოთურ ამაზედა სწუხს,
 ხმა აღარ ისმის ომისა,
 მიწურვილია, —თავდება
 ქამი ზაფხულის ორისა.
 შინაც ხომ უქმად არ არის,
 მუშაობს, მიწის მხენელია. —
 ამბობს: „ომის დროს ვიომოთ,
 არა დ, —ვიქნით ცელია,

ნადავლით, ნაყაჩაღარით
 კაცის დარჩომა ძნელია!

არავის ხსოვს, ფშავშია
 ხმა-მალლა ასძრახდომოდეს,
 განალამც საცარცვავადა
 გზად ვისმე გადსდგომოდეს.
 ვეება ჭანდარს აიღებს,
 წინწკრად გაიდებს შხარზედა,
 ყალიონს პირით არ უშვებს,
 მიიტანს თავის კარზედა;
 ირმებსაც დაედევნება
 ყოფრის გადაღმა კვალზედა.
 შემოლამდება, შინ მიდის,
 ჩამოუჯდება კერასა,
 დაიწყებს შესაქცევრად
 დიდის ყალივნის წევასა,
 ფანდურსაც დააქლარუნებს,
 თითს აჩქამებს ბერასა.
 ხანდახან დაიბუბუნებს,
 ჭერი დაიწყებს ნძრევასა,
 თან ფებს დაუცემს ვაჟკაცი,
 მილამო იწყებს ნთქრევასა.

II

ძველოდგანვეა ნათქვამი,
 რო დედაკაცი ყბედია,
 მიჰყვება გულის ძრახვასა—
 ვნებიანობით რეტია,

წაიტყვის უგვიან სიტყვასა
 მოუფიქრელი, ცეტია.
 ქმრისად სახელის მძებნელი,
 სხვას არ დაგიღვეს არასა;
 მტყუანი იყოს მის ქმარი,
 თუნდ ხახლს სცარციდეს შარასა,
 ოლომც იქნევდეს ფრანგულსა,
 არ ჰლოლოტობდებს ხარასა *),
 ცოლსაც სწყალობდეს, აცმევდეს
 წითლის დარაის კაბასა.

ცოლი აუტყდა გოგოთურს:
 — რად გინდა დიდი სხეული,
 თუ-კი ზღუბს არ გასცილდები,
 როგორც სახადით სნეული?!
 რად გინდა თოფ-იარაღი,
 ბასრი ფრანგული, წყეული,
 ათასგან სისხლში ნათრევი
 კაცების ელეტას ჩვეული?!
 აბა, დაჰკელიე, უტირნავ,
 კრემლი აქვ პირზე მცვრეული!
 წადი, შენც ვინმე გასარცვე,
 არ გინდა სარჩო ნეტარა?
 ქისტებს თავები გაჰბალოთე,
 ხევსურთ დაადევ ბეგარა.
 ამბობენ, აფშინაის ცხენს
 ტანი სულ ვერცხლით ეფარა.

*) თოფია.

— ნეტავ რას აშბობ, დიაცო,
 ჰკვას რად არ ატან სიტყვასა?
 საქმე თუ გამოგლევია,
 რატუ არ იტყვი იმისა?!
 რად მინდა მაშინ სიკოცხლე,
 ლუკმასა ვსქამდე სხვისასა?...
 შენ ვინა გკითხავს, უჯიშოვ,
 თოფისასა და ხმლისასა?
 შენ უნდა საჩეჩელს ეჯდე
 ვნ არა, — ჰქსოვდე წინდასა...
 ხმლის ქნევას მადლი მაშინ აქვ,
 როცა ხმალს ჰხედავ მტრისასა!
 ჯერ მეფის სიტყვა არა სჩანს:—
 „შემოგვესია მტერიო,
 ფშავით მოიდეს ლაშქარი,
 ჩემი ერთგული ერიო,
 წინ გამაუძღვეს გოგოთურ,
 ჯერ არათ არი ბერიო“.
 მითც არ მოსელია ჩემს ხმალსა
 სისხლით შედეგების ჯერიო.
 ჩემი ფრანგული მტერსა ჰკლავს,
 ძმაზედ არა აქვ ხელიო,
 უწინ შინ როდის დავმდგარვარ,
 როსც დავცემია თათარი,
 მტერს წინ მე მივეგებებივარ,
 როგორც ჯეირნებს აფთარი.
 ომში რვა ხმალი გავცვითე,
 მეცხრე თეთრ-ტარა ხანჯარი...

თუ-კი ავ-სული არა ხარ,
 ვგ საყვედური რა არი?

— მე იმას ვამბობ, ბეჩაეო,
 სახლისადა ხარ ურგები;
 რა, სარჩოდ გამოვადგება
 თათრების დამკრილ ზურგები?
 ლაშქრობით რა მოგიტანავ,
 ტანზედ წყლოულების მეტია?
 მარტო სახელი რას გიზამს,
 თუ სარჩოც არა ჰხვეტია?!

დაღონდა მეტად გოგოთურ,
 ხმალს მიაწვალა ხელია;
 ლაფანის *) საბმურით შაიბა,
 მაგრა შაიკრა წელია,
 მარცხნისას ფარი გადიგლო,
 მარჯვნივ—სიათა კრელიო.—
 უზარ-მაზარი, ძელსა ჰგაე,
 კაცის საზიდად ძნელიო.
 დედაკაცს დაათათბირებს:
 — უნდა მიმოველო ხმელიო,
 რასაც უენა მთხოვ, იმასა,
 წავალ, ვიქნები მქნელიო.
 მოყვრებში გამოემართა
 ამის დაცინვით მთქმელიო.

*) ლაფანი—ცაცხვის, ან თელის ქერქის შიდაპირი.

III

გაზაფხულ იყო მაშინა,
 ახლად ყოოდენ იანი,
 მწვანის ქათიბით კობტაობს
 მთების კალთები ტყიანი;
 ბექ-ბუქში თოვლი დამდნარა,
 მიწა გამხდარა წენიანი,
 მწვანეს გწვდება ფოთოლსა
 ხარი-ირემი რქიანი.
 გალაღებულან ფრინველნი,
 ისედაც ლალი-ზნიანნი;
 არაგვიც მოჰქუხს მრისხანედ,
 ამ დროს შავ-ფერად მდინარე,
 იღვიძებს, იფშენეტს თვალგებსა
 მის არე-მარე მძინარე,
 კლდეებიც წყალსა ჰქონავენ,
 სრულად დამდნარა მყინვარე...

კოპალის ქვასთან გამოჩნდა
 კაცი მთასავით მძვინვარე,
 მიიზლაზნება ზოგივით,
 პირ-ქუში, არა-მცინარე.
 ზენაით მეორე მოსჩანს,
 იმღერის,—მთანი ხვივიან,
 მთაქვექვეებს ლურჯასა,—
 ნალნი რიყეზე წივიან;

მეზაყება ცხენზედა
 გამწარჯვებასა ჩვეული,
 უხდება წითელს ჩოხაზე
 ფარი და დაშნა რწეული.

გოგოთურს ჰხედავს აფშინა,
 გულშიაც ჩაცინება,
 ზედ მიჰვარდება ცხენ და ცხენ,
 უდივროდ შიგინება,—
 აფშინას ბეწარაულის *)

შუქი შორს გაიფინება:
 — რარალ მამკენ, ფშაველო,
 რად გი**), ძარ იცი ხმარება;
 პირ-და-პირია აფშინა,
 ვაქაცს არ უყვარს პარება.

რა გაკვირვებით მიყურებ?
 აფშინას მეძახიანო!
 ჰა, თორთო შავთხოვ ფრანგულსა,
 ხმალო, გამიჭერ ფხიანო!

გოგოთურ ჰფიქრობს: ვერვენო,
 აცა, აფშინას საწყლად;
 ვებეწო, თაფი ვიდაბლო,
 ამის რას მიზამს ნაცვლად?
 აქებენ, შამბრალებსა,
 თუ გადამაქცევს ნაცრად.
 — რადა, შმობილო, — რად აჭრე?
 გან დიაცი ვბრ ირსულო?

*) თოფია.

**) შემოკლებული „გინდა“.

დედამ გამზარდა მენაცა,
 ნებები არა ვარ მოსულდი!
 თუ მართლია აფშინაი ზარ,
 იარაღნ რად მყრი, ძმისაო?
 უიარაღო გამიშვა,
 ხათრი არა გაქვ ლეთისაო!
 მიწაზე როგორ ვიარო,
 მზე როგორ ვსიზჯო ცისაო?
 ჯალაფნი არ შეტყვიანა:
 ზაი, შე ტყლაბო მტრისაო?!
 სუ, თუ ღმერთი გწამ, აფშინავ,
 სირცხვილს ნუ მაქმევ, ძმობასა,
 ქულ-მოხდილს ქვეყნად ნუ მავლებ,
 პირში ნუ მიმცემ გამობასა.
 კაცი ხარ სახელიანი,
 რად მიწვევ ეგრე მტრობასა?
 ოლომც იარაღს ნუ ამყრი,
 რა ექნა, გაგიწევ ყმობასა.
 — ნუ მაგვიანებ, ფშაველო,
 ჩქარა აიხსენ ხმალია,
 სიათაც გადმომაწვადე,
 კარგი ექნება ძალია;
 ერთი კვირაა, შენს შეტსა
 ვუჩაფის დავკარ თვალია.
 ჩქარა მაიხვენ აბჯარნი,
 არა დ, — გალოკებ ჭერშათა,
 მიგცემ, გათრიონ, ყუნჭივით,
 ტაღლთა არაგვის წყლისათა.

მისცა ხმალი და სიათა,
 ფარი, ნაქრევეთ ფარული.
 ცხენის აღვირსაც უსწორდა
 მოყმე, დისწული ყვარული.
 აფშინამ ლურჯას დეზი ჰკრა,
 იგიც გაფრენას ლამობდა;
 გოგოთურს თმენა გაუწყდა,
 გამოცხადებით ჯავრობდა:

— მაშ მიგქონ ჩემნ იარაღნი,
 კიდევ არ შაირცხენია?
 დადგე, შე. უნამუსოვო,
 ქვაზედ გინაყო ტვინია!

გაწყრა, გაჯავრდა გოგოთურ,
 გულში აეძრა ეინია;
 ხელი გაავლო აფშინას,
 დადვა, დაბეგვა ძალიან;
 გადაფითრებულს აფშინას,
 სატირლად აღარ სცალიან;
 მაგრა შაკონა ბეჩავი,
 ისე დაავლო გზაზედა.

ჩაეუბნება კკვიანად:
 — შენ გაგერშიღხარ სხვაზედა.
 გინდოდა გოგოთურსაცა
 წამოსჯდომიყავ თავზედა?
 შენ რომ კკვიანად მოგექე,
 გვედრე, არ შამიბრაღია,

ეხლა მე მერთყას წელზედა
 შენი ზიკ-ზიკა ხმალია;
 ცხენიც მე მყუანდეს — ლურჯაი,
 თანაც ეს შენი ფარია;
 ჩაჩქანი, რკინის პერანგი
 შენზედ არამი არია.

— რა ვქნა, — ამოთქვა აფშინამ
 წვერ-მოტეხილის ენითა,
 თან ღნება ლურჯად, შავადა,
 გულში ბოროტის კბენითა, —
 რა ვქნა, გაგბრიყვდი, ვერ გიცან,
 თუმც-კი გიცნობდი შორითა;
 ბეჩავსა ვისლაც გამსგავსე,
 დონდლელ აგებულს ყორითა.
 გაქებდნენ, კარგი ჰყოფილხარ
 კარგი გქონია მარჯვენა,
 ფიც-ვერცხლი ვჭამოთ, გოგოთურ,
 ჩემნ იარაღნიც მამცენა.
 მრცხვენიან, ამას რომ ვამბობ,
 მიძმე და მთმეც აბჯარი,
 თუ არა, ბევრად მირჩევენავ,
 რო გულში დამცე ხანჯარი.

— კი ყოფილა ადვილი
 სხვისად მიცემა აბჯრისა,
 სხვის წელზე სინჯვა თვალითა
 თავის ხმლისა და ხანჯრისა!

კაცისად იარაღისა
 აყრა სიკვდილთან სწორია.
 ეხლა-ლა მოხველ ქვეაზედა,
 ეხლა მაიეც გონია?
 ხომ იცი, საქართველოა,
 ყველა კუთხიდან მტრიანი,
 მგზავრს მიშვებ უიარალოს,
 კაცი არა ხარ ლეთიანი?
 რას დაძწი, რას დაეთრევი,
 შე უნამუსოვ, ფაფხურა,
 რო წისქვილებში მსუნაგი
 ქურდი, ქოფაკი, შავ-ყურა?
 გშიოდა, რატუ არ მითხარ,
 გაქმევი, გაგაძღებდია,
 იარაღს როგორა მყრიდი,
 ღმერთი არ არის შენშია?
 თუ არა, რაად გინდარის
 ვერცხლი, ნადები ქვევრშია?
 თუ მაინც გიყვარს ხმლის ქნევა,
 ქროლვა, ქორებულ ტევება,
 მე სამ გამამყევ, გაჩვენო
 მტერი საელეტი ვეება;
 დაგეცეს მარტოს ათახი,
 გცემდენ, მოგიგლონ შუაში,
 მაჯა დნებოდეს შროპითა,
 ხმალი ტყდებოდეს ყუაში.
 გასძელ, სხვა ხმალი იშოვე,
 მტერი დააფრთხე თხებურა,

მარტომ მისდევ მრავალსა,
 პირ-ოფლიანმა მგლებურა.
 მაშინის ვიტყვი, ღირსი ხარ
 წელზე ხმლის, თავზე—ქუდისა;
 და არ გეხუროს ჩიქილა
 თავზე დიაცის ცუდისა!
 შენ გიცარცვია, ეინაცა
 საბრალო არი, ბეჩავეი,
 თვის დღეში ომ-უნახველი,
 დიაცთ ნალახის მხეცთავი;
 არ მაგხვედროს შავ-ფერა,
 მკლავ-მსხვილი, რკინის მკენეტავი.
 მე შენ იარაღნ რათ მინდა,
 სიმრუდის გზაზე ნავალი?
 შინაცა აქვის გოგოთურს
 ფარი და ხმალი მრავალი.
 აჰა, აბჯარი, ცხენიცა,
 წადი, მშვიდობით ვლიდია,
 სადაც შენი სთქვა ბიჭობა,
 იქავე ჩემი სთქვიდია.
 გარისხებ ხანმატის ჯვრითა,
 აი, კობალაც ეს არი,
 რო ყველა სიმართლითა სთქვა,
 რაც რო დაგედვა ბეგარი...
 თანაც გაუხსნა ხელგები,
 წამააყენა მხედარი.
 აღგე ბეჩავეი აფშინა
 თვალ-მოცრემლილი, ლურჯია.

და განაბირად სოფლისა
 ისმის რაკუნთა კარისა;
 თან ხმაც გაისმა მწუხარე
 გადმონადენის ჯვარისა:
 — გიგიწყრეს ჩემი გამჩენი,
 მადლი ხახმატის ჯვარისა!
 რა დროს ძილია, ბედ-მწარევე,
 შე უდივლათოს გვარისა?!
 აფშინას ვერ შეეწონვი,
 როგორც მზეს შუქი მთვარისა.
 აჰა, წაიხევენ აბჯარნი,
 ცხენს ნუ დაუყრი თივისა;
 ვინც ხვალ პირველად მოვიდეს,
 ყველა ეს მიეც იმასა;
 ჩემ ცხენიც იმასა ჰყვანდეს,
 ფასს არ ვსთხოვ, არცა ქირასა.
 ხო გესმის, რას გეუბნები,
 თავს რასა ჰკიდებ ძირასა!?
 მე კარჩი ველარ გამოვალ,
 ძმად უნდა ვყანდე ჯიანსა;
 კირთი შემყრთა უწამლო,
 კაცს, ხევსურთ ბადალს, წინასა.
 აგერ სამი თვე სრულდებო,
 არა სცოდნებო ბინასა,
 ლოგინად ჩაჯარდნოლი,
 უნდებო კვენსას, გმინვასა.
 მალა და ველიარ დამილა
 აფშინამ წყლული გულისა,

არ ეთქვა, აღარ შეეძლო
 ვაჟკაცს მიბრუნვა სულისა.
 ცხენი, აბჯარნო-სხვას მისცნა,
 გახდა ერთგული რჯულისა.

V

მოგროვილიყვენ ხახმატსა
 ხევსურთ ვაჟები ხმლიანნი;
 სალუდის კარზედ მოჩანან:
 მინდი, *) მამუკა **) მტრიანნი;
 ხირჩლიაც მოღვა ზატის კარს, —
 ვაჟკაცი სახელიანი.
 განს, მოშორებით დამდგარან
 დიაცნი მანდილიანნი.
 ლუდის სმა არი, ღრეობა,
 ცხვრის თავები ჰყრავ ყორედა;
 ხევის-ბრის დიდება ისმის, —
 აფშინა არის სწორედა!
 ხალხს ხატს ახვეწებს ტკბილის ხმით,
 იწვევს მფარველად ქვეყნისა:
 „მწყალობელ იყვეს გიორგი,
 ხალხო, ოჯახის თქვენისა;
 მტერზედამც გაგემარჯვებათ,
 სიკვდილს გაშოროსთ მწარესა,

*) სახელია კაცისა.

**) სახელია კაცისა.

გამარჯვებითამც გიელოით
 ყოვლგნივ ხმელეთის მხარესა“!...

ამბობენ: ქვითინი მოდის
 ღამ-ღამ ბლოს თავით კაცისა:
 „ვაჰ, მკედარო ვაჟკაცობაო,
 ცოცხლად დამარხეავ თავისა“!



აღუდა ქეთელაური

(ხევსურების ცხოვრებიდან)

I

ქიციე ზოვიდა შატლოსა: —
— ქისტებმა მოგვცეს ზიანი,
დაგვიწიოკეს მწყემსები,
ავნია, ავი ზნიანნი.
აღუდა ქეთელაური
კაცია დავლათიანი,
საფიხნოს თავში დაჯდების,
სიტყვა მაულის გზიანი;
ბევრს ქისტს მაკრა მარჯვენა, —
სცალა ფრანგული ფხიანი.
კუდას რად უნდა მტერობა,
კარგია მუდამ მტრიანი!
ქისტებს წაუსხამ ცხენები,
აღუდაისიც ფთიანი.
გუმან ბქვ, გადააფლიონ
არხოტის თავი მთიანი,

გადაბერტყინონ ნალითა
 ქუჩი მთებისა ცვრიანი.
 ეს რა ალუდამ გაიგო,
 თოფს დაუპირა ტალიო;
 აისხა იარაღები,
 გაათხავიდის ხმალიო;
 გაუშინჯიდის ვადანი,
 ხმალს არ მაუცვდეს ტარიო.
 ცისკრის ხანია, მტერს მისდევს
 კლდის შევარდენი ჩქარიო.
 გათენებისას კიუხში
 შურთხმა დარეკა ზარიო,
 ძაღლებს კი სძინავ თეოზე,
 ჯერ არ გაშლილა ცხვარიო.
 მალე შაგდო ალუდამ
 ქისტების ნავალს თვალიო.
 მარჯველვე გადაეწია,
 თოფმა გაიღო ჩქამიო:
 ერთს ქურდ-კანტალას დილღველსა
 ცუდი დაუდგა წამიო;
 გადაფარდება ცხენზეით,
 ყელ-თაქვე ეკიდებისა;
 ნატყვიერი სკირს ბეჭის თაფს,
 ზედ ცეცხლი ეკიდებისა;
 ამხანაგ-მოკლულ დილღველი
 ჩახმახსა ეზიდებისა.
 გამასტყვრა მუკალის თოფი,
 კლდის პირი დაიშლებოდა,

წამოძი ტყვიის ალუდას

კალთაში ჩაეშლებოდა.

— არა გჭირსაა, რჯულ-ძაღლო?! —

შუცალი ეუბნებოდა.

— ნუ გგონივ, მჭირდეს, რჯულ-ძაღლო,

ყმასა გულანის ჯვრისასა.

ზმა ალუდაის თოფისა

ქეხასა ჰგვანდა ცისასა.

— არ მოგხვდაუა, რჯულ-ძაღლო? —

ისრივ ვძახის იმასა.

— შუცალს არა სჭირს, რჯულ-ძაღლო, —

წამტვრევს მაშლიდა კლდისასა.

— ოჰო, ქუდ გაუხვრეტია,

წვერებსა ხტუსავს თმისასა.

— მაღლა დაგიცდა, ბეჩაეო,

კენჩხას არა სჭირს ძვლისასა.

გამოსტყერა შუცალის თოფი,

ტყვია ჩქამს იზამს მჭინესა,

გაუტებს ქეთელაურსა

საპირის-წამლეს რქინასა.

— არც ახლა გჭირსა, რჯულ-ძაღლო?! —

ზედაც დაჰვედრებს იმასა.

— არა სჭირს, არა, რჯულ-ძაღლო,

ყმასა გულანის ჯვრისასა,

გამმარჯვედ ჯვარი დაჰყვების,

ძალს შაახვეწებს ღვთისასა.

გულს არ ჰხვდა, ნუ გგონების,

ამტვრევდა წამლის ქისასა.

რაკი სრევაზე მიდგება
 ჯაერს არც მე შეგკამ მტრისასა.
 შატილიონის ნასროლი
 ქისტს უმტვრევს გულის ფიცარსა.
 — არც ახლა გკირსა, რჯულ-ძაღლო?! —
 შამაუქყვილებს ქისტასა.
 — გულში მკირს, გულში, რჯულ-ძაღლო,
 ეაპ ცდასა მუცალისასა!
 ძმაც ხო მამიკალ, მეც მამკალ,
 რა ეუთხრა მადლსა ღვთისასა?
 მუცალს არ სწადის სიკვდილი,
 ფერს არა ჰკარგავს მგლისასა,
 მაჰგლიჯს, დაიფევეს წყლულშა
 მწვანეს ბაღახსა მთისასა.
 ერთიც ესროლა ალუდას,
 ხანს არა ჰკარგავს ცდისასა.
 თოფიც ალუდას გაღუგდო,
 ერთს კიდევ ეტყვის სიტყვასა:
 — ეხლა შენ იყოს, რჯულ-ძაღლო,
 ხელს არ ჩაეარდეს სხეისასა.
 სიტყვა გაუშრა პირზედა,
 დაბლა გაერთხა მიწასა.
 ალუდას თოფი არ უნდა,
 ატირდა, როგორც ქალიო;
 არ აჰყრის იარაღებსა,
 არ ეხარბება თვალიო.
 თავით დაუდვა ხანჯარი,
 ზედ ეკრა სპილოს ძვალიო.

გულზედ ძეგლივი*) დაადვა,
 მკლავზედ ფრანგული ხმალიო.
 მარჯვენას არ სჭრის მუცალხა,
 იტყოდა: „ცოდვა არიო;
 ვაქაცო, ჩემგან მოკლულო,
 ღმერთმა გაცხონოს მკლარიო.
 მკლავზედაც გეზს მარჯვენა,
 შენზედ ალალი არიო,
 შენ ხელ შენს გულზედ დამიწდეს,
 ნუმც ხარობს ქივის კარიო,
 კარგი გყოლია გამდელი,
 ღმერთმ გიდღეგრძელოს გეარო“!
 სიგძივ გაპხურა ნაბადი,
 ზედ გადაადვა ფარიო.

II

მზემ აიწია ცაზედა,
 ნისლეგმ დაწირეს ხევები;
 მისჯარებიან ცის კიდეს
 კავკასიონის მდევები.
 აშლილან სანადიროდა
 ქორებ, ფრინველთა მღევლები;
 სოფნი არწივებს მისდევენ,
 მუქთად ჰამისთვის მხლებლები.
 ჯიხენი მაგბენ მყინვარსა,
 მადლი რქათ ადგა ღვთისაო.

*) თოფია.

ხევი-ხევ შაშაყრან ტალღებს
 ყორანი ავის ხმისაო:

„მამკვდარა ქისტი მუცალო,
 თვალნ უნდა ვსკამნე ყმობაო,
 გულ-დვიძლი ამოვარილო,
 კალთა დავხურო მხრისაო“.

შატილს ჯერ არ ჩასწლომია
 შუქი შუა დღის მზისაო,
 არ ჩაუშვებენ ჩამსულელსა,
 ცა ახურია კლდისაო.
 ყმა მოიდოდა გორი-გორ,
 არ ეწონება თავიჯ
 პირს დასწალიო ნისლები,
 გულით ნადენი, შავია.
 ტახტაზე დაუკიდებავ:
 მუცალის ძმისა მკლავია,
 ვერცხლით მორთული ბაზალა*), —
 ეგ ხოროსნული ხმალია.
 მეება ქიუხიანსა,
 სადაც იმედას ქავია,
 ზაფხულს თოფის ხმას იყურებს,
 ზამთარს ჩამუდის ზვავია.
 ბევრჯელ მასწრო დელოგმამა,
 ჰყუფდა ყორანი შავია.
 დაჰუამფალეზდა თავზედა
 გაუმიძლარი სვავია,

*) თოფია.

ვერვინ მჯიჯივა იღბილო,
 ვერავინ უყვა აფია.
 უსჯულოს ხელებსავე აღნობს
 ზედ მზის სხივები მწვავია.
 გველმა ვერ გასჭრა ლიბრი,
 დღესაც ცოცხალი ირია.
 ზოგჯერ ავდარი დადგება,
 ზოგჯერ მზე ბრწყინავს, დარია.
 რა უყვათ, ბევრი უნახავ
 უღვამ აშლილი მკვდარია!
 ბევრჯერ წასული საქალოდ
 დიხოცოლოთ სისხლის ღვარია;
 შაულებია წითლიდა
 აფი არღოტის წყალით.
 ვისაც მტერობა მოაწყურდეს,
 გაალოს სახლის კარია,
 სისხლ დაიგუბოს კერაში,
 თვითონაც შიგვე მღვარია.
 ღვინოდაც რძას დაჰლოვდეს,
 პურადაც მასხმარია.
 პირჯვარი დაიწვროდეს,
 მითამ საყდარში არია.
 სახლშია მკლავდეს ქორწილი,
 იქ დღიწეროს ჯვარია,
 დაიპატრონოს სტუმრები,
 დამწვროდეს ჯვარია.
 სისხლში დაიგოს ლოგინი,
 გვერდს დაიწვინოს ცალით.

ბევრი იყოლოს შეილები,
 ბევრი ვაჟი და ქალია;
 იქვე საფლავი გათხაროს,
 იქ დაიმარხოს მკვდარია.
 შენ რო სხვა მიჰკლა, შენც მოგკვლენ,
 მკვლელს არ შიარჩენს გვარია.

შატისს გაღმოდგა ბანებზედ
 ხევსურთ ქალი და რძალია,
 გამეფებნენ ალუდას
 ძმა, ძმის წულები სამნია.
 ბევრს უნდა ამბის გაგება,
 ბევრნი მოვიდნენ სხვანია.
 მიულოცნიან ალუდას:
 —სახელიანიმც ხარია!

ბებერი ჰკითხავს უშიშა
 ალუდას ამბავს ცდისასა.
 უამბობს ქეთელიური
 ამბავს ღილღველის მგლისასა:
 „აქით წასულმა, უშიშავ,
 კვალი შავაქერ შთისასა,
 მოკლედავ გადავეწივე,
 ნავალ დავატყვე ქვიშასა.
 ორნ იყვნენ, თოფი ეიხმარე,
 წვერს ვერ ვუწვდენდი ხმლისასა.
 იმ ცხონებულსა მუცალსა
 რკინა სდებოდა გულოდა?!”
 — რას ამბობ? ქისტის ცხონება
 არ დაწერილა რჯულოდა.

— მით ვაქებ ვაუკაცობასა,
 არ იყიდება ფულოდა.
 სამ მე ვესროლე, სამ—იმან,
 მესამით დავასრულია.
 მკერდზე ნაკრავმა ტყვიამა
 გაუნაძოდა გულია.
 ნატყვიარს ბრძამით იფევედა,
 ისრე დალია სულია.
 სულს არ ატლიდა ამოსვლას,
 კიდევ მიხსენა რჯულია.
 ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ,
 მარტოთ ჩვენ გვზღიან დედანი;
 ჩვენა ვსცხონდებით, ურჯულოთ
 კუპრში მივლის ქშენანი.
 ამის თქმით ვწარა-მარაობთ,
 ღთიშვილთა უკეთეს იციან.
 ყველანი მართალს ამბობენ
 განა, ვინაცა ჰფიცვიან?!
 ვერ გავიმეტე მუცალი
 მარჯვენის მოსაჭრელოდა,
 გული გამიწყრა, არა ჰქნა,
 რაც საქნელია ძნელოდა:
 ჯდაე, დააკლდეს სახელსა,
 მე გირჩეენივარ მრჩელოდა".
 ხევსურთა ახალ-უხლები
 გადაიქციან ტყემლოდა,

ჰვალ შაჰხედნეს ალუდას,
 შაჰდრახიან ხმელადა:

„მოკვდი, სიკვდილი გირჩევენავ,
 რა ხარ სიცრუის მთქმელადა;
 აიხსენ გველის პირული,
 დიაკთ ვადუგდე ცრემლადა;
 ფარი ქსლის ჩასაბეჭავად,
 ხირიმ—გაუდვან გორადა;
 დამბაჩა გამაადგებისთ
 საბრუნლად, თითის ტარადა!
 გამოაქცევიხარ ქისტიშვილს,
 გარუქცევიხარ ქალადა.
 მაჰკალ, მარჯვენა არ მასქერ,
 უკვენ მისდევდი მა რადა?!“
 ზურგი აქციეს ალუდას
 პირითა ჯავრიანითა;
 თაე-თაეის სახლებს მიჰმართეს
 ქერხოთით კარიანითა.
 გაწირეს ქეთელაური
 გულითა ნარიანითა,
 სახელსა ალუდაისას
 იძახდნენ ბრალიანითა.
 შატილს მინდიაც მოიდა
 ზერდაგით რგალიანითა,
 წელზე ნარტყამის ფრანგულით,
 მკლავითა ფარიანითა,
 თორმეტის ქისტის მამკლავი
 შუბითა ტარიანითა.

იწმის ჰგავ მინდლის წითლად *)
 შუბლითა მთვარიანითა.
 აღუდას აუგს ეტყოდენ
 სიტყვითა შხამიანითა.
 იწყინა, შუბლი დაკეცა
 ნაოქით ზარიანითა.

— ნუ იტყვით ვაჟკაცის აუგს
 ენითა ქარიანითა.
 აღვილად შტერი მოგიკვდესთ,
 აღვილ გაუიგო შართალი.
 ბევრ დაღონება არ გვინდა,
 ერთი დღის შეყოს საგაღრი,
 გზა-კვალი არ ამტრევა,
 ყოველ მზრივ ვიცი სავალი.
 დღესავ მოგივათ მინდბა,
 მანამ დაბრძანდეს მრავალი.
 ქუსლი ჰკრა, წითლა გამბლდა,
 ნიავ-ქარივით მავალი.

III

დაბნელდა. წყალნი ტორიან,
 კალთა გვეხურვის ლამისა;
 დროა ვარსკვლავთა ეიკეციის,
 მცვრევა ბალახზედ ნამისა,

*) ცხენი.

მკედართ სულოთ საფლაფით გამოსელოს,
 დრო მათ სიმღერის წყნარისა.

დევნი გამოვლენ კლდიდამა,
 ხევ-ხუვში ეხეტებიან.

ყველამ ივახშმა და ახლა
 საძილედ ემზადებიან.

— პურ მიირთვიო, — აღუდას
 და-დედან ეხვეწებიან.

— მე პურ არ მინდა, დედაო,
 გული შამეკრა რადამე,
 წუხელ ცუდ სიზმრები ვსინჯე,
 რიგში ვიყოდი სადამე.
 წინ გვედვა მიცვალებული,
 ხევსურნ ნაწყენი ისხდენა.
 სალაშქროდ დამზადებულნი,
 ზოგნი კარებზე იღგენა.
 მენაც იქ ვიყავ, ვსტიროდი,
 როგორც წესია კაცისა.
 გუმანი მქონდა სალაშქროდ,
 ხანიც მოვიდა წასელისა.
 ერთს წამს ხელ ვინამ დამტაცა,
 ტარი ჩამიდვა ხანჯრისა.
 შავხედენ, მუცალი იყო,
 ტანთ ეცვა ჯაჭვი, რვალია,
 გულზედ ემჩნევა წიშანი
 მე-დ იმის ბრძოლის წამისა,
 ეფინა ნატყეიარშია
 ლეგა საფევი ბრძამისა.

კლდედ იდგა, გაუტეხლდა,
 ცრემლ არ ჩამოსდის თვალისა.

„მინდა სიკვდილი, არ ვკვდები,
 მამკალო, მითხრა ხვეწნითა.

თქვენ დაგრჩეს წუთი-სოფელი,
 მე კი წავილე ქვეყნიათა,
 დაძელით, ხევსურთ შვილებო,
 ლაშქრობით, ხმლებს ქნევიათა“.

ღაფგე, ჯამ ვინამ დამიდგა,
 კაცის ხორც იყო წენიანი,
 ფსკამდი, მზარაფდა თუმცა-ლა
 კაცის ხელ-ფეხი ძელიანი.

რასა ესჩადიო, ესჯაფრობდი,
 უმსგავსი, შიჩვენებული.

„ჭამეო, რამამ მიძახა,

„ნუ ჰხდები გაშტერებული:

„კიდევ მიმირთვით აღუდას

„წვენ-ხორცი გაცხელებული“.

მიმატეს კაცის ულვაშით

წვენ-ხორცი შანელებული...

სიზმართ დამტანჯეს, იმით ვარ

გუნება იღელვებული.

IV

თენდება; მთის წვერნ დაწითლენ,
 ნისლინი აგროვდენ მთებზედა.

დგება, იღვიძებს სოფელი,

მგზავრი მიდ-მოაღის გზებზედა.

სოენი სამგზავროს წავიდენ,
 მთა-ბარს მიაველეს თვალია;
 რამდენს ფრაშ-ფრაშში არიან,
 ცას ვერ გაავლეს კვალთა;
 ვინ მოდის წითლის ცხენითა,
 გამაიარა წყალია?

— მოხვედლ მშვიდობით? — მინდიას
 ხეცსურთა შეუძრახნიან. —
 რა მაიტანე ამბავი? —
 შორითვე დაუძახიან.

— ახლებო, სისხლო გიფუხისთ,
 სჭრითა და ჰკერავთ გულითა,
 გულს ათრევინებთ გონებას,
 თავს აჭრეინებთ ცულოთა,
 ადვილ ვერ იტნობთ ვაუკაცსა
 მის ვაჟკაცურის რჯულითა;
 ერთ ურთს ნუ დააზარეინებთ,
 გული-დ გონება ძმანია.
 მართალი არი აღუდა,
 თავს არ დამეჭენ ცანთა!
 თუ არა გჯერათ, ქისტისა,
 აი, მოჭრილი მკლავია.
 ენა ქარქაშში გეჭიროსთ,
 ადვილ ნუ იტყვით სიტყვასა,
 ადვილ ნუ იტყვით ვაჟკაცზე,
 არა ვარგაო, იმასა!
 ხელი აღუდას შიართვის;
 — წიღი, მიაკარ ქავდა!

— თუ ხელის მოჭრა მდომიყო,
 გან ვერ მოგსჭრიდი თავადა?
 ვერ გიქნავ კარგად, მინდიაგ,
 საქმე მოვირთავ ავადა;
 რაად მინდარის: ვერ მხმლობს,
 არ გამოდგება ფარადა;
 მთაში წავიღო, არ მითიბს,
 არ მარგებს თივის კავადა.
 წაიღე, თუ გწამ უფალი,
 ნულარ მაჩვენებ თვალითა.
 კაის ყმის-მერჯვენა არი,
 გული მეწვება ბრალითა.
 რაად სწყრებიან ხევსურნი,
 რადა ტყვრებიან ჯავრითა?!
 მტერს მოვკლავ, კიდევ არ მოგსჭრი
 მარჯვენას მაგათ ჯაბრითა!
 „წესი არ არის მტრის მოკვლა,
 თუ ხელ არ მასჭერ ღანითა“.
 ვაი ეგეთას სამართალს,
 მონათლულს ცოდვა-ბრალითა!

V

ჟამი მთვიდა საუფლო,
 ხალხი ხატობას დიოდო,
 უნდა აცნობონ ბატონსა,
 ვისაც-კი რამა სტკიოდო.
 მოქუჩო ქალი და კაცო
 სახვეწრი ცხვრითა და ხარითა;

მითარმევედით ბატონსა
 სახვეწარს ბელოის კართა.
 ეს ვინ-ღა მოდგა; ნისლივით,
 თითბრის ნაზიკის ხმალითა?
 ხევის ბერს აძლევს მოზვერსა,
 დაღვა დახრილის თავეთა.
 — ვის ამწყალობნებ, აღუღავ,
 ამა კურატით შავითა? —
 ჰკითხავს აღუღას ზუცესი
 გადაწეულის მკლავითა, —
 დიდია ჩვენი ბატონი —
 გულანის ჯვარი თავითა, —
 საყმონივ ძლიერნი ჰყვანან,
 ლეთითა და ლეთისა ძალითა,
 კარგი ყმა უყვარს ბატონსა,
 წყალობა ემეტებისა;
 ვაჟკაცი იმედიანნი
 ჩვენს ბატონს ებედებისა.
 მითხარ სახელი, ვის სწორავ,
 იმასაც შეეწირება.
 ხანჯარს აიძრობს, დიდების
 სათქმელად დაეღირება.
 — ეგ სამხვეწროა, ბერღიავ,
 ძოღან მოკლულის ქისტისა.
 მუცალს უტყობენ სახელად,
 მათნათლავის შვილისა.
 კარგადაც დამიწყალობნე;
 გამიმეტებან მისთვანა.

როგორც უნდომლად მოკლეულის
 თავის დასაზრის მშისთენა.
 — გაურჯულებულს არჯულებ,
 შენ ეგ არ შეგიხდებისა,
 ქისტისად სიკლავის დიუვლა,
 კარგად არ მოგიხდებისა,
 მამით არ მოღის სანდერძი,
 პაპით და პაპის — შაპითა.
 გონს მოღი, ქრისტიანი ხარ,
 ურჯულოვდები მაგითა;
 ეშმაკს ნუ შისდევ... ეგ სიტყვა
 როგორ ამოგცდა მაგითა?
 რამდენ სხვა მაჰკალ, შენს ქაფზე
 ხელებ ჯღრღესაეით ჰკილია,
 ზოგი ლეკისა, სხვა ქისტის
 მარჯვენების ხიდიო.
 ციკანიც არვის დაუკალ,
 განაღმც კურატი დიდიო,
 როგორ ვახვეწო — უფალსა
 ძალლი, ძალღების ჯიშისა,
 მანამ სჯობს ცანი დამექცენს,
 ზურგი გამისკდეს მიწისა,
 ან თუ ზღვამ დაშნთქის უძირომ,
 სადილი ვსქამო ქვიშისა,
 უფრი ედებ ბერღისა,
 უფად სხვა რაგის შიშისა.
 — ზღვენსა ნუ გამიმსუბუქებ,
 მადლი რუ გწყალობს ღვთისაო.

ჟმა ვარ მეც გუდანის ჯერისა,
ხევსური თქვენის წყლისაო,
მითამ ერთი ვართ, ბერდიაჲ,
ცხოვრებნი ერთის მთისაო.

— ტყუილად სცდები, ალუდაჲ,
ტყუილად იცვეთ პირსაო.

გაჯაერდა ქეთელაური,
ფერი დაიდვა მგლისაო;
ხელი გაიკრა ფრანგულისა,
შუქი ამოხდა მზისაო.

უქნივა მოზვერს ქელზედა,
თავი მოგორავს ძირსაო.

თან შეხეწა ბატონსა,
ნუ შამიცოდებ შეილსაო,
ალოდა ჰქონდეს მუცასა,
მაგ მოუნათლავ გმირსაო.

ბერდია ჯაგარ-აშლილი
სახლისკე იზამს პირსაო.

— გაგონილა, — იძახდა,
ასე აგდება რჯულისა:
საკლავს თვითონ ჰკლავს ალუდა,
მამხსენე ქისტის სულისა.
ხალხო, მინდარის გაეგო
პასუხი თქვენის გულისა.
დაჯარდით, ხევსურთ შვილებო,
ყველანი—დიდნი, მცირენი,—
სამართალო ექნათ; ვუმტყვიოთ
ალუდას სახლის დირენი;

ნუ დაინანებთ, ექმნენით
 ცოლ-შვილის ამამტირენი.
 მოკვეთილ იყოს, სხვა ქვეყნის
 ცა-ღრუბლის შანამზირები.
 წადით, უმტვრიეთ შავ-ბნელსა
 სახლისა, ციხის კარები.
 ცეცხლი მიეცით საძნოვარს; —
 ცასა სწვდებოდეს ალები,
 სათემოდ გამოირეკეთ:
 ცხვარი, ძროხა და ხარები.
 შატლის ცოლ-შვილი უტირეთ,
 გუღანს — შინშნი და ქალები;
 ჰრისხამდეს ჩვენი ბატონი,
 არ არის მასაბრალები.
 ამის გამგონეს მინდიის
 მაუწყულიანდის თვალები,
 ველარასა ჰშველს ალუდას,
 გულზე გადიწყვის მკლავები.
 მასმულებმ ხევსურთ შვილებმა
 მაიმარჯვიან ფარები,
 უნდა სცან ქეთელაურსა,
 კაპასად ჟღერენ რვალები.
 ჯარად დამსხდართა ხევსურთა
 თავზედ წაადგი ბალები,
 ერთს ხელში დაუჭერია
 მარჯვენის ნახრავ ძვლები.
 — ვაჟო, ვინდომებ თქვენთვისა
 წყალობას ბატონისასა,

საკარგემო დამალვინეთ,
 მოგიტანთ ხელსა მტრისასა.
 ყორანს მიჰქონდა ბრჯღალითა,
 ყურეს უმარჯვდა კლდისასა.
 იმ დროსა ვსტყუორცნე ისარი
 ლალად მიმავალს ცისასა;
 მართალ გამოდვა ნასრფვი,
 ყორანს უვლიდა ფრთისასა;
 კლანჭით გაუშვა ნიდავლი,
 გადმეცხრივ მიწასა.

— მუცალის მარჯვენა არი,
 მიზეზი ხევსურთ რჩევისა, —
 წყრომით იტყოდა მინდია, —
 მიზეზი იმათ წყევლისა;
 მე მივუტანე ალუდას,
 ფერი დავადევ წყენისა;
 რო არ მიიღო ალუდამ,
 სიღრმე ვაჩვენე ხევისა.

— წაიღეთ, — ამბობს ბერდია:
 ტოტი ურჯულთს ძაღლისა,
 არა ვართ ხევსურთ შვილები
 ყმანი ეშმაკის, ილისა.

ძაღლს მიუგლიონ საკმელოდ
 ხელი მუცალის მკლავისა.
 პირი არ ახლო ქოფაკმა,
 მოართო დმუილი ბრალისა.

ხევის ბერ რტყვის ბერდია:
 — ხევსურნო, ნახეთ თვალითა:

ძალლი ძაღლის ძეაღს ან სტენსო,
 თქმულია იმავე თავითა,
 ქისტის მარჯვენას ბაღღები
 დაბლა ათრგვენ კავითა.

VI

თოვლი სთოვს, ქარი ბობოქრობს,
 ყელბე შაკრულა მთებისა;
 ჩამოდის ხევაღ-ზოვეში,
 ჩამონასხლელი კლდეებისა;
 გაუბამ ყინულს ლურჯად
 უბე-კალთები წყლებისა,
 მიუნაქრია ერთიან
 ვიწრო სავალი გზებისა;
 ვის მასწყენია სიკაცხლე,
 გზას ის ეინ გაუღგებისა?
 წინ მიდის მგზავრი, მიჰყვალავს,
 ხუთიც უკვერა ჰყვებოსა,
 სიმშლით შეწუხებულნი
 მთას ღმუის ჯოგი მგზავრებისა;
 „კარგს ნურას მანადავთ, ხევსურნო,
 ერთი დიაცი სწყრებისა;
 „აფაშმე, ჩვენო სახ-კარო,
 ქვა-ქვაზე აღარ დგებოთ,
 ციხეზე, ქერხოს გამოებზე
 ებლა ყოველი ხსდებოთ.
 „მეღა ეტყოდა ბაღღელასა
 — შეიღოთ, იარაგ-ნეღოთ,

შენთან ვერ გავძლებთ, ვერც მენა,
 ვერც შენი ცოლი ლელაო.
 ბაღლები აგვიბოკირდა,
 ხელ-ფეხ დაგვიზრა ძნელაო.
 ვაჰმე, რა უგზოდ დავდივართ,
 ვაჰმე, როგორა ბნელაო!
 წეტავ არ დასჭირდება
 ხევისურთა შენი შევლაო?!
 ვის რა წყალ-ქალა გვისტუმრებს,
 სად რასა დავილევითა?
 უბინო, უსახლ-კარონი
 სხვაკანაც დავიწყევითა.
 ველარ მიუვალთ ჩვენს სახ-კარს,
 გაღმა შატილის ხევითა.
 თავის მიწა-წყლის გაწირვა
 ძნელი ყოფილა მეტადა;
 მამაკვდავს დავფერებივარ,
 გონი გამხდია რეტადა.
 მუხლებ არ მამდევს, გულშია
 ბნელი ჩამიდგა სვეტადა.
 ვაჰ, მამა-პაპის საფლავნო,
 კლდენო, დამდგარნო მწვეტადა!
 ჯავრობით ეტყვის ალუდა:
 — დიაცნო, ნუ ხართ ყბედადა,
 მოდით, მამყევით; ვიღინოთ,
 ღმერთმ ეს გვარგუნა ბედადა,
 ჯვარს არ აწყინოთ, თემს თუ სწყევთ,
 ნუ გადიქცევით ცეტადა!

ერახელ მაუნდა ალუდას,
 ერთხელ მობრუნვა თავისა:
 „მშვიდობით, საჯიხვეებო,
 გამახარელო თვალისა!
 მშვიდობით, ჩემო სახ კარო,
 გულში ამშლელიო ბრალისა!
 მშვიდობით, ჩვენო ბატონო,
 ყმათად მიმცემო ძალისა“!
 გაწირეს მგზავრთა სამუდმოდ
 წყალი და მიწა თავისა.
 შტერად დამდგარან მთის წვეერი,
 ისმის ხეივლი ქარისა.
 გაღვიდნენ, ქედი გადავლეს,
 თხრილი აღარ ჩანს კვალისა.
 ერთი მოისმა შორითა
 მწარე ქვითინი ქალისა.

კოკალა

(ძველი ამბავი)

I



თვარე არა ჩნდა ცაზედა,
ვარსკვლავნიც მიჩქმალულიყვნენ;
ნისლნი, დაღლილნი ცურავითა,
მთის ყურეთ მიმალულიყვნენ;
მთანი მალლაით დასცქერდნენ,
ღრმა ფიქრით შაბურვილიყვნენ;
არაგვიც ჩუმად მასჩქეფდა,
თვით ცრემლსა ცრემლი სდიოდა,
ბუნდრად და გაურჩევლად
კლდეთა კალთაზე ხეიოდა.
ხელ-უხლებელსა, უღრანს ტყეს
ბუფი საბრალო ჰკიოდა.
ბეჩავი ღღესაც ხომ სტირის,
მაშინაც გული სტკიოდა!
ხავილ-წკნავილი ნადირთა
ცათა კიდემდე დიოდა;
მივარდნილს კიუხებშია

შავარდენი ცა წიოდან
 ჩუმად მოვილის ირემი,
 დასწაფებოდა მდინარეს,
 მაგრამ ტყესავე მიჰმართის
 სიყრუე-სიჩუმით მძვინვარეს.
 რა ნახის კვალი დევების
 გარს მოსდებოდა იმ არეს.
 უცბად გაჩუმდა სუყველა,
 მხეცთ ხმა არ ისმის ტყიღამა,
 უცხო ხმა გაჩნდა, ღრიალი,
 აქეთ შთით, იქით მთიღამა,
 გამოჩნდნენ შავ-ნაბღინანი
 გაღმა-გამოღმა კლდიღამა;
 შავ-ბნელთ და უზარ-მაზირთა
 გრგვინვით ჩამოვლანეს ქალანი,
 კაცისა სისხლით ეღებათ
 ხელ-ფეხი, პირის-ბალანი;
 სინჯავენ წყლის კიდევებულ,
 ხომ არსად არი კვალია,
 კაცმა, ან მხეცმა იღუმულ
 წყალი ხომ არგინ დალია.
 გაბღანტებულა სოფელი,
 მკვდართ შინას დაჰფერებოდა,
 კარში ცერავენ გამოდის,
 ხალხი კერს მოჰტარებოდა.
 ნადირთა შთის წვერთ მიჰმართეს,
 ნიავსა სომღენ შთისასა;
 მუხინველნი აიყარნინან,

ნამსა ჰკრეფდიან ცისასა.
 მიწაზედ ვერვინ დაჰლევდა
 წვეთსა, ერთს ცვარსა წყლისასა.
 შრება გული და გონება,
 ძმა სისხლსა სომდა ძმასასა.
 ძმას ძმები შამაელივის,
 სისხლსა ეძებდის სხვისასა,
 დევთ დარბაზობას რაც მოჰჩრჩა,
 იმათ ლაშ-პირსა მგლისასა.
 ციხეს აგებენ ღრუები,
 ციხეს კაცების ძვლისასა.
 ცრემლით ვინ ვის-ლა იტირებს,
 თაკი გაჰხდია ჭირადა;
 ხელის შექცევას ვერ ჰბედვენ
 ხელ-შეუქცევის მტრისადა.
 როცა გადმოჩნდის ღრუბელი,
 წვიმამ დაიწყის შრიალი,
 დევთ ლახტი მოუღირიან
 და ასტეხიან ღრიალი;
 გაჰქრის წვიმა და ღრუბელმა
 უკვენ იწყიან ტრიალი.
 ლამის სიკვდალმა სიკოცხლის
 დაისაკუთროს სახელი,
 გაჰქრეს ღვთის მახსენებელი,
 არვინ ანთოს სანთელი.
 ლამის სიყვარულს დაეწვას
 ტურფა გვირგვინი იისა;
 ყველა, რაც ამკობს სიკოცხლეს,

გახდეს საკმელად კი...
 რად-ღა ვის უნდა მაშინა
 ან მზე, ან მთვარე ცაზედა,
 ხშირად ყვავილით ნაქარგი
 მწვანე ბალახი მთაზედა,
 გაზაფხულს მოსვლა მერცხლისა,
 ჩქეფა, ჩხრიალი ხევისა,
 დღის წასვლა, ღამის დადგომა,
 სიტკბო ბულბულის სტვენისა?!
 დარჩეს მარტოღა ღრიალი
 გაუმადლარის დევისა?!
 უხალხოდ ან დევს რად უნდა
 ძალა, დევობა წყეული?
 რატომ არ ჩნდება უფლისა
 მეშვლობა ციღამ სრეული?
 რად არ იშლება დევების
 შხამით აღვსილი სხეული?
 ღმერთმ რად გახადა ქვეყანა
 დევთა სათრეველად ნეტარა?
 მითამ იმედად ისა გვყავ,
 განსაცდელის დროს, ყველგანა,
 მითამ ის არის მფარველი
 განუშორებლივ ჩვენთანა.
 აროთ გასწირავს ქვეყანას,
 არ გაასწორებს მტვერთანა!

II

ღამესა უფრო აღამებს
 დიდი ტყე ფიქვ-ნარიანი:
 თელა, ვერხვი და წიფელი,
 ცაცხვი ტან-ჯავარიანი
 მიყრით ერთ-ურთში დაქსულნი, —
 მუხა თავ-კარავიანი.
 მზის სხივით არ იპოხება
 დიდი ტყე შალდაყიანი,
 ხელ-უხლებელსა მიდამოს
 არსად სჩან ნაკაფიანი;
 აქ ცულ არ აჩქამებულა
 ფეხ არ დადგმულა მუშისა;
 ნადირთ ულახავ ბალახნი,
 მისდევს ნაელი შუნისა,
 მისცმია გარსა, მიდამოს,
 ნისლი ყვავილთა სუნისა;
 გორი-გორ შასდევს დამოხერისა
 გრძელი ნაფრენი ირმისა.
 ვეფხვებს უთელავ ტერფებით
 ბტყელი ფოთლები ღიმისა.
 ჩადის, ჩატირის ხევი-ხევ
 ტალღა ნაკადის ცივისა.
 ჩაიკლავს გულში ვარამსა,
 ბუვი საბრალოდ ჰკივისა.
 მაშ, ეს საყდარი რისაა
 დახავსებულის ჯვართა,

უდაბურს ადგილს მდგომარე
 გათლილის სიპის კართა?!
 ციღამ ლეთისაგან იფარვის
 დაბლა იფნების ჯართა.
 შიგ ის ვინღაა მოხუცი
 მხარ-ილლივ წითლის ფართა?
 მარჯვენით ლახტი უქერავ,
 მარცხენას ამკობს ჯვართა?
 რამ აატირა მოხუცი
 ვერე ცრემლითა ცხართა?
 რას ვეგდრება უფალსა
 სულ-თქმა, ოხვრითა ჩქართა?!
 ეს ვინ მოდიან ციღამა
 ხელში ხმლით, ალვის ტანითა?
 განათდა მთელი ქვეყანა
 ცხრის მზითა, ოცინ მთვართა.
 ღებთიშვილთ უძახეს კოპალას:
 ღმერთმ ნება შოგვცა ძალითა,
 დალიე ქვეყნის მოღველები,
 ლახტი იხმარე ტართა!
 დევთა ასტეხეს ტირილი
 მაღლა მითთ, დაბლა—ბართა:
 „დავიწვით, ნათელმა დაგვწვა,
 სანე, თვალგზი ტანითურ,
 ჩვენი გუნება ირევა,
 მოვიწამლენით ჯანითურ“ .

III

მიწა დაიძრა მთებიდამ,
 ქვებს მოაქვს ხევში ჩხრიალი,
 სდგას ბობოქრობა დევების,
 ყურის მგლეჯელი გრიალი.
 მოდის ნასროლი ლოდები,
 ისრის ხროს გააქვ ძგრიალი;
 იძაბვის ძალი მშვილდისა,
 ზგერ მოგორვენ დევები;
 აივსო დევთა ლეშითა
 ტყე-ველი, დაბლა—ხევები.
 რამ რა დაზარდნა ესეთი,
 თათო გერგეტის სწორია;
 რა ტყე ჰფარვიდა ამათა,
 ან რა სჩრდილავედა გორია!
 ერთი ნაკრავი როგორ ელეტს
 ერთის მოხუცის ბერისა?!
 რად არ ხელ-ახლად სდგებიან,
 ცამდი ამშვებნი მტვერისა?!
 ველარ დევობენ, რა ჰხვდებათ
 ლახტი სხვა რიგის მტერისა!
 ვერც თავს მაიბმენ ხელ-ახლად,
 ვერც გულს დაჭვრეტის ისრითა.
 სული ამოჰხდათ, სწყდებიან
 უძეოდ, მწარის ფიქრითა.
 აყროლდა მიწა, ზნდებოდა
 ბრიყვის დევების მძოვრითა,

შივი გამოდის გველები
 დევთა სისხლსა მორავითა:
 „გასწყდით, დამლევნო ქვეყნისა,
 ზედ დაჰვედრიდა ბერია:
 გასწყდით, კაცთ ტომის მწამლავნო,
 სიკვდილი თქვენი ჯერია.
 მოკედი, სად მორბი, ბელელავ,
 ფშავი კარგა ხანს გჰქერია,
 დაიქცეს, ახლა დრო არი,
 დევთ მეუფება შენია“!

დევთ სულნი დაკოდილები
 ქვესკნელში ჩაიყარნიან,
 წინ მამეგებნენ მაცილნი,
 პირის-პირ შაიყარნიან;
 დევთა ამბავსა ჰკითხაედენ,
 დოინჯი გაიყარნიან.
 დევთ სულთ ასტეხეს ტირილი,
 თვალს ხელნი დაიფარნიან:

— ზეცამ დაგვლივნა, ტიალმა,
 ცისა ნათელმა მწვავებმა,
 ერთის მოხუცის ბერისა
 ლახტის ცემამა მწარემა;
 ნათელმა დაგვწვა თვალეზი,
 ჯანი დაგვიდნო ტანისა;
 ზესკნელს ჩვენ აღარ გვეცხოვრის,
 ბნელი აღარ გვშველს ღამისა.
 დევთ თვალნ დახუქნეს, დაიდვეს
 ბნელი ქვესკნელი ბინადა;

მაიგონებენ ძველს დროსა,
 დაიკენესებენ ხშირადა.
 მიწა ექცევათ თავზედა,
 დასდით წვიმა და ღვარია,
 ათრთოლებთ ტანში სიცივე,
 ჩამოსდით ცრემლი მწარეა.
 წასასვლელ არსაითა აქეთ,
 ყველგანით დახშულა კარია.
 აღარსად იმათ ლახტები,
 აღარც ხმალი და ფარიჲ,
 აღარც ადგომის იმედი
 იმათთვის არსად არია!

IV

თენდება. ნამი დაჰყრია
 მიწასა აღმასიანი.
 არაგესა პირი უცინის,
 ტანი უშვენის ხმლიინი.
 ულოცვენ გამარჯვებასა
 მისნი კიდენი კლდიინი.
 მოსქდა მთითა და ბართა
 ოთხით მავალნი-დ ფრთიინი,—
 წყალსა სმენ არაგვისასა
 ჯიხენი, ირემნი რქიანნი.
 ჩამოდის დევთა ლეშზედა
 სოენი უმსგავსო ბჯლიანნი,—
 რა მადლი არი, წყლით დაძღენ
 შეღებვიც თვალ-ლამაზიანნი!

გადარჩენიან წყურვილსა,
 თუმც ბევრი ექმნათ ზიანი.
 მოდგა დიდი და პატარა,
 კოკები მოაქვთ წყლიანი.
 ჰლოცვენ ხელ-გაშლით თავის მხსნელს,
 ვინც მოჰკლა ძალა ტიალი.
 ქვეყანამ, გზა-კვალ-აშლილმა,
 წაღმა დაიწყო ტრიალი;
 ხეებსაც ძირი დაუღობა,
 ფოთოლთ დაიწყეს შრიალი,
 ვეფხიცა ჰზვრებდა გუბებსა,
 გული გააღობო მწყურვალი.
 მიკვირს, რით გასძლო, არ გატყდა
 წყლით უგრილები, მსურვალის
 კლანჭებსაც იბანს როსტომი,
 ტყის სიღუმელოს მკურნალი.
 ხშირნი მიდიან ლურბელნი,
 ლაღად: მიღვიპნ-მოღვიპნ.
 ცამ გაღვიპნდა, ტურფანი
 წვრილნი ფარსკვლავნიც მოდიან.
 დაუღობა გული ქვეყანას,
 ისევ სიციოცხლით ხარობსა,
 დამთვრალი ქვეყნის შვენებით,
 გაღმა ბუღბუღო გაღობსა.
 მადლობა შენთვის, უფალო,
 ბუნება აღარ წვალობსა!
 ტურფა დაესხა ისგო
 დამჰკნარს ფოთოლი იასა.

აღარ აშინებს დევის ხმა
მაგ სადედუფლოხ თმიანსა.

†

ასტყდა ელოვა და ქუხილი,
წვიმამ დატეშა გორები.

— სად მიპრბი ნეტავ, ბელელავ,
სასჯელს რად გაეშორები!?
საყდარს ეკედელის ბელელა,
დაჰვიწყებია სწორები;
საყდრის კარს დაუწოქია,
გულზედ უწყვია ტორები.

— ზომირთმეგია, კოპალავ,
ძღვენად ფარი და ხმალია,
დევთ საომარი აბჯარი,
ოქრო, ვერცხლი და თვალისი.
ცხრა ეხი სავსე ოქროთა,
ვერ სით ჩაუვა წყალია;
ხმალ-შეუვალი ბექთარი,
გაუტეხელი რვალია.
რაად დაგვლუბე, კოპალავ,
დევთ რად წავგართვი ძალია?!
დევთაცა გექონდა ფიქრადა
ზეცას მიგვეპყრო თვალია
და დაგვექლია ქედზედა
ღვთის საამური ვალია.
მინდა ღმერთს შენებრ მივიჩნდე,
შენებრ სიწმინდის მქონია;

დევობის ძალა რომ მერთმის,
 მინდა სხვად მქონდეს ღონია.
 უძალ-ღონობას, სისუსტეს
 ვერ თვისობს ჩემი გონია.
 რაღა შენ მოგცა უფალმა
 ძალი, არ ვისგან ძლეული?
 ასჯერ დიდი ვარ შენზედა,
 ასჯერ მეტი მაქვს სხეული!
 სიზმარში ვარო, მგონია,
 ვერა ეარ გამორკვეული...
 მიშუამავლე უფალთან
 შენებრ შემოსოს ძალითა,
 მეშვლად გედგები ბრძოლაში
 ძმურად, ძლიერის მკლავითა.
 — სიტყვა აღვილილ ითქმევა,
 ბილწო, ავისილო შხამითა.
 ვერ მოვატყუებ უფალსა,
 მოხეტიალევ ღამითა.
 სიკეთეც გინდა ხელთ იგდო,
 ძლევეთ გახდილო ავადა,
 ორივეს ამუშავებდე
 ბოროტს—ხმლად, კეთილს—ფარადა?!
 ნუ ცრუობ, შავო, შავ-ბნელო,
 უნდა ჩამაჰდნე შავადა.
 შენში კეთილი იმავ წამს,
 გადაიქცევა შხამადა.
 გცდი ჯვარით, შხამის გუდაო,
 გამოგცდი ემავ ქამადა.
 ჯვარი აილო კობალამ,
 უთხრა:—ემთხეივ ამასა.

ბედელამ ლაშნი მიჰმართნა,
 ვერ სწედება... იჩენს ძალასა.
 ვერ ახლო პირი, არ იქნა,
 ჯვარად გადაბმულს კალასა;
 ცეცხლი დაეცა ზეციდან,
 მოედვა, როგორც ჩალასა.
 დაიწყო ღმეჭა ბეჩაემა,
 შექნა საბრალო ღრიალი;
 გმინვა უსასო სიკვდილის,
 გულის მომწყველელი ხრიალი.
 დევთა მეუფის დიდისა
 ფერფლი-ღა დარჩა ტიალი.
 ფერფლიდან გაჩნდნენ უმსგავსნი
 შაენი ბუჭყანი-დ ჭიანი;
 წკარტიალხით ტყესა მიჰმართეს,
 სადაც ხარობენ იანი.

ია თაილხ-კაბი ამოვა,—
 ქალი მგლოფარე ძმაზედა.
 ზაფხულის ცქერა სწადიან,
 პირის დაბანა ნამზედა.
 არ დააქლოიან, იცოცხლოს,
 მიუხდებიან კარზედა,
 შმაგად უჭამენ ფესვებსა,
 მერმე გადავლენ თმაზედა.
 მოკლე სიცოცხლე იასა
 იმ ჟამით აწევს თავზედა.

დილა საღამოს ნიშნს უგებს,
 დღე ღამეს ებრძვის ძალზედა,
 ნისლნი, ათას მხრით მომღვარნი,
 დაისვენებენ მთაზედა.



ბ ა ხ ტ რ ი ო ნ ა

I



ღემ დაიხურა პირ-ბადე,
მთებმა დახუჭეს თვალები.
აღარ უფოთავენ საფლავში
გმირთ ოფლის მღვრელი ძვალები.
ქარი ქვითინებს... ღრუბელთა
ზარი თქვეს შესაზარები,
გული ვერ მოუფხანიათ,
კრემლი სდით ალაზნიანი;
ჩარეცხეს, ჩაალამაზეს
მთების გულ-მკერდი კლდიანი.
გაცოცხლდა, ცას ემუქრება
ღრმა დეღე, წყარო-ფშიანი.
გადიკრიფნენ ღრუბელნი,
ქუჩი გაწირეს ცვრიანი.
გაივსო რძითა მთათ ძუძუ,
დაუშრომელად რძიანი.
მოგესალმებით, ქედებო,
მომაქვს სალამი გვიანი,

ბელელამ ლაშნი მიჰმართნა,
 ვერ სწვდებო... იჩენს ძალოსა.
 ვერ ახლო პირი, არ იქნა,
 ჯვარად გადაბმულს კალასა;
 ცეცხლი დაეცა ზეციდან,
 მოედვა, როგორც ჩალოსა.
 დაიწყო ღმეკა ბეჩავემა,
 შექნა საბრალო ღრიალი;
 გმინვა უსასო სიკვდილის,
 გულის მომწყველელი ხრიალი.
 დევთა მეუფის დიდისა
 ფერფლი-ლა დარჩა ტიალი.
 ფერფლიდან გაჩნდნენ უმსგავსნი
 შეენი ბუჭყანი-დ ჭიანი;
 წკრტიალხით ტყესა მიჰმართეს,
 სადაც ხარობენ იანი.

ია თალხ-კაბი ამოვა,—
 ქალი მგლოფარე ძმაზედა,
 ზაფხულის ცქერა სწადიან,
 პირის დაბანა ნამზედა.
 არ დააკლიან, იცოცხლოს,
 მიუხდებიან კარზედა,
 შმაგად უჭამენ ფესვებსა,
 მერმე გადავლენ თმაზედა.
 მოკლე სიცოცხლე იასა
 იმ ეამით აწევს თავზედა.
 დილა საღამოს ნიშნს უგებს,
 დღე ღამეს ებრძვის ძაღზედა,
 ნისლნი, ათას მხრით მომდგარნი,
 დაისვენებენ მთაზედა.



ბ ა ხ ტ რ ი ო ნ ა

I



ღემ დაიხურა პირ-ბადე,
მთებმა დახუჭეს თვალები.
ალარ უფოთავენ საფლავში
გმირთ ოფლის მღვრელი ძვლები.
ქარი ქვითინებს... ღრუბელთა
ზარი თქვეს შესაზარები,
გული ვერ მოუფხანიათ,
კრემლი სდით ალაზნიანი;
ჩარეცხეს, ჩაალამაზეს
მთების გულ-მკერდი კლდიანი.
გაცოცხლდა, ცას ემუქრება
ღრმა ღელე, წყარო-ფშიანი.
გადაიკრიფნენ ღრუბელნი,
ქუჩი გაწირეს ცვრიანი.
გაიგსო რძითა მთათ ძუძუ,
დაუშროამელად რძიანი.
მოგესალმებით, ქედებო,
მომაქეს სალამი გვიანი,

ჩემსამც სამარეს ამკობენ
 თქვენი დეკა და ლუიანი!
 თქვენგანა გულობს ეს გული,
 შიგ გრძნობა უღუღს ლუთიანი.
 თქვენი მიწოვავ მეც ძუძუ,
 ლალიან-ბარაქიანი.

ნუმც გაჯავრდება პირი-მზე,
 ნუმც დამწყველიან იანი,
 რომ იმათ დედის ძუძუთი
 ვსუქდები ცოდვილიანი.
 მეც მიგებმავ იგი რძე,
 რითაც თქვენ დაიზარდენით;
 თქვენავე გარგებთ, დობილნო,
 თუ უხეოდ დაიხარჯენით!

II

გორი რამ ჩასდგამს შუბის წვრად,
 მუხა-იფნებით ფარული.
 იქ ჰყრია დიდი ლოდები
 შავ-ფერი, ციხის კარული,
 ლიბო დათხრილი კოშკები,
 უმზეოდ ჩამოგვალული.
 ბერი ტიროდა დიაცო,
 ისმის ქვითინი ქალური.
 რამდენი სიპები აწყვავ!
 მოსჩანს აკლდამის პირები.
 გმირთა სამარეს, როგორც ხატს,
 სამთხველად დაველირები.

ეს ფშაველთ სალოცავია,
 დღეს დღეობაა ამისა.
 არ ვიცი, თვალი მატყუებს,—
 მიშლის წყვილია ღამისა!
 ხალხს ნუ თუ დაჭვიწყებია
 წმიდა გორგი თავისა?!
 ეს რაღაც ცუდს საქმეს ჰნიშნავს,
 მომასწავებელს ავისა.
 საჯარეს ღიაც რა უნდა?
 არ თუ გშინის დავისა?
 მარტოს ზუნთავ სანთლები
 და ხატიც უღიდებია;
 მარტოს დაუკლავ საკლავი,
 თითონვე უტყავებია;
 მარტოდ-მარტოკას ღიაცსა
 ხატ-ღმერთი უხსენებია!
 აქ არც ხევის ბრის ხმა ისმის,
 არსად ფშაური ღრეობა.
 ვინ გიჟი იტყვის იმასა,
 რომ დღეს აქ იყოს დღეობა?!
 ბრაღადა ბჭუტავს სანთელი,
 კრემლი წინ უდგა გუბედა.
 მტრისამც დედასა გველი ჰკბენს
 და ჩაუძვრება უბედა,—
 გშინთა აღმზრდელთა ძუძუებს
 გაიხდის თავის ბუდედა!

III

უცბად გაისმა ფეხის ხმა,
 კაცი გამოჩნდა უცხო რამ,
 ჩამოგლეჯ-ჩამოწეწილი,
 ერთი ყარიბი, უშნო რამ.
 სანთლისა შუქზე წამოდგა
 დატანჯულია ფერითა,
 მხარზედ თოფ-გადაგდებული,
 გაბუდებული წვერითა,
 დანჯღრეულ ქარქაშიანი
 ხმალი წელს ერტყა წნელითა,
 ადვილად საცნობი იყო
 კაცი ფშაურის ერითა.
 დადგა, დაეყრდნო თოფის ტუჩს,
 ცრემლებს იწმენდდა ხელითა,
 იზიარებდა ბებრის დარღს
 სახის შექმუხვებით ხმელითა.
 თავის დარღებში გართული
 დიაცი მიჰხვდა ვერასა,
 ტიროდა, ემღურებოდა
 ხოშარელთ ბედის წერასა.
 გულს იმჯილავდა, ჰკითხავდა
 ნანგრევებს ცრემლის დენითა:
 „სრულ ჩვენ რადა ვართ ტანჯვაში,
 კენესა რად ისმის ჩვენითა?
 როდემდის უნდა ვსტიროდეთ,
 მიწა ვასველოთ ცრემლითა?

ან მიწა რად არა ძღება
 დამდნარის გულის წვენითა?!
 როდემდის უნდა ვიბანოთ
 სისხლით პირი და ხელები?
 შეილთა მაგივრად დედებსა
 ძუძუს გვიწოდეს გველები?!
 როდემდის უნდა ფეხითა
 ვლახოთ ჩვენივე წელები,
 ცეცხლები გვერტყას ათასი,
 გულის, გონების მწველები?!
 ეაჰმე, გაგვიწყდა, აღარ გვყავს
 ამ ფშაეის ხევის მცველები!

დიდხანს უცქირა უცნობმა
 მოხუცის მოთქმას მწარესა;
 მიჰხვდა, რომ უბედურება
 სწევდოდა ფშაეის არესა.
 ათრთოლებულის ხმით ჰკითხავს
 უცნობი უცნობს დიაცსა:

შეზავრა

ვინა ხარ, ნეტარ, დედაო?
 ვისას რის მოსთქვამ ზიანსა?—
 ვერ გაიგონა ნათქვამი,
 ისევ ზარს ამბობს ხმიანსა...
 — შენ გეკითხები, დედაო,
 რად სვამ ბალღამით ფიალსა?

სანათა (ბუბუკი)

მადლობა ღმერთსა, თუ კიდევ
 კაცი ვიხილე თვალითა.—
 აღგა და ჯოხზე დაეყრდნო
 ხანხალით, ძალის-ძალითა.—
 მოხვედი, შეილო, მშვიდობით.
 შეილო, წყალობა ხატისა!
 აღარ მეგონა, თუ მამრი
 კიდევ მიწაზე დადისა.

მეზაგრა

შენიმცა მწყალობელია,
 შენთა შეილთა და ქმარისა.
 ერთს გკითხავ, დედა-შვილობას,
 მითხარ პასუხი ამისა:
 დიაცს ვინ მოგცა ის ნება,
 საქმე აკეთო მამრისა?
 ვფიქრობ, დროება დამდგარა
 იმ მეორ-მოსვლის წამისა.
 ხომ არ აყრილან ფშაველნი,
 ჩქამ რო არ ისმის ხალხისა?
 როგორც მინახავ, ირ არის
 ლხინი კაცის და ქალისა.
 შენობა მინდა გავიგო,
 ვარ თქვენის მიწა-წყალისა.

სანათა

ჩემ რა იკითხვის, დედილას,
 უკლოსი, ბედით შაეისა,
 დავკარგე ყველა თვის-ტომი,
 ვინაც კი მყვანდა თავისა;
 წარღვნა დაგვეცა ხოშარელთ
 წყეულთა თათრის ჯარისა.
 მამრთა შაკლეს მტერს თავი,
 ხსენება გასწყდა კაცისა.
 გასუქდა ხოშარის გორი
 სამარეებით ხშირითა.
 ვინც დაგრჩით ცოცხლად დიაცნი,
 დახოცილებსა ვსტირითა.
 ჩვენ რო გვნახავენ მტირალთა,
 ბალღებიც ატირდებიან;
 გლოვის მიზეზსა გვკითხავენ,
 დედებს რო გვაკვირდებიან.
 არ შიღებენ პასუხსა,
 უფროარე აყვირდებიან;
 ძუძუთ ვათირებთ ბალღებსა,
 რძისთვის რო ატირდებიან!
 ლუხუმი იწვა დაქრილი
 ნატყვიარი სკირს მკერდშია.
 იქვე მალაღი კლდე იყო,
 გამოქვაბული შავადა,
 ხანით მორთული, პირ-ქუში,
 მრისხანე სანახავადა.
 იქ ზუღობდა ვეგბა
 გველი, მორთული ჯაგრითა,
 ბევრისა ცოდვის მომქმედი,
 პირზე დორბლების დაყრითა.
 ბევრი ჩაენთქა ტიილსა
 მონადირე და მხეცები.
 იწვა, უცდიდა დავლასა
 თვალებით დანაცვლები.

გადამთხვალეყენ იქილამ
 ნადირნი გულის თრთოლოვითა.
 ვერ გაჰხედნებენ იმ ალაგას,
 ისე ეშინისთ შორითა.

ერთს დღესა გველი, ვით ნისლი,
 გაწოლილიყო ხეზედა,
 წიოდა გულ-ჯავრიანი,
 თანაც თბებოდა მზეზედა.
 ამ დროს შეესმა კენესის ხმა
 ჯაგარ-აშლილსა გვერდზედა.
 გაჰხედა, ნახა, — კაცი წვეს,
 სულის მაბრძოლი, ეული,
 გასცქერის ცისა სივრცესა
 სხსო-მიხდილი, სნეული;
 მკერდზე ატყვია მიმზმარი
 სისხლი წყლად ამორწყეული.
 გველს შეებრალო ლუხუმი,
 მისკე წავიდა ზოაზენითა,
 მიაშრიალებს ხმელს ფოთოლს
 დიდრონის ტანის გლოარზენითა.
 ზედ დაშტერდა სნეულსა
 თვისის გველურის სახითა,
 დასცქერის სულის მაბრძოლსა
 გულის მზარავის თვალითა.
 დაფიქრდა გველი ძლიერა,
 გული ევსება ბრალითა.
 ბევრის ცოდვების მომქმედსა
 გადაუბრუნდა გუნება:

რა სიბრალულთ იმსკვალვის
 მისი გველური ბუნება!
 ზედ გადააწვა, მკერდზედა
 წყლულსა ულოკდა ენაა.
 თან მკერდს უსველოებს მხედარსა
 ცრემლების ჩამოდენითა.
 აყრუებს ტყესა და ველსა
 ოხვრითა რამოდენითა!

მთელს ერთს თვეს ასე უვლიდა
 აღამის ტომის მტერია,
 ბოროტების გზა გაუშვა,
 კეთილი დაუქერია!
 საქმელსაც თვითონ უზიდავს,
 ასმევს წყალს ლალის მთისასა;
 ღამ-ღამ ზღაპირსაც უამბობს
 ორის ობოლის ძმისასა.

ამბობენ: შაძლეებინა
 სნეულსო ფეხზე დადგომა;
 ეღირსებაო ლუხუმსა
 ლაშარის გორზე შადგომა!

მ თ ე რ ი



ა უღაბური ქალაა,
როგორ დიდრონი მთებია,
მაგრამ სოფელი არსად სჩანს,
არსად სავალი გზებია!
ქალაში ერთი ქოხი სდგას,
შემბ-მოხვეული გარზედა;
გვერდს უდგა დიდი ქანდარი,
ქოხს დასცქერია თავზედა.
ქოხს გარეშემო ტყელ იდგა
დიუი და შუპყა მწენია;
კაცის ხმით არა ხმიანობს:
ქალა, ველები, მთანია.
მთათა და წადირთ ყრიაშულს
ეს მხარე შაუქამია.
— სთვლობით გულ-გაცოფებულმა
ირემმა დაიდრიალის;
ან მოსკდის ზოფი მთიდამა,
დაიდრის, დაიხრიალის;

ახავლდის მშველი დამთხვალი,
კოდალამ დაიკრიალის;
ქალას აძრახდის ხოხობი,
ზარივით დაიზრიალის;
ზლაპარს უამბობს ნიავი,
ფოთლებმა დაიშრიალის.
ამ არე-მარეს სთელავდენ
მარტო ნადირნი ტყისაო
და მწყემსი ქალი, ობოლი, —
ყვავილი ედემისაო...
ეტყობა მიწას ლამაზი
ნავალი ეთერისაო.
ქოხს ოთხსავ მხარეს არტყია
დიდი ბარდები ბურჯადა,
ზედ ყვავილები ჰყვავიან
წითლად, ყვითლად და ლურჯად.
ლამ-ლამ აქ მოდის ბულბული,
მოსთქვამს დაკარგვას დისასა;
თან ატანს გულის ვარამსა
ნიავეს, მონაბერს მთისასა.
რა გულ-დადებით ყურს უგდებს
ეთერი იმის სტვენასა,
მიმჯდარი ქოხის კარებთან
როგორ იფხიზლებს სმენასა!
„გენაცვლე, ჩიტო, — დუღუნებს, —
ლამაზად ჰხმარობ ენასა...
ნეტა რას ამბობ, ვიცოდე,
ნეტავი გამაგებანა;

შენსავით გული უფალსა,
 ჩემთვინაც ჩაადებინა!
 ნეტავ ბუღბუღლად მაქცია,
 შენთან ვიფრინო ველადა...
 ტიტველი აღარ ვივლიდი,
 დაღონებული ყველადა
 და მოვრჩებოდი ამ ბებერს,
 ჩემთვის გაჩენილს გველადა!
 დილაა ისევ, სისხამი,
 წამი ხშირად სძევს წამზედა...
 ნახშირის ფერი ბებერი
 ბობოქრობს ქოხის კარზედა...

II

დედინატყვალა (ეთერს)

რა ხანი არის, გათენდა,
 აღე, გარეკე საქონი.
 რას გეცრემლება თვალეზი,
 რა გაგხდომია საგონი?
 რას ეშმაკს დაუჭკერიხარ,
 გამაგებინა ნეტარა?...
 გასწყუდა ცხვარ-ძროხა სიმშილით,
 შე მეხ-დაკრულო, მედგარა!
 ზომ ხედავ, მუხლი არ მამდევს,
 თვალით ვაჭრევიწებ ველარა...
 რა გაქვის საფიქრებელი,
 ნეტავ ვიცოდე, მაგდენი?

თან-თან ეშმაკად მიიქეც,
გაგიწყრეს ჩემი გამჩენი!

ეთერი

ვაჰმე, რა ძნელი ყოფნაა,
ყოფნა, სიცოცხლე -ობლისა!
სრულ წყევა-კრულვა ჩემს თავსა,
არსად აღერსი მშობლისა!
ნეტავ, ან სახე მახსოვდეს,
ან ხმა მახსოვდეს დედისა!
ნეტავ, ტირილით შამეძლოს
შეცვლა ამ შავის ბედისა!—
დღე და ღამ ფეხზე ყუდილი,
გადაყრა წვიმა-შებვისა,
სიმშილი, ლალვა ნადირთა,
თმენა ლანძღვის და ტყეებისა!...
რა ლანძღვა მინდა, რა კრულვა
დალახერულს შავის დღისაგან,
წილ-ბედ დაღეულს სოფელში,
თავ-დანებებულს დგთისაგან!..

წამოდგა ქალი ეთერი,
მთვარე ამოჰყვა პირზედა;
თავით ბალიშად ქვა ედვა
ლეიბად— შამბი ძირზედა.
თვალეზში ჩაჰქსოვებოდა
ზღვა-ხმელი ერთიანადა,
მთელი ქვეყანა შიგ ბრწყინავს
თავის ხატ-ღმერთიანადა.

ზვირგვინად ტრფობა დასდგმოდა,
 სხივს გვეფენს წამწმების ხილითა,
 ცასა და მიწას მადლს ჰფენდა
 უხვებით კიდის-კიდითა.
 ყელი მიუგავს ჯერანსა,
 გამომალებულს მინდვრითა;
 ტანთ შავი ჯუბა აცვია,
 შავი მანდილი თავზედა.
 ვერ ჰნახავ ერთ მძივს, ან ღიღსა
 ეთერის ლერწამ ტანზედა;
 მხოლოდ ყაპყატოს კალათა
 გადაუგდია ძკლავზედა.
 ცხვარ-ძროხას კარი გაუღო,
 გაჰყვა ნაბიჯით ნელითა.
 ეხლა-ლა ვნახე, გიშრის თმა
 მიჰქონდა ეთერს წელითა:
 სარტყლად წელს ნაწნავნი ერთყუნენ
 ორ-პირად, როგორც წნელია...
 გაუშვას თავისუფლად,
 თან სატარებლად ძნელია;
 ტყეში ან ჯაგი გაეზას,
 ან მოეჩვენოს გველად!
 ცოდვაა თმების დაწყევლა
 პატრონისავე ხელად!
 მიტომ ირჩია გოგომა
 თმა წელზე პრტყმოდა წნელია...
 თავ-დახრით მიჰქსოვს წინდასა,
 თან დაჰლიღინებს ნელია.

რა კარგი სანახავია
ქალი, გასული ველადა!

III

გარეკა ცხვარი და ძროხა
ვერხვიან გორის ძირასა,
დიდის მთის კალთაა რო მოსდგამს
და სხვანიც წვიანან მზიროსა.
იღვა ჭანდრების ჩრდილშია
დიდის მდინარის პირასა;
ძალღების ყეფა მოესმა,
ჰყეფდიან ხშირა-ხშირასა.
ისმის კივილი... კაცები
აყვირებდიან სტვირებსა...
ნახა,—მორბოდა ირემი,
ეფარებოდა თხილებსა.
ცხენ-და-ცხენ მისდევს ჰაბუკი,
ისრებს მოესვრის მწკრივასა;
ხარი ირემი წაიქცა,
შედგა თავსა და ყირასა.
ეთერი სულ-განაბული
ეფარებოდა წბილასა.
თვალი შეასწრო უცნობმა,
შედგა, უცქერდა შტერადა;
ხელი მიეპყრო ზუბლოზედა,
თავი გადაგლო ცერადა;
ირემი დაჰვიწყებოდა,
ხედ ქცეულიყო ხმელადა.

ბალახით გამოასხლეთილი
 ცეცხლი თუ მოჰხვდა მწველადა!
 ქალი იწვება სირცხვილით,
 ვერ იხედავდა, ვერბდა;
 ყმამ გადაყარა ისრები,
 მწვილდიც, ნაჭერი ხელადა;
 კრძალოვით გადმოხტა ცხენილამ,
 მიდის მთრთოლოვარის სახითა,
 შაქრიანს ეტყვის სიტყვასა
 შუბლ-შეკერით, სახით მკვებთა.
 დნებოდა ქალი, ვით გნოლი,
 ქორ-შაგარდენის წახვითა.
 ეალერსება გოგოსა
 კაზმული ძვირის კაბითა;
 ეალერსება გოდერძი
 ეთერსა ტკბილის ენითა;
 ესაუბრება წყნარადა
 სიტყვებით გულ-საკბენითა.

გოდერძა

ნუ მიწყენ, ქალო, ვისი ხარ?
 ტყე-ველთ რას დაიარები?
 დედა არა გყავს, ან მამა?
 ტანზე რადა გაქვს ჩეარები?
 ეთერი ამ დროს შუნჯობდა,
 ეჩვენებოდა ყრუადა.
 გოდერძიმ არ დაიჯერა,
 ხმალი უქნია ყუადა:

„ნამდვილ მეჩვენე, რაცა ხარ,
თორღ გავჴერი შუაღა!“

ეთჴრა

რა გითხრა უცხომ უცხოსა,
ეგ საღაური ძალია?
რა შნოება ვაჴკაცის
ქალზე იზმაროს ხმალია!
რა ღავაშავე ისეთი,
რა მაჴეს ისეთი ბრალია?

გოდჴრმა

მიტხარი შაინც, გეთაყვა,
ვინა ხარ, ვისი ქალიო?
მიტამა ღაღლიღისათვის
გისმევაე ჩემთვის წყალიო.

ეთჴრა

მე არც ღღღა მყავს, არც მამა,
არცავინ თვისის, ტომისა:
ჩემი ძმები ღა ღღღ-მამა
მსხვერპლი გამხღღარან ომისა.
აი ეს ერთი ქალი ვარ,
მყავს ღღღობილი ბერია;
ვმწყემსობ, ცხეარ-ძროხას ვაძოვებ,
ხეღღო ჯოხი ღამიჴერია.

გადეკმა

იქ რას გაჰხედავ? სხვაკნისკე
 თავი რას დაგიჭერია?
 ცუდი ხომ არა მითქვამს-რა,
 რად მალე გამიწყერია?!
 მიტომ გულ-დიდობ, რომ მთვარე
 თვალეში ჩაგიწერია?
 მენაც კაცი ვარ შენფერი,
 განა მძოვრო და მტყერიო?
 ამასთან, ღმერთმა ხომ იცის,
 არ ვარ შენი მე მტერიო.
 ქალო, ეხლა გთხოვ იმასა,
 მითხარა სახელი შენია;
 შენს სიტურფესთან, იქნება,
 ისიც რამ შესაშეენია!

უთუკა

ახლა სახელსა ჰკითხულობ,
 კი მაინც არა გრცხვენია?

გადეკმა

შენის დედ-მამის ცხონებას,
 შენთ ძმათ სულთ განათლებასა,
 მითხარ, — გულს ნუ მომიმატებ
 დარღსა და მწუხარებასა.

უთუკა

ეთერი მქვიან... რად გინდა
 ჩემი სახელი წყეული?

საცა რამ სახელებია,
 ყველაში გამორჩეული?
 ხომ იცი, რაა „წათერ“,
 ხომა გაქვს გამორკვეული?
 მაშ, მე ვინ მეტყვის: აბძანდი,
 მეტყვიან.— აეთერია,
 ათას ფრად, ათას კილოზე:
 გაეთერ-წათერია!

გადგება

ეგრე უღმერთო ვინ არის?
 რა არსებაა ისეთი?
 შენებრ ტურფასა ამწყემსებს,
 ხატი არა სწამს, ან ღმერთი?
 შიშველ-ტიტველა რადა ხარ
 ცით ჩამოსული მთვარეო?..
 მოდი, ერთს გეტყვი, მისმინე,
 ცოლად გამომყევ ბარეო!
 მე ძე ვარ გურგენ მეფისა,
 ესე აღგილიც ჩვენია.
 გამომყევ,— უთხრა მეორედ:—
 რათ ჰკრთი, რად მოგიწყენია?
 ორსავე გვზიდავს მუხლოდი
 ეს ჩემი შავი ცხენია...
 სიმწარით ყოფნას, არ გიჯობს,
 იხილო ტკბილი დღენია?
 რა ლამაზი ხარ, ეთერო,
 რა მომხიბლავს ფერისა!..

სალოცველია კაცთაგან
ფერთლიც შენთ ფეხთა მტვეროსა.

უთუა

ბეჩავს რა ელამაზება?
ვინ მოსცა იმის ქამია?
ტანთა არ აცვაე და ფეხთა....
დღეც იმისათვის ლამია...
იმისი ყოვლი ნაბიჯი
განგებას მოუშხამია.

გაღებში

სთქვი რამა, შენი ჭირიმე,
გულისა საღბუნებელი!
ეს ჩემი გულ-წრფელი თხოვნა
კი არის საწუნებელი?
ცოდვაა ოხრად დამკენარი
ყვაველი სასუნებელი!

უთუა

ღირსი არა ვარ, ხელს გბანდვა
განაღამც გყვანდვ ცოლადა;
მეფე ხარ, რატომ არ ჰფიქრობ?
საქმეს რად იჭერ ყროლადა?
მიგყევარ ჯუბიანაი,
მქონან ტიტველნი მკლავნია;
ხომ გაწყრა შენი დედ-მამა
და დაგემდურნენ ყმანია.

ამასაც გეტყვი, ვაჟაკო,
 იცოდე, საცოდნელია:
 აღთქმა მივეცი უფალსა,
 ფიცის გატეხა ძნელია;
 აღუთქვი:—ქალწულოდ დავრჩე,
 არ როს შევიერთო ქმარია;
 ვიკმარო ესე ცხოვრება,
 ტკბილი არის, თუ მწარია;
 ვიარო მთასა და ბარსა,
 ვაძოვო ძროხა-ცხვარია.
 მთაში ნიავი დამატკობს,
 ბარად—ყვავილნი მინდვრისა;
 სახლოდ და დასაფარავად
 ხეები ტოტებს მიხრისა.
 გარედ ვარ დაბადებულნი,
 გავზდილვარ ნადირივითა;
 არცა-რა მისწავლია-რა,
 ემ კლდეთა ნაპირივითა...
 ესაა, ვათენ-ვალამებ
 ცხვარ-ძროხის ნაპირივითა.
 შეც ემ ბალახით ესაზრდოობ,
 რითაც ცხოველნი ყველანი,
 დედი-ნაცვალიც ავი მყავს,
 იმისგან მესმის წყევანი...
 ხშირად ტანთ არა მაცვიო,
 დავდრვიარ ფეხ-შიშველოო,
 მაგრამ სიმდიდრე, სიდიდე
 ფუქია ჩემთვის ყველაო.

ბევრს ნუ მაუბნებ, თუ ძმა ხარ,
 ნუ დამალონე ძნელოა.
 ვაჰმე, რა ძალიან დამცხა,
 როგორ ძალიან ცხელოა!..

ნაწნავით ოფლისა შუბლზედა
 ეთერი იწმენდს ნელოა,
 თვალთავან კრემლიც ჩამოსხლტა,
 ვით მარგალიტი თლილია.
 ცამ ჩამოხარა ღრუბელი,
 წვიმამ დააღბო თხრილია.
 თითო წვეთს თითო ყვავილი
 ამოჰყვა, როგორც ღილია;
 ეთერი ჰქვიან სახელად
 თვითვეულ ყვავილთავანსა,
 იმათზე ტურტას ქვეყნადა
 ველარა ჰნახავთ საგანსა...
 ნეტავი ქვისა და ქვიშას,
 ეთერის კრემლით ნაბანსა!

გოდერძი

ოლომც შენ ნუ ასტირდები,
 კრემლით ნუ გაიბანები,
 აღარას გეტყვი, ლამაზო,
 წავალ და დაეიკარგები.
 მაგრამ სად წავალ ბეჩავი?
 ველარსად წავალ, სწორია...
 უშენოდ ჩემი სიცოცხლე,
 მაღალ ღმერთს ვფიცავ, კორია.

თან-თან ეშმაკად მიიქეტ,
გაგიწყურეს ჩემი გამჩენი!

ეთერია

ვაჰმე, რა ძნელი ყოფნაა,
ყოფნა, სიცოცხლე ობლისა!
სრულ წყვეა-კრულვა ჩემს თავსა,
არსად აღერსი მშობლისა!
ნეტავ, ან სახე მახსოვდეს,
ან ხმა მახსოვდეს დედისა!
ნეტავ, ტირილით შამეძლოს
შეცვლა ამ შავის ბედისა!—
დღე და ღამ ფეხზე ყუდილი,
გადაყრა წვიმა-შხეპისა,
სიმშილი, ლალვა ნადირთა,
თმენა ლანძღვის და ტყეპისა!...
რა ლანძღვა მინდა, რა კრულვა
დალახვრულს შავის დღისაგან,
წილ-ბედ დაღეულს სოფელში,
თავ-დანებებულს ღვთისაგან!..

წამოდგა ქალი ეთერი,
მთვარე ამოჰყვა პირზედა;
თავით ბალიშად ქვა ედვა
ლეიბად— შამბი ძირზედა.
თვალეში ჩაჰქსოვებოდა
ზღვა-ხმელი ერთიანადა,
მთელი ქვეყანა შიგ ბრწყინავს
თავის ხატ-ღმერთიანადა.

ზვირგვინად ტრფობა დასდგმოდა,
 სხივს გვეფენს წამწმების ხიდითა,
 ცასა და მიწას მადლს ჰფენდა
 უხეებით კიდის-კიდითა.
 ყელი მიუგავს ჯერანსა,
 გამომალებულს მინდვრითა;
 ტანთ შავი ჯუბა აცვია,
 შავი მანდილი თავზედა.
 ვერ ჰნახავ ერთ მიძის, ან ლილსა
 ეთერის ლერწამ ტანზედა;
 მხოლოდ ყაპყატოს კალთათა
 გადაუგდია შკლაზედა.
 ცხვარ-ძროხას კარი გაუღო,
 გაჰყვა ნაბიჯით ნელითა.
 ეხლა-ლა ვნახე, გიშრის თმა
 მიჰქონდა ეთერს წელითა:
 სარტყლად წელს ნაწნავნი ერტყნენ
 ორ-პირად, როგორც წნელია...
 გაუშვას თავისუფლად,
 თან სატარებლად ძნელია;
 ტყეში ან ჯაგი გაეზას,
 ან მოეჩვენოს გველადა!
 ცოდვათა თმების დაწყველა
 პატრონისავე ხელადა!
 მიტომ ირჩია გოგომა
 თმა წელზე ჰრტყმოდა წნელია...
 თავ-დანხრით მიჰქსოვს წინდასა,
 თან დაჰღრღინებს ნელიადა,

რა კარგი სანახავია
ქალი, გასული ველადა!

III

გარეკა ცხვარი და ძროხა
ვერხვიან გორის ძირასა,
დიდის მთის კალთა რო მოსდგამს
და სხვანიც წვანან მზიროსა.
იღვა ჭანდრების ჩრდილშია
დიდის მდინარის პირასა;
ძაღლების ყეფა მოესმა,
ჰყეფდიან ხშირა-ხშირასა.
ისმის კივილი... კაცები
აყვირებდიან სტვირებსა...
ნახა,—მორბოდა ირემი,
ეფარებოდა თხილგბსა.
ცხენ-და-ცხენ მისდევს ჭაბუკი,
ისრებს მოესვრის მწკრივასა;
ხარი ირემი წაიქცა,
შედგა თავსა და ყირასა.
ეთერი სულ-განაბული
ეფარებოდა წბილასა.
თვალი შეასწრო უცნობმა,
შედგა, უცქერდა შტერადა;
ხელი მიეპყრო ზუბოზედა,
თავი გადაგლო ცერადა;
ირემი დაჰვიწყებოდა,
ხედ ქცეულიყო ხმელადა.

ბალახით გამოსხლეტილი
 ცეცხლი თუ მოჰხვდა მწველადა!
 ქალი იწვება სირცხვილით,
 ვერ იხედავდა, ვერადა;
 ყმამ გადაყარა ისრები,
 მშვილდიც, ნაჭერი ხელადა;
 კრძალვით გადმოხტა ცხენილამ,
 მიდის მთრთოლვარის სახითა,
 შაქრიანს ეტყვის სიტყვასა
 შუბლ-შეგვრით, სახით მკვახითა.
 დნებოდა ქალი, ვით გნოლი,
 ქორ-შავარდენის წახვითა.
 ეალერსება გოგოსა
 კაზმული ძვირის კაბითა;
 ეალერსება გოდერძი
 ეთერსა ტკბილის ენითა;
 ესაუბრება წყნარადა
 სიტყვებით გულ-საკებენითა.

გოდერძი

ნუ მიწყენ, ქალო, ვისი ხარ?
 ტყე-ველთ რას დაიარები?
 დედა ირა გყავს, ან მამა?
 ტანზე რადა გაქვს ჩვარები?
 ეთერი ამ დროს შუნჯობდა,
 ეჩვენებოდა ყრუადა.
 გოდერძიმ არ დაიჯერა,
 ხმალი უქნია ყუადა:

„ნამდვილ მეჩვენე, რაცა ხარ,
თორც გაგჭერი შუაღა!“

კოეკრა

რა გითხრა უცხომ უცხოსა,
ეგ სადაური ძალია?
რა შნოგება ვაქეკაცის
ქალზე იხმაროს ხმალია!
რა დავაშხვე ისეთი,
რა მაქეს ისეთი ბრალია?

გოდუკმა

მითხარი მაინც, გეთაყვა,
ვინა ხარ, ვისი ქალიო?
მითამა დაღლილისათვის
გისმევაე ჩემთვის წყალიო.

კოეკრა

მე არც დედა მყავს, არც მამა,
არცავინ თვისის, ტომისა:
ჩემი ძმები და დედ-მამა
მსხვერპლი გამხდარან ომისა.
აი ეს ერთი ქალი ვარ,
მყავს დედობილი ბერიო;
ვმწყემსობ, ცხვარ-ძროხას ვაძოვებ,
ხელთ ჯოხი დამიჭერია.

გადეკმა

იქ რას გაჰხედავ? სხვაკნისკე
 თავი რას დაგიჭერია?
 ცუდი ხომ არა მითქვამს-რა,
 რად მალე გამიწყერია?!
 მიტომ გულ-დიდობ, რომ მთვარე
 თვალებში ჩაგიწერია?
 მენაც კაცი ვარ შენფერი,
 განა მძოვრო და მტკერიო?
 ამასთან, ღმერთმა ხომ იცის,
 არ ვარ შენი მე მტერიო.
 ქალო, ეხლა გთხოვ იმასა,
 მითხრა სახელი შენია;
 შენს სიტურფესთან, იქნება,
 ისიც რამ შესაშეენია!

უთერა

ახლა სახელსა ჰკითხულობ,
 კი მაინც არა გრცხვენია?

გადეკმა

შენის დედ-მამის ცხონებას,
 შენთ ძმათ სულთ განათლებასა,
 მითხარ,—გულს ნუ მომიმატებ
 დარდსა და მწუხარებასა.

უთერა

ეთერი მქვიან... რად გინდა
 ჩემი სახელი წყეული?

საცა რამ სახელებია,
 ყველაში გამორჩეული?
 ხომ იცი, რაა „წათერ“,
 ხომა გაქვს გამორკვეული?
 მაშ, მე ვინ მეტყვის: აბძანდი,
 მეტყვიან.—ათერია,
 ათას ფრად, ათას კილოზე:
 გაეთერ-წათერია!

გოდგანძა

ეგრე უღმერთო ვინ არის?
 რა არსებაა ისეთი?
 შენებრ ტურფასა ამწყემსებს,
 ხატი არა სწამს, ან ღმერთი?
 შიშველ-ტიტველა რადა ხარ
 ცით ჩამოსული მთვარეო?..
 მოდი, ერთს გეტყვი, მისმინე,
 ცოლად გამომყევ ბარეო!
 მე ძე ვარ გურგენ მეფისა,
 ესე აღგილიც ჩვენია.
 გამომყევ,—უთხრა მეორედ:—
 რათ ჰკრთი, რად მოგიწყენია?
 ორსავე გვხილავს მუხლადი
 ეს ჩემი შავი ცხენია...
 სიმწარით ყოფნას, არ გიჯობს,
 იხილო ტკბილი დღენია?
 რა ლამაზი ხარ, ეთერო,
 რა მომხიბლავს ფერისა!..

სალოცველია კაცთაგან
ფერთლიც შენთ ფეხთა მტვერისა.

უთუა

ბეჩავს რა ელამაზება?
ვინ მისცა იმის ეამია?
ტანთა არ აცვავ და ფეხთა....
დღეც იმისათვის ლამია...
იმისი ყოვლი ნაბიჯი
განგებას მოუშხამია.

გოდუკმა

სთქვი რამა, შენი ჭირიმე,
გულისა საღბუნებელი!
ეს ჩემი გულ-წრფელი თხოვნა
კი არის საწუნებელი?
ცოდვია ოხრად დამკნარი
ყვაველი სასუნებელი!

უთუა

ღირსი არა ვარ, ხელს გბანდვა
განაღამც გყვანდვ ცოლადა;
მეფე ხარ, რატომ არ ჰფიქრობ?
საქმეს რად იკერ ყროლადა?
მიგყვეარ ჯუბიანაი,
მქონან ტიტველნი მკლაფნია;
ხომ გაწყრა შენი ღედ-მამა
და დაგემღურნენ ყმანია.

ამასაც გეტყვი, ვაჟკაცო,
 იცოდე, საცოდნელია:
 აღთქმა მივეცი უფალსა,
 ფიცის გატეხა ძნელია;
 აღუთქვი:—ქალწულოდ დავრჩე,
 არ როს შევირთო ქმარია;
 ვიკმარო ესე ცხოვრება,
 ტკბილი არის, თუ მწარია;
 ვიარო მთასა და ბარსა,
 ვაძოვო ძროხა-ცხვარია.
 მთაში ნიავი დამატკობს,
 ბარად—ყვავილნი მინდვრისა;
 სახლად და დასაჟიარავად
 ხეები ტოტებს მიხრისა.
 ვარედ ვარ დაბადებულნი,
 გავზდილვარ ნადირივითა;
 არცა-რა მისწაველია-რა,
 ემ კლდეთა ნაპირივითა...
 ესაა, ვათენ-ვალამებ
 ცხვარ-ძროხის ნახირივითა.
 მეც ემ ბალახით ესაზრდოობ,
 რითაც ცხოველნი ყველანი,
 დედი-ნაცვალიც ავი მყავს,
 იმისგან მესმის წყევანი...
 ხშირად ტანთ არა მაცვიო,
 დაუდივარ ფეხ-შიშველოო,
 მაგრამ სიმდიდრე, სიდიდე
 ფუჟია ჩემთვის ყველაო.

ბევრს ნუ მაუბნებ, თუ ძმა ხარ,
 ნუ დამალონე ძნელაო.
 ვაჰმე, რა ძალიან დამცხა,
 როგორ ძალიან ცხელაო!..

ნაწნავით ოფლსა შუბლზედა
 ეთერი იწმენდს ნელაო,
 თვალთაგან ცრემლიც ჩამოსხლტა,
 ვით მარგალიტი თლილია.
 ცამ ჩამოხარა ღრუბელი,
 წვიმამ დააღობო თხრილია.
 თითო წვეთს თითო ყვავილი
 ამოჰყვავ, როგორც ღილია;
 ეთერი ჰქვიან სახელად
 თვითვეულ ყვავილთაგანსა,
 იმათზე ტურფას ქვეყნადა
 ველარა ჰნახავთ საგანსა...
 ნეტავი ქვისა და ქვიშას,
 ეთერის ცრემლით ნაბანსა!

გოდერძი

ოლომც უნ ნუ ასტირდები,
 ცრემლით ნუ გაიბანები;
 აღარას გეტყვი, ლამაზო,
 წაეღო და დაეიკარგები.
 მაგრამ სად წაეღო ზეჩავი?
 ვეღარსად წაეღო; სწორია...
 უშენოდ ჩემი სიცოცხლე,
 მძალად ღმერთს ვფიცავ, ქორია.

ვერ გავსძლებ, თავსა მოვიკლავ,
 შენთვის რა მოსაწონია?
 ცას ერთი ღმერთი ამშვენებს,
 მერე—მნათობი ორია...
 და ქვეყნად მეფეთ დიდებაც,
 ვფიქრობ, რომ მოსაგონია.
 აი, ეს ძალა ჩემია
 ქვეყნადა ფასობს მეტადა,
 ტრფობის და ყველა სიკეთის
 ჩვენ, მეფენი, ვართ მხვეტლოდა;
 უფალს ჩვენ დაუნიშნია ვართ
 კარგ-უკეთესის მკვებლოდა;
 ჩვენს ბრძანებაზე ათასნი,
 ათი-ათასნი დადიან,
 რასაც ჩვენ ვეტყვით, ისინიც
 სწორედ იმისა სჩადიან.
 სიცოცხლე-მოწყურებულთა
 ველეტთ, თუ მეფეთა გვწადიან.
 ჩვენ—მეფეთ—თავზედ ძლიერი
 ქვეყნად არა-რა გვგონია...
 ვხედავ და მიკვირს, მეფის ძე
 მწყემსმა ვით დამიმონია!
 მიკვირს, რით დამიმორჩილე
 ჩემი გული და გონია?
 მეფე შენა ხარ... გაუქმდა
 მეფის ძალი და ღონია!
 უარს ნუ მეტყვი, გეთაყვა,
 მისმინე, შამიბრალოა.

ცხენზედ შეგისვამ, წაგიყვან,
 ჯვარსაც დავიწერ ხელოდა.
 მეტი რა გინდა, არ ვიცი,
 ვისზე გიჭირავს თვალია?
 სასიყვარულოდ არ კმარა
 განა მეფისა ძალია?
 სახით არ ვვარგვარ, თუ მკლავით?
 გგონავ, არ მიჭრის ხმალია?
 შენ რაზე უნდა მწუნობდე,
 ცეცხლზე დამისხა წყალია?

ეთერა

კარგი ხარ, ძმაო, ლიმაზი,
 მზე, შემომჯდარი მთაზედა;
 მიწაზე ცალი არა გყავს,
 როგორც მზეს მალლა ცაზედა;
 ვაი, თუ მალე მოგწყინდე,
 მალევე გამცვალო სხვაზედა;
 ღვთის ფიცი გამატეხინო,
 ჭირი მომიგდო კარზედა!
 მთელმა გულით და ნამუსით
 თავი ვიტკინო რაზედა?
 შენი საფერი არა ვარ,
 შენთან ვით დავჯდე ჯარზედა?!

გადეკმა

მაგ სიტყვის ნუ გამაგონებ,
 ნულარ ახსენებ დობისა,

ეგრე რად გაიადგილებ,
 ღეთისას რომ ჰბედავ გმობასა?
 ღმერთი გამიწყურეს, ეთერო,
 ცოცხლოდ დამმარხონ მიწასა,
 თუ შენს გარიეთ, საყელოს
 მე მოვეხეიო სხვისასა!
 მიწა გამისქდეს, ჩამულაპოს,
 ტანზე მომედოს გენია,
 თუ-კი დაკარგოს გოდერძიმ
 გულით ტრფიალი შენია!
 ღმერთი მრისხავდეს მალალი,
 შეფედ გამჩენი ჩემია,
 თუ-კი შენ სხვაზე გაგცვილო,
 სხვასაც მოვჰვილო ხელია.
 არ იცი, ქალო უცდელია,
 ტრფიალი როგორ ძნელია!
 ქუდი რად მხურავ თავზედა,
 ტანზე რად ვირტყამ ხმალსაო,
 თუ-კი ტყუებას დავუწყებ
 შენ ფერას ბეჩავს ქალსაო.
 ან ფიცის, აღთქმის მოცემის,
 განა ვინ მატანს ძალსაო?
 თუ ავი მედვას გულშია,
 არც-კი გაგცემდი ხმასაო,
 ხმლის ყუას გცემდი და ისე
 გაგიყენებდი გზასაო.
 ვისი მეკრძალვის? ჯარები
 მრავალი მიდგა გზასაო.

ჩემს გულს ის უნდა, რომ შენი
 გულიც აძლევდეს ბანსაო;
 ჩემს ალერსს, ჩემს სიყვარულსა
 არ გაურბოდე განსაო.

ირევა, სტირის ეთერი,
 დაბლა დაჰხრიდა თავსაო.
 წამწმებს, დაწვდილებს შუბის წერად,
 ეთერის წამწმებს შავსაო,
 ზედ მარგალიტი დაესხმის
 შავის მელნის ტბის თავსაო...
 გული ქალისა გონებას
 რადღაც არ აძლევს ზავსაო.

IV

შორით ისმოდა ძახილი,
 საყვირებს აყვირებლიან;
 უმეფისძეოდ შინ წასვლას
 ყმანი ვერ აპირებლიან.
 აქით ხმა მისცა გოდერძიმ,
 დიან მხლებლები მისია,
 აავსეს წყლისა ნაპირი
 და გარეშემო ტყისია.
 ხელში ეჭირა ყველასა
 მშვილდი, ისარი ხისია.
 ყველაზედ მეტად უხდებათ
 ჩაბალახები მგლისია.
 სპასალოარს—ვეფხის ტყაფისა,
 ვეზირთ—კიუხის თხისია.

ეთერს რა ჰხედვენ, ჰფიქრობენ:
 ნეტა ეს გოგო ვისია?
 ეს ქვეყნიური არ არის,
 სწორედ ასული ცანია!

მეფის ძემ ყმათა უბრძანა:
 დრო აღარ არის ცდისია,
 მოემზადენით, წავიდეთ,
 აი ეს დავლაც ჩვენია;
 ეს ჩემი ცოლი იქნება*
 და დედოფალი თქვენია!

გოდერძიმ აღტაცებითა
 ქალს გადაჰხვია ხელია:
 „მადლი ღმერთს, თუ კი ამიხდა
 ეს სანატრელი ჩემია“!

ეთერი სტირის იღუმალ,
 ცრემლი ჩამოსდის ცხელია.
 გოდერძიმ ყმებსა უბრძანა,
 მოერთმეინათ ცხენია.
 მეფის ძე ცხენსა მოახტა,
 ქალიც შეისო გავსა,
 ეთერი წინანდებურად
 აღარ უწევდა დავსა.
 ყმათა დალოცეს ორივე
 ბედითა ბედნიერათა,
 უკრავდნენ თავსა ეთერსა
 მუხლ-მოყრით, წესიერთათა.
 ღმერთს სთხოვენ ცოლ-ქმრის დღე-გრძლობას,
 ვედრებით ნებიერთათა.

მხოლოდა ერთი ვეზირი,
 სახელად ერქვა შერია,
 გოდერძის უკმოჰხედნებდა,
 როგორც მოსისხლე მტერია;
 ვეზირი უცქერს ეთერსა,
 ფერი ფერადად სდიოდა,
 ვერ ისვენებდა ერთს ადგილს,
 აქათ-იქითა დიოდა.

დამნახველს ეთერისასა
 ეხლავე გული სტკიოდა.
 ველარ ჰბედავდა შეხედვას,
 თუმც შეხედნება ჰშიოდა;
 ქალის სიტურფემ დააბა,
 მუხლის ძარღვები სცვიოდა.
 გარეთ არ იმჩნევს, გულში კი
 მეფის ლალატი ჰყიოდა.
 გულში ჩაუჯდა შერესა
 ეშმაკი ლალატიანი;
 შეჰხვდა უწამლო ჭირადა
 ქალი მკლავ-კალათიანი.
 შური და სიყვარული ჰკლავს,
 ცეცხლი სწევას აღ-ათიანი.
 ცხენებს და ჯორებს აჰკიდეს
 ნანადირევი მრავალი:
 ხოხობი, გნოლი, ირემი,
 ფსიტი, კლდეებში მავალი.
 ერთს ლამეს გამოიარეს
 სამისა დღისა სავალი.

მღერის მეფის ძე გოდერძი,
 მღერიან იმის უმანია,
 გაღმა-გამოღმით პირ-ქუშნი •
 ბანსაც მისცემენ მთანია;
 მხოლოდ არ მღერის ეთერი,
 ცრემლი ჩამოსდის მთოვარი:
 საქონელს გლოვობს თავისას
 უფლისთვის შემათხოვარი;
 ბატკნები, ხბორები დარჩნენ
 ჯერ ისევ ძუძუ-მწოვარი,
 ეთერის დანი და ძმანი
 სათირებ — საღალღებო, —
 სთხოვს, — არ გახადოს უფალმა
 ყოფ-ყორნის წასაღებო.
 ცაზედი ბჟუტვენ ვარსკვლავნი,
 ქვეყანა ზრის კირითა.
 ლამესა სძინავს ისევა,
 ჯერ არ გამძღარა ძილითა.
 ცას არ გაუხსნავ გულ-მკერდი
 შეკრული ცეცხლის დილითა,
 ჯერ არ შეცვლილა წყვდიადი
 პირ-მოღიმარის დილითა.

V

თენდება. მზისა სხივები
 მთის წვერებს ეფინებიან,
 მთით ჰალას ჩამოსავლელად
 ფრინველნი ეღირებიან.

ლეშის საქმელად ტივლები
 ერთმანეთს ეპირებინან.
 მალევე გაეგო ყოჩანსა,
 დასძინებოდა ჰალასა,
დაჰლოლოდია წყეული
მოხუცის ხათაბალასა.
 ეთერის ცხვარს და ძროხასა
 დაჰსხმოდა ჯოჯი მგლებისა,
 ჰალა აევსოთ ლეშითა,
 ყორე დაედგათ ძელებისა.
 ფრინველთაც დენა დაიწყეს
 მოგვლავებმა მხრებისა:
 ორბი სიესივით მოვიდა,
 სოვი დაუხვდა ჰშენითა,
ლეშზე მჯდომარე ყაჯირი
ორივეს უცქერს წყენითა;
 გავაზი ქორწილს ამშვენებს
 ფიცხელის გადაფრენითა,
 სისხლში ამოსვრილს კლანჭებზეა
 ვეფხი ილოკავს ენითა,
 დაუძახებლად მოსულლებს
 დათეებს იგერებს ღრენითა.
 ეთერის დედი-ნაცვალი
 უცქერის ცრემლის დენითა.
 გატიალებულს საქონელს
 უვარგის მწყემსის ქცევითა.
 ღმეჭილს პირს უფრო იღმეჭდა
 ეთერს ახსენებს წყევითა.

თავ-გადაგლეჯით დარბოდა,
 მალი-მალ შედგის გორხედა
 და გადაჰკივილის მილიდამ
 დაბლა ჰალაზე სწორხედა.
 ეთერის ნავალს ეძებდა,
 მწყობრად ამოსულს მოლხედა
 და, მთის კუდებში ასული,
 აცქერდებოდა ზოეხედა,
 იქნებ იქ შინც გაეგო
 ეთერის კვალი თოვლხედა.

VI

მეფის გურგენის სრა-სახლი
 იღვა დიდის ზღვის პირადა;
 ქაეი და ციხე-ბურჯები
 გარს შემორტყმოდნენ ხშირადა.
 მოქიშვე გურგენ მეფესა
 გამოსჩენია ძვირადა.
 გალავანს შიგით ბალია
 ფერად ყვავილით წყობილი,
 იას და ნარგიზს გვერდს უდგა
 ვარდი, სიტურფით ცნობილი
 ვარდს ხშირად ბუღბუღი უმღერს—
 მისი სატრფო და ძმობილი—
 და ნარგიზს იადღანი ჰყავს
 ყელზე ყელ-გადაქდობილი.
 მეფე ბალში სჩანს პირ-ქუშად,
 ჩიტთა გალობით სტკებოდა,

დილა იდრიან სპასპეტიც
 დაუბარებლიდ ჰხლებოდა.
 ჩოქით სალამი მიართო,
 მის წინ კრძალვითა სდგებოდა:
 „ნუ მიწყენ, მეფევე, ძლიერო,
 თქვენს უნებლიედ მოსვლასა,
 მაქვს თქვენთან მოსახსენები,
 თუ სმენას მისცემ მოცლასა.
 უნდა გახარო, მეფეო,
 სახარობელი ძვირია
 თქვენმა ძემ ცოლი ითხოვა,
 მთეარეს მიუგავ პირია.
 თქვენის ძის ბედად მოსულა,
 სამოთხე გაუწირია.
 ისეთი არის, მეფეო,
 მალალს ღმერთს ვფიცავ ცისასა,
 რომ ცილობასა გაუწევს
 სიმშვენიერეს მზისასა.
 არ ვიცი მსგავსი იმისი
 ჰლახავს-ლა ვინმე ქვიშასა,
 ან ჩვენს შემდეგ-ლა იგემებს
 გემოსა დედის რძისასა!?
 ქვეყანა სხვას ვეღარ ჰნახავს
 სიტურფეს ეთერისასა!
 იქნებ გეწყინოს, უშენოდ
 საქმე რად დაუჭერია,
 მაგრამ თუ-კი ღმერთს, მეფეო,
 თქვენს ბედად დაუწერია,

ხომ ვიცით ბელი ყველასთვის
 ღმერთს აღრე გაუწერია!“
 ამის გამგონეს მეფესა
 პირზე ეცმევა სულარა,
 ეწყინა ესე ამბავი
 და სპასალარის მულარა.
 იკითხა, მეფის ქალია?
 სისხლით ვინ არის, ჯიშითა?
 ეგ რომ არ ვიცით, მეფეო,
 ვინა ჰკითხავდა შიშითა?
 ტყეს ჰპოვა, წამოიყვანა:
 მოსწონებოდა ძლიერა
 და ღღესაც ისევე უცქერს
 თვალით და გულით მშიერა.
 კაცნი რას ვიზამთ, ხელმწიფე,
 თუ საქმე ხვდება ღვთიერა!

მეფე (სპასხეტს)

უბრძანა: „ლომო, რის ამბობ,
 ნულარას მეტყვი, ნულარა!...
 წადი და ჩემს შვილს უთხარი,
 მამის წყრომა და მუქარა:
 როგორ გაბედა უჩემოდ
 საქმე საძნელო ფრიადა,
 მე მეფე აღარ ვგონივარ,
 იქნებ მივაჩნდე შერიადა?!
 შენ იცი, ლევან შეფესა
 მოეცა. აღრევ ფიცია,

აკენილამ ჩემი გოდერძი
 მის სიძელ დანამტკიცია.
 ბალოვით აღთქმა გავტეხო,
 მეფისთვის შენაფიცია?
 წადი და უთხარ, სპასპეტო,
 რაც რომ ჩემგანა გსმენია.
 შვილის ურჩობას ვერ დავსთმობ,
 არცა-რა დასათმენია.
 უნდა, რომ ჯიში შებლალოს
 ჩემთ მამა-პაპათ ძველია!
 მაგას ვერ დავსთმობ, სპასპეტო,
 ეგ დასათმობად ძნელია.
 ან შენგან მაგგვარი თხოვნა
 რა ჰქვეაში მოსასვლელია?!
 წადი და უთხარ ჩემს ძესა;
 რომ უხედნელი კვიცია,
 უთხარი, მამაშვილობას,
 რომ მე აღარა ვიცია.
 უთხარი, აღარ მეჩვენოს,
 აღარა ვნახო თვალითა,
 ან ისარს დავკრავ პირ-შაგსა,
 ან შუა გავკვეთ ხმალითა.
 ვასწავლი, როგორი არის
 მოქცევა თავის ძალითა.
 წაბძანდა მეფე სასახლეს,
 სად ედგა საფარძელია;
 სპასპეტმაც ფეხი უკუ დგა
 მეფისგან შენაწყენია.

VII

გოდერძიმ სახლი აიგო
 მამისგან უარ-ყოფილმა,
 კერძო იჩინა მან ბინა,
 ვით უკანონოდ შობილმა.
 დაჰკარგა მემკვიდრეობა,
 ტახტის მემკვიდრედ ცნობილმა.
 მაინც თავს ბედნიერად რაცხს
 ეთერის მფლობელობითა,
 არ იტებს გულსა ქალზედა
 ქვეყნისა მგმობელობითა.
 დიდნიც მიუდგნენ მეფესა,
 იმასთან ერთად სწყურებიან;
 ნამეტნავ, როცა მეფესთან
 სათათბიროდა სდგებიან.
 გოდერძისთანა შემზრალედ
 მარტო დედა სთქვეს მისული,
 შვილისთვის მიერთმეინა
 ფხა-შეუშლელი მისრული,—
 რძლისათვის—ოქრო-მკერდითა
 ნაკერი გულის პირია;
 არშიად ევლო გარშემო
 მარგალიტები ძვირია.
 სიუხვე მეფეებისა
 ან კი რა დასაყვირია!

დედა (გოდერძის)

შეილო, ვერ დაგწყევ, გოდერძი,
 რაც უნდ საქმე ჰქნა ცუდია,
 შეილი ხარ ჩემი, ნუგეშად
 ჩემს გულში ჩანაბეჭდია.
 სხვა რა ვსთქვა: ღმერთმა გიკურთხოს,
 გვირგვინ-კაფშირი, ბელა,
 იფრთხილე, აღარ გადასთქვა,
 რაც ერთხელ დაგოყბედია.
 თავი არ გაიმსუბუქო,
 რაც სიმსუბუქე გაკლია,
 გადანაფურთხვის ალოკვა
 კაცისთვის დიდი ნაკლია!
 ჯერ კარგი იყო, გეკითხა,
 გეთხოვა ჩვენთვის რჩევაო,
 უფალს დალოცვად შეესმის
 შეილის დედ-მამის წყევლაო.
 შეილს არას აწყენს მშობლების
 დარიგებისა ძლევაო.
 შენ შეგვარცხვინე ლეევანთან,
 ნაფურთხი აგვალოკინე;
 შეილო, მოგვიგდე მდინარე,
 მშობლები წაალეკინე.
 დაგვარჩე... სისხლი თავისი
 წუმპეში დაალეკინე.

გოდერძია (დედას)

მე არც არავინ დავარჩევ,
 არცვინ წყალს წავადებინე,
 ჩემს ცოდვა დანაშაულში
 არვის რა გავადებინე.
 ჩემს გულსა მხოლოდ საწილო
 თავისი ავადებინე.
 ჩემს მშობლებს გულის წადილი
 უკანვე ჩავაგებინე.
 ნეტავი გამაგებინა,
 იმით რა წავაგებინე,
 რომ ცოლი ისე შევირთე,
 მშობლებს არ გავაგებინე.
 გაჩენის ნება თქვენ გქონდათ
 გაჩნდი და მე ვარ, მელბილ.
 წადილი სხვა მაქვს და გრძნობა
 გეკუთვნით მხოლოდ ძეობით.
 რად გიკვირთ, მე დავიწუნო,
 რაც თქვენ გსურთ ანარჩეობით?
 მგონი, წინათაც გითხარი
 მეფის ლევანის ქალზედა,
 რომ მე არ მინდა ის ცოლად,
 ჯვარს არ დავიწერ მაზედა.
 მე განა სიზმრით გავიგე,
 თვითონა ვნახე თვალითა,
 იქ ნადირობად ნამყოფმა
 თვალი შევასწარ ქალითა,

როცა ის გადმოსცქეროდა
 ჩვენს ყაფალობას სარკმლითა.
 ან მამაჩემი რად მიკვეთს,
 ან შენ რად სწყურები, დედაო?
 ღეთის მადლობა, თქვენს სამაფნებელს
 მე არაფერსა ვბედავო.
 თუ ლევან მეფემ იწყინა
 და აგვიტეხა შარია,
 ჩვენც, ვგონებ, კაცები გვქვიან,
 ჩვენც საკმაო გვყავს ჯარია,
 ვგონებ, რომ არ დაძაბუნდეს
 ჩვენი ხმალი და ფარია,
 მკვიდრია მაინც, დედაო,
 ჩვენის სამშობლოს კარია,
 ეხლაც ისევე დაეცავთ,
 ვით წინათ დაგვიფარია!

VIII

გურგენი იჯდა სასახლეს,
 კარში არ გამოდიოდა
 ნატვლობდა შვილის ურჩობას,
 ცრემლები ჩამოსდიოდა...
 თითქმის ორი თვე ატარა
 ესრე ოხვრით და ვაითა.
 მსახურნიც ვგრა ჰბედადნენ
 მეფესთან შესვლას შიშითა.
 მეფემ ერთს ღამეს მოიხმო
 ნაზირ-ვეზირნი ყველაო,

შესჩივლო თავისი დარდი,
 მოსთხოვა იმათ რჩევამ.
 ბრძანა: „ხომ იცით, ვეზირნო,
 მე რაც გულის მაწევს ლოდადა!...
 ლევან მეფისა თავს დასხმა
 არ მზარავს ბეწვის ოღნადა.
 ის მიკლავს გულისა, რომ შეიღმა
 ჩემმა დაამცრო გვარია.
 ცა რად არ ჩამოიქცევა,
 არ სქდება მთა და ბარია,
 უფსკრულს არ ჩაიყოლია
 ვარსკვლავნი მზე და მთვარია.
 მეფის ძე მონას ქალთანა
 ნეტავ რა შესაყარია?!
 თქვენ ერთსა გკითხავ, რას მეტყვით,
 მირჩიეთ გულით წრფელითა,
 რომ ჩემს შვილს უჯიშო ცოლი
 გამოეცალოთ ხელითა.
 ჯერ შევაძულოთ როგორმე,
 გულში მოუკლით ტრფიალი...
 ვის როგორ მოგწონთ ეს აზრი
 ჩემს თავში დანატრიალი?
 ვეზირთ სთქვეს: „ფრიად კარგია,
 კარგადა ჰბრძანებთ, სწორესა,
 მაგრამ ეგ გრძნეულთ საქმეა,
 ჩვენს ძალ-ღონეზე შორესა.
 ვიკითხავთ ყველა კუთხეზე
 მისან-მკითხავთა ყველათა;

ფიქრობთ, ვიშოვნოთ წამალი
ტრფობისა დასაწველადა“.

— „მაგ საქმეს, ღიღო ხელმწიფევე,
თვითონ შე ვიღებ კისრადა,
მისნებს ვიშოვნი, თუმცა შე
არ ვარ, არც ეიყავ მისნადა,
ძვირად თუ ისარს დავაცდენ,
რაც ამოვიღე მიზნადა.—
შეჰკადრა მეფეს შერევა
ერთგულებისა ნიშნადა,—
„შოლოდ ერთს გკადრებ, მეფეო,
ნუ გამიწყრები ამაზე:

„ცოტა გულ-ჩვილი გახლავარ,
გულ-გრილი ავა-დაეაზე;
არ მინდა ჩემის მიზეზით
ვისმე რამ წაუხდებოდეს.
გახსოვდეს, როცა თქვენს ძესა
და ეთერს გაუხდებოდეს,
ქალს ნურას ავნებთ, თქვენს მადლსა,
იმისი არა ბრალია,
მთა-კლდეთ გაზრდილი მხეცებრივ
ერთი ბეჩავი ქალია.
თუნდა შე მომე, ნუ მოჰკლავ,
ცოდვია, შეიწყალია“.

— „შენ გყვანდეს,—მეფემ უბრძანა,—
თუ შესძელ ნაბრძანებია,
შენ გყვანდეს, ჩემო შერეო,
მეფისგან ნაქრთამებია!

მწყობრადა თავი დაუკრეს—
 ვეზირთ და გაეღეს კარები.
 შერეს-ლა დაპრჩა საქმედა,
 მეფისგან დანაბარები.
 ხმლები შეირტყეს წელზედა,
 ჩამოიკიდეს ფარები,
 წესისებრ ძველთა დროთასა,
 აიენს დანაყარები;
 ხელში შუბები ეკირათ
 ტარ-გრძელი, შესაზარები.

IX

ცხრას ზღვასა, ცხრას მთას იქითა,
 უდაბურს აღვილს, მთიანსა,
 ერთი ბებერი სცხოვრობდა
 გამოქვაბულსა კლდიანსა,
 გველი, შხამი და ბოროტი
 ყველას ის აძლევს ზიანსა.
 ქაჯთათვის სული მიეცა,
 ქაჯებში იყო გართული,
 დევთა და აღთა შორისა
 ზემოთა თავში ჩართული.
 ქარს ის აჩენდა და ღვარსა
 სეტყვას და დეღამის მებითა,
 თუ კი ერთს დაიწივლებდა,
 ან მიწას სცემდა ფეხითა,
 ხმელს, მოზრილს ზურგზე დადგმულის
 ეშმაკთ-ცხენაის კეხითა.

შავია, როგორც ნახშირი,
 როგორც ფისი და კუპრია,
 სუყველა იმაში ბუდობს:
 ანგარება და შურია;
 ერთხელ არ იტყვის, სხვას ვარგო,
 მუდამ სხვის ვნება სწყურია;
 ცოდვებით ვერ შეედრება
 ქრისტეს გამცემი ურია.
 თვალები ცეცხლისა უსხდა,
 კბილები ჰქონდა მინისა,
 ცალიერს ძვლებზე ზედ ეკრა
 ტყავად ფურცელი რკინისა;
 ფეხები ჰქონდა კაცისა,
 ხელებად ბჯლოები ციცისა,
 და, თმის მწვივრად, სულ-ძაღლსა,
 მოკლე ფაფარი კვიცისა.
 საცა რამ კეთილი ხდებდა,
 სუყველა იმან იცისა,
 და უცდის, დრო მოუვიდეს
 კარგის ჩაშლელის ქლინძისა.
 ერთს დღეს ეს ავი ქმნილება
 იჯდა მთათ შორის, ხევშია;
 ძაფები სახათაბალოა
 იმას ეჭირა ხელშია.
 ჩაჰკირკატებდა ჯადოსა
 ორად მოხრილი წელშია;
 ამ დროს აქ გაჩნდა შერეცა,
 მალლა გადმოდგა მთაზედა,

ცხენს მჯდომი გადმოსჩხაოდა
კუდიანს ბებერს თავზედა:

შერე (ბებერს)

ჰეი, გრძნეულო, სადა ხარ,
ძობუცებულო, ხნიანო?
საქმე მაქვს შენთან საქნელი,
მინდა რომ გაგეხმიანო.
ვინძლო ეცადო, სულელი
მეფის ძე დაგვიკვიანო!

კუდიანა ბებერა (შერეს)

გურგენ მეფისა ვეზირო,
გულ-დაკოდილო შერეო,
რადას მეძახი შორითა,
აქ, ჩემთან, ჩამეერეო.
იდრეე გაგიგე წადილი,
ორი კვირაა გელიო.
რას ჩამამყმუი გორითა,
როგორც მშიერა მგელიო?!

შერე (შიდის ბებერთან)

სალამი შენთან, მოხუცო,
დიდის კვე-გონებისაო!
მიშველე რამა, გეთაყვა,
ჭირი მჭირს ლონებისაო.
ჩემს სულს შენ მოგცემ, არ მრცხვენის
მე იმის მონებისაო. X

დღე იღარ არის ჩემთვის დღე,
 სიცოცხლე მეშავეთება;
 ხომ კარგად იცი შენაცა,
 მქარს ერთის ქალის ფეთება,
 თავიდან გონი წამერთო,
 დამთერალი დაეღეტება.
 ცოცხლად საფლავში ვიმარხვი,
 ზედ შავი ლოდი მეღება!...
 რას ნიშნავს ჩემი ესეთი
 უფლისგან გამომეტება?!

ბებუნა

მე მაშინათვე გავიგე,
 რაწამს ეთერი ჰნახეო;
 მეხალ დაგეცა თავზედა
 მაშინვე ქალის სახეო
 და მეც აქ ჩემთვის წყნარადა
 დავკარ-დავაგე მახეო;
 ჩემისა სულის სანთლადა
 ჯადოც მყის გამოგჩნახეო!
 რა გინდა? მითხარ, რას ეძებ?
 მითამ არ ვიცი, მითხარი?
 რამ აგაღელვა ვაჟკაცი?
 რად გტკივა გულის ფიცარი?

შენე

რაღა ესტევა, განა არ იცი,—
 ჩემი წამწყმედი ის არი,

იმან ღამება, თვალ-მზებმა,
 გულს გამიყარა ისარი.
 სხვას ვერას გეტყვი, მოხუცო,
 ველარას გეტყვი, ველარა,
 ენა მებმევა, სიტყვასა
 ვერ გამოაგებს, ველარა.
 მკლებზე მძინავს, რომ ვწვები,
 ველარ ვისვენებ, ველარა:
 პური გველია, რომ ვიღებ,
 ყელს ვერ ვაცილებ, ველარა.
 დაედვა გულსა ობოლსა
 მკვდარის სიცოცხლის ბეგარა
 და სულიც ასულეებული
 სასულეს ამამეჩარა!!

ბებეჩია

ნუ ჰკრთები, შერევი, ნუ სწუხარ,
 ყური დამიგდე ბებერსა,
 მალედვე მიგწევ საწადელს,
 ხელში ჩაგოვდებ თერსა.
 რაც მე გასწავლო წამალი,
 აწამლე იღუმალადა:
 ფეტვს მოგცემ, დევთა ნათესსა,
 მახსულსა დევთა ქალადა;
 ის ურწყავს სისხლსა კაცთასა,
 დევთაგან ნახმარს წყალადა;
 შიგვე დედის რძე ურევაფ
 ქაჯთი, მაკალთი კვალადა.

შიგვეა ფერფლი იმ სულთა,
 ჩვენ რომელიც გვხვდა წილადა,
 ვინც თავის მეუფესთანა
 გამოჩნდა განაწმიდადა;
 შიგვე ლაფია იუდის,
 ქრისტეს გამცემის სულისა
 და ანაფხეკი სასყიდლოდ
 მის მიღებულის ფულისა.
 ან კი რას მარგებს ბებერსა
 ესეთი გახსნა გულისა;
 დახე, რომ ორგული ვხდები
 ჩვენის გრძნეულის რჯულისა.
 დაგიწნავ ქაჯის ქალმანსა,
 შიგ ჩავყრი, ჩავაწკრილოვებ,
 შიგ ჩავლეს გრძნეულთ სიტყვასა,
 რა ენას დავატრიალოვებ,
 საქმეს გავჩარხავ, გოდერძის
 დაფწევ და ავაპრიალოვებ.
 წაიღე... მეფის ძის სახლის
 საცა ლიბო და ძირია,
 იღუმბალ აშოაფარე,
 არ დაუჩინო პირია.
 მნახოდით მაშინ ეთერი
 სიტურფით გასაკვირია!
 მნახავთ, რო მატლი დაედვას
 ბროლს ყელზე ახასობითა;
 თვალ-წარბს ჭიები უქამდენ,
 დასხმულნი კაპასობითა;

მკერდზე გველები გადგრტყას,
 ძუძუზე ჰლოკდენ ენითა,
 სკდილობდენ, ვერ აშორებდენ
 მანქანებით და ხელითა.
 ჰბანდენ და რეცხდენ პატარძალს,
 მატლები უფრო ხშირობდენ
 და თავის უძლოურებასა
 მეფის ექიმი ჰკვირობდენ.
 მაშინა ჰნახე გოდგრძი,
 მისი გული და თვალები...
 მაშინ შენ შენი ცვადე,
 გზა ჰპოვე დასაკვალები.

შუკუ

მე რად-ღა მინდა, რომ დამრჩეს
 მარტო დახრული ძვალები?

ბებუკა

ვინ გეუბნება მაგასა?
 გამომიწოდე ხელები,
 რომ მოგცე თმები აღისა,
 ჰია-ლუების მწველები...
 რომ ქალს მოჰშორდეს მკერდიდამ
 გადახვეული გველები.
 როცა შენ დაგრჩეს ეთერი,
 შეწუხებული ჰირითა,
 მოუსვი ტანზე და ისევ
 გამოგინათებს ჰირითა.

ჩვენ გავიხაროთ და სხვებმა
 ხორცი იგლიჯონ კბილითა!
 შერემ წამლები იშოვნა
 და გამოსწია ღამითა,
 ახმიანებდა კლდეებსა
 ცხენის ნალების ჩქამითა.
 უკან გამოჰყუა ალ-ქაჯის
წკნაველ-ღნაველი ხრამითა,
 ჩორღას გზას მოუწნათებდენ
 ქაჯნი კბილების ალითა.
 მისძახდენ: „ძმაო შერეო,
 როდის-ღა გნახოთ თვალითა“?!

X

მისდევდა შერე მდინარეს,
 ბნელს ხევზე ჩამდინარესა,
 კრემლები ჩამოსდიოდა
 სვინიდის-ნამძინარეცსა;
 ერთის მხრით გული უხარის
 შერესა ნამტირალეცსა.
 ჩავიდა უღრანს უფსკრულსა,
 ესმოდა ქოთი, ღრიალი,
 დევთა ლხინის და მღერისა
 შესაზარები ზრიალი;
 ცეცხლი დაენტოთ ძლიერი,
 გარს უსხდნენ ყოტებივითა,
 თავ-ცხვირი წამოეშვირათ,
 სალის კლდის ლოდებივითა;

დაღრენილა აქვთ ლაშები,
 სალუდეს ქობებივითა.
 წითელს იქნევდნენ გნებსა,
 გრძელებსა შოთებივითა.
 მსახურად ედგნენ ჰინკები,
 ჰყიოდენ ჰოტებივითა.
 დევთა ხელთ ეპყრათ პირ-დიდი
 ჰურჰლები კოკებივითა.
 ლეინის მაგივრად სისხლს სვამდნენ,
 დევები სწორობაზედა.
 საცა ვისთვისმე მოესწოთ
 ხევში, ან გორობაზედა,
 არჩობდნენ, ეზიდებოდნენ,
 დამდგრები ღორობაზედა.
 სისხლი, ნაწური კაცების,
 ჰურჰელში ედგათ ლეინოთა,
 მეჯლისში სისხლით თვრებოდნენ,
 სისხლს სვამდნენ მოსალხინოდა.
 შერეს უკივლეს: „ტვინ-თხელო
 შერევ, სად მიფლტები?
 რატომ არ მოხვალ ვახშმადა,
 რო თავში დაგცხოთ კეტები?
 მაინც ხომ სული ჩვენ მოგვეცა,
 ხორცითაც ჩვენკე იარე.
 პირ-წბილად რას იყურები?
 გამოსწი, გამოიარე.

შერე (დეკემბს)

სული გეყოფათ, ავ-სულნო,
 ლეშს რაღას მოეტანებით?
 ცოტა ხანს კადევ დამითმეთ,
 მერე დაჭერით დანებით,
 თუნდ კუბრის ცეცხლში ჩამაგდეთ,
 დაძებნით ჩემის წვალებით,
 რო სულიც ხორცთან იწვოდეს,
 გარს შემორტყმული ალებით!

„კარგია, მშვიდობით, წადი,
 ხუთს წელს ილხინე გულითა
 და მერე სრულად ჩვენი ხარ;
 სრულად ლეშით და სულითა“.

მოსძახდენ შერეს მორბინალს
 დევნი ხმით ბაბაყულითა.

XI

შერე, ნატარი. უცხოეთს
 დიდხანს მრავალის ტანჯვითა,
 უმარჯვებს სატახტო ქალოქს
 მშობელის მიწის კლანჭვითა.
 მიადგა გაშლილს მინდორხა
 ბილწის ფიქრების ხვლიანჯვითა.
 ჯერ დილა იყო ისევა,
 შერემ უენიშნა შორითა,
 ჯარი გამოდის მინდვრადა,
 მოდიან გროვა-გროვითა.

მოფრიალებენ ჰაერში
 ალამ-დროშები ხშირად,
 სამეზაფროს უკვრენ ბუკებსა
 გულისა ვასაგმირადა
 და ცხენთა ფეხის ტყრიალი
 მიმწვდარა ცის ნაპირადა;
 მუზარადები ელავდნენ,
 მიწას ჰკაზმავდნენ ფერითა;
 არას უშლიდა ზედ სისხლი,
ნაფშრუკი მიწის მტვერითა.
 ცას უპირობდნენ დალაშქრვას
 გრძელი შუბები წვერითა,
 ფარები, მხრებზე ნაკიდი,
 თავში საცემის კვერითა,
 ყინულის ფერი ჯაჭვები
 თილისმა დანაკერითა;
 მკლავები სამკლავებით
 მათრახებ დანაქერითა;
 ხმლები მტრის დაშარცხებისა
 ლოცვების წანაწერითა
 და ზურგზე ისრის ქოჯონნი *)
 კილოთ ცას ანაქერითა,
 რა კარგი სანახავია
 ლურჯის ცის დანაფერითა!
 ლაშქარს წინ მაუძღვებოდა
 გურგენი შავის ცხენითა.

*) კონა, გროვა.

სიცილი, ზოგთა ტირაღი,
 არ გამოითქმის ენითა.
 ჯარს უკან გროვა მოსდევდა
 ხელ-დაკანილის ტყვისია,
 არ დაითვლება მათ რიცხვი,
 როგორც ფოთოლი ტყისია.
 მორაყინობდნენ აქლემნი,
შოკელობდნენ ჯორები
 და სპილოებიც მოსჩანდა,
 როგორც მთები და გორები,
 ნადავლით დატვირთულები,
 მრავალის ოქრო-ვერცხლითა.
 სულ უკან ჯაღათებია
 თვალში მპრკყენაფის ცეცხლითა,
 შამკობილი აქვსთ ხმლის ვადა
 კაცთა კბილით და ვერცხლითა.
 გურგენს და ლევანს გაჰხლოდათ
 პირობის დარღვევაზედა.
 ლევანი წამოსულიყო
 გურგენის დარბევაზედა,
 საქმე მივიდა უთუოდ
 ერთურთის დაქცევაზედა.
 ლევანი იმედგულობს
 გურგენის გაქცევაზედა.
 მწყობრ ჯარსა გამოუძღვება,
 წამოვა მუქარაზედა,
 მაგრამ დაჭრილი წაიღეს,
 ნადები სუდარაზედა.

შერე უცქერდა ხშირის ტყით
 ნაცნობებს მწუხარებითა
 და ისველებდა კალთებსა
 მომსქდარის მღულარებითა.
 უნდოდა ჯარში გარევა,
 გული უშლიდა ტიალი,
 იმ გაყიდულის სულისა
 გამოთხოვების წკრტილი.
 თვალსა სტაცებდა ბენახსა
 თეთრის დროშების ელრილი,
 გამარჯვებულის ჯარისა
 მოუსვენარი გრილი.
 მაგრამ თავს უღირსად ჰხედავს
 ლაშქარში ჩასარევადა...
 ქურდულად გამოიპარა
 ცოლ-ქმრობის ასარევადა.

XII

გაეჭრა შერეს წამალსა,
 ქვეყანა არეულიყო,
 სიყვარულისა ფიალში
 ბალდამი ჩარეულიყო.
 ეთერსა ფერი ეცვალა,
 ტანზე მატლები სდიოდა,
 აკლიდნენ, მოკლილს ადგილსა
 ათასი ჩამოსდიოდა.
 გოდერძის, ამის მნახველსა,
 ხომ სული ამოსდიოდა;

თვალთავან, ვით კლდეზე ჩანჩქარი,
 ცრემლები ჩამოსდიოდა;
 შეცვლით რა ნახა ეთერი,
 მაშინვე ელდა სცემოდა,
 ლოგინად ჩავარდნილია,
 პურს-წყალს არ ნახავს გემოდა.
 ვით ცვილი ჩამომდნარიყო,
 დარჩენილიყო ძვლები,
 მაგრამ ეთერსვე ეძებდა
 მის დახოცილი თვალები.
 ქალი არავის დაუთმო,
 კოშკს ეჯდა დაფარულადა
 და მისნი ერთგულნი ყმანი
 გარს ედგნენ ყარაულოდა,
 ეთერსაც შემოეთვალა:
 „რად ამომაგებ ჰირითა?
 კოშკს არ მამწყვდევდნე პატიმრად,
 წყალს მაინც ვზიდავ ვირითა.
 ჩემო ნუგეშო, გოდერძი,
 ჩემო მზეო და მთვარეო,
 ჩემო ღვინო და სიციცხლევე,
 სიციცხლე გაგიმწარეო.
 მე ვარ მიზეზი... თავ-მკვდარი,
 საით რას შეგეყარეო.
 რატომ არ მოგკვდი აღრევე,
 მანამ გნახავდი ბარეო.
 მაშინვე გითხარ, მე და შენ
 ქალას რო შევიყარენით,

და ეხლაც იმასვე გეტყვი,
 ეხლა, როსც გაიყარენით.
 არ ვიყავ შენი საფერი...
 ღმერთმაც დამწყევლა ამითა,
 რომ ფუფუნება ვარჩიე
 ცხოვრებას თავის ჯანითა!
 არ ვარო შენი საფერი,
 გეუბნებოდი ბეჩავი,
 ვიცოდი, ადრე თუ გვიან,
 შევიქნებოდი ბედ-შავი!

XIII

შეიქნა დიდი ჩოჩქოლი
 ერთს ღამეს სასახლეშია:
 მეფის ძე გოდერძი კვდება,
 სული მოადგა ყელშია.
 დედა დაპბრუნაეს თავზედა,
 ცრემლს ჰღვრიდა, ეკონებოდა,
 მაგრამ სნეულსა ამითი
 ტანჯვა არ ეფონებოდა.
 გოდერძიმ უთხრა დედისა:
 შენი ჭირიმე, დედაო,
 ხომ იცი, შენი გაზლილი
 ვისაგანაცა კვდებაო.
 ხვალვე, ან ზეგა, უგრძნობი
 კუბოში ჩაიდებაო.
 სამართ ველარას ფნახავ,
 ზედ ღოღი დაიდებაო.

მანამ რასმე ვგრძნობ კიდევ,
 მანამ თვალითი ვხუდავო,
 მინდა რომ ვნახო ეთერი,
 მისი ტანი და პირია,
 როგორც მინდარის... მის ნახვა
 ჩემთვის არ ძვირად ჰლირია!
 თუნდა ცოცხალი არ იყოს,
 სხვა რამ მაჩვენეთ იმისი,
 თმის ბეწვი მაინც იპოვნეთ,
 ან ანაგლეჯი პირისი.
 მიჩვენეთ რამა, გეთაყვა,
 ჩემის მამკვლელის ქალისა,
 ნაშთი მის ხელის, ან ფეხის,
 ან მადლიანის თვალისა.
 ვიცნობ, არ მომეტყუება
 ფერფლიც-კი იმის ძვალისა!
 გოდერძის დედა წავიდა,
 მეფეს შესთხოვა ჩოქითა,
 შესთხოვდა რასღაც გულ-მწუხრად
 ცრემლის დენით და ოხვრითა.
 გურჯენმა შერი მოიხმო...
 მოვიდა ნაცარივითა,
 ფერ-გონი გამოჰლეთოდა,
 შავეთში ნატარივითა.
 მეფემ უბრძანა: შერიო,
 მეფეთა დასადარებო,
 შენს ჩქით კაცსა ვერ ვპოვებ,
 ერთს კიდევ დაგავალებო.

მამა ვარ, გინა არ იცი
 წესი მშობლობის გულისა?
 ღვთისაგან მირონ-ცხებულო,
 მორწმუნე ქრისტეს სჯულისა:
 მე როგორ გავხდე მიზეზი,
 დამლოვედ შეილის სულისა!
 ისიც ხომ ვიცი, გოდერძის
 რისაგანაც სჭირს ჭირია...
 საცა წამალი იშოვნე,
 მატლით აუვსე პირია
 იმ ღვთისგან წყეულს გოგოსა,—
 ყველანი გავვაკვირია,—
 იმის წამალიც გექნება,
 როგორმე მოარჩინია.
 ნახოს ბედ-კრულომა გოდერძიმ,
 იქნებ ეწამლოს ამითა.
 გულს ეს ურჩევნივ სხვის წამალს,
 სახმარს სმითა და ჭაჭითა.
 შერესა გავერანებულს
 ხმა შემოესმა გვაშითა:
 „გახსოვდეს, ნუ დაივიწყებ,
 ფიცი რომ მომეც ლამითა;
 გახსოვდეს, კარგად გახსოვდეს
 ჩემ მოცემული პირობა,
 გამაგრდი ციხესაუფით,
 გამოიჩინე გმირობა!“
 ჯერ ხმა არ ისმის შერესი,
 თავ-დაჯიდებით მდგარისა,

როს ხმა მოვიდა მწუხარე
 სამელოვიარო ზარისა.
 ზარს ჯახა-ჯუხი ბანს აძლევეს
 მეფის სასახლის კარისა.
 გუნდი მოერტყა სრა-სახლსა
 შივად ჩაცმული ჯარისა.
 ისმოდა „ვაი“-ს ძახილი
 ხალხის გლოვა და ქვიანი.

მეფე (შეკვს)

შერევე, ეს რა ამბავია,
 ეს რის ხმაა და ბიბინი?

შეკვ

გლოვაა... აღარც გლოვაა...
 სალხინო მგონავ ღიღინი.

მეფე

აბა, შეიტყე, კარებთან
 ვისილაც მესმის ტიტინი...
 შერე რა გასცდა მეფესა,
 უფრო გახშირდა ყვირილი,
 ისმის მეფესთან მოსულის
 სახლთ-უხუცესის ტირილი.
 პირ-სისხლიანი მოხუცი
 თავზედ დაყრილის ქვიშითა
 სამხიზარს ეტყვის მეფესა
 კვნესით და ოხვრა-ვიშითა:

„ლაიქცა თქვენი დუშმანი,
 თქვენი მტერი და ორგული,
 როგორც თქვენის ძის გარდაცვლამ
 მე დამიღებ სულ-გული.
 და განა მარტო ერთისამ?..
 ეთერიც მასთან მკედარია.
 რამდენი ომი მინახავს,
 რამდენი სისხლის ღვარია,
 მე სხვა აღარა მინახავს
 ამაზედ შესაზარის.
 რაკი გავიგვთ, მეფეო,
 ის თქვენი დანაბარია,
 ეთერი გამოვიყვანეთ
 თქვენის ძის სანაზაფადა.
 მოკვდავმა წამოიწია
 მის გულში ჩასაკრაფადა.
 ხელი მოჰხვია კიდევ
 ცხოველის პირის კანითა,
 სიცოცხლე ვეღარ დიძგნო
 გამოლოყულის ჯანითა
 და ჩვენს უცნობლათ, ეთერმაც
 თავი დააკლა დანითა.
 ჯერაც გულშივე ურქვია
 დანა შავის რქის ტარითა“.
 ამის გამგონეს გურგენსა
 პირზე დაედვა ჯანლია:
 „ვაჰ, ჩემო ყოფნავ, სიცოცხლეც
 სამეფო დამრჩა კარ-ლია!

ლიბო ამ ჩემს ქვეყნისა
 ღმერთმა სად გამაარღვია?
 რად უფიჭურა ჩემთვისა
 გამაუცდელი ბაღლია!?"

XIV

მზე მალლა წამოსულოყო
 პირითა მოცინარითა,
 თუმც მას ქვეყანა უცქერდა
 თვალებით მოტირალითა.
 ძაძა ჩაიკვა ქალოქმა,
 სატახტომ გურგენისამა.
 ცრემლების წმენდა დაიწყეს
 ხელებმა უხეებისამა.
 მეფის სასახლის კოშკებზე
 შავი ფრიალებს აღმები
 და იმ სარიგოს ცეცხლისა
 სვეტ-სვეტად აღის კვამლები.
 მეფის სასახლის ეზოში
 ლაშქარი იდგა მღუმბარე,
 ჯარის წინ ხმალ-დებჯენილი
 ლომი სპასპეტი მწუხარე;
 თვალთაიგან გაღმოსდოოდა
 ყველის ცრემლები მღულარე.
 ჯარს აეყარა ფარ-ხმალი,
 ბუკებიც გადაფვართ,
 იქვე დაერქოთ დროშებზე
 ზურ ძაძა გადაეფართ.

არსით ისმოდა ბუკის ხმა,
 დაფის ფიცხელი კიჟინი,
 მგოსანთა მღერა ტრფობაზე
 და ლაშქრობაზე ლილინი.
 ბუღბუღოს, იადუნს უბრძანეს,
 საქმე მივარდა წყენაზე,
 გულში ჩაეღკათ გრძობანი,
 ხელი აეღოთ მღერაზე.
 ჩამოსხნეს მათი გალია,
 სარდაფში დადგეს კერაზე.
 მთელი ქალაქი მომსჭდარა,
 ყველა: დიდი და მცირია;
 კაცო და ქალი ურჩეველად,
 მდიდარი, გლახა, მწირია,
 უცდიათ ნახონ ცხედრები,
 დღეს მით დამარხვა სჭირია,
 დღეისთვის დასაფლოფება
 თვით მეფის დანაპირია,
 მეფისგან გამონაცხადი
 შიკრიკონ დანაყვირია.
 აგერ გამოჩნდნენ მოძღვრები
 თან ვეზირები მწყობრად,
 აქ მხოლოდ შერე არა ხანს,
 მარტოდ რჩენილი ობლიადა.
 ორს კუბოვს მოძსვენებენ
 ერთს ხისას, სხვა კი ძვირია,
 ძვირფასად შეხამებულისა
 თეთრს, ვით თოვლი და კირიბ.

გადუღვა ხალხი კუბოებს
 გროვად, გროვები ხშირია,
 ალბად საერთო ქირი სჭირთ,
 რომ ყველა ანატორია!
 მოძებნეს ერთი ადგილი
 უდაბნო, განაპირია,
 მეფის ძის ანდერძისამებრ,
 ტყიანი მთისა ცხვრია.
 დამარხეს ერთად, ცოტათ კი
 ერთურთზე. მოშორებითა,
 როგორც უბანა მეფემა.
 რომ არ ვთქვა მოქორებიტა,
 საკვირველს ამბავს იტყვიან
 იმ ადგილს ნანახისასა:
 ია უზრდავის წლით-წლამდე
 ამ ბეჩავს კუბოს ხისასა
 და ვარდს პირ-მოლომირი
 სამარეს გოდერძისასა.
 იას შორს ყოფნა არ უშლის,
 ვარდს ეკონება პირითა
 და ამ საფლავთა ფეხთითა,
 ცოლ-ქმრის სამარის-ძირითა,
 უკვდავებისა წყარო ღის
 ძვირფასის ოქროს მილითა.
 ამ ადგილს ბუღბუღი ჭმლურს
 საღამოთი და დილითა;
 ვისაც კი ის წყალი უსვამს,
 ურჯულოს-რჯულოიანითა,

იმას არ უვლავ ქვეყნად
 გულითა წყლულთანითა.
 იმან არ იცის სიბერე,
 არც მომაკვდავად სწერია;
 ვინც უნდა იყოს, ვინც უნდა,
 თუნდ სულ უბრალო მწირობ!

XV

— ბეჩავი შერე ხადლია,
 სიკოცხლე გაარმებული?
 — კარზე ზის, დანასა ჰლესავს,
 გონება გაათორებული.

— დანა რად უნდა ვეზირსა,
 რა აქვის გასაკეთები?
 სთქვი შერეს იდუმალ ყოფნის,
 საქმე მის განაკეთები?

— დიდი ხანია გლაზაკობს,
 თვალებით დანაფეთები.
 ბოლოს და ბოლოს დასჩემდა
 სიგიჟე, რაღაც ფეთები.
 მან ვეზირობა უარ-ჰყო,
 დააქვს ტიტველი ფეხები
 და ხმას არ იღებს, როს თავში
 უფარუნებენ გლონები.
 ტანზე ჰილობი აცვია,
 სახე აქვს შესაზარებო.
 კაცის დანახვა აშინებს,
 მირბის, ეზაღვის ყველასა;

ხრამებში, მთაში და ღრეში
ჩხავის, აჯაერებს მელასა
და დაიკმუვლებს მგელივით,
თითქოს ღმერთს სთხოვდეს შველასა.

ხან ლევეივითა წკავწკავენს,
ძალლივით ხმარობს ენასა.

ხან ბუისავით გაჰკივლებს
საწყალად, ბეჩაეურად;

იმ დროსვე გადაიქცევა
ახლა მჩხავანა ტურად;

ხან ვითომ მოჰკვიანდება,

ტყე-ტყის პირს დადის სტვირითა;

თან თავის ფარ-ხმალს ატარებს
ერთის კუდალა ვირითა.

თქვენს ღუშმანს ასეთი ყოფნა,

როგორც შერეა ჰირითა!

ყველას აშინებს მისი ხმა

საბრალო, საშინელია,

აშინებს მისი სამყოფი

უდაბური და ბნელია.

—მარტო ტურა-მგლობს, ეგ არის,

მარტო სიბილწის მქნელია?

—ერთს წელს უდაბნოს წავიდა,

სულის მოგებას ჰლოამობდა,

ბერებთან ერთად მარხულობს,

იმათთან ერთად გალობდა,

მით შერემ ვერ დაისვენა,

მაინც ისევე წვალობდა.

— დანა რად უნდა, რომ ჰლესავს,
შერესა დაეინებულსა?

— თვალებს დაითხრის ბედკრული,
თვალებსა დაშინებულსა,
მოსძაგდა სინათლის სინჯვა,
მოსძაგდა ყველაფერია,
დღეს მხოლოდ სიბნელე უყვარს,
ვერ ნახოს ვერაფერია!

1890 წ.

სტუმარ-მასპინძელი



მის წყვილადში ჩატლული,
გამტკნარებულის სახითა,
მოსჩანს ქისტეთის მიდამო
საღის კლდეების ტახტითა.
ბნელს ხეზე მოჰყეტს მდინარე,
გულ-ამღვრეული ჯავრითა.
გადმოხრილიყვნენ მთანიცა,
ხელ-პირს იბანდნენ წყალზედა;
ბევრი მომკვლარა მათს მკერდზე,
სისხლს ვერ იხდენენ ტანზედა;
ძმის მკვლელის სისხლი სწყურია,
კაცი რომ მიდის გზაზედა.
გზის გამბობ, თორემ რა გზაა,
ვიწრო ბილიკი კლდეზედა?
საეალად მეტად ძნელია
ფებს ძლივს აცილებს ფეხზედა.
გაღმა სჩანს ქისტის სოფელი
აოწივის ბუდესავითა, —

საიმი არის საცქერლად
 დიაცის უბესავითა.
 სოფლის თავს სძინავს შავნისლსა
 დაფიქრებულის სახითა.
 ყურს უგდებს არე-მარესა,
 გულ-ლაღობს სანახავითა.
 სტუმარი ცოტა ხანისა
 ხელო სხვაგან წავა აქითა.
 წავა, გადიელის გორებსა,
 ქედებსა ყინულიანსა;
 აბნელებს, უხილავად ჰქმნის
 ქვეყანას ხილულიანსა.
 თუ მონადირეს ატირებს,
 გზა-დაკარგულსა კლდეშია,
 ალაღებს მგელსა და ქურდსა,
 მოარულთ სიბნელებია.

II

ზევიდამ ვინღაც უცნობმა
 კლდის ლოდი გაღმოაგორა,
 მგზავრმა შეჰხედა პირ-აღმა,
 წინ უდგას მალალი გორა,
 ყურს უგდებს... ცოტა ხანს შემდეგ
 მოესმა ქვიშის ჩხრიალი.
 მგზავრი სიითას იმარჯვებზე:
 მტერი არ იყოხ ტიალი.
 შესცქერის გაფაციცებით
 ფეხზე შემდგარის თოფითა,

პხედავს, რომ მაალოჯუნებს
კაცი ორ-კაპის ჯოხითა.

შავი რამ მოსთრავს პირ-თავკვე,
ქვიშა ქანავდა იმითა.

არას ამბობდა უცნობი,
სიტყვა არ მოსდის პირითა.

უბრჭყვინავს სალტე თოფისა,
ვით წვიმის ცვარი დილითა.

— ვინ ხარ, რა სულიერი ხარ,
რას იარები ამ დროსა?

— ვინ გინდა? მონადირე ვარ,
კაცს შენ ვერ გხედავ სანდოსა.

— რაობით სანდო არა ვარ?
სიტყვას რად ამბობ მცდარესა?

ვითომ რომ დავხეტიალობ
შენებრ ამ კლდიან მხარესა?

შეც მონადირე გახლავარ,
დღეს-კი ვეხეტე უბრალოდ.

— წესია მონადირისა,
ხომ მაინც დაპჩი უფელოდ?

— ესეც ვალია, ძმობილო,
ძლივს-ლა დავითრევე ფეხებსა,

სულ დავიარე ჭიუხი,
არა ვსტოვებდი ხევებსა.

ზედ შავი ნისლი ჩამოწვა,
ნიაფი მისცა ძლიერი,

ხევებით შემომღმუოდა,
როგორაც მგელი მშიერი.

თვალ-წინ გზას ველარ ვარჩევდი,
 კლდეზე გადაარდნას ვლამოზდი,
 ხამად ვარ, გეზი არ ვიცი,
 ამით ძლიერა ვწვალობდი.
 ბევრგან დავაფრთხე ნადირი,
 ცხადად ფეხის ხმა შესმოდა,
 ან როცა გადაფრეთილის
 ჯიხვის რქა კლდეებს ესმოდა.
 ის იყა გულის საკლავი,
 თვალით ვერაფერს ვხედავდი,
 სროლას ან მოკვლას ვინ იტყვის,
 წინ სვლას ველარა ვბედავდი.

უცნობი ახლოს მოვიდა,
 შორი-ახლოსა მდგომარე,
 „გამარჯვებო“ მისძახა,
 ნუ სჩივი, ნუ ხარ მწყრომარე.

— შენც გაგიმარჯოს, ძმობილო,
 ჰხოცო ნადირი მხტომარე.

— აი ნადირი, რას სჩივი?—

უჩვენა ჯიხვი რქიანი,—
 მკვდარი, რქებ-გადაგდებულო,
 დაღუმებულო, ჭკვიანი.

თუ გინდა ეხლაგ გავიყოს,
 როგორც ამხანაგთ ორადა,
 ჩიჩქიც არ მინდა მე შეტი,
 გავინაწილოთ სწორადა.
 ამაღამ ჩემთან წამოდი
 სახლი არ მიღვა შორადა.

სადაური ხარ, ძმობილო?
 სახელიც მითხარ შენია?
 ნუ სწუხარ, საზრდო შენთვისაც
 დღეს უფალს გაუჩენია.
 წილი გდებია შენაცა
 ამ ჩემგან მოკლულს ჯიხვშია.
 რად გიკვირს, არ გეხუმრებნი,
 არც გეფერები პირშია.
 მაშ, თუ ეს ასე არ არის,
 რად შემეფეთე ამ დროსა?!
 შაჰრცხვეს, ჩემ თავად, ვინც შენა
 ნაწილი დაგიკარგოსა.
 რა გქვიან? სახელი მითხარ?
 ხვესური სჩანხარ იერით.

— ნუნუა მქვიან, ძმისაო,
 გადმოხვეწილი ჭიელით, —
 იცრუა ზვიადაურმა,
 თვისი სახელი დაშალა.
 რა ქნას? მის სახელს იცნობენ,
 ქისტებს ბევრს სისხლი ავალა;
 ბევრს ქისტს მოაქრა მარჯვენა,
 უდროდ საფლოფში ჩალაღა.

— შენი სახელიც მასწავლევ?
 ჩემი ხომ გითხარ მართლიადა?

— ჯოყოლა მქვიან, ძმობილო,
 ალხასტაიძე გვარადა;
 არ მოგვიხდება, ერთ-ერთში
 სიტყვა ვიუბნოთ მცდარადა.

სახლი აქ ჯარეგას მიღვა,
 ქაფი და ცინე კარადა.
 ამალამ ჩემთან წამოლი,
 შე გაგიძღვები თავადა.
 თუ კარგად არ დაგიხედები,
 არც დაგიხედები აეადა.
 ხვალ თითონ იცი, ძმობილო,
 საითაც გინდა, იარე.
 ზოგს მე გიამბობ ჩემს ღარდასა,
 ზოგიც შენ გამიზიარე.
 —საცა არ მიხნავ, ძმობილო,
 იქ ვმკო—ეს სადაურია?
 ყელი მოგიჭრავ ჯიხვისთვის,
 ფეხებიც ჩატყაულია.
 გესტუმრო, უარს არ გეტყვი,
 გიშველი ჯიხვის ზიდვასა,
 წილს კი არ მოგთხოვ, იცოდე,
 თავს არა ვკადრებ იმასა.
 შამოატყავეს ნადირი,
 წავიდნენ ჯარეგაშოა,
 ბვერი იუბნეს ამბავი,
 ერთ-ურთს გაეცვენენ გზაშოა.

III

მოვიდნენ. კოშკები დაჩნდა,
 აქა-იქ ჰყეფენ ძაღლები;
 კარებში იცქირებთან,
 ცნობის მოყვარე ბაღლები.

დაეტყო ცხადად კლდის მსგავსად
სიპით ნაგები სახლებში.

— აი, ეს ჩემი ოჯახი,

ჩემი ციხე და სახლია;
მობრძანდი, როგორც ძმა ძმასთან,
ნათლი-მამასთან — ნათლია.

კოლს დაუძახა ჯოკოლამ:

— გამოიხედე კარშია!

ეტყობა თავ-მოწონება
მასპინძელს საუბარშია.

სდგანან დერეფანს, უცდიან...

ცეცხლი ჰკრთებოდა ღველფზედა,
ჩონგურს უკრავდა დროული,
კაცი რამ უჯდა გვერდზედა.

დაჰმღერდა გმირობისასა,

მამა-პაპათა ცდისასა:

როგორ არბევდნენ ფშავ-ხევსურთ,

სისხლს არ არჩენდნენ ძმისასა;

ყველგან მადლობას სწირავენ

მარჯვენას კაი ყმისასა;

გამოჩნდა ქალი ლამაზი,

შავის ტან-საცმლით მოსილი,

როგორაც ალყა ტანადა,

ვარსკვლავი ციღამ მოკლილი.

— აი, სტუმარი მოგვევართ, —

ლეთის წყალობაი ჩვენზედა, —

როგორც დავებვდებში, დიაკო,

ებლა ჰკილია შენზედა.

ქალმა სალამი მიართო:
 — სტუმარო, მოხველ მშვიდობით!
 — შენდაც მშვიდობა, გაცოცხლოს
 თავის ქმრითა და წილობით!
 სტუმარს აბჯარი წაუღო,
 მიიპატიეა შინაო;
 ქალი მიხდევდა უკანა,
 ჯოყოლა მიდის წინაო;
 თან მისდევს ზვიადაური,
 ძმობილი გაიჩინაო.

IV

კაცი რომ სჩანდა სახლშია,
 ჭადარ-შერთული, ხნიერი,
 წამოდგა ისიც ფეხზედა,
 როგორც კლდის ვეფხვი, ძლიერი.
 სტუმრად მოსული უცნობი,
 სტუმარს პატივს სცემს სხვისასა,
 ფეხზე აღგომა წესია,
 წესს ვერ დაარღვევს შთისასა,
 მაგრამ, როს ნახა უცნობი,
 ფერი დაედო მგლისაო;
 აღვილად აიცნობოდა,
 რასაც ჰფიქრობდა ისაო.
 არ ეჭაშნიკა დროულს ქისტს
 დანახვა უცხოს ყმისაო.
 გული სცემს ბრან-მორეული,
 სახეც არ ჰმაღავს აშასა,

ხანჯრისკენ ხელი მიუღღის,
 ჩუმაღ სინჯავღა დანანსა,
 მაგრამ სტუმარი სხვის სახლში,
 ვერ აშღის ხათაბალასა.
 აღღა და ჩუმაღ გავღღა,
 თითზე იკბინა მწარღღა,
 სამჯერ ჩაიკრა გუღღს ხელი,
 როცა გავღღა გარღღა.
 წავღღა. კარი-კარს დადღღს,
 ენასა ჰღღესავღღს შხამღღათა:
 „ქასტებო, ჩვენი მოსღღსხღღე
 შემოგვეპარა ღღამღღათა.
 სჩანღღს, რო ჯოყოღღა ვერ იღღნობღღს,
 არ უნახღღია თვღღლითა
 ეგ ჩვენი ამომღღღღებღღელი,
 ჩვენი მრბევეღღელი ძღღლითა;
 გაუმაღღღარი მუღღამ ქამღღს
 ჩვენღღის სღღსხღღით და ძღღვღღლითა.
 დღღეს ჩვენღღს ხელღღს არღღის, ვეცადღღოთ,
 ეღღგემოთ გემო მწარღღია,
 მაღღათ მოკღღლული ამ ზღღფხუღღღს
 გვეყავღღს უპატრონო მკვეღღღარღღია.
 სთქვეღღით, თუ არ ვამბობ სღღმარღღთღღღეს,
 თუ ჩემღღი სღღტყვეა მკვეღღღარღღია?!
 გაღღგოს ჩვენღღმა დღღუშმანღღმაც,
 არ გვაქღღეს უღღღიშო გვარღღია.
 მიკვეღღღის ჯოყოღღღას ჰკვეღღღისღღგან,
 მტერღღს რღღად გაუღღღო კარღღია,

ვისა ჰმისპინძლობს ჰკვა-თხელი,
 ცნობაზე რად არ არიო!
 ცხვირიდან უნდა ვადინოთ
 ზვიადაურსა ძმარია,
 თუ არა, დიაცთ დაუთმოთ
 ჩვენი ხმალი და ფარია“.

აღელვდენენ ქისტის შეილები,
 ყველამ შაიბა ხმალიო,
 აღელვდა მთელი სოფელი:
 ბაღლი, კაცი და ქალიო.
 უნდა შესწიროს თავის მკვდარს
 ზვიადაურის თავიო;
 უნდა მტრის საფლავზე დაკლან,
 როგორაც წესი არიო.
 გაგზავნეს ერთი მზვერაფი,
 თან აბარებენ ჩუმადა,
 მივიდეს ჯოყოლასთანა
 მეზობლურადა, ძმურადა;
 სოფლის განზრახვა არას გზით
 მას არ ჩაუგდოს ყურადა.
 ივანშმოს, იმუსაიფოს,
 გაიგოს სტუმრის ლოგინი;
 ღამე დაესხნენ, შაკონონ,
 არ უნდესთ ბევრი ლოდინი.
 მივიდა მოყურიაღე
 ლაქარდიანის ენითა,
 სახელს ულოცავს ჯოყოლოს,
 ლაღობს, არ არის წყენითა.

ხალბათობს, ამბობს ამბებსა,
 ენახ აკვესებს კვესითა.
 ვინ იცის, გული სავსე აქვს
 გველის შხამით და გესლითა.
 ივანშემეს. თვისი სტუმარი
 მასპინძელს მოსწონს გულითა.
 კარგი ვაჟკაცი ეტყოდა,
 ფიცულობს თავის რჯულითა:
 — ეს ერთი ცნობა, ხვალ ძმობა,
 ერთად, შევთვისდეთ სულითა...
 მოიპატივა საძილედ,
 დაუამო თვისი ლაჭანი.
 — არაო, სტუმარი ეტყვის,
 არ მინდა ლეიბ-საბანი.
 მე დერეფანში დაფწვები
 შინ ძილს არც კი ვარ ჩვეული.
 ასრულდა მისი წადილი,
 გულიდამ ამოწეული.
 მოყურიადეს ეს უნდა,
 ამაღ არს აქ მოწვეული.
 წაფიდა გახარებულნი,
 შეატყობინა ყველასა.
 მამლის საჯდომი თუ იცის,
 მეტი რა უნდა მელასა!

†

— რა ამბავია, დიაცო?
 ხმალი მინდა და ხანჯარი!

სახუმრო საქმე არაა,
 თავზე დაგვესხა მტრის ჯარი!
 ნამდვილ აკლებას გვიპირობს,
 გვლალატობს ჩვენი სტუმარი;
 ძმობით და მეგობრობითა
 შემოგვეპარა ლაშქარი!
 სუ, ღმირადე!... მოვსტყუედი...
 ჩვენი ქისტები არიან.
 რისთვის მოვიდნენ ამ დროსა,
 რას ბჰობენ, ვის რა სწადიან?!
 ყური დაუგდე კარგადა,
 კაცისა მესმის ხრიალი.
 რა შქისე ხმაურობაა,
 რა საზარელი გრიალი!
 ჩემს სტუმარსა ჰკვლენ სწორედ,
 უდგასთ ხანჯრების პრიალი.
 უყურე უნამუსოთა,
 ჩემს ოჯახს როგორ სთელავენ!
 გავიგო, აბა, წავიდე,
 რაზე, რისთვისა ჰღელავენ?
 ეს სთქვა ჯოყოლამ, წამოდგა,
 ხელ-ხანჯრიანი წავიდა.
 გაალო სახლის კარები,
 შეუპოვარად გავიდა.
 — რას ჩადით? — შემოუძახა: —
 ვის სტუმარს ჰბოჭავთ თოკითა,
 რად სტებთ საუფლო ჩვენს წესსა,
 თავს ლაფს რად მასხამთ კოკითა?

ჩემს სჯულსა ვფიცავ, სისხლს დავდვრი,
 განანებთ ბრიყულს ქცევასა,
 განანებთ, თუმცა ძმანი ხართ,
 ჩემის კაცობის ქელვასა!..

— რას ამბობ, შტერო, რას ამბობ?

რაღ არ მოლიხარ ცნებასა?

მოსისხლე სტუმრის გულისთვის
 ძუძუს ვინ მოსჭრის დედასა?!—

შემოუძახეს ქისტებმა

ერთხმად, ძლიერად, ჭეჭითა;—
 შენ და შენს სტუმარს, ორივეს
 ერთად გადგისვრით ბეჭითა.

თემს რაც სწადიან, მას იზამს
 თავის თემობის წესითა.

მთელის ქისტების ამომგდე
 სტუმრად რაღა გყავ სახლშია?
 ზვიადაურის სახელი

ბავშმაც კი იცის მთაშია.

ეს იყო მუდამ, ჭკვა-თხელო,
 ჩვენის გაულეტის ცდაშია,
 მგლურად რომ გვეტევებოდა,
 რო გვიჯდებოდა გზაშია.

ჯოყოლა ცოტას შეფიქრდა,
 პირს სინანული წაესო,
 თითქოს ნატყორცი ისარი
 ზედ გულის კოვზზე დაესო.
 —თვით ამან მოჰკლა შენი ძმა
 არყიანებში თოფითა,

ჩვენ ვიცნობთ მაგის სახესა,
 გადალესულსა ცოფითა.
 „გახლავართ ზვიადაური“,
 ჩამოგვეკიოდა გორითა;
 სულ კარგად ვიცით, ცხადადა,
 თვალს ვადევენებდით შორითა.
 აფსო ფშავ-ხევსურეთი
 აქით წასხმულის ძროხითა.
 უკან გაუღდა ლაშქარსა
 ფეხ-მარდი, ლეგის ჩოხითა.
 თავს რად იმურტლოვ, ბეჩაეო,
 ამასთან ჯდომე-ყოფნითა?!

— ეგ მართალია, იქნება...

რაც უნდა მითხრათ ბაგითა,
 მითც ვერ მიაბამთ ჩემს გულსა
 თქვენ გულის თქმასთან ძაფითა;
 დღეს სტუმარია ეგ ჩემი,
 თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა,
 მითაც მე ვერ ვუღალატებ,
 ვფიცავ ღმერთს, ქმნილი იმისა.
 მე გთხოვ გაუშვა, მუსაო,
 ნუ სტანჯავ უდიერადა,
 როცა გასცდება ჩემს ოჯახს,
 იქ მოეპყარით ავადა.
 ვის გაუყიდავ სტუმარი?
 ქისტეთს სად თქმულა ამბადა?
 რა დავაშავე ისეთი,
 რომ მომიხედით კარადა?

თვის რჯული დაგვიწყებიათ,
 მიტომ იქცევით მცდარადა;
 ჩემს ოჯახს პასუხს რით აძლევთ?
 სახლში ხართ, განა შარადა!
 ვგი თქვენ, ქისტის შვილებო,
 მომდგარნო ჩემს კარს ჯარადა!
 უიარაღოს აწვალვებთ,
 გული რასა ჰგრძნობს თაჲდა?

მუსა (ჯოჯოღას)

შენაც ამისთან შაგონავთ,
 თემის პირს რომ სტებ, თავ-ხედო!
 ჩენის ნარჩევის დარღვევა
 შენ როგორ უნდა გაჰბედო?
 აჰყეფდი ქოფაკივითა,
 აბლა-უბლაობ შტერადა;
 ამ გიაურის გულისთვის
 ძმებსაც ეპყრობი მტერადა.
 არ იცი, რომ შენი საქმეც
 დღეიდან წავი ცერადა?!

ჯოჯოღა (მუსას)

რაო? ქოფაკო?! შენ ამბობ?
 ახლო ძაღლადაც გამხადე!?.
 იძრო ხანჯარი, მუსასა
 გულში უმარჯვა ვადამდე.
 — უყურე თვით ძაღლს, უყურე,
 გამითამამდა სადამდე!

ჩემის კაცობის დამქცევნო,
 ლანძღვასაც მემართლებითა?
 ალოახსა ვფიცავ, გაგმუსრავთ,
 მანამ ამკაფავთ ხმლებითა,
 გრისხავდესთ ცა-ქვეყნის მადლი,
 უსამართლობას შერებითა!

— რა ქნა უღმერთომ, რა ქნაო,
 გაგიჟდა, ჰკვაზე მცდარია...
 ჯოყოლას თავზე დაეცა
 მთელი ქისტების ჯარია,
 ხელი შეუკრეს... არ მისცეს
 ნება, ეხმარა ხმალია...
 ხელ-ფეხ შეკრული დერეფანს
 დააგდეს, როგორც მკვდარია.
 წყევლა ხალხისა ქეჟა,
 ნაფურთხი—წვიმის ცვარია.
 წამოიყვანეს დაჭრილი,
 ზვიადაურიც სტანია.
 რას ამბობს ზვიადაური?
 სხე რადა აქვს მტკნარია?
 ბოღმა მიტომ ჰკლავს ვაჟ-კაცსა,
 რომ ხელთ არა აქვს ხმალია:
 „ჩამიგდეთ ხელში, ძაღლებო,
 კარგი დაგიდგათ დარია“.
 ამას ამბობდა დინჯადა,
 სხეად არას მოუბარია,
 მიჰყავდათ ხასაფლაოზე,
 სადაც ქისტების მკვდარია,

უნდა თავის მკვდარს შესწირონ,
რომ იქ უზიდოს წყალია,
მსახურად ჰყავდეს, მორჩილად
და გაუბანდოს ჯღანია...

VI

სოფლისა გაღმა გორია,
დამწვარი, ქვიშიანია.
ბევრი წვეს იქა ვაჟკაცი,
გულ-ლომი, ჯიშიანია.
ძირს მოსდგამს ბექი მღუმარე,
ნაღვარი, თიხიანია.
ხმალ-ხანჯრის, თოფის მხმარეთა
არა სძგერს გულა მაგარი;
იმათ სქამს მიწა უენო,
სასტიკი, გაუმაძლარი;
მასში ეშლება ყველასა,
ადამიანის იერი.
ვერ გვიხსნის სიკვდილის ბრწყალით
ძალა, ვერც სიტყვა ცბიერი.
ბუნების ცოდვა ესაა,
მუღამ საწყინო ჩემია:
აესა და კარგსა ყველას ჰკლავს,
არაიენ გაღურჩენია.
ყველა მგზავრთათვის ინთქმევა,
როცა იღუპვის გემია!..
მზე ჯერ არ ამოსულიყო,
ნამს ჯერ ბალახზე ეძინა,

არ დაებერა ნიაცსა,
 დაბლა არ ჩამოეფინა,
 ურიცხვი კაცი და ქალი
 ქალაზე შემოეფინა.
 მოჰყავდა ზვიდაური
 ხელ-შეკონილი გროვასა,
 ყველას უხარის მის მოკლოა,
 ან ვინ დაიწყებს გლოვასა?!
 სიკვდილი ყველას გვაშინებს,
 სხვის თუ ჰკვლენ, ცქერა გვწადიან;
 კაცნი ვერ ჰგრძნობენ ბევრჯელოა,
 როგორ დიდს ცოდვას სჩადიან,
 რამდენი ავ-სული ვიცი,
 წარბ-შეუხრელოდ დადიან;
 თავის მტანჯეების შემუსრვა
 ან-კი ვის არა სწადიან?!.

VII

იი საფლავი ქისტისა,
 ხალხი მოერთყა გარსაო,
 მოლა მოჰყვება ლოცვასა,
 იხსენებს თავის მკვდარსაო:
 „ნუ იტანჯები, დარლოა,
 ნუ შეიწუხებ თავსაო,
 მოვსდევით შენი მოძმენი.
 შენის სამარის კარსაო,
 მსხვერპლსაცა გწირაეთ, იხარე,
 არ გაჰმევთ მტრისა ჯავრსაო“.

—ძალღ იყოს თქვენის მკედრისადა!—
 ვაჟკაცი იღებს ხმასაო,
 ბეწვს იზღის ბრაზ-მორეული,
 როგორაც ვეფხვი—თმასაო.
 საკირის ცეცხლი ედება
 სამსხვერპლოს გულის თქმასაო.
 რა მოსდრეკს წარბ-დაღრუბლილსა,
 ქედ-ჩაქანგებულ მთასაო!
 აქცევენ ზვიადაურსა,
 ყელში აბჯენენ ხმაღსაო:
 „ღარღამსაც შეწირება“,
 ყველა დასძახის მასაო.
 „ძალღ იყოს თქვენის მკედრისადა“!—
 უპასუხებდა ხალხსაო.
 არ იღრიკება ვაჟკაცი,
 არ შეიხრიდა წარბსაო.
 გაოცდნენ ქისტის შვილები,
 ხალხი დგებოდა ყალყსაო.
 „ღამის რა არ შეწიროს,
 ერთი უყურეთ ძალღსაო!“
 ჰყვირიან, თანაც ნელ-ნელა
 ყელში ურჭობენ ხმაღსაო.
 „ძალღ იყოს“, ყელში აბზობდა,
 მანამ მოსჭრიდნენ თავსაო!
 „უცქირეთ, ერთი უცქირეთ,
 არ ახამხამებს თვალსაო“!
 სიცოცხლე ჰქრება, სისხლი ღის,—
 ზვიადაური კვდებაო,

გული ვერ მოჰკლა მტრის ხელმა,
 გული გულადვე რჩებოდა.
 და ამ სურათის მნახველი
 ერთი დიაცი ბნდებოდა,
 ცრემლებს მალავდა ლამაზი,
 ხალხზე უკანა დგებოდა;
 მოშველებასა ჰლოამობდა:
 „ნუ ჰკლავთ“! ეძახის გულიო.
 ფიქრობდა ბრაზ-მორეული:
 ნეტავი მომცა ცულიო,
 ნეტავი ნებას მაძლევდეს
 დედა-კაცობის რჯულიო,
 რომ ეგ ვაცოცხლო, სხვას ყველას
 გაეფრთხობინო სულიო.
 ნეტავი იმას, ვინაცა
 მაგის მკლავზედა წვებოდა,
 ვისიცა მკერდი ან გული
 მაგის გულ-მკერდსა სწვდებოდა!
 ნეტავი იმას ოდესმე
 ქმრის ტრფობა გაუცვდებოდა!?...
 ქისტები გაწყრნენ, იტყცეს;
 ვერ აუსრულოდათ წადილი,
 ვერ გაუკეთეს თავის მკედარს
 მის შესაფერი სადილი.
 დაკლულმა დაჰკლა მათ გული.
 და გაუცრუა ქადილი.
 შეურაცხყოფილ უნდოდათ
 ერთად გაეძროათ ხანჯრები

და გაეკეთათ მკედრის გვამზე
 სისხლით ნაღები ფანჯრები.
 მაგრამ ვერ ჰხედდენ, სცხვენთან:
 „ცოდვია!“ — ყველა ჰფიქრობდა.
 ხალხის გული და გონება
 სასინანულოდ მიჰქროდა.
 სთქვეს, როცა სახლში დაბრუნდნენ,
 თავ-თავეჭვე ჩამოდიოდნენ:
 ხომ მაგას არ მოვუკლავდით
 მტრებს, ავს რომ არ სჩადიოდნენ?
 კარგი ვაჟაკი ყოფილა,
 ყველა ალლახსა ჰფიცავდა,
 იმიტომ ვეფხვებრ გვებრძოდა,
 თავის მიწა-წყალს იცავდა.
 მაგრამ მტერს მტრულად მოექე,
 თვითონ უფალმა ბრძანაო,
 ის სჯობს, რაც მალე ვეცდებით,
 გულში გავურქოთ დანაო.
 წაეიდნენ. ზვიადაური
 ზეზე გაწირეს ტიალად.
 თუნდა ძაღლებმა ათრიონ,
 ფრინველთა ჯიჯგონ ზიარად;
 არ შეეწირა, ეგდოსო,
 ეგეც ეყოფა ზიანად.
 ამას იძახდნენ ქისტები
 თავმოწონებით, ხმიანად.
 ამ ხმასვე იმეორებდნენ
 ბნელი ხევები მთიანად.

ჩამოდკა საღამოს უამი,
 მთიდან მზის სხივი წამოხდა,
 სიბნელე მოიპარება,
 სინათლეს სული ამოხდა.
 დადგნენ, სულ დადგნენ მზის სხივნი,
 აღარ ელავედა ქვიშაო;
 აღარსადა სჩანს, გამქრალი
 თეთრი თმა შავის მთისაო.
 ნაღვლით ნაქარგი, ნაქსოვი
 სახე ამ სალის კლდისაო,
 რომ მუდამ მგლოვიარეა,
 ცრემლი ანკარა სდისაო.
 სიკვდილსა გლოვა უხდება,
 მკვდარ ძმას—ტირილი დისაო,
 ტყესა—ხარ-ირმის ნაფრენი,
 ზოგ დროს—ყმუილი მგლისაო.
 ვაჟკაცსა—ომში სიკვდილი,
 ხელში—ნატეხი ხმლისაო.
 ზვიადაურსა გლოვობდა
 შფოთვა და გლოვა წყლისაო,
 ნიავად ჩამონადენი
 ოხვრა მალალის მათისაო.
 ცრემლი ნისლეების ჯარისა
 ნაბრძანებია ღვთისაო,
 და წყაროს პირზე დიაცი,—
 ტურფა, ლამაზი,—ქისტისა,
 შუბლზე და მკერდზე წყალს ისხამს,
 დრო და დრო გული მისდისა.

ბევრი იტერა ჩუმიდა,
 თუმცა დრო და დრო ჰკრთებოდა;
 ზვიადაურის სიკვდილი
 თვალებში ელანდებოდა.
 სტიროდა, მაგრამ ტირილი,
 არ იყო, ეხატებოდა:
 ერთ მხრივ ხათრი აქვს თემისა,
 მეორით—ლმერთი აშინებს;
 ქისტეთის მტრისა მოზარეს
 თავს რისხვას გადმოადინებს.
 ეს ფიქრი გონებისაა,
 გული თავისას ჰშვრებოდა,
 კაცის კაცურად სიკვდილი
 გულიდან არა ჰქრებოდა.
 ქალის გულს იგი სურათი
 შიგ გაეყარა ისრად;
 იმან დაადეა ლამაზსა
 დაკლულის გლოვა კისრად;
 სიბნელეს უცდის, მივიდეს,
 ღამით იტეროს მკვდარიო;
 იმას აღარა ჰფიქრობდა,
 ჯოყოლა როგორ არიო.
 ვის ცოლი ვის ქმარსა სტირის?
 რას სზადის ჰკვაზე მკვდარიო?!
 იქნება ჰკლავენ ჯოყოლას,
 სახლსაც შეუხსნეს კარიო!
 წამოდგა, იხედებოდა,
 როგორც დამფთხალი ნადირო,

ხედნებ-ხედნებით ამოვლო
 ხევის კლდიანი ნაპირი;
 წყვდიაღში საზარლად ისმის
 წყალთ ანაძრახი საყვირი.
 ამოვლო კრძალვით საფლავთან,
 მკვდარს მუხლ-მოყრითა დაეყრდნო,
 ქვითინებს გულ-ამოსკვნითა,
 ცრემლსა სიბი ქვა დაგდნო.
 აიხსნა დანა, მიჰმართა
 ზვიადაურსა იმითა,
 ააქრა ნიშნად, სახსოვრად
 სამი ბალანი პირითა,
 ჩიქილის ტოტში შეჰხვია
 ბროლის თითებით თლილითა...
 ეს რა ხმა ესმის, დჰანდგარი?
 ყურებს გაუდის ჟივილი...
 საფლავებიდამ მოესმის
 მკედრების წყრომა და ჩივილი!
 თითქოს ბაღლებიც ატირდნენ,
 გაუდისთ მწარეთ წივილი!
 საერო წყრომის ხმა ისმის,
 საერთო გულის ტკივილი:
 „რას შვრები უნამუსოვო“,
 გამწარებულნი ჩიოდნენ,—
 „მაღალი ღმერთი გრისხავდეს“!
 სამართ შემოჰკიოდნენ.
 აჩქარებული ღრუბლები
 ცის პირზე გადმოდიოდნენ.

ვიქცა, მირბის, იხედავს,—
 მკვდარნი მისდევენ სწორია.
 „შინით სად გაგვეზღვევები,
 იქით თუ გაგვეშორია?!“
 ხმა ისმის დანადევნები,
 მასვე ეძახის გორიო,
 გორშემო დაყუდებული
 განა ერთი და ორია.
 „უნამუსოვო!“ მისძახდნენ
 ტან-დაწკებილნი დეკანი,
 ბალახნი, ქენი, ქვიშანი,
 იმ არე-მარეს მდებარნი.
 აგერ, საფლაოვით ამოდვა
 მისი მკვდარი ძმა ებარი,
 თავის ტოლებში უსწორო,
 ქისტეთს განთქმული მხედარი.
 თან მიჰკიოდა თავის დას,
 სიტყვა პირს მოსდის მჭებარი:
 „ვაჰ, დაო, დაო, რა მიყავ?
 რისხეა რად დამეც მედგარი?
 მეორე საფლავში ჩამდევე,
 ერთს სამარეში მდებარი!
 მაგით მიმტკიცებ დობასა,
 შენი ჭალობა ეგ არი“?!
 ბილიკზე მოსუნსულუბდა
 სასაფლაოსკე მყეფარი.

VIII

— სად მიხვალ, სადა, წყეულო?
 საითკე მიეჩქარები?!
 ვინ გაქმევს კაის ყმის ლეშსა,
 ძალლო, დაგიდგა თვალები!
 შენს საჯიჯგნადაც გამხდარა
 ზვიადაურის ძვალები!—
 სთქვა ეს ალაზამ და ქვებსა
 ესროდა ხშირა-ხშირადა.
 მირბის და მისდევს შმაგათა
 კლდიანის ხევის პირადა.
 ხმა ისევ ესმის მკვდრებისა,
 მას ბანს აძლევდნენ მთანიცა,
 სამღურავს ეუბნებიან
 ალაზას გიშრის თმანიცა.
 მოუახლოვდა თავის სახლს,
 სინათლე მოსჩანს იქითა;
 უნდა იძახოს: „მიშეგლეთ“,
 ხმა მიაწვდინოს შიგითა.
 მაგრამ ვერ ამბობს ვერაფერს,
 ოფლი წყლოდ მოსდის შუბლზედა.
 მივიდა სულ-შეხუთული
 და გადაიქცა ზღუბლზედა.
 კერის პირს იჯდა ჯოყოლა,
 მუხლი გადევდო მუხლზედა.
 „ვაჰმეო“ ეს კი იძახა,
 სიტყვა გაუშრა ენაზე.

ქმარმა მოჰხვია ცოლის ხელი
და მიითრია კერაზე.

— რა დაგემართა, დიაცო?
ჩაეკითხება მშფოთარე,
სხეა სადარდელი მაკლია,
ეხლა შენ მექნა მოზარე?!
რა დაგემართა, რა არი?
მითხარ, გახსენი ბავეო?!
ხომ არვინ მოიწადინა
გადაეგორე მკლავზეო?
მითხარ, არ გაქმევ იმის ჯაერს,
განანებ ემავე წამზეო.
ჩემის ნამუსის შებლაღველს
მალე მოვიყუან კევაზეო,
როგორც ვანანე მუსასა,
მიხდომა სხვისა კარზეო. —
პასუხს ელოდა ცოლისგან,
დასჩერებოდა თავზეო,
და თანაც ხანჯარს ჰბლუჯავდა,
ხელი ეკიდა ტარზეო.
ქალი ვერაფერს ამბობდა,
გაჰმტენარებოდა სახეო.
თავს დასტრიალებს ჯოყოლო,
ელის, რას ეტყვის ცოლითა,
შუალამის დროს ალაზამ
თან-თან მოიკა გონია.
უთხრა ჯოყოლოს: — რას ამბობ?
თავი რად დაიღონია?

რად მოიგონებ იმასა,
 რაიც არ მოსაგონია.
 სულ ტყუილია... კაცისა
 არსად მინახავს ჭაჭანი,
 ვინ გამიბედავს მაგასა,
 რად მინდა ლეჩაქ-კაბანი?!
 სასაფლაოდამ დავბრუნდი,
 შენს ცხენს ვეძებდი ხევებში,
 ცხენის მაგივრად ბელ-კრული
 შიგ გვევროე დევებში.
 დამიხვდა შავ-ნაბღიანი,
 უზარ-მაზარის ტანისა:
 ჯერაც თვალებში მიელოავს
 სიმყრალე იმის კანისა;
 დიდ-ყურა, კბილებ-ლაჭუნა,
 უმსგავსო, ფერად შავისა.
 ხელები გამოამიწოდა,
 დიდი ხელები თავისა,
 მთის ოდნად სჩანდა მის თავზე
 მოშავფრო ქუდი ტყავისა;
 თან მითხრა: ჩემთან წამოდი,
 ჩემთან იცხოვრე, ქალო,
 ბევრი მაქვს ოქრო და ვერცხლი,
 არაფერს დაგიმალო;
 მე გამოვიქეც, შეეშინდი,
 დევიც მომდევდა ღრიალით;
 შთელი ქვეყანა იძვროდა
 იმის ფეხებ ქვეშ გრიალით;

შხარაფდა ეს ხმაც, მთა-ბარიც
წაღმა-უკუღმა ტრიალით,
ქლივს მოვალწიე და გამცნე
ჩემი ვაება ხრიალით.

ჯოყოლო ეტყვის: დევს გარდა
სხვა რამ საჭმეა კიდევა,
ჩემს კვეს არ სჯერა ნათქვამი,
ჩემი ფიქრები ირევა.

ნამტირალევი რაღა ხარ?
ღაწვებზე ცრემლი გდენი;
ჩქარა სთქვი, სწორედ მითხარი,
თორემ ვერ მომითმენია!
სადარღო, საგულისხმო რამ
გრძნობა გულს გადაფურენიო.
ჩემს თვალებს ვერ დაემალვის
იმ გრძნობის ნაკვალევი;
არ შიიძლება, არ დაჩნდეს
ნასვამი, დანალევი!..

— რა დავიმალო, ჯოყოლოვ,
ან რად შემრისხავ თქმისადა? —
ეტყოდა ცოლი და ნახი
თართოლა მიეცა ხმისადა: —
ცრემლები შემიწირია
იმ შენის მეგობრისადა.
ქლიერ შემბრაღდა ბეჩაფი,
რომ უცხოეთში კვდებოდა,
არც ნათესაფი, არც მოძმე,
რომ ვისმეს შეჭბრაღებოდა!

გული ვერ მოჰკლა მტრის ხელმა,
 გული გულადვე რჩებოდა.
 და ამ სურათის მნახველი
 ერთი დიაცი ბნდებოდა,
 ცრემლებს მალავდა ლიმაზი,
 ხალხზე უკანა დგებოდა;
 მოშველებასა ჰლომოზდა:
 „ნუ ჰკლავთ!“! ეძახის გულიო.
 ფიქრობდა ბრან-მორეული:
 ნეტავი მომცა ცულიო,
 ნეტავი ნებას მძლევდეს
 დედა-კაცობის რჯულიო,
 რომ ეგ ვაცოცხო, სხვას ყველას
 გაეფრთხოზინო სულიო.
 ნეტავი იმას, ვინაცა
 მაგის მკლავზედა წვებოდა,
 ვისიცა მკერდი ან გული
 მაგის გულ-მკერდსა სწვდებოდა!
 ნეტავი იმას ოდესმე
 ქმრის ტრფობა გაუცვდებოდა!?!..
 ქისტები გაწყრნენ, იტკიცეს;
 ვერ აუსრულდათ წადილი,
 ვერ გაუკეთეს თავის მკვდარს
 მის შესაფერი სადილი.
 დაკლოლმა დაჰკლა მათ გული
 და გაუტრუა ქადილი.
 შეურაცხყოფილ უნდოდათ
 ერთად გაეძროთ ხანჯრები

და გაეკეთათ მკვდრის გვამზე
 სისხლით ნაღები ფანჯრები.
 მაგრამ ვერ ჰბედვენ, სცხვენნიანთ:
 „ცოდვია!“ — ყველა ჰფიქრობდა.
 ხალხის გული და გონება
 სასინანულოდ მიჰქროდა.
 სთქვეს, როცა სახლში დაბრუნდნენ,
 თავ-თავქვე ჩამოდიოდნენ:
 ხომ მაგას არ მოეუკლავდით
 მტრებს, ავს რომ არ სჩადიოდნენ?
 კარგი ვაჟკაცი ყოფილა,
 ყველა ალლახსა ჰფიცავდა,
 იმიტომ ვეთხვებრ გვებრძოდა,
 თავის მიწა-წყალს იცავდა.
 მაგრამ მტერს მტრულად მოექე,
 თვითონ უფალმა ბრძანაო,
 ის სჯობს, რაც მალე ვეცდებით,
 გულში გაეურჭოთ დანაო.
 წაიღიდნენ. ზვიადაური
 ზეზე გაწირეს ტიალად.
 თუნდა ძაღლებმა ათრიონ,
 ფრინველთა ჯიჯგონ ზიარად;
 არ შეეწირა, ეგდოსო,
 ეგეც ეყოფა ზიანად.
 ამას იძახდნენ ქისტები
 თავმოწონებით, ხმიანად.
 ამ ხმასვე იმეორებდნენ
 ბნელი ხევები მთიანად.

ჩამოდგა საღამოს უამი,
 მთიდან მზის სხივი წამოხდა,
 სიბნელე მოიპარება,
 სინათლეს სული ამოხდა.
 დადგნენ, სულ დადგნენ მზის სხივნი,
 აღარ ელავდა ქვიშაო;
 აღარსადა სჩანს, გამქრალი
 თეთრი თმა შავის მთისაო.
 ნაღვლით ნაქარგი, ნაქსოვი
 სახე ამ სალის კლდისაო,
 რომ მუდამ მგლოვიარეა,
 ცრემლი ანკარა სდისაო.
 სიკვდილსა გლოვა უხდება,
 მკვდარ ძმას—ტირილი დისაო,
 ტყესა—ხარ-ირმის ნაფრენი,
 ზოგ დროს—ყმუილი მგლისაო.
 ვაჟკაცსა—ომში სიკვდილი,
 ხელში—ნატეხი ხმლისაო.
 ზვიდაურსა გლოვობდა
 უფოთეა და გლოვა წყლისაო,
 ნიავად ჩამონადენი
 ოხვრა მალალის მთისაო.
 ცრემლი ნისლეების ჯარისა
 ნაბრძანებია ღვთისაო,
 და წყაროს პირზე დიაცი,—
 ტურფა, ლამაზი,—ქისტისა,
 შუბლზე და მკერდზე წყალს ისხამს,
 დრო და დრო გული მისდისა.

ბევრი იტარა ჩუმადა,
 თუმცა დრო და დრო ჰკრთებოდა;
 ზვიადაურის სიკვდილი
 თვალებში ელანდებოდა.
 სტიროდა, მაგრამ ტირილი,
 არ იყო, ეხატრებოდა:
 ერთ მხრივ ხათრი აქვს თემისა,
 მეორით—ღმერთი აშინებს;
 ქისტეთის მტრისა მოზარეს
 თავს რისხვას გადმოადინებს.
 ეს ფიქრი გონებისაა,
 გული თავისას ჰშვრებოდა,
 კაცის კაცურად სიკვდილი
 გულიდან არა ჰქრებოდა.
 ქალის გულს იგი სურათი
 შიგ გაეყარა ისრად;
 იმან დაადეა ლამაზსა
 დაკოულის გლოვა კისრად;
 სიბნელეს უცდის, მივიდეს,
 ღამით იტაროს მკვდარიო;
 იმას აღარა ჰფიქრობდა,
 ჯოყალა როგორ არიო.
 ვის ცოლი ვის ქმარსა სტირის?
 რას სჩადის ჰკვაზე მკვდარიო?!
 იქნება ჰკლავენ ჯოყოლას,
 სახლსაც შეუხსნეს კარიო!
 წამოდგა, იხედებოდა,
 როგორც დამფთხალი ნადირი,

ხედნებ-ხედნებით ამოვლო
 ხევის კლდიანი ნაპირი;
 წყვდიადში საზარლად ისმის
 წყალთ ანაძრახი საყვირი.
 ამოვლო კრძალვით საფლავთან,
 მკედარს მუხლ-მოყრითა დაეყრდნო,
 ქვითინებს გულ-ამოსკვნითა,
 ცრემლსა სიბი ქვა დაედნო.
 აიხსნა დანა, მიჰმართა
 ზვიადაურსა იმითა,
 ააქრა ნიშნად, სახსოვრად
 სამი ბალანი პირითა,
 ჩიქილის ტოტში შეჰხვია
 ბროლის თითებით თლილითა...
 ეს რა ხმა ესმის, დკანდგარი?
 ყურებს გაუდის ჟივილი...
 საფლავებიდამ მოესმის
 მკედრების წყრომა და ჩივილი!
 თითქოს ბალღებიც ატირდნენ,
 გაუდისთ მწარეთ წივილი!
 საერო წყრომის ხმა ისმის,
 საერთო გულის ტკივილი:
 „რას უვრები უნამუსოვო“,
 გამწარებულნი ჩიოდნენ,—
 „მალალი ღმერთი გრისხავდეს“!
 სამართ შემოჰკიოდნენ.
 აჩქარებული ღრუბლები
 ცის პირზე გადმოდიოდნენ.

გაიქცა, მირბის, იხედავს,—
 მკვდარნი მისდევენ სწორია.
 „შინით სად გაგვეხვეწები,
 იქით თუ გაგვეშორია?“
 ხმა ისმის დანადევნები,
 მასვე ეძახის გორია,
 გარშემო დაყუდებული
 განა ერთი და ორია.
 „უნამუსოვო!“ მისძახდნენ
 ტან-დაწკეპილნი დეკანი,
 ბალახნი, ქვანი, ქვიშანი,
 იმ არე-მარეს მდებარნი.
 აგერ, საფლავით ამოდგა
 მისი მკვდარი ძმა ებარი,
 თავის ტოლებში უსწორო,
 ქისტეთს განთქმული მხედარი.
 თან მიჰკიოდა თავის დას,
 სიტყვა პირს მოსდის მჭებარი:
 „ვაჰ, დაო, დაო, რა მიყავ?
 რისხვა რად დამეც მედგარი?
 მეორე საფლავში ჩამდევე,
 ერთს სამარეში მდებარი!
 მაგით მიმტკიცებ დობასა,
 შენი ჭალობა ეგ არი“?!
 ბილიკზე მოსუნსულეებდა
 სასაფლაოსკე მყეფარი.

VIII

— სად მიხვალ, სადა, წყეულო?
 საითკე მიეჩქარები?!
 ვინ გაჰმეგეს კაის ყმის ლეშსა,
 ძაღლო, დაგიდგა თვალები!
 შენს საჯიჯგნადაც გამხდარა
 ზვიადაურის ძვალები! —
 სთქვა ეს ალაზამ და ქვებსა
 ესროდა ხშირა-ხშირად.
 მირბის და მისდევს შმაგათა
 კლდიანის ხევის პირად.
 ხმა ისევ ესმის მკვდრებისა,
 მას ბანს აძლევდნენ მთანიცა,
 სამღურავს ეუბნებიან
 ალაზას გიჟრის თმანიცა.
 მოუახლოვდა თავის სახლს,
 სინათლე მოსჩანს იქითა;
 უნდა იძახოს: „მიშველეთ“,
 ხმა მიაწვდინოს შიგითა.
 მაგრამ ვერ ამბობს ვერაფერს,
 ოფლი წყლად მოსდის შუბლზედა.
 მივიდა სულ-შეხუთული
 და გადაიქცა ზღუბლზედა.
 კერის პირს იჯდა ჯოყოლა,
 მუხლი გადევდო მუხლზედა.
 „ვაჰმეო“ ეს კი იძახა,
 სიტყვა გაუშრა ენაზე.

ქმარმა მოჰხვია ცოლის ხელი
და მიითრია კერაზე.

— რა დაგემართა, დიაცო?

ჩაეკითხება მშფოთარე,
სხვა სადარდელი მაკლია,
ეხლა უნ მექნა მოზარე?!
რა დაგემართა, რა არი?
მითხარ, გახსენი ბავეო?
ხომ არვინ მოიწადინა
გადაეგორე მკლავზეო?
მითხარ, არ გაქმევ იმის ჯაერს,
განანებ ემავე წამზეო.
ჩემის ნამუსის შებლაღველს
მალე მოვიყუან ჰკვავეო,
როგორც ვანანე მუსასა,
მიხდომა სხვისა კარზეო. —
პასუხს ელოდა ცოლისგან,
დასჩერებოდა თავზეო.
და თანაც ხანჯარს ჰბლუჯავდა,
ხელი ეკიდა ტარზეო.
ქალი ვერაფერს ამბობდა,
გაჰმტკნარებოდა სახეო.
თავს დასტრიალებს ჯოყოლა,
ელის, რას ეტყვის ცოლია?
შუალამის დროს აღაზამ
თან-თან მოიცა გონია.
უთხრა ჯოყოლას: — რას ამბობ?
თავი რად დაიღონია?

რად მოიგონებ იმასა,
 რაიც არ მოსაგონია.
 სულ ტყუილია... კაცისა
 არსად მინახავს ჭაჭანი,
 ვინ გამიბედავს მაგასა,
 რად მინდა ლეჩაქ-კაბანი?!
 სასაფლაოდამ დავბრუნდი,
 შენს ცხენს ვეძებდი ხევებში,
 ცხენის მაგივრად ბედ-კრული
 შიგ გვევროე დევებში.
 დამიხვდა შავ-ნაბღრანი,
 უზარ-მაზარის ტანისა:
 ჯერაც თვალეებში მივლოყს
 სიმყრალე იმის კანისა;
 დიდ-ყურა, კბილებ-ლაჭუნა,
 უმსგავსო, ფერად შავისა.
 ხელები გამომიწოდა,
 დიდი ხელები თავისა,
 მთის ოდნად სჩანდა მის თავზე
 მოშავფრო ქული ტყავისა;
 თან მითხრა: ჩემთან წამოდი,
 ჩემთან იცხოვრე, ქალოა,
 ბევრი მაქვს ოქრო და ვერცხლი,
 არაფერს დაგიმალოა;
 მე გამოვიქეც, შევშინდი,
 დევიც მომდევდა ღრიალით;
 შთელი ქვეყანა იძვროდა
 იმის ფეხებ ქვეშ გრიალით;

შზარაედა ეს ხმაც, მთა-ბარიც
წაღმა-უკუღმა ტრიალით,
ქლივს მოვალწიე და გამცნე
ჩემი ვაება ხრიალით.

ჯოყოლა ეტყვის: დეეს გარდა
სხვა რამ საქმეა კიდევა,
ჩემს ჭკვას არ სჯერა ნათქვამი,
ჩემი ფიქრები ირევა.

ნამტირალევი რაღა ხარ?
ლაწვებზე ცრემლი გდენია;
ჩქარა სთქვი, სწორედ მითხარი,
თორემ ვერ მომითმენია!
სადარღო, საგულისხმო რამ
გრძნობა გულის გადაფრენია.
ჩემს თვალებს ვერ დავმალვის
იმ გრძნობის ნაკვალევია;
არ შაიძლება, არ დაჩნდეს
ნასვამი, დანალევია!..

— რა დავიმალო, ჯოყოლავე,
ან რად შემრისხავ თქმისადა? —
ეტყოდა ცოლი და ნაზი
თრთოლა მიეცა ხმისადა: —
ცრემლები შემიწირია
იმ შენის მეგობრისადა.
ქლიერ შემბრაღდა ბეჩავი,
რომ უცხოეთში კვდებოდა,
არც ნათესავი, არც მოძმე,
რომ ვისმეს შეჭბრაღებოდა!

მაგრამ, როს ჰკლოვდნენ ხანჯრითა,
ოდნავაც არა ჰკრთებოდა.

იქნებ: უნც გცოდე, ღმერთსაცა,
მაგრამ ვიტირე, რავექნაო!

— მაგისტის როგორ შეგრისხავ,
ტყუილს სჯობს სიმართლის თქმაო.
იტირე?! მადლი გიქნა,
მე რა გამგე ვარ მაგისა?
ღიაცს მუღამაც უხდება
გლოფა ვაჟიციის კარგისა.

IX

მეორე დილას აღაზამ
ძროხა გარეკა მთისაკე,
ჩამოდოდნენ ფრინველები,
იზიდებოდნენ მკვდრისაკე;
აღაზაც მიიპარება
სასაფლაოს თავს კლდისაკე;
იქილამ აფთხობს ყორნებსა,
სვავთა მხარ-მოფართაშეთა,
ორბებსა გაუმიძღრებსა,
მკვდრის ლეშზე მოკაშყაშეთა;
ხელს ამუშავებს და ჰმაღავს
თვალებს, მზებრ მოკაშყაშეთა;
კლდილამ გადისვრის კენჭებსა
და თან წინდას ქსოვს ვითომი,
ოსტატობს, ხალხმა ვერ შესძლოს
იმის ფიქრების მიხედობა.

X

ბისოს მოვიდა ამბავი,
 ვით ნაქუხარი მებადა:
 „მოუკლოვთ ზვიდაური,
 ცით ჩამოსული სეტადა;
 ფშავ-ხევსურეთის ფარ-ხმალი,
 გამოსადგვი მეტადა“!
 შევის ამბისა გამგონეთ
 ზარი გამართეს დედათა.
 ბისოს სტიროდა ბებერი,
 მოსთქვამს, ქვითინებს მწარედა:
 „ბედ-კრული რად ვარ ცოცხალი?
 მეც მიწას მიმაბარეთა;
 მკლავნი მაჩვენეთ შეილისა
 მოიტათ, ჩამაბარეთა!
 ჩემის შეილისა მარჯვენით
 გულს მიწა მომაყარეთა;
 ვაჰმე, რადა ვარ ცოცხალი?
 რისთვის-ლა ვსთელავ არეთა?!
 მკვდარნი, რად არ მეც აღრევე
 თქვენთან არ დამიბარეთა?
 როგორ ვიგონო თავის ძე
 ურჯულოს არ-მარეთა“?!
 ვაჟაკთ გაიგეს ამბავი,
 გასაგონარი ჭირით,
 ერთმანეთს გადაედრანენ
 ბოლმით შექუთლის ბირითა:

რად გიკვიროთ, როცა ჩვენს მფარველს
 ცხარის ცრემლითა ვსტირითა?!
 გამოიტანეს უბებში
 დუმით ნაპოხის ცხვრითა,
 ფარ-ხმალით მოკაზმულები
 ჯარს ამზადებენ დილითა.
 ეს ხომ ახალი არ არის,
 სისხლმა იდინოს მილითა.
 იძახის აპარეკაი:
 „საგძალი გინდათ კვირისა“!
 — „ქუდზე კაც უნდა წაფიდეს“! —
 ბაბურაული ჰყვირისა.
 აღელვებულთა ბორგენაა,
 ხმა არ გეგონოსთ სტირისა!

XI

კარში გამოდი, ჯოყოლოვ,
 წყნარად ნუ სწევხარ კერასა,
 რამდენი ხალხი მოერტყა
 იმ ჩვენის მთების წვერასა?!
 ჩვენთან მოდიან სტუმრადა,
 ჩვენ გვიპირობენ წვევასა,
 შეგვანანებენ დედათა
 შეილთა აკვნების რწვევასა.
 საქონელს ერეკებიან,
 რეულობაა როგორი?!
 ააესო ჯარმა, შეჰხედე,
 ჯარევის თავი, სამ-გორი,

დამთხვალთა მენახირეთა
 კლდეების მოსდევს ნაგორი.
 წადი, უშველე თავისებს,
 მტრის დასახედრად მირბიან,
 შენც ისე წადი, ჯოყოლაფ,
 როგორაც სხენი მიდიან.

— გავეყვე?! რას ამბობ, ჭკეპა-თხელო?
 არ გამაფლევინ ახლოსა!
 მარტოკამ უნდა ვიომო,
 მთელმა ჯარეგამ მნახოსა;
 ვინ ერთგულია, ვინ არა,
 ჭკეყანაჲ დინახოსა.
 ქისტებს ორგული ვკონივარ,
 გამდგარი თავის რჯულზედა,
 ჰფიქრობენ, ვითამ ჯოყოლამ
 თავი გაჰყიდა ფულზედა,
 ქისტეთის მოღალატე ვარ,
 ხელ-აღებული სულზედა;
 მოაქეთ და ცოცხალს მადებენ
 საფლავის ქვისა გულზედა.

ამას ამბობდა ჯოყოლა,
 თან აბჯარს ისხამს ტანზედა:
 წელზე შაიბა ფრანგული,
 თოფი გადიგლო მხარზედა,
 ქისტს არ მათუდის ჯიშობა,
 მუზარადის დგმა თავზედა.
 მარტოკა მიდის ცალს მხარეს,
 თავ-დადებული ცდაზედა,

მტრის დასახვედრად ხეენიცა
შამოეფინენ მთაზედა.

XII

ჩამოდის ხევსურთა ჯარი
დროშა მოჰქონდა წინასი;
მომხრთეს სასაფლაოსა,
მღუმარეს ქისტთა ბინასა:
მოძებნონ თავისი მკედარი,
მოკრიბონ გმირის ძვალეები,
ზვიადაურის მტანჯველთა
ძირში მოსთხარონ თვალეები.
დაუხვდათ ქისტის ჯარიცა,
ხევ-ხევის პირას მალულთ;
შამოესროლეს თოფებთ,
მაერები შემოსალტულთ;
გზას არ უთმობენ ხევსურთა
ბიჭები ამოსხარტულთ.
ორივე მხრიდან თოფებსა
ზედ დაკეცივით ისერიან,
ორსავე საქმე აწუხებს,
ორნივე მდდგრად იბრძვიან.
ბლომად დალია ტყვიამა
სისხლი, — მოძოვა ქუჩია,
მაინც არ გატყდენ ქისტები,
სდგანან ვით ციხე-ბურჯია.
ბაბურაულმა ხევსურთა
ხმალ-დამხმალ ჩახვლა ურჩია.

მივიდა საქმე ხმაღზედა,
 ფარმა გზი მისცა საკაფი,
 საძვეარი აქვთ ხეესურთა
 ძვირი განძი და ილაფი.
 ფარო, ნუ ჰმტყუენობ გორდისა,
 შენა ხარ მაგის ჯალათი;
 თავქვე მორბინალოთ ხეესურთა
 წინ: კლდე დაუხვდათ წარაფი.
 კლდიდამ გადუხტა უეცრად
 ქისტის ხმაღ-მოღერებითა,
 აკვირვებს ქისტის ლაშქარსა
 მტრის ჯარის მოგერებითა.
 ზოგს მოტყუება ეგონა,
 ამბობდნენ,—მოჩვენებითა:

„ეგ ვინ უხვდება ხეესურთა?
 ჩვენი მხარეა, ვინ არი?
 ის უნდა ჯოყოლა იყოს,
 სწორედ ნამდვილად ის არი!“—
 სთქვა ერთმა, სხვანიც დასთანხმდნენ,
 გოცვებულნი უცქერენ.
 როგორ არ უფრთხის გროვისა,
 თუმცა ხმაღ-ხანჯრებს უღერენ.
 მოჰკლეს კიდეცა, იქცევა,
 მკერდს ხანჯრის წვერით უწვრტენ.
 ეხლაც მასხარად აგვიგლო,
 წინად ხომ ბევრჯელ აგვრია,
 სოფლისა გადრა ინდომა,
 ჩვენ-კი ტალახში ვაგვრია.

მარტოკა მტრის ჯარს დაუხვდა,
 სწორედ დავლათით დაგერია.
 ხევსურთ ჯოყოლა გასწირეს
 მკვდარი, კლდის თავსა, კეტამზე.
 თითონ დაესხნენ ქისტებსა,
 ჩამოეფინენ ფერდაზე.
 გახდა ხმალ-ხანჯრის ტრიალი,
 დაკრული მიდის მკერდამდე;
 ფარ-ხმალის ჩხერა, წკრიალი
 ცას აღიოდა ლმერთამდე.
 გაიქცა ქისტის ლაშქარი,
 კოშკებს მიჰმართეს გრიალით,
 უკან მისდევენ ხევსურნი,
 თავზე ჩაჩქნების პრიალით;
 მოკრიბეს სასაფლაოზე
 ზვიადის ძეგლები ტრიალით:
 ზოგი სად ეგდო, ზოგი სად,
 ფრინველთ ნაჯიჯგნი ფრიალით;
 მოკრიბეს ძეგლები ხურჯინში
 და გამობრუნდნენ შინათვე,
 გამოირეკეს ცხვარ-ძროხა,
 გადმოაფლიეს მთაწია;
 ამოიყარეს მტრის ჯაგრი,
 ხადარლო რაღა არია?!
 უცხოეთს მიინც არ დაჰრჩათ,
 შინ მოაქვთ თავის მკვდარია,
 ფშავ-ხევსურეთის იმედი,
 ქივ-ციხე, რკინის კარია.

მოძმენი დაიტირებენ
 თავის მკვლარს თავის წესზედა,
 მიიბარებენ სამარეს
 მამა-პაპათა გვერდზედა:
 ძვირად ღირს დანადინარი
 თავისის ცრემლი მკერდზედა!

XIII

— უცხოთა კაცისა მოზარევ,
 ხევსურთ მოგიკლეს ქმარია.
 წადი, იტირე, ილაზავ,
 სამარეს მიიბარია.

თავს დაჰყრანტალებს ყორანი,
 წვერ-უღვაშს უცრის ქარია.

— შენს მტერსა ისეთი ყოფნა,
 რო ჩემი ყოფნა მწარვა!
 აღარვინ მივლის ახლოსა,
 არვინ მიჰირა მხარია.
 იქვე დავმარხე კლდის თავზე,
 საფლავიც გაუთხარია;
 სუყველამ ზურგი მაქცია,
 ყველაყა განზე მდგარია.
 სასაფლაოც კი შემიკრეს,
 რო დამემარხა ცხედარი:
 ჯოყოლამ გვილალატო,
 მაგის ადგილი ვგ არი,
 სოცა მარტოკა ომოზდა,
 ჩვენთვისა ჩირქის მცხებარი,

თემის პირისა გამტეხი,
 ორგული, დოჟდეგარი.
 ცეცხლი მწვავს, ძმაო, ცეცხლი მწვავს,
 უალო, მოუღებარი;
 გულს მიკლავს, გონებას მირევს
 ფიქრები გაუგებარი
 ცოლი სტიროდა ჯოყოლას,
 ცრემლს ასხურებდა ხშირად.
 არჩვი ყელ-გადაგდებული,
 თმა-ხშირი, მთვარე პირად,
 ეკერებოდა გულ-მკერდზე
 ქმარს მარგალიტის ღილადა.

XIV

ღამეა ბნელი, დენგმაა,
 დგანდგნარებს არე-მარეო.
 ღმერთო, მოჰხედე ტანჯულთა,
 უშველე, შაიწყალეო!
 კარგი კარგია მაინცა, —
 ბეჩაფი შაიყვარეო!
 ტანჯულთა ლოკვა-მუდარა
 გულს ვარდად დაიყარეო!
 თუ არ უშველო, საწყლოების
 სულეები მიიბარეო!..
 გეყო მაგდენი მუქარა,
 ღრუბელო, გადიყარეო!
 მდინარე-მოჰქუხს, მროსხანებს,
 ზედ ასქდებოდა ლოდებსა,

დღესაც ისევე ბოროტობს,
 არ იცის, რისთვის ჰგოდებსა.
 არ ეშინიან ტანჯვისა,
 იმან არ იცის სიკვდილი.
 ერთი რამ იცის მხოლოდა:
 ცრემლის ღვრა, მაღლა ყვირილი,
 მუდამ ეამს უცინარობა,
 მარტო ტირილი, ტირილი...
 ქარი სცემს დაბლა ხევებით,
 ჩამოკიჟინებს მთებია;
 ქალი სდგას, მდინარეს დასცქერს,
 კლდეზე გაშლილის თმებითა;
 სხივ-მიხდილ ვარსკვლავს მაგონებს
 მკრთალად მთრთოლარის ყბებითა.
 არ იღებს ხმასა... შემკრთალი
 ჰკრთის, რომ დასცქერის მდინარეს;
 რა საზარლადა ხმაურობს,
 როგორ საზარლად მდინარებს!
 ლაშ-დაღრენილი, სასტიკი
 შავი ხეობა მძვინვარებს.
 „თავს ნუ იკლავო!“ აბა, თუ
 ერთმა ურჩიოს მაინცა.
 დახუჭა ქალმა თვალებში,
 მღწრაფლიად მორეეში ჩაიქცა.
 — რაღად ვიცოცხლო, რაღასთვის?
 ამას ჰფიქრობდა ქალია.—
 ქისტებში ჩემი ერთგული
 კენჭიც კი არსად არია.

ორთავ შევკოდეთ ქისტებსა,
 მათ შამიჩენენს ქმარია...
 მე უფრო დიდი კოდვა მაქვს,
 უცხოხთვის კრემლი ვღვარია.
 წაიღო წყალმა ილაზა,
 ლამსა და ქვიშას შაპრია.

XV

იმ კლდის თავს, საცა ჯოყოლა
 მოჰკლეს ხვესურთა ბრძოლაში,
 ღამ-ღამ ჰხედავენ სურათსა
 ზეავისგან ნაგულის გორაში:
 კლდის თავს წადგება ჯოყოლა,
 სასათუღოსკენ იძახებს:
 „ზვიადაურო, ძმობილო,
 რად არ მაჩვენებ შენს სახეს“?!
 სასათუღოდამ წამოვა
 აჩრდილი ფარ-ხმალიანი,
 გულზე უწყვია დაკრეფით
 მკლავები სამკლავიანი.
 მივა და მიქსალმება
 თავის ძმობილსა მღუპარედ.
 იქვე ალაზაც ამოდის
 სახე მოწყენით, მწუხარედ.
 ენთება ცეცხლი მით გვერდით,
 მკრთალადა ბეჟტავს მთაზედა;
 იმათ ჰქასპინძლობს ალაზა,
 ჯიხვის მწვადს უწვავს იღზედა.

ვაჟკაცობისას ამბობენ,
 ერთ-ერთის დანდობისასა,
 სტუმარ-მასპინძლის წესზედა
 ცნობის და და-ძმობისასა.
 როცა მათ ჰხედავს ერთადა
 კაცი, ვერ ძღება ცქერიითა;
 მაგრამ ვაჩნდება ჯანლი რამ
 კურუმად შივის ფერიითა,
 დაეფარება სანხხავს
 წერა მწერელის წერიითა.
 ზედ იწევს ჯადოსივითა,
 არ დაიმტვრევა კვერიითა,
 ვერც შეულოცავს მლოცავი,
 არც აიხდება ხელითა.
 მხოლოდ მდინარის ხმა ისმის,
 დაბლა მიქანავს ხელითა
 და უფსკრულს დასცქერს პირი-მზე
 მოღერებულის ყელითა...

ხის ბაჭი

I



ვიმდა, ვლაედა, ღვარები
მთის ფერდობებზე დიოდენ,
ჩაეღოთ ჩაკიფეს ბალახი,
დაბლა ხევებში ხვიოდენ.
მოაგორებდენ ლოდებსა,
ისმის დანდგარი, ჩხერანი.
მთისად მთა დატევებული,
კლდე, კლდეს მობმული, ვერანი,
ირჩევა ღამის წყვილიადში,
საზარლად აყორებული;
ხევში ბობოქრობს მდინარე
მყვირალი, გაღორებული.
გაღმა სხვა მოსჩანს ფერდობი
დიდი, შავი ტყით ფარული,
როსტომის მრისხანება აქვს
და თან სინაზე ქალური.
იქ ბევრი იცის ირემი,
დათვი და ღორი მალუული.

მით მონადირე აწუხებს,
 ქურდულად შემოპარული.
 იქ კაცნი როდი ცხოვრობენ...
 მოკამკამობენ წყარონი,
 ჩალა-ჩადუნას პირს ჰბანენ
 ტურფანი, გასახარონი.
 ნამი ჩამოდის წვიმისა,
 დაბლა ფოთლებზე ხმაურობს;
 ქვეით კი ისევ მდინარე
 მოსთქვამს და იურ-ზაურობს.
 სხვა ხმა არსილამ არ ისმისა
 არც მგელი ღმუის არსადა,
 მელის ხაფილსა, ბუს კივილს
 ვერსად იშოვით. ფასადა.
 გადაიყარა ცამაცა,
 გარსკვლაფნი დაჩნდნენ დასადა.
 სეგლია ნაწვიმოებითა
 ბალახი, ტყე და ფოთოლი.
 კაცი ვინმე ხანს ხის ძირას
 მობუზვით, როგორც თბოლი,
 თოფი აქვს მიყუდებული
 იქვე წიფელზე მარჯვენას;
 მკრთოლადრე ცეცხლი უნათებს
 მკმუნვარეს პირთახსნასა.
 ზის მკერდ-მიპყრობით ცეცხლისკე,
 ჩიბუხს ეწევა დინჯადა,
 კარგად შესახედავად,
 წამოსადეგად, ბიჭადა.

მარცხნით მკერდს სასწრაფო უჩანს,
 თითბრისა, მასრებიანი,
 მარჯვენისკე—საპირისწამლე
 თეთრი, იმ სპილოს ძვლიანი;
 წელზე ხანჯარი არტყია,
 ძმად საგულისხმო, ფხიანი.
 ზის თავისათვის მარტოკა,
 ფიქრობს ხვალინდელს ცდისასა:
 მოჰკლავს თუ არა ნადირსა,
 ფიქრით არკვევდა იმასა.
 ეს დღე ტყუილად იარა,
 ვერსით რას გახდა ღონესა;
 შეხვდა ნადირსა—ვერ მოჰკლა,
 ვითომ ესროლა სწორესა;
 ორჯელ ესროლა ირმებსა
 ახლოს, არც ისე შორესა,
 უჭირველებივ დაიქცნენ,
 თავს უვლებოდენ გორებსა.
 საღამო ხანზე თხარშია
 თავს წამოადგა ღორებსა.
 ესროლა, მაგრამ დაუცდა,
 თავში იშენდა ტორებსა.
 მითომ მკმუნვარებს ვიკაცო,
 ფიქრისას აგებს ყორესა.

II

„ეი, ძმობილო, ძმობილო“!
 გაღმიდან კაცმა იძახა.

შემკრთალმა მონადირემა,
 პირჯვარი გამოისახა:
 — ლმერთო, შენ ჯვარი დამწერე,
 ნუ გამხდი საეშმაკოდა,
 მიშველე, ლომისის ჯვარო!—
 შეშინებული ამბობდა.
 *წამო, ძმობილო, ნუ ჰკრთები,
 კაცი ვარ, პირ-ჯვრის მწერელი;
 ნუ გეგონები ალ-ქაჯი,
 ბორბოტის საქმის მრჩეველი.
 წამო, აქ წამო ჩემთანა,
 გამაირბინე ჩქარაო;
 მე ხომ გეძახი, ესა ვარ,
 სხვაამაც ეს დამაბარაო.
 აბა და რაღას სტორტმანობ,
 შე დალოცვილო, კმარაო! *
 უნდოდა მონადირესა
 ჯერ დეძახა:—არაო.

—ვაჰ, თუ ცუდი რამ მომიხდეს!—
 სთქვა... მიდის... გაეჩქარაო.
 თოფი გადიგლო მხარზედა,
 ხანჯარი მოიგვარაო.
 „მოხვალ, თუ არა, ძმობილო?
 სთქვი შენის ფიქრის ძალაო.“
 — მოვდივარ, თუნდა შამქამო,
 დღე ველარ ვნახო ხვალაო.—
 თან უფრო ნაბიჯს უმატა,
 ფეხ-მარდად გაემალაო.

ბევრგან ხევებზე ჩასვლაში
 კლდეებსაც შეეხილაო.
 და აგერ ქვეით გამოჩნდა
 აყვავებული ქალოა.

— აბა, ვინა ხარ? ვინ მიხმოზ?—
 აქედამ დაახილაო.

„წამოდგე“, ახლოდამ ესმის:
 „ჩემო ძმობილო ბალოა!“

III

ივლო პატარა აღმართი,
 გადაიხედა ქვეითა;
 ყურს უგდებს გაოცებულნი,
 ყაყანი ესმის ხევითა.
 მშვენიერია ტაფობი,
 განათებული ცეცხლითა,
 შემხდარი, შეზავებული,
 ნაკურთხი უფლის ხელითა.
 აქ მას რამდენჯერ უვლია...
 ამას რას ჰხედავს თვალითა?
 ირგვლივ ირწყვება ტაფობი
 ვერცხლის და რქოს წყლითა.
 ხეებს სანთლები აკრია,—
 ცასა სწედებიან აღითა,—
 ყვავილნი ათასნაირნი
 დაკიდებულან თავითა
 დიდრონის ხეებიდანა
 ლალ-იაგუნდის კაფითა.

დაჯარბებული ხალხია
 მწვანეს ხვერდზე დაბლაო.
 ჰკვირობს: — აქ ეს ჯამათი
 საით რამ მოიყვანაო?!
 მართალსა ვხედავ, თუ ესა
 ესტყუვდები, მომეზმანაო?
 „წამოდი, ახლოს წამოდგე,
 არ მოგვენდობი განაო?“.
 ერთმა მის ხელი მოჰკიდა
 და წაიყვანა თანაო, —
 ტურფად შემკობილს ტაფობში
 თამამად ჩაიყვანაო...
 ჩამოსვეს ხალიჩაზედა,
 ღვინოს აწვდიან თანაო:
 გადაჰკრა მონადირემაც,
 დიდხანს არ დაახანაო.
 რა ლეში არის სუფრაზე,
 საით ვინ მოიტანაო?
 სულ თავში გოგოც ვინმე ზის.
 ტურფა, ლამაზი რამაო.
 ჰკვიდამ არია სტუმარი
 იმის ნისლივით თამაო.
 წამოდგა ქალი ფეხზედა, —
 თითქოს იეღვა ცამაო, —
 ჰაერში გაიკრიალა
 მისმა ზარივით ხმამაო:
 „ნება გაქვთ პური მიირთვათ,
 ეს მოგახსენათ მთამაო!

და შენც, სტუმარო ღეთისაო,
 ამას გთხოვ, იყო ფთხილად;
 ძვალეები არ დაგვცკარგო,
 რაც მოგერგება წილადა“.

IV

აქამდის დაუქმებულნი,
 შეუღდგენ პურის ჭამისა,
 ხორცს არიგებდნენ სწორ-სწორად...
 დახსოვნა უნდა ამისა:
 ძვალეებს კი, მცირე ნაფხვერსა
 იქვე აწყობდნენ ერთადა, —
 არ დაეკარგათ ცოტაც კი,
 ამად ფრთხილობდნენ მეტადა.
 ღვინოსა სვამდნენ თასებით:
 მადლი ახსენეს მიწისა,
 ვინაც ქვეყანას განაგებს,
 სვეს სადღეგრძელო იმისა;
 „შენც გადღეგრძელოს, ქალია“,
 ბოლოს დასძახეს ისიცა.
 აქ მონადირემ იტრუა:
 წილად ბეჭი ჰხვდა ირმისა,
 „ხელ-უკულმ“ წყალში გადაგდო,
 დღესაც წყალს მიაქვს, მიღისა!
 ძვალეები გოგოს დაუწყვეს,
 იმ ცისკარებით მნათობსა;
 როგორაც ცისა უფალი,
 იქაურობას ამკობსა.

მივიდნენ ძველების სათვლელად,
 ქალთან მოქუჩდნენ ყველანი...
 ხარ-ირმის ბეჭი დააკლდათ,
 საღ მიეფარა ვერანი?
 ეძიეს აქეთ-იქითა,
 ამაო იყო ძიება.
 აერეოლებს მონადირესა,
 თითქოს შემპროდეს ციება.
 „ეპ თუ გაიგეს, — ჰფიქრობდა: —
 შემრისხონ, გამამწარონო;
 მომკლან და აქვე დამმარხონ,
 ზედ მიწა მომაყარონო.
 შემპერთალს ზედ არც კი შეხედეს,
 ბეჭი გათალეს ხისაო,
 და სხვა ძველების ბეჭებში
 ძველად ჩაითვალეს ისაო.
 ქალმა დაწერა ძველები,
 რაც ერგებოდა ვისაო:
 „ამის მოჰკლავსო ქალიცი
 გაზაფხულის ქალის პირადა,
 სადაც ბევრი დგას ჩაღუნა
 ლერწამი იცის ხშირადა“.
 „ეს თიბათვეში მოკვდება
 ბერის ჰერეკის ხელითა,
 როცა მუჯაზედ ჩავალის
 მწვანის ბაღახის თელითა,
 ჩაივლის, ჩათამაშდება
 მადლ-მორეულის ველითა“.

„ამას—ბერიძის ხირიმი
 ღვწალში, წითლის კლდის ძირასა;
 ექნებათ კაი ღლეობა
 ბენავეის ცოლ-შვილს კვირასა“.

აიღეს ბოლოს ხის ბეჭი...
 ვისად დასწერენ იმასა?
 „ეს ყვირილობას მოკვდება,
 ჰნახეთ პარასკევ დილასა.
 ბალიას ანაწერია,
 რაკი ვადიღებს წვიმასა“.
 ახხენეს მისი სახელიც,
 უბარის მონადირესა,
 სწავლობს დღითა და საათით
 გოგონას დანაპირვესა.
 დაწერეს ათასობითა,
 დაასაჩუქრეს ღუნია.
 უკვირს ეს მონადირესა,
 ძირს თავი დაუღუნია.
 იმ დღის ნივალს და ნატანჯსა
 თვალთ მოეკიდა რულია.
 დასძინებოდა ტკბილადა
 და დაუსვენდა გულია.
 არ დავიწყნოდა ბუნებას
 თვისი წესი და რჯულია:
 გათენებულა, მზის სხივმა,
 მთას მოჰკრა,—მართლის სულია.
 ბალახს აღელვებს ნიავი,—
 დამწვარი, დადაგულია.

გამოეღვიძა, აყოლებს
 თავის გარშემო თვალსაო.
 ველარსად ჯამათს ჰხედავს,
 ველარც იმ ტურფა ქალსაო.
 აქ სადღა არის? ვინ ნახავს
 იმ ოქრო-ფერცხლის წყალსაო?
 რა იქნა ყვავილთ კონები?
 კაცს მოსტაცებდა თვალსაო!
 აღარსად ნაცეცხლარია...
 მართლაც, ტაფობი დიდია.
 ხეებზე ყვავილთ მაგიერად
 წვიმის ცვარები ჰკიდია.
 გარშემო მწვანობს ბუერა,
 შუბყა, კენკეშა, დიყია,
 და მაყვალთ თავით-ბოლომდე
 გაედვა ფოთლის ხიღია.
 გაჰღვიძებიყო ყველასა,
 ტურფად გალობენ ჩიტები,
 პირს ჰბანენ ბუნების მგოსნებს
 ციური მარგალიტები.
 ბალახი ჰკოცნის ბალახსა,
 დილის წიაფი ყველათა,
 როგორც რომ დედა მშობელი,
 თავს დასტრიალებს მცველად;
 ფერად-ფერადი ყვავილნი
 თითქოს გაშლილან ხელადა,
 სამოთხეს მომბგონებენ,
 მოციმციმებენ ველადა.

ტრფობისა ცეცხლი ციური
 ბაგეს უღვივისთ ხცელადა.
 მთის ძირში სძინავს შავ ნისლსა,
 სჩანს უზარ-მაზარ გველადა.
 დაბლადამ მთებსა შეჰყურებს,
 შუბლ-მოქუშული, ცერადა.
 მთები კი წარბსაც არა სძვრენ,
 თითქოს დამხდარან მღერადა,—
 ქედები აუღერიათ,
 მუშტებსა ჰმუჭვენ კვერადა.
 „დინჯად იყავით, ჰკვიანათ“,
 ამას გვეტყვიან რჩევადა.
 ლოცვა-კურთხევა უფლისა
 მოდის ხევიდამ ხევადა.
 ტურთა რამ შექმნა ბუნება?
 ასე რამ გააფერადა?..
 გაღმა ხეს სჩიქნის კოდალა,
 ნისკარტს სცემს, დააკრიალებს,
 ცად გადმოსულა არწივი,
 ბუმბერაზადა ტრიალებს.
 ტყე სასოებით სულს იჰცევს,
 წყნარად ფოთოლი შრიალებს.
 მდინარეც დაწყნარებულა
 გუშინდლებრ აღარ ღრიალებს.
 შემოქმედს მადლი შესწირა
 ბალიამ პირჯვრის წერითა.
 ის წუხანდელი ამბავი
 გულში აქვს ღრმადა, ზევითა.

გასწია საშინაოდა—
 დინჯად, ყალივნის წვევითა.
 ფიქრობს, არავის უამბოს,
 რაც ნახა, რაცა სმენია:
 ადვილ სათქმელი არ არის,
 უთუოდ დასათმენია.

V

— რა ჰქენ, ბალიავ? სად იყავ?
 იქნებ ტყუილა იარე?
 გვიამბე მთას-ტყის ამბავი,
 ნანახი გაგვიზიარე.—
 ამას ჰკითხავდნენ სოფლადა
 ბალიას: დიდი, მცირია.
 კარგა ხანს პასუხს არ მისცემს,
 მოუკუშია პირია.

— რა ვქენ, ძმობილო, შენს მტერსა,
 ტყუილ-უბრალოდ ვეთრიე,—
 ბევრგანა ვნახე, ბევრჯელა
 სიათიკ გამოვესრიე.
 ვერას მოვკიდე, წითელი
 ვერ დავადინე ერთხაცა,
 ბევრი ვევედრე ხატებსა,
 სანთელი უნთე ღმერთსაცა,
 მაგრამ მაინც და მაინცა
 უქმად დამიჩია ვედრება.
 უღვთოდ, იტყვიან, და მართლაც,
 აღბათ, არ თუ რა იქნება;

რომ გამემარჯვა, ალბათა,
 უფალმა არ თუ ინება!
 გულში კი ფიქრობს: მაცადეთ,
 ჯერ ჩამოგვიდგეს სთველია,
 ჰნახავთ, თუ არ გავიმარჯვებ,
 არ მომემართვის ხელია.

— იქნება ხელ-შეკრული ხარ,
 ან იქნებ თოფი შეგეკრა
 და იმით ალი, მაკრილი
 თოფის ლიშანზე დაგეკრა!
 შეალოცვინე მკითხავსა,
 მიზეზს გაგიგებს იგია;
 მაგისთანა დროს, ხომ იცი,
 შელოცვინება რიგია.—
 ამის ურჩევდა ბალიას
 მარტიაშვილი გიგია.

— თოფი გექნება შაკრული,
 ლიშანსა ეხედავ სწორადა.
 მეც ბევრჯერ მაგრე მომსელია,
 წასვლა რად გვინდა შორადა:
 ერთისად დამიმიზნებავ,
 მომჩვენებია ორადა,
 უწმინდურს რასმე მოჰკლაფდის
 ძალღოსა, ყორანს, ან ციცასა;
 შეალოცვინე, სჯობია,
 შე დამიჯერე ბიძასა.

— ეგ მართალია, ძოღან სამ
 აქ ცოფიანი დარბოდა;

ის კი მე მოვკალ, სხვა არა,—
ბალიაც ამას ამბობდა.

— დოჯურის ძაღლი? ჰო, კიდეც
იმიტომ ხელი შეგკვრია,
უწმინდურისა მოკვლამა
ვე იცის, მუდამ მაგრია.

შეალოცვინა თოფისთვის,
რჩევა არ დაუწუნია,
თუმცა-ლა სანადიროდა
თოფი არ გაუბრუნია:
სათიბ-სამკელი აღონებს,
ბრუნავს ზაფხულის სუნია.
მოელის ყვირილობასა,
უთმენლად უცემს გულია.

VI

სთველია. ბრძამიანშია
ხარი-ირემი ყვიროდა,
თითქოსა დედა შვილზედა,
გულ-ამოსკვნილი ტიროდა.
ბალიაც პირდაპირ იჯდა,
ირმის ყვირილით ხარობდა:
ანგრევედა არე-მარესა,
სატრფუას მომლოდნე წვალობდა.
მთა-ბარის დაქცევასა ჰგავს,
განა ბუღბუღი გალობდა!
ხარ-ირმის ენებათ დეღვია,
ფურსა ირემსა ჰყვარობდა!

წამოეპარა აქედამ,
 ირემს მოუჯდა ახლოსა;
 ყვირილი ესმის და ცდილობს,
 უნდა გარჩევით ნახოსა.
 რქებს იტრიალებს, ხის ტოტებს
 ამტვრევს რქით, დაბლა ამხობსა.
 უმიზნა, ჩახშახს მოსწია,
 შემოაყენა ფეხზედა,
 უნდა დასხლიტოს ჩახშახი,
 თითს არ მოჰყვება წესზედა.
 ამ დროს მეორე მხრიდამა
 თოფისა ესმის გრიალი...
 უყურებს, დაბარგანაედა
 ხარი-ირემი ტიალი.
 დაეცა მუხლის კვერებზე,
 იბრძვის, ადგომას ცდილობდა.
 რქას იბჯენს, ებრძვის სიკვდილსა,
 გმირი ველარა გმირობდა!
 ბალია დამტკნარებული
 თვის დამარცხებას ჰკვირობდა.
 ცდილობდა ხარი ადგომას,
 ეზარებოდა სიკვდილი;
 სატრფოს დაეძებს თვალვებით,
 სურს ესმას მისი კივილი.
 ვერ გაძღა სიყვარულითა,
 სწადის იმასთან სირბილი,
 ხან მაძღრად ყოფნა მთის უურეთ,
 ბევრი შიში და სიყმილი.

ყველის რად უყვარს სიცოცხლე?
 რად ეჯავრება სიკვდილი?!
 ნატყვიარი სჭირს სუკზღდა;
 სიცოცხლის წამი ჰქრებოდა.
 საბრალო არის ვაი ყმა!
 უნუგეშოდა კვდებოდა!..
 თაგისი სატრფოს ხურათი
 ჰაერში ეხატებოდა;
 საამო წამი ყოფნისა
 სამუდმოდ ეკარგებოდა.
 გადმოეტანა ვაჟაკო
 მოლხენით, აბჯრის ეღერძთა
 და დაბჯინა კისერში
 ირემს ხანჯარა წვერითა.
 მოსჭრა თაგი და გადადვა,
 ჩამოუტყავა ფეხები.
 ბაღია ეხლო გონს მოღის,
 გულს უკლავს დანახედები.

VII

თქვენს მტერსა ისეთი ყოფნა,
 რომ ამას მოსწყდა წელია:
 წავიდა ყურებ-ყურებით,
 ნაბიჯი ჰქონდა ხელია;
 მივიდა მონადირესთან
 და გაუწოდა ხელია.
 — მუდამც ხელ მოგემართების! —
 წინწინ ამის მთქმელია.

შუბლზე კი გაჭარხლებულსა
 ოფლი ჩამოსდის ცხელია:
 რაზე დამლუბე? რა მიყავ?
 საით რას ასჩნდი-გახჩნდია?
 მე ეხლა შენთან, ძმობილო,
 უთუოდ ჩხუბი მწადია.
 მეც მოეპარე ირემსა,
 იქით რომ, ავერ, ფლატეა;
 ამოეძვერ, ამოვიპარე,
 ბექობზე ავებლატია;
 გამოვუმიზნე თოფიცა,
 რა წინ საფარი ავიგე,
 შემოვაყენე ჩახმახი,
 გული ბუდეში ჩავიგე.
 ვეღარ გავიგე და ამ დროს
 შენის თოფის ხმა გავიგე.

— ეგ რისთვის გიკვირს, ძმობილო?
 ალბად, მეც წილი მდებია;
 მეც შენებრ ტყეში დავძვრები,
 შემოვიარე მთებია.
 მოდი ჯერ ტყავი გავაძროთ,
 მერე გავიყოთ სწორადა,
 რა? ვითომ ძმანი ვყოფილვართ,
 გავინაწილოთ ორადა.

რა ეთქმის? ესეც დასთანხმდა,
 ნადირს დაუწყეს ტყავება.
 ბალიაც აღარახ ამზობს;
 ახლა კი ენა დაება.

მხოლოდ ეს ჰკითხა:—ვინ არის,
აქ საით გადმოხვეწილა?

პასუხად ესმის ბალიახ:

— „ბოდბისხვეელი წიწილა“.

ამ დროს მოესმათ გრილი,

ირემმა გადმოირბინა.

— „აბა, ესროლე, ძმობილო,

შენი ჯერია წინ-წინა“.

ამას ეტყოდა ბალიახს

ბოდბისხვეელი წიწილა.

ირემი ახლოს მოუდგათ,

ქორ-ბუდიანი ხარია.

ესროლა თოფი ბალიამ,

იქვე მის მარჯვენს მდგარია.

დაუცდა, თუმცა ფიქრობდა,

უთუოდ მოვკლავ, მაშაო!..

გაიქცა, ირმის ფეხის ხმის

ტყემ მიაძახა: „ვაშაო!..“

უმწერლოდ მწერიც არ კვდებო,

რატომ არ იცი, ვაჟაო!!

წაეიდა, გაქრა ირემი,

დაუცდა თოფი, დაუცდა,

იმედნი უკუოკავო

გაცრუვდა, როდი აუხდა!

მობრუნდა წიწილასაკე.

გაწბილებულის სახითა,

შხედავს, რომ ისიც გამქრალა

თავის გრძნეულის მახითა,

ირემი გატყავებული
 იქვეა სრულად მთლიანად.
 ეს საკვირველი ამბავი
 გულზე დააჩნდა ზიანად.
 „სად წახველ, სად დამემალე?
 სახელს ეძახდა ხმიანად...
 „რა მემართება? რას ვხედავ?“
 ბოლოს ესა სთქვა ჭკვიანად.
 ეძახა, ბევრი ეძება
 დაბლაით, მერე ხიდიამა, —
 მხოლოდ ნიავი ღუღუნებს,
 სხვა ხმა არ ისმის ტყილამა.
 ციავი გადმოსწოლია
 დაბლა ხეობას მთილამა.
 „ეს ჩემი საქმე ყოველი
 მომდინარეობს ღვთილამა“.
 ამაზედ დაღვა ბოლოსა,
 მტკიცედ იფიქრა იმანა;
 მაინც საჯაროდ ამის თქმას
 უფალი იწყენს დიდადა;
 ამომთხრის ძირ-ფოჩიანა,
 საქმე წამივა ცულდადა;
 რაც ვნახე, რაც გავიგონე,
 გულსვე ეხუროს ქულდადა;
 იქნებ ყინმათი რამ არის,
 საქმე რად მოვართო მრულდადა?
 არ ვიტყვი, მაინც არ ვიტყვებ
 თუნდა გამკაფონ ხუთადა.

VIII

ყაყანი ისმის სოფელში,
 ხალხი გროვდება ერთადა,
 რალაც საჭირო საქმეა
 და საგულისხმო მეტადა.
 ყველა ბალიას ეზოში
 მირზის: ქალი და კაცი
 და იარაღში ზამჯდარი
 იქვე ტრიალებს ბალია.
 ზან მონადირეს უცქერენ,
 დაბლაც მიურბისთ თვალია...
 იქ ირმის ლეში აწყვია,
 იქვე ძევს თავ-რქა ირმისა;
 დიდს რქას უქებენ ძალიან,
 ყველას სურს ნახვა ირმისა.
 სახელს ულოცვენ ბალიას
 მოჯარებული კაცები.

— მუდამაც გაგემარჯვება,
 ნუმც კარიელი დამპრჩები.
 საით იარე? სად მოჰკალ?
 დიდი ყოფილა ფრიხდა.
 ბალიამ თავისი საქმე
 ძალიან გააზვიადა:

— ოჰ, რაც ამ ტიალს დავსდიე,
 ორჯელ, თუ სამჯერ გამეკცა;
 კინალამ კლდეზე გაღვარდი,
 კინალ სახლ-კარი დამეკცა:

გაქცეულს ვეტივებოდი,
 გახელებული თან მეცა.
 ირმისა: დადევნაში
 ერთს დათვის წაფაწყდი ნაწოლსა;
 ამოდგა, ამომეტოტა,
 მესროდა ქვას და ნათოხსა,
 მაგრამ მალევე გაიქცა,
 თოფს ვერ გაუძლო ნასროლსა;
 გაიქცა თავქვე ღრილით,
 სისხლი სდიოდა ორგენითა,
 არც ის დარჩება ცოცხალი,
 თუმც ბევრი მწყევლა ბორგენითა.
 უური არ ვუგდე, წავიდა,
 იმ ირემს ვეშურებოდი,—
 გამიეშმიჯლა, დარბოდა,
 რა მღევრად ვეგულებოდი.
 ბოლოს მოვასწარ და მოვკალ,
 ვესროლე, დავაგორია,
 ბედამის წყარო რო ჰქვიან,
 სადც ბრძამიანი გორია.
 — ყოჩაღი არი ბალია,
 სწორედ ამ სოფლის ფასია,
 მაგას ერთს ვაქკაცობაში
 ვერ შევედრებით ასია.
 სწორედ ამ დიდების დროსა
 საქმე რამ: ჰობდა ნაესია:
 ლეშს ედვა ზევით თავთანა
 მხარი,—ეს ყველამ: იხილა,

ამ მხრიდან ბეჭი გადმოხტა,
 თხილივით გამოიყილა.
 დაეცა დაბლა ხალხის წინ,
 აუჩქარებლოდ, წყნარადა.
 არავის ხელი არ ეხლო,
 წადინით, თავის-თავადა.
 სახე იქ მყოფის ერისა
 გადაიღოეს შავადა.
 ბალიაც გაშრა, გაფითრდა,
 მკედარს დაემსგავსა თავადა.
 ველარ უყურებს ბეჭს თვალით
 პირ-დაღებულო... ბნელია.
 სხვებში გასინჯეს ბოლოსა,
 იმას არ ეხლო ხელია.
 მაშინვე ხალხში შევიდა,
 სისხლი გაუშრა, ხმელია.
 გასინჯეს,—მართლა ხისაა,
 ნაოსტატარი კაცისა.
 პირჯვარს იწერდნენ ყველანი,
 „ვიშ-ვიში“ ისმის ხალხისა.
 — აქ რაღაც ღვთის ძალა არის,
 ყველა მთქმელია ამისა.
 გვითხარ, რა იყო? რა მოხდა?
 შენ უკედ გეცოდინება,
 აგვიხსენ, თუ გწამს უფალი,
 ხალხი შენ გელოდინება.—
 გარედან კაცი უძახის
 ბაღიას, პირქვე მწოლელსა.

„არ ვიცი“, ისმის იქიდან:

„ქვეა აღორა მაქვს ღონესა!“

— მაინც გვითხარი, ღეთის მადლსა,

საქმე რად მოხდა ასეთი?

ან ეს ხის ბეჭი რა არის?...

ვისაგან არის ნაკეთი?

„არ ვიცი“, კიდევ მოესმათ

და თანაც კენესა ზედაო.

წაიღეთ, ხორცი თქვენია,

მე არ მექმევა, ვხედავო.

თუ ასე მოვსტყუედბოდი,

რისთვის გამზარდე, დედაო?!

ბეჭს გულ-მოდგინელ სინჯავდა

მოქუჩებული ყრია:

„არ არის მაგის მოკლული“,

თურმე ზედ არა სწერია!

ეს წაიკითხე!... ამასაც

ეძახდნენ: — მოდი, კმარაო!

არა მომხდარა ისეთი,

არ დაჩნდა, დაიფარაო.

აღბად, მოკლული იპოვნა,

ტყუილი ჩავგვებარაო.

ხალხმა სიმართლის გაგებით

ძალიან გაძნარაო.

მონადირემ კი ტყუილით

სიცოცხლე გაიმწარაო.

—
თოფი გაყიდა ბალოამ

და აღარც დადის ტყეშია.

ამბობს, რომ აღორ მექმევა

ძმებო, ნადირის ლეშია!

მ ო ნ ა დ ი რ ე

I



ენაცვლე, ჩემო უირიმო,
რა ენგი მოკიკილია?!
არც ისრე დავბერებულოვარ,
რო სუ კერაჩი ვიჯლია!
სამჯერ ხომ ჩაგფალ მიწაში,
სამი ვათავე აზარი? ¹⁾
ერთი-ლა მიკლავს შეოთხეს,—
შენი საულოფიც მზად არი.
კიდევ სად დაგეტოლები,
გაგახმიანებ მთებშია;
ბოლიმც არ იძაბებოდეს
შენი ყორან-მთის ტყეშია!
საყვარლოდ მაჰრთავს ბებერი
ნამიანს ბალახს ბოლითა,
ვალხინებ საირმეებსა
თოფის ზედი-ზედ სროლითა.—

¹⁾ ასი წმინდა ნადირი.

მიყვარს და საამურია!
 მთანი იწყებენ გუგუნსა,
 რიქრაქზე თოფის მსროლელის
 დაჭლოცვენ დედის ძუძუსა.

მაღე გაიგებს ყორანი,
 თავზე დამძახებს ტიალი,
 კვალზე მასუცვენ სოგები,—
 მიყვარს იმათი ტრიალი.

იზლანებიან ოხრები,
 თვალებს აელეებენ შმაგადა;
 ხელში დამრჩაა ნადირი,
 თუ ტყვიით არი ავადა.

ირმის გულს ყორანს დაუფდებ,
 ლეიძლ-ფირტივი სეავთა ძღვენია;
 დაძღნენ, არა მშურს იმათთვის,—
 კლდეთა ბეჩავნი ძენია!

მინდოდა არწივისადაც
 მეცა პატივი ბევრჯერა,
 მაგრამ სხვის მოკლულს არა სჭამს
 ამაყი, ლალი ჩემ ფერა.

მარტუა დავა მოზვერი,
 არვის იკარებს ახლოსა;
 თუ არ თავის ბრჯდლით ნაშოენსა,
 რჯულია, პირი ახლოსა?!

არც ვის თავისას დაუთმობს,
 არცა ნდომულობს სხვისასა...
 რაც მოსჭარბდება, მეფურად
 სოვებს დაუგდებს იმასა.

- ნეტავ ძმად რად არ მთანიობს,
 ძღვენს რად არ იღებს ძმისასა?!
 როცა გაძლება ვაჟკაცი,
 ისრულებს გულის ნებასა,
 დაჯდება შავი კლდის თავზე,
 საზარლად იწყებს ყეფასა;
 თითქოს ამბობდეს: „ჩემის ბრჯღლით
 მეც გავძელ, სხვანიც გაძლენა“.
 სოფებო, დაგტყდესთ სჯობია
 კლანჭი და მხრები მარჯვენა!
 ნეტავი ერთხელ მყუფარი
 არწივი კიდევ მაჩვენა!..

II

სიზმარში ვნახე წუხელა:
 მჭვარტლის წყლის კოდში ვიღაღი,
 დეკიანს გორზედ შემოვდევ,
 სადაც ირმები ვიცოდი,
 გადავედ ტაფ-ტუფიანში^{*)},
 შამბ-კინქარს მოვედებოდი.

ჩდილის თავს ქორაფლიანი
 პირს იბანს უწონ მთვართა,
 დაბლა წაბლის ტყე გაშლილა,
 დათვის ნამტვრევი ლამითა.
 იქვე კლდე ჰყუდავ ყვითელი;
 მლაშობი ჟონავს მალლითა...

*) ჩავარდნილი იდგილი ტყეში.

უცხო ხმა მესმა: ჯერ-სტვენა,
მემრე „ო, მამო“, შრიალი,
ერთიან ირმების ხრომა
ჩემზე მაილო თქრიალი.

შადგენ ცოტა ხანს მწყაზარნი,
გაფრენ-გაფრენას ლამობენ,
მესმის ხმა, სმენის გამტაცი,
თითქო ღვთი-შვილნი გალობენ.

გორის პირს მაყლოვანშია
ქალი *) გადმოდგა მზებურა;
აი, პირი-მზე *) ტანთ ეცვა,
თავზე ბუერა *) ეხურა.

მეტად ლამაზი რამ იყო,
საამო, სახით ღვთებურა;
ბძამ-ლელოს წინდებსა ჰქსოვდა,
თითებს აქანებსა წყლებურა,
ტანით მომცროა და თმებით
ის არე-მარე ებურა.

ირმის ხროს მოგრეკება,
სახელს ეძახდა ყველასა.
ერთი რქა-მნათი ჯონქაი *)
განგებ იყრუებს სმენასა,
მარტოკა მივა ნაპირად,
არ დასდევს ქალის წყენასა.

ქალი გაჯავრდა, წასძახა,
აჩქამდა, როგორც ზარია;

*) ნადირთა პატრონი.

*) ყვეილია.

*) ზორხენა, მცენარეა ერთ-ფოთლიანი.

*) მგტი სახელია ირმისა, აღერსის გამოშატველი.

„რად მტინჯავ, ბიითალმანო,
 ტყვიამც გეცემა მწარია?
 ანაწერიმც ხარ აგრია
 ზეგვე თორღვიას თოფისა...
 რა კირი გეცა, რა არი?
 ბალახ თუ სჭამე ცოფისა?!“
 გამომეღვიძა ზედაცა,
 რაწამს დასრულდა სიზმარი.
 კარჩი გამოველ, ეინელავედა,
 ამომხდარიყო ცისკარი,
 მრავალან ჩაბრძანებულან,
 მთანი ივარცხნენ თავებსა,
 ნისლეები გადასწოლია
 ჭიაურთიას მხარესა.

III

წუხელ ნანახი სიზმარი
 მითც არ მოცდებო, — ცხადია.
 ამ სიზმრით ბევრჯერ თორღვიამა
 ირმის სუკები სწვა ღია.
 ჭანდრის ძირს ცეცხლი შაფანთე,
 დავაშიშინე მწვადია;
 ეხლო ხარები ყვირიან,
 ღვრივაზე წასვლა მწადია.
 ღემრთო, მას ნულარ შამამთხვევ,
 რაც რომ შამემთხვა ერთხელა,
 ნეტავ თოფს არ აფსევთყავ,
 მონადირობა მეწყევლა.

ადრევ წამოველ სხლოვნითა, ¹⁾
 მას აქეთ ხუთი წელია,
 ივრისას ჩამოვიარე,
 ვერანა ²⁾ გადმოვსთელია.

მზე კიდევ იღვა მთებზედა,
 არ დაძრულიყო ნიაფი,
 ყორან-მთის გადასახედში
 ხარმა დაიწყო ღრიალი;
 სუ დაძრა ჩრდილი, გორ-გური,
 დააწყებინა ზრიალი.

ბევრი რამ გამიგონია,
 ბევრიც მინახავ თვალითა,
 ირმის ყვირილზე ლამაზსა
 ვინ მაიგონებს, —საითა?!

ამოგმინდება ტიალი,
 სურვილით სავსეს გულითა,
 მერმე ზედი-ზედ დაჰკვნესებს,
 ფურის მძებნელი სულითა.

სადაც კი იმას გაუვლავ,
 ასუნებულა ვნებითა,
 დგნალი და შიმელაები
 გადუღვერია რქებითა.

ნაბოტარს ³⁾ დაუღვევია
 ის არე-მარე ტყებითა,

¹⁾ სოფელია.

²⁾ სოფელია.

³⁾ ნაბოტარი, ირემს ყვირილობის დროს მჭის. სული ასდის; სადაც კი გაივლოს, ყველგან, ბალახებზე და მცენარეებზე აბნევს ამ საზარელ სუნს.

თოფი ვაშიშვლე ჩულშიით,
ახლო მიუჯე ქშენითა.

ტაფში მიდამო ბრუნავდა,
უწინ უნახე რქის წვერი,
მემრე სრულ ამაჩინა
რქა ნათლიანი, ტყის ფერი.

ტანი არ უჩნდა ოხერსა;
შიმელაგბი ჰფარვიდნენ,
თოფი არავინ დაჰკრასო,
თითქოს იმიტომ ჰმალვიდნენ.

გავსტეხე ერთი ნალეწი ¹⁰⁾,
დავიბუხუნე ¹¹⁾ სამჯერა,
ფური ვეგონე, მოვარდა,
უნდოდა გული ეჯერა. >

კინაღართ გამანადგურა,
კინალ პირ-და-პირ მეძგერა.
ვაჟკაცის ილეთი ¹²⁾ ჰქონდა,
სქელი კისერი ეღერა.

კაცის ხასიათს ვინ იცნობს?
გასაგებია ძნელადა,
რაც გვიყვარს, რაც რომ გვებრალოვის,
თუ კი ჩავიგდეთ ხელადა,
არ დავინანებთ, გავქელავთ,
მოვეკიდებით მგელადა...

¹⁰⁾ ხმელი ხის ტოტია.

¹¹⁾ ძქამება ისე, როგორც ფური ირემი გადაქრახება ხარ-
ირემს.

¹²⁾ შნო.

მყისვე ჩახმახი ღაღღრიჯე,
 გულზე დავადევ ღიშანი...
 კორაში ¹²⁾ ვნახე, დაემხო ¹³⁾,
 წვერნ გადიქნიფნა რქისანი.
 მე რა ვიცოდი იმ რქათა,
 თუ ნაკურთხნ იყვნენ ღვთისანი!

წამოიწია კენესითა,
 მუხლის კვერებზე მდგარია,
 ვნახე რომ რქებზე უიკეიკებს ¹⁵⁾
 სანთლები, ვარსკვლავთ გვარიც,
 ყურთ მომელანდა წყრომის ხმა,
 მითომ გაეღო კარია.

თვალნ დამრჩინენ გაღმა გორზედა,
 ვნახენ ხავსიან ყორენი,
 საყდარს გუმბათივ დავატყე,
 ზედ ხენი ორნი სწორენი.

ჯავრობა იამის იქითა,
 გამოდგა ვინმე ბერია,
 თოვლივით წვერი გულზე სცემს,
 სულ ანგელოზის ფერია.

ხელშია ყავარჯენივით
 ჯონი რამ დაუქერია,
 მიძახა: „რა ჰქენ, თორღვაო,
 რაად შამიკალ ზვერია!?”

¹²⁾ გასახედი თოფისა.

¹³⁾ გადღენარცხა, დაასკდა ღელა-მიწას.

¹⁵⁾ ჰბრწყინავს.

კარგი, — ჰნახოდი, ბექშია ¹⁶⁾

შენი ცოლ-შვილი სწერია!

ეს სთქვა, მაშინვე მიბრუნდა,
ველარა ვნახე თვალითა.

გავშრი და დავღნი ელდისგან,
წიფელს ეხვევივარ მკლავითა;

თოფი წინ გადამეარდნია...

გამამელვიძა ლამითა,
სეტყვა და წვიმა მომსქლარი
მომგუბებია თავითა.

სტეკლა, ელავდა წამ-უწუმს,
წყალი თავს დამდის ღარითა,
გაქლინთული ვარ ერთიან
ცივის ნაწვიმის ცვარითა.

გავიქე, ჩაველ ხევშია,
დავჯე, დავიწყე ტირილი...
ცეცხლი დავანაჟე, არ დავსდევ,
თუმც მესმის მისი ყვირილი.

ადგილის დედის სამხვეწრად ¹⁷⁾

სანთელი მედვა უბეში,
ჩამოექენ სამი ნაჭერი, —
გაქირვებულის ნუგეში.

შივედი დილით ნასაყდრალს,
შემოუარე ჩოკეთა,

¹⁶⁾ მთის ხალხსა სწამს, რომ წმინდა ცხოველის, შინაურის, თუნდ გარეულის ბექში; ვისაც იგი ეკუთვნის, ან მოუკლავს, — სწერია კაცის ავი და კარგი თავ-გადისაგალი.

¹⁷⁾ მონადირის ჩვეულებად აქვს, როცა უცხო ადგილს მიდის ხანადიროდ, სანთელს წაიღებს, დადგილს დედას. დაუნთოს, რომ იმან ხელი მოუშაართოს.

კარზე სანთლები მივაკარ
 ცრემლის ღვრითა და ლოცვითა.

შაუთქვი ერთი მოზვერი,
 საუკეთესოდ კვებული:
 შამინდე, აგრემც იქნები
 ქრისტეანთაგან ქებული.

საშვილიშვილოდ დამედვას
 შენი წლის თავზედ კურატი,
 ოლომც კი ნუ გამიწყრები,
 ნუ დამალონებ ნურათი...

IV

შენს მტერს, მოკეთეს აშოროს,
 რაც მაშინ ვსჯამე ჰირია,
 ჩემს დღეში ჯავრ-უნახველმა
 ცრემლით ვიბანე პირია!

მე რა ეიცოდი, ირემი
 თუ იქნებოდა ხატისა;
 ნადირი ტყეში ათასი
 სუ წარა-მარად დადისა!

ვარ უსამართლოდ დასჯილი
 ამით მიკვდება გულია.
 ღმერთი და ხატი მგონია
 ჰკვით და გონებით სრულია...
 მაშ, რად დამტანჯეს დალოცვილო?
 რად დამიდაგეს სულია?

რაც სინანული შამეძლო,
თავი არ დამიზოგია;
არცა ვარ ქურდი და ბოზი,
არც ავი, როგორც ზოგია.

ხუთს წელს ვინანე, თოფისად
ზედაც არ შამიხედნია,
ქია რა არი, მისთვისაც
სისხლი არ გამიდენია.

რად გამიმეტა ბატონმა?
რაზედ მომიღვა გენია?!
უნდა დაელიენე სიმწარით
ჩემნი სიცოცხლის დღენია....
ორის წლის უკვენ ჩემს სახლსა
ჩემს მეტი არეინ ჰრჩენია.

სამი ვაჟაკი დავმარხე,
სამნივე საქორწილონი,
ცოლი, და ქალი პატარა,—
ჯერ არ მიელო მირონი.

მაინც ხომ ჩემი სახელი
ცოდვილთა რიცხვში სწერია,
ბარემ მეც სული ამამხდეს,
გული ვერ დამიჭერია.

მინდარის გაგიყვებითა,
ვიხილო ირმის კვალები,
მოვედო კიდევ გორ-გურსა,
ვაცეცო ირგვლივ თვალები,

აფაყანო მეზობელთ
ბაღლი, კაცი და ქალები.

მწყურის სთქვან: კიდევ თორღვასა
გუშინ მოუკლავ ხარია;
გაგვიზიაროს ჩვენაცა
სუკი, ან ერთი მხარია.

1886 წ.

ზ ი ზ ლ ი ა

I

თაღალი (დედა)

მურა შაკამე, ნუ სჩქარობ,
შვილო, სილაღვე დედისა,
ჯერ ვერით გადაფლივს,
კიდევ მასწრობ მთებისა.

გაგლია (შვილი)

რას ამბობ, დედავ, ნეტარა?
განა ქორწილში ვარაო?...
ხმალი რა იქნა აქითა,
ან ჩემი თოფი ხარაო?
ხლარსად სამკლავენი ჩნან,
აღარც ფარი და ჩაჩქანი...
ვინ რა რა ჰფიქრობს გიგლიას
გააღებინოს აღმზნო?¹⁾

¹⁾ ფშავლების ძველის სპარტოლის ძლით, ვისი იარაღითაც კაცი მოკვდებოდა, სისხლი იარაღის პატრონს უნდა ეშლო, თუნდაც იარაღი სხვის ეხმარა.

დუდა

შენ არ მოუკვდე დიდასა,
 შენზედ არ დავუდე მტირალი,
 სხვა მე აქ არვინ მინახავს,
 დილის-კი იყო მყვირალი.
 აბჯარნიც თავისნი ჰქონდნენ,
 თავის ლურჯაზე იჯდაო:
 ცხენზეთ არ ჩამამხდარა,
 თამარს შენ ამბავ ჰკითხაო
 და დაგებარა, აჩქარდი,
 წამო ახალის გზითაო;
 მე საღეკოს ყელს შეუკრავ,
 გიგლია—საყორნისასო;
 ეს ორი გზა აქვს ლეკებსა...
 ჯაერსაც არ შეეკამთ მტრისახო.
 თუ ისრე გადაავლევენ
 ლეკნი გოდერძათ თინასო,
 უთზროდი, თოფი დაჰკროდეს
 იმ დალისტანელს წინასო.

გოგლია

მართლო, ი ქალ-კუპრ რა იქნა?
 იმის ონარი იქნება!

დუდა

შენს საჩოხეს სძახს, სილაღვე,
 და ცხარის ცრემლით იღვრება.

გოგლია

წადი, გამიგე, დედაო,
 შორი გზა მაქვს სავალი:
 მათურის თავი, ხო. შარა,—
 მთები მაქვ გადასავალი.

დედა. (კადის თამართან)

ქალო, გიგლია კითხულობს,
 აბჯართ შენ დაუმალეო?

თამარა

მე. ნუ გაუშვებთ გიგლიას,
 წუხელ ცუდ სიზმარ ენახეო.
 ე მაგას მტერი მოგვიკლავს,
 ცა თავზედ დაგვეხურება.

დედა

სირცხვილი არი კაცისად—
 ქვეყანა დაიმდურება,
 ან კი ისეთი რა ჰნახე?
 შენ ხო არა ხარ მისანი?

თამარა

მე ისი ვნახე, დედაო,
 სხივნი გამქრალიყენენ მზისანი;
 დილეწილები ეყარენ
 აბჯარნი ჩემის ძმისანი.
 ჩვენ ხახ-კარ ჩამოშლილიყო,
 იდგა ოხერი, ტიალი,

თავს დაპბრუნავდნენ ყორნები,—
ჩხაოდნენ, ედგათ გრიალი.
ვტიროლდი, ვაჰშეს ვიძახდი,
თმანიც სუ ჩამომდიოდა;
ჩვენი გიგლიას ლურჯაი
ქალაზე შამოჰხვიოდა.

დედა-

რა გაიგება! ჩვენ მაინც
ვერ დავაბრუნებთ სიზმრითა,
მდევრად ათასჯერ ყოფილა,
ჩემო სილაღევ,— იმითა.
კაცს მიტომ კაცსა ვეძახით,
უნდა წელს ერტყას ხმალია.
მაშ რა უნდა ვქნათ, ხომ ჰხედავ,
ფშავლები მტერმა დალია?!
ახადი ლეკებს აუკლოვ,
ითით წაუხსნამ ტყვეები...
სუ სისხლით გადაუბასრავე
უკვენა ფშავის კლდეები.

(თამარი ადგება, გაიღებს კილობანს და ამოიღებს გიგლიას იარაღს. დედა და თამარი გამოვლენ გიგლიასთან. თამარი ტირილით მისცემს გიგლიას ხმალს, თოფს, ფარს, ჩაჩქანს და სხვა ხომარ იარაღს; უნდა ყოფილიას რამე; მაგრამ ვერ ამბობს, გული ყელში ებჯინება. ამ დროს გიგლიასთან აჩქარებით მოვიარდება შეზობლის ქალი).

შეზობლის ქალი (გიგლიას)

შენს თვალით ენაცელოს შენი და,
შე ფშავის ხევის იმელო!

წადი, დალისტნელთ აჩვენე,
 როგორ ყმებსა ზრდის ჩარგალი ¹⁾,
 სვავებს დაუგდე სადილად
 იმ ძალთა ძალლი სარდალი.
 შამასწვრას ლაშარის ჯგერმა, —
 მოხვიდე გამაჯგებული,
 გეკიდოს მტრისა ხელოები,
 მხარ-ილივი გადაგდებული.
 ჰაი, გიდი, გოდერძათ ქალო,
 ლეკთა სატყვეოდ გახეო,
 მეშვლად მოგვივა გიგლია —
 ფშავის არწივი, ნახეო.
 არწივმა მხარნი დაშალნეს,
 დაპრპიალებდა ფრანგული, —
 მთა-კლდეთაც გააკვირვებდა
 მაგის ლეკისად დაკრული!!

(მეზობლის ქალი ჩამოართმევს გიგლიას ცხენს და შორს გაჰყვება, გააცილებს, დედა და და გიგლიას უკან მისდევენ. თამარი სტირის, დედა გზას დულოცავს).

დედა

ფშაველთ სალოცავმ შამასწვროს
 შენს შინ მშვიდობით მოსვლასა,
 ხერხით მაიქე მტერთანა,
 ნუ გასწევს ჯიუტობასა.
 მშვიდობით! ჯგერი გეწეროს!

¹⁾ სოფელია.

II

არაგვის პირ-პირ აჩქამებს
 გიგლიას ცხენი ნალებსა;
 აქა-იქ ავლებს ლომივით
 იმ ცეცხლ-მოდებულს თვალებსა.
 გახდა გიგლია ხომურას^{*)},—
 საწყინარ ეტყვის მხარია.
 ცუდს ლიშანს არას დაგვიდევს,
 ამობუბუნდა ქარია:
 *წადი, გენაცვლე, ლურჯაო,
 ძალა მიიეც მუხლშია,
 ნათელი ჩამაყენე
 გაბორბტებულს გულშია.
 აგერ ტირიან ტყვეები,
 ელიან ჩვენსა მისვლასა,
 მალ-მალე გამაჰხედნებენ
 ყელსა ახადის მთისასა;
 ამბობენ, სუ როგორ გასწყდა
 ფშავლებში ქუდოსანიო,
 სალექოდ როგორ გაგვხადეს
 ლაშარის-ჯვარის ყმანიო?“

III

ახადს სტიროდა თმიანი
 თინიბექაის რძალიო:

^{*)} მდინარეა.

„აეაჰმე, ჩემო სახლ-კარო,
ვაჰმე, დამიდგეს თვალიო!
აეაჰმე, ჩემო ციხეო,
ნაგებო ქვით-კირისაო,
ჩამოშლილ-ჩამონგრეულო,
გადათელილო მტრისაო!
მამამთილს თოფი დამიკრეს,
დედამთილს ძუძუ მოსჭრესო.
თინიბეჟაანთ ბიჭები
სუ ლუკმა ლუკმა ასჭრესო“.

მზე გორის პირას დაჰკვროდა,
ელამებოდა ჩასვლასა,
გალმა-გამოღმა გრიღები
ტყეს და მთებს უღვმენ ტაბლასა.
უკვენა-ფშავის ქედები
დაწყობილიყვენენ ჯარადა.
ამ დროს შამოჩნდა კალაზედ
გიგლია, მომსხო ტანადა.
ირევა მალლით და ძირით
მაგრილობელი ნიავი,
მიიბრძვის მხედრის ლურჯაი,
მიიბრძვის, მიაქეს თქრიალი:
სუ თან მიაქვის ფეხითა:
ტყე-მთა, ნათოსი ⁴⁾ ტიალი;
არ აბედენებს ⁵⁾ კლდე-ვაკეს,
არსად სჭირდება ტრიალი.

⁴⁾ წყლისაგან გამორიყული ხე.

⁵⁾ არ არჩევს.

ოფლს დახეთქილსა მკერდზეთ
 კვიშაზედ ჩააქვ ჩხრიალი,
 უხდება გაირმებულსა
 რახტის, უზანგის ძგრიალი.

IV

ბინდდება. აგერ გრილებიც
 ასცდენ მთებს, გაქრენ ცაშია;
 გიგლიაც გაჩნდა სოფლის თავს,
 გადაემართა მთაშია.
 ქალმა დაიწყო ძახილი,
 ი რო ტიროდა კარშია:
 „დაო, გეყოფა ტირილი,
 პირ დაიბანე, შვენაო *),
 კმარა ამდენის ცრემლის ღვრა,
 კმარა ამდენი წყენაო!
 გიგლიამ შამაიარა,
 შუქი მისდევდა კვალიადა,
 ავი შენს დამწყევს მიეცეს,—
 ეგ მტერს დახედება ავადა.
 ერთს არ გაუშვებს ცოცხალსა
 და არ მოკვდება თავადა;
 მწედა ჰყავ ლაშარის ჯვარი
 და ეყოლება კვლავადა.
 სუ გასწყვეტს ურჯულოებსა,
 მით სისხლს დაჰლოარებს ბარადა,

*) სხელია ქალისა.

ყინჩად სამ იცის ტრიალი
ომში ჯარად და ტარადა!*

†

მთვარე გამოჩნდა ნალევი,
მახარობელი ქვეყნისა;
აქა-იქ მოჩანს ნათალი,
მწვეტი წვერები მთებისა.
გორ-გორის პირებს მისდევდა
ჯოგი დაღისტნელთ მგლებისა,
ხევებში ჩადგა გრილები,
ისმის ყვირილი წყლებისა.
კლდის თაეზე დასძინებია
არწივს, მოყვარეს მთისასა,
ბორბალა †) ყინულიანი
გულის პირს არღვევს ცისასა;
ერთი ბუ გაღმით კითხულობს
ამბავს გამოღმა ძმისასა.
საყორნის ყელში გამოჩნდა
ჯგუფ-ჯგუფად ხალხი რეული,
ყოყმანობს, წინ ხელას ვერ ჰბედავს
ლეკის ბელადი გრძნეული:
წინაით ესმა ქვის ჩხერა,
ნახა წინწელი †) სრეული.
სთქვა: „წინ ვერ წაველთ, დადექით,
ყური დაუგდეთ შრიალისა,

†) მთა არის, საცა ალაზანს სათავე აქვს.

*) ნაპერწკალი.

ვაჰ, თარეშობას ესეთსა
 ნადავლს და ცდასა ტიალსა!²
 ოსმანამ ლაგმის ტარითა
 ცხენი დაღ¹იჯა ყელშია.
 გაყოხრდება ყველაი—
 სიყვითლემ დაჰკრა ფერშია!
 როგორც ცით ელვა, მოვარდა
 მოყმე რამ სვილის ფეროი,
 ხმალს ატრიალებს გორდასა,
 მაზედ ნათელი ჰფენია...
 ერთი შეფარდნებრ დაჰკვილა:
 „ახლა კი ჩემი ჯერია!“
 შუაზე გასჭრა ცხენ-კაცი,
 შამბს ჰკოცნის ხმლისა წვერია;
 შაიდებება სისხლითა
 ოსმანას ყვითელ-წვერია.
 „აცათ, მაკალეთ, ძაღლებო,
 გეყოთ ამდენი თარეში,
 დიაც-ყმაწვილის ბოჟირი *)
 არავგზე, ფშავლის მხარეში;
 ჯერ არ მომკვდარა გიგლია,
 კოდევ ჯანი აქვ მკლავებში.
 ასტეხა მტერმა ყვირილი,
 დადგა ფარ-ხმალის წკეპანი,
 მიგორაეს ლეკის თავები,
 სისხლს გააქვ დაბლა შებანი:

*) დიწიოკება.

შაჰყარა ერთმანერთზედა
 ის ურჯულოთა ცხედარი;
 ველარ მოუვა დედასა
 ოსმანა ლაშქრით მკვებხარი.
 „ღმერთო, უშველე“, იძახის
 ქალი-ტყვე, ცრემლის მჩქეფარი;
 „უშველე, სხვანი ამბობენ,
 მაგ ჩვენს უცნაურს ვაჟასა,
 ნუ დაჰლოი, წმინდავ გიორგი,
 მაგის კურთხეულს მაჯასა!“
 ცხრა მოკლა, ოთხი გაიქცა,
 ერთი გადახტა ენშია.¹⁰⁾
 წყეულმა ერთ წამს გიგლიხს
 თოფი დაგვიკრა მკერდშია...
 „ვაჰ, დედა თქვენსა!“! ესა სთქვა
 და გადაეარდა ხევშია.
 ბრძამზე¹¹⁾ კიდებით მიგორავს,
 ხმალი უჭერავ ხელშია.
 გადმოხტა გალაღებული
 ლეკი, ეძახის ძმებსაო:
 „მოდით, ნუ სწირავთ ტყვეებსა,
 ველარა ჰნახავთ მტერსაო;
 თოფა ვკარ, ხევში გავგზავნე,
 იქ ლოკს კლდეების მტვერსაო!..“
 ქვითინებს გოდერძათ ქალი,
 მთის ბალახს აბერტყს ცრემლსაო;

¹⁰⁾ გამოქვამული კლდე.

¹¹⁾ მთის მცენარეა, ურო ბალახსავით.

მოდიან ლეკის შვილები,
 ხელს უკიდებენ ხელსაო:
 „წამოდი, ქალო, ნუ სტირი,
 დაბლა ნუ აწყვეტ თმებსაო.
 ფეხშიშველს დაგათელინებთ,
 თინაჲ, თოვლიან მთებსაო“.
 წინ დაიყრიან ტყვეებსა,
 ყუითა სცემენ ხმლებსაო.
 ტყვენი გიგლიას ჰგლოვობენ,
 სტირის გოდერძით ქალია,
 იმის ხმა-მალლა ქვითინმა
 კლდეც აატირა სალია,
 აბიჯებს წარა-უგონთა, ¹²⁾
 მკედრისაკე ჰჩჩება თვალია:
 „ვაჟაკო, შენი სიკვდილი
 ვაჰმე, რა დიდი ბრაღია!
 უნდა დაიქცეს სამყარო,
 გაწყდეს ცარგვლისა ძალია.
 რად არ მე მოვკვდი შენს უწინ?
 როგორ გიგონო მკვდარია“?!
 ხევის პირზედა, ლოდებზე
 გიგლია კვდება კარია,
 არ უნდა გულ-ხელ დაკრეფა,
 კლდეს მიუბჯენაჲ მხარია;
 კვდება გულს უწადინოდ,
 მტრისა მიჰყვება ჯაფრია.

¹²⁾ წარა-მარად.

როცა გიგლია კვდებოდა,
 მთებ სატორელზედ სხდებოდა;
 ერთი ბებერი არწივი
 ზევით კიუხში¹²⁾ წყდებოდა;
 საყორნის თავი მაღალი
 ზედ შუა გულზედ ტყვრებოდა,
 მაღლით მომფრენი მთის წყარო
 სიბრალოლისგან შრებოდა.
 ბეჩავი იმის ლურჯაი
 გიგლიას თავით ბნდებოდა,
 ტოტ დასცის, დაიჭიხვინის,
 თვალებში ცრემლი ჰხლებოდა.
 სამყარომ შავი ჩაიკვა...
 მყვირალი რაღას შვრებოდა?

VI

შორს სამ სალევოს ყელშია,
 ცის-ტატნად¹³⁾ კაცი ჩნდებოდა,
 ხან თავს დააჩენს კლდის პირზედ,
 ხან დიყიანში ხტებოდა.
 გულ უწუხს თხის ტყავიანსა,
 ერთს ადგილს ვეღარ დგებოდა.
 თოფს უცვლის პირის წაშალსა,
 მტერს მოუსვენრად ელოდა.
 ქალის ტირილი შეესმა

¹²⁾ წვეტიანი კლდე.

¹³⁾ რუსები რომ იტყვიან „горышотъ“-ს.

მყვირალს, ამტეხი ზარისა,
 უმეაშფოთები ტყე-ველის,
 მალლა მთის, დაბლა ბარისა;
 ქარქაშში აღარ დგებოდა
 ბასრი ფრანგული კარისა.
 ღრუბლებში დაქსაქსულია
 მკრთალი ნათელი მთვარისა,
 გულს ჩაიშვილავს მალი-მალ,
 მოთქომი სიტყვის მწარისა:
 „ვაჰმე, იქნება მოჰკლესო
 რჯულ ძალთა ჩემი ძმობილი!
 თავზედ დავიდვა სირცხვილი,
 დავრჩე ქვეყნისგან გმობილი!
 ის სამარეში ვიგულო,
 ვიარებოდე ცოცხალი!
 თუ მტრისა ჯაფრი შევჭამო,
 სიკვდილო, მენაც მომკალი!“

VII

ყორანშა გადმოიარა
 ყრანტალით, თავის ღებითა:
 „დაილოცენით, ფშავლებო,
 თქვენის ფშაურის წესითა.
 სანამ თქვენა ხართ ცოცხლები,
 ლეში არ დამაკლდებაო;
 ბევრს ყმას ამოვწვდი გულ-ღვიძლსა,
 ნისკარტი სისხლში წრთებოა.

საყორნის ყელში ცხრას ლექსა
 გიგლიაც თანა ჰყვებოა.
 მე უფრო გამიხარდება,
 როცა ვაუკაცი კვდებაო.
 ღმერთმე მყვირალოსაც უშველოს,
 ხუთს ლექს მამიჭრა თავია,
 ტყვეებიც ახადს მაუდის,
 მაჰყავს გოდერძათ ქალია.
 მაგრამა ტირის ბეჩავი,
 არ შაჰშრობია თვალისა,
 იმის წაცრემლის წისლოებმა
 მეც ამირიეს კვლია:
 იძახის: «ძმაო გიგლიავ,
 შენი სიკვდილი ბრალია!!»

VIII

ცილამ ჩამოწვა ღრუბელი,
 ჩარგალს დაადგა თავზედა;
 ფშავლების ჯარი მომდგარა
 გიგლიას სახლის კარზედა.
 ფშავლის ლამაზი ქალები
 ცრემლებს აფრქვევენ ძალზედა.
 დედა გიგლიას დასტირის,
 ყორნის გამოხრულს მკლავზედა.
 გულის ამოცლაც მოუსწრავე,
 იმ სატილოს წამზედა.
 გიგლია საკაცეში წევს,

გულს უწყევც ხმალი, ფარია,
 გვერდით უწყვია გიშრისა
 ქალთა ნაწნაეთა ჯარია. ¹⁵⁾
 გაისმის აქათ-იქითა:
 „ვაჰმე რა გეშველებო,
 კარგები, იხოცებიან?
 ბეჩავი ხელში გვრჩებაო!“

ხალხში ამბობენ, მთაშია
 დარბის, დახვივის ცხენიო:
 „ვაჰმე, სადა მყავს გიგლია,
 კარგი პატრონი ჩემიო!“

1886 წ.



¹⁵⁾ წყველებს ჩვეულებად აქეთ, თავის ნათესავის სიკვდილზედ.
 ქალი თმას მოიჭრის. ძველად ვაჟკაცის სიკვდილზე ამ ჩვეულებას
 მთელი სოფლის ქალები ახრულებდნენ.

წვერილი ლექსები

(1886—1898)

1941 10 10 10 10
(10 10)

და მ ზ ე უ ლ ი

ქავთარი¹⁾ სათიბს წავიდა,
ცოლს დააბარა ლელოსა.²⁾
„წამამილოდი ხავიწი,
სამხრად პურს ვერ ვსჭამ ხმელასა“.
იმ დღის ქავთარის ნათიბი
გაჰკვირვებია ყველასა:
უსომს ცელს გაფოთებული,
გვრინავს და კივის ვაჟია,
მოელის წმინდის ხმიადსა,
ხავიწს, ჩაწურვილს ჯამშია.
კარაქი, გრბო ტიალი,
ლონეს შაჰმატებს მკლავშია!
მზე დაწურა გორის პირს ..
არსად სჩანს დიასახლისი,
კუჭი გამგელდა საქმლისად,
ქავთარს ფლევა ხალისი.
ბუტბუტებს გაჯაგრებული:
„რა იქნა ის საძაგლისი“!

¹⁾ კაცის სახელია.

²⁾ დედა-კაცს ჰქვია.

ლელას დაფქული არ ჰქონდა,
 წისქვილისათვის იარა;
 დაღამდა ჯავრში, მაშინ-ღა
 ბულაღა ³⁾ ჩაიზიარა,
 ერთან ჯამანი გამოფქვნა,
 მთელი ტომარა კი არა.
 სანამ ფქვილს პურად შეპზელდა
 ქავთარმაც ჩამაიარა,
 ცელ დერეფანში მიჰყულდა,
 სახლის კარ შაჰქრიალა.
 ნაცარსა ჰქექენ ბაღლები:
 კუდურა, ⁴⁾ ნენე ბღვრიალა ⁵⁾.
 „დღედა სადა გყავთ?“ შასძახა,
 თან ჰქერმაც დაიზრიალა,
 არ დაუცადა პასუხსა,
 ზედ მუშტიც დაატრიალა.
 „წისქვილში არი, მამაო“,
 კუდურამ დაიდრიალა.
 აბასტად ბაღლების ხრომა
 კარისკე დაიგრიალა.
 ქავთარი ნამცეცებს ეძებს,
 სულ გადაჰყვენა ვარცლია.
 საუბედუროდ, ტიალი,
 რა-ღა ამ ეშად დასცლია!?
 მარცხენას ყურეს მიჰმართა,

³⁾ კაცის სახელია.

⁴⁾ სახელია.

⁵⁾ ბარად რომ „დაჰყუტილს“ ეძახიან.

გადმაბუღა ხოკრები;
 რა პურს არ შაჭვდა, წიხლი ჰკრა,
 ზედ დააყოლა თოხლები,
 სულ ერთმანერთში არივა:
 მუტრუკ, თიკანი, მოზერები.
 ცოტა ხან უკან დედაცა
 გაჩნდა კარებზედ კრძალოვითა;
 დაფქული იმ დღეს წმინდაცა
 ხელში ეჭირა ჯამითა.
 ქავთარი გადმეგცია
 თავის დედა-კაცს ჯოხითა,
 ბოსლის წინ გაარბენინა
 ერთის წიოკით, თახლოვითა.
 ცოლ-ქმარნი დაჭიმულები
 გასწვრივ ბილიკზედ გადიან,
 მისძახის ლელას ქავთარი:
 „სხვანიცა მაგას სჩადიან?
 ქმარს სამუშაოდ ჰგზავნიან,
 თავად სოფელში დადიან?!
 შე ავის ძუძუთ გაზდილო,
 რა ჰქენ, რა უყავ სამხარი?
 სჯობს შენისთანა რძე-ძაღლსა,
 რო გაუთხარო სამარი!“
 მეზობლისაგან ისესხა
 ბეჩაემა ლელამ პურია,
 ქმარს შაუგორა კარჩიით:
 „გაძელ, დაგიდგეს ყურია!..
 ქავთარმა ხელი პურს სტაცა

ლელას დაფქული არ ჰქონდა,
 წისქვილისათვის იარა;
 დაღამდა ჯავრში, მაშინ-ლა
 ბუღალა³⁾ ჩაიზიარა,
 ერთან ჯამანი გამოფქვნა,
 მთელი ტომარა კი არა.
 სანამ ფქვილს პურად შეჰზელდა
 ქავთარმაც ჩამიარა,
 ცელ დერეფანში მიჰყუდა,
 სახლის კარ შაჰრიალა.
 ნაცარსა ჰქექენ ბალღები:
 კუდურა,⁴⁾ ნენე ბღვრიალა⁵⁾.
 „დღდა სადა გყავთ?“ შახაბა,
 თან ჰერმაც დაიზრიალა,
 არ დაუცადა პასუხსა,
 ზედ მუშტიც დაატრიალა.
 „წისქვილში ირი, მამაო“,
 კუდურამ დაიდრიალა.
 აბასტად ბალღების ხრომა
 კარისკე დაიგრიალა.
 ქავთარი ნამცეცებს ეძებს,
 სულ გადაჰყვენა ვარცლია.
 საუბედუროდ, ტიალი,
 რა-ლა ამ ეშად დასცლია!?
 მარცხენას ყურეს მიჰმართა,

³⁾ კაცის სახელია.

⁴⁾ სახელია.

⁵⁾ ბარად რომ „დაჰყუტილს“ ეძახიან.

გადმაბუღა ხოკრები;
 რა პურს არ შაჭვდა, წიხლი ჰკრა,
 ზედ დააყოლა თოხლები,
 სულ ერთმანერთში არივა:
 მუტრუკ, თიკანი, მოზვრები.
 ცოტა ხან უკან დედაცა
 გაჩნდა კარებზედ კრძალვითა;
 დაფქული იმ დღეს წმინდაცა
 ხელში ეჭირა ჯამითა.
 ქვეთარი გადმეგვცია
 თავის დედა-კაცს ჯოხითა,
 ბოსლის წინ გაარბენინა
 ერთის წიოკით, ფახლვითა.
 ცოლ-ქმარნი დაჭიმულვები
 ვასწვრივ ბილიკზედ გადიან,
 მისძახის ლელას ქვეთარი:
 „სხვანაცა მაგას სჩადიან?
 ქმარს სამუშაოდ ჰგზავნიან,
 თავად სოფელში დადიან?!
 შე ავის ძუძუთ გაზდილო,
 რა ჰქენ, რა უყავ სამხარი?
 სჯობს შენისთანა რძე-ძალლსა,
 რო გაუთხარო სამარი!“
 მეზობლისაგან ისესხა
 ბეჩაემ ლელამ პურია,
 ქმარს შაუგორა კარჩით:
 „გაძელ, დაგიდგეს ყურია!..“
 ქვეთარმა ხელი პურს სტაცა

ჩაჩიქა ნიორ-წყალშია...
 ვის აგონდება ხაფიწი,
 ვის-ლა გაუფლის თავშია?!
 გამოძღა ჩვენი ქაფთარი,
 პირზედ ახცოცდა ღმინია,
 ტუჩებს-ლა ილოკს ენითა,
 როგორც მსუნაგი ფინია.
 გადაგწვადა ფანდურსა,
 დაჰკრა, დაიწყო ღიღინი,
 პატრონის მხიარულებით
 თხამაც დაიწყო კიკინი,
 ანგელოზებმაც ცაშით
 გუნდად გაიდეს ბიბინი.
 კარგს ქეიფზეა ქაფთარი,
 აღარას დასდვა წუნო
 და დატრიალდა ოჯახში
 ტკბილის საუბრის სუნით.



იმედი საზიკაული



აგრი ჰკლავს საზიკაულსა,
შადედებული შხამითა,
კრემლი არ მოსდის თვალეებზე,

გვაეჰვიანებს ამითა...

რკინის გული აქვს ვაგაკაქსა,
კრემლს გულხვევ ასმევს ჯამითა,
საქვეყნოდ დარდსა არ გაჰფენს,
ამონადულარს გვაშითა!

ვაჟს სიბრაღული არ უნდა,

არც ვინ გენუკვით ამისად...

დრო-და-დრო ამოიხენეშებს

მანუგეშებლად თავისად.

შაიბურება ნაღვლითა,

როგორც მყინვარი ნისლითა,

ამშვენებს თავსა ვით მოყმე

მტერზე ხმალ-და-ხმალ მისვლითა.

სოფლისა, თემის ავ-კარგი

კვლავც უტარებავ კისრითა;

ბევრს არი გადმონაყარი,

ეხლაც გულ-მაგრობს იმითა.

— მტერს ხომ არ დაუმარცხებავ,

სიძრცხვილი შეუქმევა?

იქნება გმირი უებრო
 ურჯულოს დაუძლევია?
 ტყვედ მის ცოლ-შვილი წაუსხამ,
 სახლ-კარი დაუქცევია?
 საზიკაულის ქავ-ციხეც
 დაუშლოვ, დაურღვევია?

— მობამ, ჯერ წარბი იმისთვის
 არავის შაურხევია!

— მაშ რა ახენეშებს ვაჟკაცსა?
 რად ზის კარ-დაკეტილშია?
 ხმას აღარ იღებს, ერთ-თავად
 ყალიონი სჩრავ პირშია!
 აღარც საგლოვედ სამ მიდის,
 აღარც გვინახავს ლხინშია!!
 სულ მუდამ როგორ ვავლიოთ
 ლაშქრობა-გასაჭირშია?!

იქნება სიზმარი ნახა,
 ლიშან დაუდგა ცუდია —
 ეზმანა ბედი ფშავისა,
 სიმამრის კარსა ჰყუდია?
 იქნება შვილი მოუკვდა
 ნასახელარი გუტია?

— შვილიც მთელი ჰყავს, დედაცა,
 ციხეც ყელ-მაღლობს ისევა;
 აგებულს შწვანის ლოდებით,
 ვერ ჰზარავს მტრების მორევა.

— რად ჰმალოვ ვაჟკაცის დარდსა,
 გვითხარ, რად სტირის, რაზედა?

ვაჟკაცის დარღის შატყობა
სხეასაც მოიყვანს ჭკვაზედა...

— შეილს ვინ ახსენებს, ან ცოლსა?

მეტი დარდი აქვს მაზედა:
ცხენი მაუკვდა ლურჯაი,
აღარა ჯდება სხეაზედა.
ხატში მით აღარ მოვიდა,
აღარ ჩამოჯდა ჯარზედა.
რითღა წაველის ლაშქარსა?
ლეკებს რით გაჰყვეს კვალზედა?
ვინ-ღა შააშრობს ტყვეებსა
ცრემლს, ჩამომდინარს თვალზედა?
დაჩაგრულების საშველად
ხელს ვინ დაიდებს ხმალზედა?!
ცხენს გაუთხარა სამარე,
დამარხა თავის ხელითა,
დაუღობო ლურჯას ლოგინი
მომხქდაროს ცხარის ცრემლითა.
არ გახდის სვაეთა საქმელად,
ყორნების საწიწკნარადა
ნიავე-ქარივით მოარულს,
როგორც მთას, ეგრევე ბარადა,
ხშირ-ხშირად მხედრის მიმტანსა
ავის დაღისტნის კარადა.
ცხენს გლოვობს საზიკაული,
იმიტომ არის ავადა!

ლ ა მ ე მ თ ა უ ი



აღამდა... წვრილნი ვარსკვლავნი
აყვავდნენ, დასხდნენ ცაზედა;
მთვარე-კი ჯერ არსადა სჩანს,
არ დაგენათოის თავზედა.
ჯერ თუ არ გაუღვიძნია,
ისევ თუ სძინავს მკლავზედა;
ჯერ გამარჯვება არ უთქვამს,
შემომჯდარს გორის ფხაზედა;
სხივნი არ დაუგზავნიან
პირის საბანად წყალზედა.
მგზავრს უჭირს ბნელით გამოსვლა,
დადგომა სწორეს გზაზედა.
მთებს ჩაუცვიათ შავები,
კმუნვით დასცქერენ ხევებსა;
ცივს ნიავს შესთავაზობენ
უფსკრულს მოარულს მდევებსა;
ტყისთვისაც ძაძა ჩაუცვამს
სიბნელეს დანატევებსა.
გორით-გორს ბუვი გასძახის,
თრთიან ყვავილნი მთებისა;

ქაჩორს უვარცხნის ნიაფი,
 დარაჯად დაადგებისა.
 მითამ იციან ლავ-ლუვი,
 რად არ ჰყეფს ჯოგი მგლებისა?!
 წყალი სჩქეფს, ხევი ჩატირის,
 განა ერთი და ორია:
 აქაც, იქ, იმას იქითაც,
 საცა ფერცხალა გორია,
 ლამაზის მთების ასულთა
 ხმა ხმისთვის შაუწონია.
 მადლი შენ, ყველა ერთმანერთს,
 უფალო, დაუმონია!
 ამაზე ტურთა და კარგი
 მე სხვა აღარა მგონია!..
 ხევი მთას ჰმონებს, მთა—ხევესა,
 წყალნი—ტყეს, ტყენი—მდინარეთ,
 ყვავილნი—მიწას და მიწა—
 თავის აღზრდილთა მცენარეთ,
 და მე ხომ ყველას მონა ვარ,
 პირზე ოფლ-გადამდინარედ!
 ეხლა ცა წყნარობს... სოფელსაც
 გულ წყნარად დაეძინება,
 უეცრად შუა-ღამისას
 ცას ჯანლი დაეფინება,
 შავი ზღვის შავი ვეშაპი
 პირ-ღია დაგველირება,
 ჩვენ მოსვენებით მძინარეთ
 საკმელად დაგვეპირება.

მოსქდება ქარი და ღვარი,
 სდგას ლეწა-მტვრევა ბრძოლისა;
 დროება ჩამოვარდნილა
 დიდის შიშის და ძრწოლისა;
 მთელი მთა-ბარი იქცევა,
 მეორ მოსვლაა სწორედა!
 მოჰკაწრავს ღვარი ტყე-კლდეებს,
 მოაქვს და მოსდგამს ყორედა,
 ბუნება მბრძანებელია,
 იგივე მონაა თავისა,
 ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს,
 ზოგჯერ მქნელია ავისა;
 ერთჟერად მტვირთელი არის
 საქმის თეთრის და შავისა;
 საცა პირი-მზეს ახარებს,
 იქვე მთხრელია ზვავისა...
 მაინც-კი ლამაზი არის,
 მაინც სიტურფით ჰყვავისა!

დაუსრულეზელი კანესა

I

მთანი მიყრილან ერთ-ერთზე,
გადაბმულები თხემებით,
გულ-მკერდი ჩამოჰლარიათ
ბნელის, საზარლის ხევეებით;
კაცის ფეხ-დაუკარებთა,
სავსედ იტყვიან დევებით;
აქ ხომ სულ-დგმულსა ვერ ჰნახავთ:
ჯიხვ-შუნთ, მგელ-კვერნას მელლებით;
გადაკარგულან, დამთხვარან
დევთ მოუსვენრის ტევებით.
საზარელია ეს მხარე,
ზავთით მზარავი კაცისა...
როცა-კი შემობინდდება,
კისკისი ისმის აღისა,—
ამ მომხიბლავის, ცბიერის,
ტურფა, თმა-ხშირის ქილისა.
კლდიდამ რომ დაბლა სიპებზე
ჩხრიალი ისმის წყალისა,
თავს უპყრობს კლდისა ნაეურსა

მატყვევებელი თვალისა;
 გადაივარცხნის ქოჩორსა,
 ჩამოპოხილსა ნამისა,
 და შეუბურავს საროს ტანს
 ჯანლი ნაწნავთა ჯარისა.
 შუალამემდე აქა ზის,
 ტკბილად დაჰმღერის არესა,
 მკვდართ სულთ აშლამდის ლხინშია,
 შესტრფის ამ კლდიანს მხარესა.
 უჩვენებს ელვის კბილებსა
 ცაზე გადმოსულს მთვარესა.
 მთვარე რომ ჩავა, ვარსკვლავნიც
 თითოობითა ჰქრებიან,
 ცაში ზარს დაჰკვრენ ცისკრისას,
 ცოდვილთ სულები ჰკრთებიან
 და მკვდარნიც საფლავებიდამ
 სასეიროდა დგებიან.
 მაშინ კლდის ქალი, ეს ტურთა,
 წავა ნაბიჯით სწრაფითა;
 შეივლის შავსა ქანჩახებს,
 გალიბულს წყალთა ქათითა,
 ბნელს მღვიმეს მოეფარება
 სიპის კარების ჩქათითა...
 ცა გაიბურვის ნისლებით,
 როგორც მუროთ და ლაფითა.

II

ზევით კლდე, სიკვდილის მსგავსი,
 სხვა კლდეთ თავს დაეფარება.
 ისეთი საზარელია,
 ქარი ვერ დაეკარება.
 ამ კლდიდამ ამაიქუხებს
 ხმა საზარელი კაცისა.
 მადნობელია გულისა
 ხავსით მორთული ხმა ისა:
 „ქვეყნად გამწყდარა წამალი,
 ცაო, შენ გემუდარები,
 შენი მონა ვარ, უფალო,
 ტანჯვით სხვის შეუდარები.
 დევთ როგორ უნდა იხარონ,
 ერთი რამ გამიწესია:
 დარჩომა, ანუ სიკვდილი;
 ეგ ხომ ღვთიური წესია.
 რა ფერისაა ქვეყანა,
 ნეტავ მიჩვენა თვალითა:
 მისი ზამთარი, ზაფხული
 წყალ-ველით, მთებით მწვეანითა,
 ცა, ვარსკვლავებით მორთული,
 დღისით მზით, ღამე მთვარითა;
 ვინ ხარობს, ანუ ვინ გლოვობს
 მცხოვრები ცოდვა-ბრალითა,
 და მაცემინა დევთადა

ფხა-შეუშლელის ხმალითა;
ვინ იცის, გაქნეს ქვეყანა,
აავსეს კაცთა ძვალითა?!...
მე-კი აქ უნდა ვლპებოდე
მოუხმარების ძალითა!..“

ბ ე ბ ე რ ი ლ ო მ ი



აბერდა ლომი, დაბერდა,
კლანჭებსა ხმარობს ველარა;
დაედვა შეუდრეკს ძალას
უამთ ვითარების ბეგარა.

სხეულით დაუძლურებულს
ვინ შიბრალებს ნეტარა?!
ის დრო აღარ აქვს მეფესა,
მიწას რო სდრეკდა ტოტითა,
გმირულის გავლით ვაჟკაცი,
მამაცის გადაბოტვითა.

ველარ სჭექს წინანდებურად,
ბუნაგშია წევს წყნარადა,
ნადირთა თავ-ზარ დამცემი,
ეხლა იმაღვის თავადა;
ჰგავს თორმეტის წლის სნეულსა,
გულით ისეა ავადა.

ფიქრი უპირო სოფელზე
სახეს ატყვია შავადა.

დაბერდა ლომი, დაბერდა,
კლანჭებსა ხმარობს ველარა:

დაეღვა შეუდრეკს ძალას
 ჟამთ ვითარების ბეგარა.
 ტანი სულ დაჰკოჭრებია,
 შემომტვრევია ბწკალები,
 არ ანათებენ ძველებრივ
 მისი ლამაზი თვალები.
 ბეჩავო ნადირთ შეფეო,
 ნეტავ ვის შეებრალები?
 წასვლია ძველი ილეთი,
 წყლულად ჰქცევია ტყავია,
 ვაჰმე, რა საბრალო არის
 რა ძნელი სანახავია!
 სიმშლით შაწუხებული,
 ჰქექავს თავგების სოროსა,
 თხოულობს მოწყალებასა,
 რომ ტანჯვა დაიშოროსა.
 ყურს ვინ მიუგდებს საწყალსა?
 ყველა თავისთვის ნადირობს,
 ზოგი თავხედი და ბრიყვი
 ჯაფრის ამოყრას აპირობს.
 ბევრს იამს ბუნების ცოდვა,
 დაუძლოურება გმირისა,
 არც ერთი ლომის სიბერეს
 ნადირი არა სტირისა.
 ვეფხვს უფრო გაჰხარებია
 სისუსტე ავის პირისა;
 გალაღებული ირემი
 ფურს უხმობს, მთაზედ ჰყვირისა.

დაბერდა ლომი, დაბერდა,
კლანჭებსა ჰხმარობს ველარა,
დაედვა შაუდრეკს ძალას
ქამთ ვითარების ბეგარა.
იგონებს იმ დროს, როდესაც
ნადირთა გუნდი ებარა
და ლეში იმის ბუნაგში
გამოულევლად ეყარა.

ჩ ე მ ი ვ ე ლ რ ე ბ ა



მერთო, მიიღე ვედრება,
ეს ჩემი სათხოვარია:
არ დამეკარგოს გულიდამ
მე შენი სახსოვარია!
გულს ნუ გამიტეხ ტანჯვაში,
მამყოფე შეუდრკელათა,
ვფხიზლობდე, მუდამ მზად ვიყო
დაჩაგრულების მცველადა.
ბალახი ვიყო სათიბი,
არა მწადიან ცელობა;
ცხვრადვე მამყოფე ისევა,
ოღონდ ამშორდეს მგელობა;
არ წამიხდინო, მეუფევ,
ეს ჩემი წმინდა ხელობა!
მაშრომე საკეთილოდა,
თუნდ არ მოვიმკო ნაყოფი,
შვილთ საგმოდ არ გამიხადო
ჩემი მუდმივი სამყოფი.
გულს ნუ გჰმიქრობ ლამპარსა,
მნათობს ტრფობისა შეშითა,

ნუ მავლევ ქვეყანაზედა
 გაცივებულის ლეშითა, —
 თვალებში მიდლ-დაკარგულსა,
 შუბლზე გაკრულის მეშითა;
 ნუ დაუკარგავ ჩემს სატრფოს
 მადლს, გულზე ცეცხლის მდებელსა,
 ნუ დაუძვირებ ოცნებას
 შენს ხმას, სხივ-გამომღებელსა:
 სიკოცხლეთ უღირს ბეჩავსა,
 ეძახის თავის მხლებელსა.
 გულს დარდი გამიდიადე
 იმ სანეტარო საგანზე;
 დაწერე ფიქრი ღრმა, მწვავე
 ჩემი გონების საბანზე.
 გონებას ფიქრი სტანჯავდეს,
 გულს ცეცხლი სწვავდეს ძლიერი.
 მშოილ-მწყუროდეს კეთილი,
 ვერ გავძლე, მოვკვდე მშიერი.
 ნუ დამასვენებ ნურა დროს,
 მამყოფე შეძრწუნებული,
 მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ,
 როცა ვარ შეწუხებული;
 როცა გულს ცეცხლი მედება,
 გონება მსჯელობს საღადა, —
 მაშინ ვარ თავისუფალი,
 თავს მაშინა ვგრძნობ ლაღადა.
 მფარავდეს შენი მარჯვენა,
 კალთა სამოსლის შენისა,

სანამ არ მოვა დრო-ყამი
სულ-ბედის ამოქშენისა.
სული შენ, ლეში — მიწასა,
ადარა ვგლოვობ ამასა:
თევზი — წყალს, ცასა — ვარსკვლავი,
შვილი — დედას და მამასა.



ს ი მ ლ მ რ ა

(გუძღვნი ახალგაზდა მგონებს).




რც-რა ტანთ მცვია, არც ფეხთა,
დავდივარ დედიშობილა,
მეც იმათ ჯოგვიდამა ვარ,
ვინც სილარიბით ცნობილა.
ამ წუთის-სოფლის თორნეში
ბევრი სხვა გამოცხობილა.
ჩემს გარდა, ასეთს ყოფაში
მრავალი სხვაცა ყოფილა.
ყველას სამარე მიგველის,
ვინც დედის მუცლით შობილა.
საგმობიც ვიყო, ქედს არ ვხრი,
თავი მდიდარი მგონია,
ისეთი, თქვენმა ძმობაბა,
ჯერ არვის გაუგონია.
მთლად მე მეკუთნის ქვეყანა:
მთაში—მთა, ბარად—ბარია,
ზღვა და ხმელეთი ერთიან,
ცას—ვარსკვლავების ჯარია,

დილით მზე მანათობელი,
 ღამის გუშაგი მთვარია.
 მდიდართ სიმდიდრით ღიღინი,
 ბეჩავთ ქვითინი მწარია,
 ავღარი, ჟინელი, ცის ქცევა,
 ცა მოწმენდილი, დარია;
 დილით გაფურჩნა-ვარდისა,
 მთელი იმისი გვარია;
 ია, ულრანს ტყეს მოსული,
 თალხ-კაბა, ენა მტკბარია;
 კლდის თავს გაშლილი პირი-მზე, —
 მთის სასახელო ქალია;
 მარგალიტივით მდგლოზე
 ბჭყვრიალა დილის ცვარია...
 ზამთრის ზევეების ქუხილი,
 გაზაფხულს წვიმის ღვარია,
 იქ ჯოჯოხეთი, სამოთხის
 თუ დამიკეტეს კარია;
 ხარს ვგევარ ნაიალაღარს,
 რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ:
 ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე,
 მძინარეც იმას ვლუღუნებ;
 საწყალთ საწყლობა რო მესმის,
 იმათ ვარამზე ვწუწუნებ.
 არც როს უსაქმო არა ვარ,
 მუდამ ვკოწიწობ, ვჩუჩუნებ;
 ცოტა მაქვს, ცოტას ვჯერდები,
 ბეჩავთაც გავუზიარებ.

სიკეთისათვის სიკეთეს
 არავის დაუგვიანებ.
 ავის თქმით, ავის ქცევითა
 გულს არვის დაუზიანებ;
 ხარს ვგვეარ ნაიალაღარს
 რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ:
 ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე!—
 მძინარეც იმას ვლულუნებ.
 საწყალთ საწყლობა რო მესმის,
 იმათ მაგივრად ვწუწუნებ;
 ხანდიხან ჟინი ამიღებს,
 სიმღერას დავაგუგუნებ.



ა რ ა გ ვ ს

 იწუხებულმა, არაგვო,
რო გნახე, გავიხარეო,
სრულიად გიმოვიცვალე,
წელშიაც ავიხარეო.

—
რა ლამაზია, წყეულო,
შენთ ზვირთთა ლაღნი ჩქერანი,
გააფთრებულსა ტალღისა
კლდეს რო წაუვლოენ თქერანი!

—
შენ თვალს გარიდებ მაშინა,
მთებისკენ მწადის ცქერანი,
უნდომლად მამინდებიან
ბედკრულს ბედკრულნი მღვრანი.

—
გულიც იქ იწევს, თვალიცა,
იქ რო მაღალი მთებია,
ვინც რომ გიყმაყი გაგზარდა,
ვის ძუძუც პირში გდებია,—

იმათ კალთაზემც მოვკვდები,
მათ ლოდო გულსამც მდებია!

ზაფხულში აყვავდებიან
მკერდნიც-კი ხალის კლდისანი,
ყვავილთ პირს ეკონებიან
ციონი ნამცვრევი ცისანი.

გაჭყურებია ნიაფსა
ჯიხვი, ყელ-ყურით ლამაზი,
ალარ აჩხერებს ქვიშათა
კლდით კლდეზე მხტომი გავაზი.

ხან ხომ ცა შოილრუბლება,
ჩაბნელებიან ხევები,
გაჩნდება მესთა ტკრციალი,
ათრთოლდებიან ხეები,
კლდეებზე დაიკვცება
სყავთა და არწივთ ფრთეები.

თმებს უკუ-იყრის ნაკადი,
ცისაკ დაიწყებს ცქერასა,
შაჭყურებს გაოცებული
შავის ღრუბლეზის მღერასა.
რა ყურმა უნდა გაუძლოს
იმ მთების გულის ძგერასა!?

ხშირად მოხეტიალს წვიმასა
 სიბისა აქვის ღარები:
 აქა-იქ გაიმტვრევიან
 პირ-გაშაული ღვარები;

იზიდებიან შენკენა
 ის გრძნობისაგან მთვრალეები,
 იმათ ველარა დაიჭერს,
 თუნდ რკინის დახვდეს კარები!

ეხლა ავდარიც გადიურის
 და შზეც გადივლის გორასა,
 ნაწყვეტ-ნაწყვეტი ნისლეები
 ხევებში სდგამენ გორასა,

ველარა ჰბედვენ ბეჩაენი
 მთებისად მეხის სროლასა,
 მაგრამ ფიქრობენ ვაჟანი
 სახვალიოდაც ბრძოლასა!



მ ო ზ ო ნ ე ბ ა

ნუ მიწყენთ, მომაგონდება,
ქალის ვაჟისთვის ნათქომი:
„თუ შენ არ გხედავ ცოცხალსა,
არც მე ვარ ცოცხლად დამრჩომი!
ცოცხალი თან ჩამოგყვები,
საფლავში დაგეტანები;
შენ მკვდარს, შენთან მე ცოცხალსა,
დაე, დაგვიხშონ კარები!
მოვკდები შენსა გულზედა,
ზევიდან დაგეფარები:
მე შეესქამ,—მიწას არ ძალუძს,
რომ შეგიჭამოს თვალები.
მწადს ერთად შაზელილიყოს
ჩემი და შენი ძვალები!“
ორმა დღემ ჩამაიარა,
ზარი აჩქამდა გლოვისა,
კუბოს ასველებს ცრემლები
მანდილოსანთა გროვისა.
სატრფო დასტირის ჰაბუკსა,
ცრემლი სდიოდა ღვარადა;

გულიც ხომ უწუხდებოდა,
 წყალსაც ასხამდენ კვალოდა.
 გულ-დაბნედილსა დიაცსა
 აბრუნებდიან ძალოდა.
 მოზარეები კუბოთი
 მიდგნენ სამარის კარადა.
 უცვლელი ბინა ყველასი
 უცდის მკვდარს დასაფარადა.
 კუბო ჩაუშვეს საფლავში,
 ცვივა ქვიშა და ლოდები.
 —რა უყავ ფიცი, გოგონავ,
 ჩაჰყევ, ვის მოელოდები?
 —სად გაყევ, ძმაო, რას ვარგებ,
 მკვდარს რა უშეგლო იმითა!
 არა, მე სიცოცხლე მინდა,
 უნდა ვიცოცხლო ჭირითა.
 ვიგონო ვარდი გულისა,
 ვიტანჯო მოგონებითა.
 რომ მოვკდე, მაშინ ვიქნები
 დარდების მოფონებითა!
 დაე, ვიცოცხლო ტანჯვითა,
 ნაღვლით დავიწვა გულია,
 დავიწვა, ვით კელაპტარი,
 ხატის წინ ანთებულა...
 ვიცოცხლო იმის შამგონედ,
 ვინც გულს მაჩნივა წყლულია...
 ერთს წელს გოგონა მიჯნურის
 საფლოვზე იარებოდა;

უნთებდა წმინდა სანთელსა,
 შინავე ტრიალდებოდა;
 საფლავის პირზე დაერგო
 ყვავილნი ტურფა ფერისა,
 ცრემლით მოერწყო ვარდები
 თვალთაგან მონაწურისა,
 ეს ერთი წელიც გავიდა,
 იცვლება დრო და ქამია,
 გოგოს სწადიან იპოვნოს
 პირველის მსგავსი გვაშია.
 მსგავსი პირველას მიჯნურის
 თვალითა, ტანადობითა:
 მოკეთეს ჰმოკეთებდეს,
 მტერს ექმნას ჯალათობითა.

— ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო,
 სიცოცხლე შენობს შენითა,
 და შენც, სიკვდილო, ფასი გქმე
 სიცოცხლის ნაწყენობითა.
 სიცოცხლე სიყვარულითა
 და სიყვარული სიცოცხლით,
 უერთ-ურთისოდ ვერც ერთსა
 ვერ ვიცნობთ, ვერც რას ვიცნობდით.
 ერთ-ერთი სწყურან ერთაგე;
 ერთ-ერთთან დაილევინან;
 უერთ-ურთისოდ ვერ სძლებენ,
 მალედვე დაილევინან!

ს ი მ ლ ე რ ა

მს გაზაფხულიც მოვიდა,
აგერ ჩამოშრნენ მთანია;
საპირიქითოდ გაიხსნენ
თოვლით შაკრულნი გზანია.

აღელვებულია არაგვი,
ფშავ-ხევსურეთის წყალია,
მოშუის, მთა-კლდეს შასტირის,
როგორც ძმის კუბოს ქალია.

იაც ხომ ამოჩენილა,
ბრიყვის ჩადუნას რძალია,
ეკლებში თავსა იმალიეს,
ბუნების ეშხით მთერალია.

სუ ყველა დამშვენებულია,
მალლა ცა, დაბლა ბარია,
მარტო ეს გული საწყალი
წინანდებურად მკვდარია.

ს ი მ ლ ე რ ა



ოცა იქნება მოგვედები,
მივებარები მიწასა,—
გულსა და გრძნობას შაურევ

ცივის სამარის ქვიშასა...

ჩემს გულსა დაეხვევიან
გაშმაგებულნი ჭიანი,
ველარას მიშველოს ქვითინით
ჩემი ლამაზი თმიანი.


ტყუილად აშფოთდებიან
ჩემნი წაწალნი,—იანი.

ამაოდ ჩამოსხდებიან

ციდამ ვარსკვლავნი ბარადა,
ასტებს გლოფა-ზარს მდინარე,
მალლით მომხტომი ჩქარადა,
მოსქდება კლდისა ნაპრალი,
ჩაიჭედება ქალადა...

ვაჰმე, მათ ველარა ენახავ,
გადაქცეული მკვდარადა!

ღარიზის სიმღერა

იალო სიღარიბეო,
გააბეჩავებ ყველასა!
აღარსითა მაქეს საღსარი,
აღარსით ველი შეველასა!
ბაღღები ღამიწიოკდა,
კაბა გაუცვდა ლელასა;
ვინ იტყვის წვნიანს საქმელსა,
პურს ველარ ვშოგობ ხმელასა!
შამამტირიან ბაღღები,
გამამიწვდიან ხელასა...
პური მოგეშოვდა, მამაო,
სიტყვას მეტყვიან ძნელასა.
ამის გამგონეს, ცეცხლი მწვაფს,
გული ღამიწყებს ლევასა.
გაუსენია ყველანი
მქვალს და ყივანა ხველასა.
ვითომ-კი ვშრომობ მედგრადა,
ყელ-თავქვე კვიღავ მუღამა...
არცა ვარ ცოდვის მოქმედი,
თვით კარგად უწყის უფალმა.

აბა, რა მივცე მახტაში,
 რა მაქვს, რა მატიალია!
 ნეტავ იცოდეთ, როგორი
 გულში მიბრუნავს აღია!
 მიშველე, ჩენო გამჩენო,
 მოშველე, მომეც ძალია!
 აკმარე ბეჩავს ჩემს თავსა,
 ამდენი ცოდვა-ბრალია!
 ისე გაივლის სთვლის ღამე
 არ მოვიტოვო თვალია;
 ფიქრობ: რით, როგორ ვიხადო
 მე მამობრივი ვალია!
 მე ვერ ვიქურდებ, ვერა, ვერ,
 გული არ მაძლევს ნებასა,
 ვამბობ და, ნუ გეგონებათ,
 თქვენგნით ველოდე ქებასა.
 წაიღონ, ერთი ეგ-ლა მაქვს,
 ერთი თანგირა ქობია.
 მოკვდები ნამუსიანად,
 ესრე სიკვდილი სჯობია.
 დაე, შვილებიც გამიწყდენ,
 გასწყდენ როგორაც ვშობია.
 მადლიც იმასა, ცოდვაცა,
 ვინც წინ გამიფლო ღობია!

მთა და ბარი



თაო, რად აგრე ჰგულადობ?
ცერად დაჰყურებ ბარსაო?!
რადგანაც ძირით გიციქერის,
მით არ უყადრებ თავსაო?
საღის კლდეებით ამაცობ,
თოვლითა, ყინულითაო;
კენკეშა, ურქან-ქუჩითა,
პირი-მზე მწირულითაო.
შენ არად მოგწონს ბარისა
დიდი სიმდიდრე ხილითა,
ოქროთ ნაქარგი გულ-შკერდი
ზედ მარგალიტის ღილითა;
არ-რადმე გეჰაშნიკება
ვარდის გაფურჩქენა ღილითა;
გულით დარდების გადაყრა
წითლის კახურის ღვინითა.
შენი ძმა არის ბარიცა,
სთველ-ზაფხულ ბარაქიანი,
გმირთ სისხლით შადებილი აქეს,
ველები ბალახიანი.

შენი ხევებიც იქ ჩაღის,
ხევები კალმახიანი.
საფუძვლად, მთაო, ბარი გაქვს,
იცოდე, ტალახიანი;
თუ ის ჩაფარდა უფსკრულსა,
შენც თან ჩაპყვები ნიღა;
არ გარგებს, თორო შენ იცი,
მთავ, ამაყობა ფრიალა.

ს ი უ მ ა რ უ ლ ი

მენმა სურვილმა დამლია,
შენზე ფიქრმა და სევდამა;
შორს წასვლამ, ხშირად გაყრამა,
გულის თვალებით ხედვამა;
მაოცებს შენი გამზღელი,
ვინც შენ გაგზარდა დედამა...
კარგი ხარ, აღარც კარგი ხარ,
მე გულს მაწევხარ ნისლიადა.
მინდა რომ მძულდე, მოგშორდე,
გულზე მობმულო ღვიძლიადა,
მაგრამ ტყუილად ვცოდვილობ:
ვერ ვძლიევ შეჩვეულს გრძნობასა.
მთელის ხმელეთის სწორი ხარ,
ვინ მიზამს შენოდნობასა?
ვინა სთქვა: „ტრფობა ბერდება
და სატრფიალო საგანი,
ყინულის ეკაღს დაისხამს
წამწმები, ცრემლით ნაბანი,
ცრემლითა ნასურვილევეით,
დრო რა გაივლის და ხანი“?!

ცოცხალი პირქვე დამმარხეთ,
 დამხურეთ მიწის საბანი,
 თუ ჩემს შენდამო სიყვარულს
 დაეკლოს ერთი ცვარია.
 თუმც რაც პირველად გნახე,
 მას შემდეგ კარგა ხანია;
 ცოცხალს შენა მფენ გულზე ვარდს
 თუ ავდარი, თუ დარია;
 საფლავშიც შენზე ვიფიქრებ,
 შენგნით ვიცოცხლებ მკვდარია!



8 ო ლ ო დ ი ნ ი


მცირე რამ ნისლის ნაწყვეტი
მთას ეკრა ბუმბულივითა,
ჰშვენოდა ფიქრებში გართვა,
მინდორზე სუმბულივითა.
მთის წვერებს მოსდევს ნიაფი,
ნადირის სუნსულივითა,
ბუნება ნანობს ცოდვასა,
იუდა სულ-კრულივითა.

— რას უცდი, ნისლო პატარავ,
დაკერებულო მთაზედა?

— რასა? ვერ თუ ჰგრძნობ, ძმობილო,
მტერი ჩამიდგა გზაზედა?
როგორ ვერ ხედავ გვალვისგან
დამწვარ-დაბუგულს მიწასა?
თავის ძმის წული მოუკლავ
გაბოროტებულს ბიძასა;
შშობლებზედ მეტად სწყუნია
გაზდილის ერთგულს ძიძასა.
თვალეები მთელის ქვეყნისა
შემომცქერიან თხოვნითა,

ეგებ როგორმე დავიხსნა
 სოფლის ამაგი გოლოვითა.
 სწორედ ამისთვის დავფიქრდი
 და ვეხვეწები ზეცასა:
 გამზარდოს, მომცეს ძალ-ლონე,
 ვეწამლო ქვეყნის კვნესასა;
 გამზარდოს, ღრუბლად მაქციოს,
 მძიმედ დამტვირთოს წვიმითა,
 რომ მოვრწყო გული ქვეყნისა
 დაუშრომელის მილითა;
 ავაქიკვიკო ბუღბუღი
 სალამოთი და დილითა
 და წარვსდგე ჩემს მეუფესთან
 ხელთ ანთებულის ცვილითა.

ა რ ვ ი შ ი

რწივი ვნახე დაქრილი, —
ყვავ-ყორნებს ეომებოდა,
ეწაღა ბეჩავს აღგომა,
მაგრამ ველარა დგებოდა,
ცალს მხარს მიწაზე მიითრევს,
გულის პირს სისხლი სცხებოდა.
ვაჰ, დედას თქვენსა, ყოვებო,
კუდ დროს ჩაგიგდავთ ხელადა,
თორო ვნახავდი თქვენს ბუმბულს
გაშლილს, გაფანტულს ველადა!

მწამისი ქალი



აგძინებია, ქალაო,
ლამაზო, ხუჭუქ-თმიანო,
ნეტა ვინ გამაგებინებს,
რა გესიზმრება, ღვთიანო!?
მოფრენა უდაბურს ტყეში
ლამით რისაგან გრგენია?
ვაჰმე, რო საით შემოგხვდეს
ვეფხვი, დათვი, ან მგელია!
ფხვთ ქალამნები აცვია,
ტანთ ქაბა გაცუვეთილიო;
თავი უღვია მკლაფზედა,
უჩანს თითები თლილიო.
თუმც დაღლილს დასძინებია,
მითც სუნთქვა მესმის ბთხალიო.
ზურგზედა გუდა ჰკიდია,
თავით კობალი უძევსო.—
ამ ტყის ანგელოზს გოგონას
ტკბილს ძილს არა რა ურღვევსო.
საფთხილო კია, ზეცაო,
შენ გევედრები ბეჩავი,

იმ დღიდან ამ დღემდისინა
 მუდამ ვყოფილვარ ბედ-შავი:
 მა გოგოს კალთა აფარო,
 არიდო ყველა მას ავი.
 თუ მის თვალები გაჰქრება
 და სხვის არ მომაყრიანო,
 გულის წყლულს არ მომიჩვენენ,
 ნისლებს არ გადმიყრიანო,
 რაც ქვეყანაზე მიწაა
 სულამც მე მომაყრიანო.
 თქვენც გეხვეწებით, ხეებო,
 და შენც, მდინარევ ხმიანო,
 ე გოგო—ჩემი სიცოცხლე—
 არაფრით დამიზიანო!)



ფშავლის სიმღერა

ქვდარი ნუ ვისსა გგონივართ,
გრძნობა-მიხდილი ლეშია,
კიდევაც მიდულს ვაქისა
მთიური სისხლი მკერდშია.
რად რას დავკარგავ იმედსა?
რად რას ჩავიცვამ შავებსა?
რა მაქვს მე სამგლოვიარო,
ვენაცვლე შენსა თვალებსა?!
სანამ კი ვსუნთქავ ბედ-კრული,
შევყურებ მზეს და მთვარესა,
შენს სიბეჩავეს დავაცვით
ჩემს დაწყულებულს მკლავებსა.
თუ გიღალატო, დედაო,
ნუმც დავიმარხო მთაშია,
ნუ დასდვან ვაქის-ფშავლისა
ხმალი სატირლის თავშია;
ნუ დამიტროს ქალ-რძალმა
საკაცზედა, კარშია,
შავეთში გამგზავრებულსა,
ცხენი წამექცეს წყალშია,

ქვეყნისგან შაჩვენებულმა
ბინა დაკარგო ცაშია,
გამიწყდეს ბეწვის ხიდაი,
ჩავვარდე კუბრის წყალშია!

მესტფირის ჩივილი

სოფლის წყლულებმა გამსენეს,
ამაღებინეს სტვირიო,
ისიც ქურდებმა მამპარეს
და იმიტომა ვსტირიო.
რად უნდათ შაჩვენებულთა?
არ არი გასაყილია;
უვერცხლოს, შეუზიკავსა
თვალეებზედ ცრემლი ჰკილია?!
თვითონ გავსთაღე ველურად
ლერწამნი დუდგულისანი,
სალტები გადაუჭირე
ბედკრულთ და ოხერთ თმისანი...
მის ქარასხაში ჩავქსოვე
სოფლის წყლული და ქირიო...
ვერვინ შეატყობს იმასა,
უფრო იმიტომ ვსტირიო...
ჩემის ქამანჩის მამპარავს
მიწამ დაუხრას პირიო!|
მომავონდება მისი ხმა
ველური, მაგრამ ლამაზი,

უსასყიდლოთა მელრინავსა
 არ. უნდა თქვენი აბაზი...
 ავაჰმე, ჩემო ქარასხავ,
 აღარ მამიხვალ ხელადა,
 რომ შევიყარნეთ ძმობილნი
 და გავიყარნეთ ველადა,
 ამოგაქდერო, ტიალო,
 ვაკვნესო მთა და ბარიო,—
 ქალს და კაცს მონიცილეთა
 ვადინო ცრემლის ღვარიო...





ამისხი, დამალევენე
 ე ღვინო, ოხერ-ტიალი,
 ეგება წალმა ვიფიქრო
 სოფლის უკულმა ტრიალი!
 ეგება გულის ვარამი
 ჩავკლა მა ჯიხვის რქაშია,
 თვალთ წინ დამიდგეს ლამაზი,
 ერეოლა მამკიდოს ტანშია,
 დეზი ვკრა ჩემსა ლურჯასა,
 გადავერიო ზღვაშია.
 თქვენთან ძაღლურად სიკოცხლეს,
 სიკვდილი მიჯობს ცაშია;
 ვერ მააწონებთ კარგს ყმასა,
 რაც არ უჯდება ჭკვაშია!



ფშავლის სიყვარული



სეთი ვიყავ, ძმისაო,
როგორც შავი კლდე, სალია,
ვამბობდი, ჩემი ნებაა,
ჩემის გულის თქმის ძალია...
მაგრამა ვნახე ლაშარსა
ერთი ტან-მომცრო ქალიო,
იმ წმალასავით წვრილამა
გულში დამინთო ალიო.
ჯერ კი პირ-და-პირ დაშტვლია,
თვალს გამიყარა თვალიო,
გატეხა გულის საფარი,
გაუტეხელი რვალიო,
მემრე კი გადამეთხია,
ვერ გაუკვლიე კვალიო.—
ღმერთმა დასწყევლოს დიაცი,
მემრე ლამაზი ქალიო!
ვუბარებ, შუა-კაცს ვგზავნი:
ქალ, ნუ შიშირბი შორადა,
შენგნით უხანჯროდ დაქრილსა,
გული გამხდია ორადა.

რად დამკერ, თუ კი მოარჩენით
 არ გამიხდის მონადა?
 თუ შენ ეს გინდა, რომ მომკლა,
 გადავილიო კლდეზედა
 და შენ ცბიერის თვალებით
 შენს უნდავს უჯდე გვერდზედა?
 გკოცნიდეს, ინაბებოდე,
 ღილებს გითავლიდეს მკერდზედა?
 კაცის ქალისგან დაჩაგვრას
 არა სწერს ჩემი რჯულია;
 დიაცის დაწუნებულსა,
 სჯობს რომ არ მედგეს სულია!
 მკლავნიც ნუ მსხიან ტანზედა,
 ჭიათ დამიხრან გულია!..
 მაშ, ხმაღს რად ვირტყამ წელზედა,
 თავზედ რად მხურავ ქუდიო,
 თუ კი გავიგო სწორთაგან
 ჩემზედ ნათქვამი ცუდიო?!
 ვერ შამაშინებს ციმბირი,
 ვერც ნაჩალიკი, — სუდიო!
 წავალ და, სადაც ცქიფათი
 ხევში საკრეფი წყალია,
 იქ ჩამაივლის თულუხით *)
 თინიბეჭის ქალია.
 უნდა გადვუხდე გზაშია,
 სიტყვა ვესროლო ცხარიო,

*) სპილენძის კოკა.

დაეტაცო გიშრის ნიწნაფი,
 გულს დავებჯინო ხმალიო,
 ცხენის გავაზედ მოვიგდო,
 სდიოდქს ცრემლი მწარიო,
 შუალამისას ჩარგალსა
 ვადავიწერო ჯვარიო.
 მემრე მოიდეს სადიოდ
 თუნდა ოსმალის ჯარიო,
 ქალს არვის წაყვანინებს
 ზაზულოაით კარიო!

ქ ა ლ ა ხ

ქალავ, ის მიყვარს მე შენი,
თავს რომ დაჰკიდებ მელადა,
პრდა-პირ ცქერას ვერ ჰბედავ,
ვაეთ ცქერას იმწევ წყენადა.

დრო და დრო გაილიმება
გულის საკლავად, — ნელადა!
უხმოო ხმალს იქნევ, უხანჯროდ
გულის გამხდაცხარ მჭრელიადა.

ჯერაც ატყვია ჩემს გულსა
შენგნით წყლოლები ჰრელოდა.
ოცგანაც კიდევ რომ დამჭრა,
ვერ გაგინდები მტერადა!



ზ ა რ ს კ ვ ლ ა შ ი

(საშობაოდ)

მცხო დაბრწყინდა ვარსკვლავი,
კლდის თავზე დამცქერალია,
კლდის ეხში ჰკოცნის ბატარას
სხივ-მოფენილი ქალია.

გაჩუმებულია სამყარო,
შაყენებულია წყალია;
ბუნების არსთა ყველათა
კლდისაკე ჰრჩებით თვალია.

გადახალისდა ქვეყანა,
უცხო რამ ზგრძნთ ძალია.
„არ წავსწყმდებო, არაო“,
ბუნებამ დაჰკრა ზარია.

შავეთში გადაგდებული
აღვომას ჰბედავს შკვდარია,
მაცხოვრის შობა შაიტყო,
შავეთის ტყდება კარია,—


გახარებულმა ზეცამა
 უხვად დაყარა ცვარია.
 ტყდება მონების ბორკილი,
 ეშმაკს დაუდგეს თვალია!..

განმარტოებული



[The following text is extremely faint and illegible due to low contrast and scan quality. It appears to be a long passage of text, possibly a poem or a story, but the characters are not discernible.]

მწყემსის სიმღერა

სუფ-ფშავის-ხევს-ვენაცვლე,
გულ-კეთილს, თავაზიანსა,
მის მთებს, მორთულებს ბალოხით,
ძირს ქალებს, გორ-გურს ტყიანსა,
ველებს, მოხდენით დაქარგულს,
მის არე-მარეს წყლიანსა;
თამარ-დედოფლის ხატობას,
ჩვენს ლაშარის-ჯვარს მხრიანსა.
წყემსს და საწყემსოს პატრონი
ფშავლებს არ მოგვცემს ზიანსა!
ჩემსა მიწა-წყალს ვენაცვლე,
იქისკე მრჩება თვალები.
რომ მოგვკდე, ვინ დამიტირებს,
მე აქ ვის შეგვბრალები?!
გულმა დაიწყა ღონება,
ტანზე ჩაიკვა შავები;
მომავონდება ხატობა,
წითელ-პერანგა ქალები,
აშურმა, მათრაზიანი,
ი სვილის-ფერა ფშავლები,

ტივის ხის სიმსხო მოხდენით
ზოგ-ზოგს რო დააქე მკლავებში;
სამტროდ და სამოკეთეოდ
ვაქნი ყველაად კარგები.
კიდევით ფნახავთ, სწორებო,
აროთ სად დაფიკარგები?!

* *

შენ კი გენაცულე, ქალოო,
წითელ-პერანგავ, თმიანო!
მოხარშულს გიცნობ ლეგვი,
შენ ბატარქალა გქვიანო.
სხვას რად უზიხარ ცხენზედა,
ლაშარს რად მისდევ, ტოლოო?!
რად არ მანდა ვარ თავ-მკვდარი?..
სხვაზე ნუ გამცვლი, ქალოო,
კარგი გყვევივარ ნაძმობი.
ხუთნი დამეცნენ მარტუხს,
ხუთნივე თათრის რჯულისა;
ოთხთ მაიწიეს ჩემზედა,
ერთი ცხვრის ფარის უელოსა,
ხელშო მოვიგდე მიყარი,
ქირიმე იმის სულისა...
ერთს წითელ წვერას დავტყლიშე,
დავიგლეჯინენ ყბანია,
ცხენზეით გადმეფიცია,
სისხლით შეღება მწვანია.
მეორესა ვკარ ხანჯარი,
გაფთხენენ, გაიქცენენ სხვანია;


ვინლა დანებებს ნადავლსა?
ნეტავ გაიგნონ გზანია!

* * *

კარგია ფშაველთ ხატობა,
გაიმართება შილინდი,
შილინდზე, „გაუმარჯობე“
ზედ გადაებმის ჯირითი.
ცხენების ნთქრევა-ბიბინით,
მტვერი ცას მისწვდა ძირითი...
შაიყრებიან ფშავლები,
ლამაზ-ლამაზად ზრდილნია,
ისმის ფშაური სიმღერა,
ტკბილი ფშაური ლხინია.
სად არი მაშინ ბეჩავი
ლევა ბატარა შვილია?—

თვალ-გული გადამეღია
გძელის მონღვრების ცქერითა,
გულს გავიგრიღებ ხანდისხან
ტკბილდს ფშაურის მღერითა.
ეს სამი წელი შესრულდა,
აღარ ვყოფილვარ ფშავშია,
მე რომ ვერ დამისვენია
ველარც შინ, ველარც კარშია.
წავალ და არც დავბრუნდები,
ძმას გამოვგზავნი ცხვარშია.

სამეფოს სიძლიერა

 ალო, ვნახე ფეხ-შიშველა,
გამაჰგოვდი ეზოშია;
გენაცვალე, — კაკაბს ჰგვანდი,
მოსეირნეს ფერდოშია.

ვისი ძუძუ გიწოვნია,
იისა თუ ვარდისაო?
გენაცვალე, შე-თვალ წარბავ,
გულო ჩემის-დარდისაო!
გამიგონე, რად მირბიხარ,
შე აუჯიშოს გვარისაო?!

შენ თუნდ ფრჩხილიც ნუ ატკივა,
სიკვდილს მივცემ სიცოცხლესა;
ერთხელ კიდევ დამენახვე,
ღმერთი დედას გიცოცხლებსა!...


ს ი მ ლ მ რ ა

მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდეგ,
თვალთ წინ მეფინა ქვეყანა,
გულზედ მესვენა მზე-მთვარე,
ვლაპარაკობდი ღმერთთანა.

საკეთილ-დღეო ქვეყნისა
მედვა სულად და გულადა;
სიცოცხლე, მისთვის სიკვდილი
მქონდა მეორე რჯულადა.
ეხლა თავ-თავქვე მოვდივარ,
ხევში მიმელის ბნელია,
თან მიმდევს ტიქრი მწუხარე
გულის, გონების მწველია.
მალლიდამ დაბლა ჩამოსვლი
ვაჰმე, რა მეტად ძნელია!
წამლობას ველარ ვამიწევს
ეხლა ცრემლები ცხელია.
რად მოვალ, თავქვე რად მოვალ,
ჩემს თავს რად ვიხდი ტიალად?
იმ მთას თავს რისთვის ვანებებ,
თუნდ ვიქცე ტანჯვის ფიალად!?



ᐃ ᓃ ᓂ ᐅ ᐅ



ზვლის ნუკრის ნაამბობი.

I

აწაწა ვარ, ობოლი. ბედმა დამიბრიყვა: ცუდ დროს დავობლდი; ტანზედ მაცვია პატარა, მოკლე ბეწვიანი, თეთრის თვლებით მოწინ-წკლული თხელი ქათიბი. ჯერ რქები და კბილები არ ამომსვლია, ჩლიქებიც არ გამმაგრებია.

გზა-დაკარგული დავდივარ. აი დახედეთ ჩემს სისხლიანს ფეხსა, — ეს წყლის დასაღვევად რომ ჩავედი ზევში, მაშინ ვიტკინე... გული მიწუხს... გული... საბრალო დედაჩემი! მანამ დედა მყვანდა ცოცხალი, სულ აღერსში ვყვანდი: ძუძუს მაწოვებდა, მიაღერებდა, მაფრთხილებდა. რაღა შეშველევა მე საბრალოს ეხლა! ძუძუს აღარა ვწოვ, მხოლოდ ბალახის ნამსავსუტავ დილით და საღამოთი, როდესაც ნამია, და რძის ნდომას იმითი ვიკლავ. უპატრონო რომ ვარ, სულ მეშინიან, ვკანკალებ, მუდამ დღე სიკვდილს ველი, გზა-არეული დავებეტები... ღმერთო, რამდენი მტერი გვყავს!

წელან ველის პირად გავედი დაღონებულნი... იქით-აქეთ თვალს ვავლებდი. უცებ ჩემს თავზედ ქექა

გაისმა. ავიხედე მალლა: მხრებ-შეკუმშული, ნისკარტ-
დაღებული, უზარ-მაზარი ლეგა ფრინველი მოდიო-
და პირდაპირ ჩემკენ. მე, შეშინებული, ტყეში გა-
დავბტი. წამოვიდა ის წყეული ფრინველი, ტანი ვე-
ლარ შეიმაგრა და ჩემს ნადგომ ადგილს დაეცა.
ქრუანტელი მივლის, როდესაც იმისი მოკაკული ნი-
სკარტი და აღმასივით ბრჭყალები მაგონდება. პირ-
დაპირ მოვიდა და, იქ რომ არ დავხვდი, ბალახებ-
ზედა და მაყოლოვანზედ მხრებით ტყელაშუნი გაადინა.
შიავლ-მოავლო საზარელი ყვითელი თვალები, ეწყინა
ჩემი გჭქცევა, აიწია, ძლივს განთავისუფლდა, კინა-
ლამ მაყვლებში ჩაება. მე ერთს ხეს ვეფარე და იქი-
ლამ გულის ფანცქალით ცალის თვალით გავყუ-
რებდი.

გენაცვალე, ტყეო! შენ ბევრს მშველი, თორემ
აქამდის ჩემის ქათიბის ბეწვიც არ იქნებოდა! გული
მეუბნება, მტრის მსხვერპლად გავხდები. ჯერ მე გა-
მოუცდელი ვარ, მხოლოდ ერთი კვირა ვიყავი დე-
დასთან: ის მასწავლიდა, ვინ იყო ჩემი მტერი და
ვინ მოკეთე. ეხლა ვინ-ღა მასწავლის? სულ შამში
ვწვები, ვიმაღლები, მუმლისა და კოლოებისაგან მო-
სვენება აღარა მაქვს. დედასთან კარგად ვცხოვრობ-
დი, თავისუფლად ვსუნთქავდი...

მე და დედაჩემი, აგერ ტყიანი სერი რომ წამო-
წოლილა და აქეთ-იქით ხევები ჩაუდის, იქ ვცხოვ-
რობდით, მუდამ დაჩრდილოლნი გაბურჟლის ტყით;
უხვედრი იყო ჩვენი ბინა. დედაჩემი დაწვებოდა
ხოლომე გორაკზე, მე გვერდით მოვუწვებოდი. სამივე

მხრიდამ ხეები გვეფარა,—მეოთხეს თითონ გაიყუ-
რებოდა. ხანდახან ყურებს დააქვევტდა, მე შევეყუ-
რებდი და ვბაძავდი იმის ქცევას, ჩემს პატარა ყუ-
რებსაც ავცქვევტდი. სამჯერ უჩვეულებრიო ხმაუ-
რობა შემოგვესმა: ის არა ჰგვანდა არც წყლის
ჩქრიალს, რომელიც მუდამ მესმის, არც შაშვის ფა-
ჩუნს, არც კოდალას რაკუნს, არც კიდევ ხმელის
ხის წვერიდამ ჩამოვარდნილ ტოტის რახუნს და არც
ნიავისაგან გაშრიალებულ ფოთლების ხმას... ეს შევ-
ნიშნე მე: რა წამს ამ უცხო ხმას გაიგონებდა
დედაჩემი, ზე წამოვარდებოდა და მეტყოდა: „შვი-
ლო! მომყე, მე მომყეო!...“ გაიქცეოდა და მეც მი-
ვხტოდი, რაც ძალი და ღონე მქონდა; არც ვიცო-
დი და არც მესმოდა, თუ ვის უფროთხოდა. ეხლა-კი
ვიცი... ოჰ, რამდენი მტერი გვყავს! ოჰ, ადამიანო!..
რატომ არ გებრალები მე, პატარა? რატომ არ მაძლევ
თავისუფლებას, რომ გულ-დასვენებულმა თავისუფ-
ლად ვიარო, ვთელო ლამაზი მწვანე ბალახი, გადავ-
დგე სერზედ და დავსტკბე საღამოს ნიავის სიოთი?!

ვერ გავცილებივარ ტყეს. თუ გავედი ველოდ,
უნდა ტყის პირს არ მოვსცილდე,—მაშინაც ნახე-
ვარი სიცოცხლე მაკლდება! სულ აქეთ-იქით უნდა
ვიყურო, ვეფარო ხეებს, კლდეებს, ბალახებსა და
კანკალით ვკამო საჭმელი, შიშისაგან ზეზეურად
უნდა დავდნე!.. რას გიშავებ, ადამიანო, მითხარი,
რას? რა დავიშავა საბრალო დედაჩემმა, რა შეგისვა,
რა შეგიჭამა, რომ მოჰკალი და უპატრონოდ დამაგ-
დე, დამაობლე?! ოჰ, ადამიანებო! თქვენს ხერხსა და

ღონეზე ხართ დაიმედებულნი და ჩვენი ჯავრი არა გაქვსთ... არა ჰგრძნობთ, რომ ჩვენ გვიყვარს თავისუფლება, არა ჰგრძნობთ თქვენის შეუზღაურებელის გულთ, რომ ჩვენც გვიყვარს სიცოცხლე, ბუნება: ფოთლის შრიალი, წყლის ჩქრიალი, რომელსაც სულგანაბული ეგრე ხშირად ყურს ვუგდებ ხოლმე, ბალახის ბიბინი და ტყის ცხოველებთან ერთად ნაფარლობა... შენ-კი, ოჰ, აღამიანო!... თვალმდინარისხლიანებული, გაფაცოცებული დამეძებ მე და ჩემს ფერს სუსტსა და უპატრონოს ათასს სხვას... იარაღი გაქვს, მოგვეპარები, მუხთლად გკვრავ ტყვიას და გამოგვასალმებ წუთი-სოფელს...

II

როგორ არ უნდა მეშინოდეს?.. ჯერ სულ ერთიკვირაა, რაც მე წუთი-სოფელს ვხედავ, და რამდენი შიში და ვაება გამოვიარე! გუშინ წინ წვიმიანი დღე იყო. სიცოცხლითა და სიმშვენიერით აღსავსე დედაჩემი წიფლის გვერდზედ იდგა და გემრიელად იცოხნებოდა... მეც გვერდით ვუდექი, მიხაროდა დედასთან დგომა, მტერი და სიკვდილი არც-კი მაგონდებოდა დედის იმედით. ხშირის ფოთლებიდან წვიმის ნამი კამკამით ჩამოდიოდა... მე თავს ვუშვერდი, რომ სასიამოვნო წვეთებს გავეგრძელებინე.

— არ გაიმა, შვილო? — მკითხავდა დედა.

მე თავს ვუქნევდი და ვბტოდი, ხან ძუძუებში ვბურჩნიდი.

ჩვენ წინ ერთ ხმელ ხეს გარშემო კოდალა ევლებოდა და ისე მაგრა უკაკუნებდა, რომ მიკვირდა, — დედაჩემი ამოდენაა და არ შეუძლიან ვერე ტყის გახმაურება, როგორც ამ პატარა ჩიტს-მეთქი! უვლიდა გარშემო ხეს ფეხების ფხაკუნით და ხან ერთსა და ხან მეორე ადგილას ჩაჰკრავდა ნისკარტს... კოდალას ცელქობას მე სიხარულით შევყურებდი, უცებ „ჩხი!“ „ჩხი!“ მომესმა. მოვიხედე გვერდზე: თავზედ ერთი ჩხიკვი გვევლებოდა. „თავი მომაფარეო, — მითხრა დედაჩემმა: — თორემ ჩხიკვი თვალებს დაგთხრისო!..“ მე თავი მოვაფარე. დედაჩემი იგვრებდა თავით იმ საძაგელს. ჩხიკვი ჩემკენ იწევდა; ბევრი იცოდვილა, მერე დაგვანება თავი, თავმოკატუნებული წიფლის ტოტზე შესკუპდა და მოჰყვა კნავილს. იმისი ხმა სწორედ ჩემს ხმასა ჰგვანდა. დედას გაეცინა და მითხრა:

— დიდი ეშმაკი რამეა, შვილო, ეგ ჩხიკვი, გაუფრთხილდი!.. შენისთანა პატარა ნუკრებს ძლიერ ემტერება, შვილო... კრუსუნსა და კნავილს მოჰყვება და ახლო-მახლო რომ შენისთანა ბრიყვი და გამოუცდელი ნუკრი შეხვდეს, ბანს მისცემს, გადაეძრახნება. მაგასაც ის უნდა: მიახტება და თვალებს გამოსჩიქნის!..

მე ტანში ჟრუანტელმა დამიარა...

— ხმასაც არ გავცემ, დავემალეები მაშინათვე!

— ჰო, ვგრე, ვგრე, შვილო! მანამ დედა ცოცხალი გყავს, ნუ შეგეშინდება; როცა მე აღარ გეყოლები, მაშინ სიფრთხილე გმართებს!

— ოჰ, რამდენი გამოცდილება მაქვია ჯერ კიდევ მე, საცოდავსა!..

III

ერთხელ ძლიერ დაცხა. დედაჩემი საწოლიდან ადგა და მითხრა, წყალზე წავიდეთო. წავედით, დავყევით წვრილიანს სერს, ჩავიარეთ შამბზე და ჩავედით ხევში. ხევი ღრმა იყო, მზის სხივები ვერ ჩასწვდომოდა, აქეთ-იქით ნაპირებზე ხეები ერთმანეთზე გადაკვანძულიყო წვერებით. ხის ძირებზე, იქვე ხევის პირად, ჟოლის ფესვები იყო ამოსული, წითლად თავი დაეხარათ და გადმოჰყურებდნენ წყლის დენას. ცივი ანკარა ხევი მოჩუბჩუხებდა გალიზულის ქვებზე, ერთის კლდიდან მეორეზე გადადიოდა და გუბდებოდა. დედაჩემი მივიდა და ჩაღვა შიგ გუბეში. მე ძლივს დავდიოდი ქვებზე, ჩლიქები მტკიოდა.

— მოდი, შეილო, ჩადექ წყალში, საამურია სიცხეში წყალში დგომა.

მე მივედი და კრძალვით ჩავსდგი ჯერ ერთი ფეხი; წყალი საშინლად ცივი იყო და გადმოვტი ისევ უკან.

— ცივია, არ შემძლიან დგომა.

— არაფერი გიშავს, უნდა ეხლავე შეეჩვიო, შეილო! კოტახანი დავდექი წყალში, და მერე გამოვბრუნდით უკან. ჩვენს ზევით ნაკაფიანებში ხმაურობა ისმოდა.

— ეგ საშიში ხალხი არ არის, მითხრა დედამ:

ერთი დედა-კაცი და პატარა ბაღლია. ჩვენი მტერი ეგრე არა ყვირის. ჩვენ მაინც სიფრთხილე გვმართებს: ესე წვრილიანზე ავიაროთ, ველის პირად ნუ დავენახვებით. დედაჩემი წინ წავიდა. მე გულმა არ მომიტმინა და გავხედე; ტანი დავმალე, მხოლოდ თავი გამოვაჩინე. ამ დროს ქვეიღამ ხმა მომესმა: „ვაი, ვაი, დედილო, მგელი, დედილოჯან, მგელი!“

— ნუ გეშინიან, შვილო, გენაცვალე. აბა სად არის, დამანახვეო? ჰკითხავდა დედა. — აგე, ყურები არ გადმოუტკვეტია, აღამიანო, ტყიღამ! — თვალ-ცრემლიანი უჩვენებდა ბავშვი თითით ჩემზე.

— უი, შენ-კი გენაცვალოს დედა, მგელი-კი არ არის, შვლის ნუკრია, შვილო! ჭა, რა ლამაზია!

— დავიჭიროთ, შენი ჰირიმეო, — ეუბნებოდა პატარა დედას და თან მოუთმენლად ემზადებოდა ჩემკენ გამოსაქცევად.

— არა, გენაცვალოს დედა, ცოდოა, შვილო, როგორ იქნება, განა მაგას არა ჰყავს დედა! ხომ უნდა იტიროს იმან თავისს შვილზედ!

მე სულ-განაბული ყურს ვუვლებდი და მიამა, რომ გავიგონე ერთად ერთი სიტყვა ჩვენის შებრალებისა. მე კიდევ მინდოდა ყური მეგდო, მაგრამ დედაჩემი დაბრუნებულიყო, მოიბრინა და მიტხრა:

— ჰაი, შე ბრიყვო, გჯერა, რასაც ეგენი ამბობენ?! რას უყურებ იქა? წავიდეთ ჩქარა, მომყე! ეგენი წავლენ, ასწავლიან მონადირეს ჩვენს ბინას და გამოგვასალმებინებენ ხიცოკხლეს. საბრალო დედაჩემი წინადვე ჰგრძნობდა, რომ ისე იქნებოდა.

IV

შეკუნტრუშდა დედაჩემი, შეკუნტრუშდი მეც და გავსწიეთ ზეთიკენ სკუპ-სკუპით. სულ ბოლო დროს მხოლოდ ეს-ლა გავიგონე: „უი, დედაც იქა ჰყოლიაო!“

შეუდექით შამბიანს, ბუერიანს გვერდობს. ბუერის ძირები ცივის წყაროებით იყო მორწყული აქა-იქ ლაფზე ეტყობოდა ჩემსაებ პატარა ნუკრის ნაფეხურები. საშინლად ცხელოდა. ესწუხდით. დაფწექით ბუერებში. იმისი განიერი ფოთლები არ გვაკარებდნენ მწვავე მზის სხივებს. უცებ გარეშემო შემორტყმულ მთების წვერებიდამ ამოცვივდნენ ღრუბლები, შეიყარნენ ერთად. ცამ დაიგრილა, იქექა ელვა გაიკლანა.

წვიმა სვეტ-ვსეტად ჩამოდგა გაღმა სერებზე. მალე ჩვენს გარეშემოც ხის ფოთლებსა და ნამეტნავად ბუერებზე დაიწყო ტყლაშა-ტყლუში. ისეთი ხმაურობა დადგა, თითქოს ტყე და მთა-ბარი იქცეოდა. ყველა სულდგმულმა ხმა გაკმინდა: ჩიტები ველარ ჰბედავდნენ ჰიკჰიკს, ცელქობას... საძაგელი ჩხიკვი, რომელიც ისე მაშინებდა წინად, ეხლა სრულებით არ მეჩვენა ისე საზარელი; დამჯდარიყო წიფლის შიმელაზე, მიეხუჭა თვალები და ნისკარტიდამ ცინგლი ჩამოსდიოდა, მხრები საცოდავად ჩამოეშვა. იმინ ახლოს იჯდა გულ-წითელი ჩიტა, „წიფლის ჩიტა“, უწყინარი, უვნებელი, ლაბუა. მშვენიერად მიეხუჭა თვალები! მოფრინდა „წიპრანა“ და „ჩრიპა

წრივ!“ შესძახა. ჩიკვს შეეშინდა, გაახილა თვალები, გაუსკდა გული, მისკდა ხან იქით, ხან აქეთ, უშნო „ჩხიი, ჩხის!“ ძახილით. მე გამეცინა. წინაღ ყველაზედ ღონიერი ის მეგონა, ეხლა-კი გავიგე, რაც შვილი ბრძანებულა.

გადაიქუხა. ჩიტებმა მორთეს ერთხმად სიმღერა. ბალახებმა და ხის ფოთლებმა სიხარულის ცრემლს დაუწყეს ფრქვევა. დედაჩემს ნაწვიმზე სიარული უყვარდა... წავიდოდა ველად და მეც თან გამიყოლიებდა. ეხლაც წავედით, შეუღეკით ველის პირებს, გავსწიეთ მთისკენ. ტკბილი ხმა ისმოდა სალამურისა. მთის ძირზე გაშლილიყო ცხვარი და ტკბილად სძოვდა ახლად დანამულს ბალახს. მზე გორის პირას იყო ჩამალული ნახევრამდე. იმისი მკრთალი სხივები მხოლოდ მთებისა და ტყის წვერებს ეთხოვებოდა.

გორის პირზე ზევით მხრივ იჯდა ნაბად-წამოხვეული მეცხვარე და შეექცეოდა სალამურს. იმის გვერდით წამოყუნტებულიყო ბანჯღღვლიანი, საზარელი შესახედავი ძაღლი; ცოცხლად აყოლებდა თვალებს ცხვრის ფარას და ხანდახან აჩერდებოდა ალერსიანად თავის პატრონს.

— ცუდს ადგილას მოვედითო, — მითხრა დედაჩემმა: — მეცხვარე უიარაღოა, იმისი ნუ შეგეშინდება, მაგრამ ის ძაღლი დაიყრის ჩვენს სუნს და იქნება გამოგვეკიდოსო. მობრუნდი უკან. თვალი გეკვიროს: თუ ჩვენკენ გამოიქცა, მე დავენახვები და შენ ბალახებში ჩაიმალეო. ჩვენს დანახვაზე ცხვარი წაფრთხა და დაიწყო ჩვენკენ ყურება. მე ხშირისა და დაბე-

რებულის არჯაკელის გროვაში ჩაემაღლე და არ ვა-
შორებდი თვალს იმ კულ-ბუთქვა ძაღლს... ცხვრის
დაფრთხობა და ძაღლის წკმუტუნე ერთი იყო. სცქვი-
ტა ყურები და გამოეჩანა ჩემკენ...

მეცხვარემ დაგვცა კივილი. მე ავკანკალდი. დე-
დაჩემს შეასწრო თვალი და გაეჩანა იმისკენ. დედა-
ჩემი გასრიალდა და ერთს წამს დამეკარგა თვალი-
დამ. ცრემლი მომერია, გული მომიკვდა: ვაიმე, დე-
დავ, თუ დაგიჭიროს მაგ წყეულმა! დიდი ხანი მეს-
მოდა ბრაგა-ბრუგი და ხევიდამ ქვების ჩხრიალი.

ვაიმე თუ დაიჭირა დედაჩემი და თავის აღმა-
სის კბილებით სწეწს! დაბინდდა. მეცხვარემ მოუს-
ტვინა ცხვარს და შეაყოლა ბინისაკენ. გულის ფან-
ცქალით ვადევნებდი თვალს იმის მოძრაობას. საწ-
ყალს ცხვრებს სცემდა ზოგს დიდის კომბლით და
ზოგს ქვებს ესროდა. ერთს პატარა ჩემოდენჯ ბატ-
კანს მიართყა ქვა, საბრალო წაიქცა და საცოდავად
დაიწყო ფეხების ქნევა. მეცხვარე ავიდა ზევით და
დაუწყო ძახილი „ყურშიას“. ცოტა ხანს შემდეგ,
ცის ტატანზე*) დავინახე, რომ იმისი ყურშია, წი-
თელ-ენა გადმოგდებული, ედგა პატრონს გვერდით.

— მე შეშინოდა: ვინ იცის, ჩემი დედის სისხ-
ლით აქვს-მეთქი გამურული ლაშ-პირი. დაბნელდა,
დაუკუნეთდა. ხმაურობა აღარსაიღამ ისმოდა. რა იქნა
დედაჩემი? იქნება ვეღარ მიპოვოს, თუ ცოცხალია?

ცოტა ხანს შემდეგ ხავილი შემომესმა. დედი-

*) პორიზონტს ეძახის ხალხი.

ჩემის ხმასა გვანდა. მეც გავეხმაურე. საბრალო აფორთქლებული მოიჭრა ჩემთან.

— აქა ხარ, შეილო? ნუ გეზინიან, შენი დედა ცოცხალია. ძალლი და მგელი ვერაფერს დააკლებენ. . ცოცხალი ხარო? — მკითხავდა.

— ცოცხალი ვარ, ვუპასუხე მე.

მიაღერსა დედამ... ნეტა ვის შევტურო, ვის შევეხვეწო, ვინ არის ისეთი ძალუმი, რომ დედნიემის თვალეში ჩაახედოს, დამატკბოს იმისის აღერსით!

როგორ უნდა მოვიხელო ეს ჯავრი? ნეტა სისხლის მსმელს მტერს მეც მოვეკალი! რისთვის დავრჩი მე ცოცხალი!?

წინა დღეს ცოცხალს, მშვენებით სავსეს ჩემს ნუგეშს შევსტროდი, და რა მომავონებდა, თუ მეორე დღეს დამეკარგებოდა სამუდამოდ!

▼

მთელი ღამე დაუდიოდით ველზე. აღარ გვეზინოდა; გავედით სვილში და ტკბილად შევექცეოდით. თენება დაიწყო, მივიქეცით ტყეში. წყეული იყოს იმ დღის გათენება! ველზედ სქლად იწვა ბალახი. ველში იდგა ორი-სამი ძირი ბალი; ჯგუფ-ჯგუფად ეხვეოდენ ჩიტები, შაშვეები; ჟივილ-ხივილი ისმოდა; ზოგნი მოდიოდნენ და ზოგნი მიდიოდნენ, მიეზიდებოდნენ შვილებისთვის საზრდოს, დედამ გამაფრთხილა და მითხრა: საშიშია ამ დროს სიარული, ჩვე-

ნი მტერი ნაწვიმზე დაგვეძებს, აქეთ-იქით თვალი ვევიჭიროსო.

ეს იყო უკანასკნელი გაფრთხილება დედაჩემი-საგან. დედაჩემი სწუხდა, თითქოს სიკვდილსა ჰგრძნობდა. მოჰკენებდა ერთს ფოთოლს და გაუყუჩდებოდა.

ჩვენ ზევით იყო ღვნალები, ერთმანეთზე მიწყობით ამოსული. იმათ წინ იდგა სამი თუ ოთხი შეკუმშული და აწურწუტებული არყი.

უცებ, როგორც ცის ჰეჰამ, იგრიალა თოფმა. იმის ხმამ დაიარა მთები და კლდეები, ხის ფოთლებმა და მცენარეებმა კანკალი დაიწყეს, ბოლი გაერთხა ნამიანს ბალახზე. დედაჩემმა ერთი-კი ამოიკენესა და წაიქცა. ვაიმე! მე იქვე გავისხიბე. დედაჩემი მიგორავდა, ვხედავდი, თავქვე და სისხლიანს კვალს სტოვებდა ბალახზე. არყების უკანიდამ გამოხტა ახალგაზდა ბიჭი, ლეგა ჩოხის კალთები აეკვალთა. „გაუმარჯოსო!“ დაიძახა და სასწრაფოს წკრიალით გამოეკიდა დედაჩემს უკან. საწყალი დედაჩემი ცდილობდა ადგომას, წამოიწევდა ხოლმე, მაგრამ ისევ ჩაიხვეოდა მუხლებში, დაეცემოდა და გაგორდებოდა. მე მოვკვდი, ტანში დავიშალე, როდესაც შეჩვენებულმა მონადირემ ამოიძრო პრიალა ხანჯალი და გამოუსო დედას ყელში. სისხლმა იფეთქა და გადაერწყია ხეებზე. ვაჰმე! სულ ცხადად ვხედავდი, მაგრამ რითი ვუშველიდი მე, საცოდავი?! აგერ ძუძუებზე, იმ ძუძუებზედ, რომლებსაც მე ვწოვდი, დაუსო ხანჯალი და გამოშეშხა. შეიღო კისერზედ და გასწია. მე დავიწყე ტირილი. გული შემიწუხდა.

მას აქეთ ცოცხალ-შეკვდარი ვარ; ვტირი და ეს არის ჩემი ნუგეში; დავდივარ და შეესტირი ხეებს, მთასა, კლდეებს, დავსტირი წყალსა და ბაღახს, მაგრამ ჩემთვის დედა არა ჩნდება, დედაჩემს ველარა ვხედავ, ვარ ობოლი და, ვინ იცის, ვინ დამეპატრონება, ვინ შეიღებავს ჩემის სისხლით ხელებს?! |



ქლრანს ტყეში მისული ვარ... მანამ ცოცხალი ვარ, ჩემის სილამაზით დავატკობ ტყეს, ბა-
ლახს და იმ გაღმიდამ გამომცქერალს გულ-
ხავსიანს კლდესა, სუნელეებას მივაფრქვევ არე-მარეს.
ყველას ვუყვარვარ: აგერ იმ დამპალს ყუნჭს თვალი
სულ ჩემსკენ უჭირავს, მიცინის ხოლმე, უნდა ჩემ-
თან მოვიდეს, — მაკაცოს, მაგრამ არ შეუძლიან;
მხოლოდ შორიდან გამიცინებს, გაიღიმება საცოდავი,
თუმცა უშნოდ, მაგრამ გულ-კეთილობა-კი დიდი
გადაეფინება ხოლმე პირზედ.

განა მარტო იმას უხარიან ჩემი სიცოცხლე?
წვერ-ხმელი ხეებიც მე დამხარიან ზევიდამ, თვითონ
თავ-შიშველნი, ტოტებს მე მათარებენ: ჩვენს იას არ
შეგვიციოდეს, ან არაფერმა არ აწყინოსო. პირ-და-
პირ შხაპუნა წვიმას არ უშვებენ ჩემამდის: წვიმას
შეუძლიან ერთბაშად ჩამომაცალოს ფოთლები.
უფოთლებოდ ყოფნა და სიკვდილი ჩემთვის ერთია.
არა, ხეები: არყი, წიფელი, თხილი, თამელი, დუღ-
გულია გარშემო მეხვევიან და მყარაულობენ, წვიმის
ნამს ინახვენ ტოტებით, ფოთლებით და მერე ნელ-
ნელა მამცვრევენ პირზედ თითო-ორჯელ ნამობით,

პირსა მზანენ. მე ყელს მოვიდერებ და ვინატრებ, ნეტა სიმღერა შემეძლოს, ნეტავი დამბადებელს ჩემთვის ნიჭი მოეცა, რომ მექო მალლა ცა და ღრუბელი, მზე, ეს ჩემი მფარველი ხეები, ეს მთები, ის ქალები და დაბუა ჩიტები, რომელნიც ხმელს, ყვითელს ფოთლებში წითლის და მწვანის ფრთა-ბუმბულით ჩემს წინ დაგოგვენ და ხან-და-ხან შემომჭიკჭიკებენ პირში, მათამამებენ, უხარიანთ ჩემი სიცოცხლე. ჩემი ერთის თთვის სიცოცხლე სხვის ოცდა-ოთხის თთვის სიცოცხლეს სჯობია, მაგრამ დიდხანს სიცოცხლეს კი დანატრულებული ვარ. დილას ერთმა „წიფლის ჩიტამ“ ჩემს ახლოს იგალობა. ლამაზი რამ იყო, — ყელწითელი, დაბუა; იმასაც ჩემსავით თავი მოსწონდა, იხედებოდა გულზედ და მხრებზედ; ყველას მოსწონს თავი, ყველას უხარიან სიცოცხლე, ყველას უყვარს ბუნება.

გუშინ ცამ იქექა. ჰექა-ქუხილი ჩვენ არ გვაშინებს: ქუხილი წვიმის მომასწავებელია და წვიმა ხომ ძუძუს გვაწოვებს დედა-მიწის გულზე. მზე — მამაა, ზევიდამ დაგვეყურებს და გვეალერსება, თვალ-ყურს გვადევნებს. წვიმის მოსვლა მცენარეთ უხარიანთ, — უხარიანთ, ყელამდის სიხარულით მოიყარნენ; ეხლა ისინი ახალს კაბებს და ქათიბებს ჩაიცმენ. აი ეს ორი დღეა, რაც ჩემი დობილი სასუტკაც*) ამოჩნდა; უხარიან, უხარიან საცოდავს, სულ თავს იქნევს დაბლა და მალლა, უკრავს თავს დედა-მიწას, მზის სინათლეს,

*) მცენარეა.

მეჩურჩულება, ზღაპრებს მიამბობს სიცოცხლეზე, სიყვარულზე; ხან-და-ხან კიდევ გაიკასკასებს, გაღმა-მეხვევა და მაკოცებს. გუშინ დილით მე და ჩემმა დობილმა ორივემ ვიტირეთ.

რა შეუბრალებელია კაცი?! რასაც კი დაინახავს, უნდა რომ თავის სასარგებლოდ მოიხმაროს. ალბად ვერ აფასებს ჩვენს სილამაზეს! ჩვენ წინ კაცმა გამოიარა, ცაღს მხარზედ ცული ელო, მეორეზედ თოფი ეკიდა. მიადგა ერთს მშვენიერს ტოტ-გადართხმულს წიფელს, დაუშინა ცული და წააქცია. საბრალო, როდესაც წაიქცა, დაიკვნესა. ჩვენს იქით გუგულის-კაბა*) ამოსულიყო და ჯერ ხმელს, ჩამოსულს ფოთოლს არ ამოსცილებოდა. როდესაც ხე წაიქცა, გადიყრენა ზევიდამ ფოთლები და წითლად გამობჭყყინდა, ცრემლები დასხმოდა ჩაღრმავებულს გულში.

შუა დღის დროს დაღალულ-დაქანცული ქედანი მოვიდა და დაჯდა ჩვენს წინ თელის ტოტზე და დაიწყო ლულუნი. უხაროდა იმისაც გაზაფხულის მოსვლა და ის, რომ მშვიდობით ნახა კიდევ ნაცნობი ადგილი. უცებ თოფი გავარდა, ქედანმა ხმა გაკმინდა, ჯერ ფეხით ჩამოეკიდა ტოტზე, მერე ძირს ჩამოვარდა, ჩემს წინ დაეცა. სისხლი წამოუვიდა ნისკარტიდამ და თვალები დახუჭა; გაღმონადენი სისხლი წვეთ-წვეთად დაეტყო ფოთლებზე. მე და სასუტელას კანკალი მოგვფვიდა... მე გარკვევით არა-

*) მცენარეა.

ფერი მესმის, მხოლოდ რაღაც ბუბუნი, გრიალი, ბუნ-
დი ჟრიაშული მოდის ჩემამდის.

ვაჰმე, რა საბრალო არი

ია, მოსული მთაზედა!

ბეჩავს დააზრობს სიცივე,

ან ელვას დაჰკრავს თავზედა;

ღმერთს მიუცია საწყლისად

მოკლე სიცოცხლის ჟამია,

ქვეყნისა მისგან შვენება

ერთი ბეჩავი წამია.

ია დაიწყებს კლომასა,

დაიქვითინებს: „ვაჰმეო!

თუ გამაჩინე, უფალო,

დიდი ღლე რად არ მამეო“?!



ს მ ე ლ ი წ ი ზ ე ლ ი .

მველას და, მათ შორის, მეც მიყვარს მაღალი, შწვანით, ყვავილებით მორთული მთა; გაზაფხულის სუნი, ახლად ამომავალი ბალახი, ახლად დამდნარის ყინულისათვის რომ უჯღმბნია, უცოდველად, უვნებლად ამოუჩენია თავი და შეჰყურებს მზეს, ქვეყანას, იჩქმალეობა, ინაბება, მაგრამ ნახს, მიბნედილს სახეზე გამოუთქმელი ტრფილალება გადაჰფენია:—გავცოცხლდი, მადლი ჩემს გამწენსაო,—თითქოს დუდუნებს. საამურია, გაყინული ხეები გაზაფხულის სითბოთი ზოგნი რომ გაიფოთლებიან და სხვანი აღყვავდებიან. მიბუნდებულს, უღრანს, ბნელს, დაბურულს ტყეს ხომ რა შეეძრება!..

მაგრამ ამ ჟამად ყველაფერი მავიწყდება და თვალთ წინ მიდგება მხოლოდ ერთი ხმელი წიფელი. ისიც უღრანს ტყეში დგას, ერთის კლდის თავზედ. ამ კლდესაც ხავერდივით შწვანე ხავსი გადაჰკვრია. ხმელს წიფელს სხვა ხეები შორს უდგანან, თითქოს განგებ გაჰშორებიან და ამაყად დასჩერებიან თავზე. ხმელის წიფლის ახლო რამდენიმე ქოლის ფეხია მოსული, შველისა და ირმის ნაკვეთის ფოთლებითა.

ისინი გადმოძახულან და გადმოსცქერიან დაბლა მდი-
წარეს, მის ფესვებში რამდენიმე ფეხი ძირ-ტკბილა
შოდის, ზამთარ-ზაფხულ მწვანე, დაკბილულ-ფოთლე-
ბიანი. ხმელს წიფელს წასვლია სიცოცხლის ნიშან-
წყალი: სამი ტოტი-ლა შერჩენია შუა წელს ქვევით,
ზედა ტანი მოტეხილა და ხევში ჩაჩხატულა, გახი-
ლულა. ამ სამს ტოტში წელიწადში მარტო ერთს
გამოუვა ხოლმე სამი თუ ოთხი ფოთოლი, ისიც
ფერ-წასული, დამქნარი, გაყვითლებული. სხვა ხეებს-
კი რომ უყუროთ, დატვირთულნი დგანან ბუნების
შინიჭებულის სარჩოთი. არაფრად აგდებენ ხმელს
წიფელს, ყურადღებას არ აქცევენ, მხოლოდ ზამთ-
რობით, როცა თითონაც შემოეძარცვებათ ხოლმე
საპატარძლო ტანისამოსი და, ცოტად თუ ბევრად,
დაუახლოვდებიან ხმელს წიფელს, მაშინ თუ შეაც-
ქერდებიან, ისიც გაკვრით... ეს მოხდება სწორედ
შაშინ, როდესაც პირ-ბადრი, სახე-ნათელი, თმა-გაშ-
ლილი, „ადგილის დედა“ ბუნების სანუგეშოდ სი-
ყვარულზე, სიწმინდეზე და სიცოცხლეზე ზღაპარს
უამბობს. მაშინ შეუბუზღუნებენ ხმელს წიფელს:
„რას გაშტერებულხარ, საწყალო? ყური დაუგდე, რას
ამბობსო!“.

ხმელი წიფელი ამოიკვნესებს ღრმა კვნესით და
არც ავად, არც კარგად ყურს არ ათხოვებს ამ ამაყ
შკენარეთ, მაგრამ „ადგილის დედის“ ზღაპარს-კი
ყურს უგდებს; თითოეული მისი სიტყვა ლახვარივით
გულზე ესობა და უჩუმრად ცრემლსა ჰღვრის.

საბრალო წიფელი! ერთი ღრო იყო, რომ ესეც

ამაყად გაბარჯლული იდგა, სხვა ხეებს ბევრით მაღლა ასცილოებოდა და თავის ღიდრონ ტოტებითა და ფოთლებით ქოხივით ეხურებოდა თავს მთელს ტყეს. მთი-დამ ბარად მომდინარე არწივი მის კენწვროზე ისვენებდა, მოჰყვებოდა ამაყად ყეფას. ეხლა კი სულთ-მაბრძოლს დაჰფერებია, წაქცევ-წაქცევაზეა მიშა-დული. ტანზე რამდენსამე აღგიოს საცოდავს გა-მხმარი ქერქი ასძრობია და ტიტველი გვერდები უჩანს. ერთს აღაგს უფრო გრძლად აჰყრია ქერქი და დელამიწისკენ გრძლად გადმოშვერილა; გვეგონებათ, ხანჯალი დაუციათ და ნაწლევეები გადმოუყ-რევიანებიათო. ჰიაც ბევრი თუ აქვს ამ წითელს, რომ რამდენჯერაც მის ახლო გავლა მომიხდება, ზედ მუ-დამ კოდალასა ვხედავ. ეს დასაქცევი ერთ-თავად ზედ აზის და, რაც ძალი და ღონე აქვს, ურახუნებს იმ გასახმობს, გასავერანებელს ნისკარტს; თან კიდევ დასჰყივის, დაჰკივის, თითქოს ნიშნს უგებსო. აგერ რამდენს იდგილას ამოუღრუტნია წითელი გულამ-დის. საცაა გულსაც ფქვას დაუწყებს. წითელი დგას, დგას შეუშფოთრად, წარბ-შეუხრელად; არც ავს ამ-ბობს, არც კარგსა.

როცა ქარი უბერავს, სხვა ხეები ერწვევიან, მხოლოდ ხმელი წითელი არ ინძრევა; წინად-კი, როცა იგი ჯან-სადად იყო, სიცოცხლით სავსე, ქარის ბერვაზე დაიწყებდა ზღვასავით დელვას; მისი ტოტები და ფოთლები ქექა-ქუხილივით ხმაურობას ასტებდნენ. ხმელის წითლის ტოტები ამაყად დელა-მიწას სცემდნენ, ასკდებოდნენ. დიად, ეხლა ქარს ვე-

ლარ მიჰყვება ხმელი წიფელი სხვა ხეებივით; ძველე-ბურად, შეუპოვრად გულ-მკერდს ველარ უპყრობს ქარიშხალს. არ მოიდრიკება-კი ხმელი წიფელი და, თუ მოსტყდება, იმისი რა ვსთქვათ... მოსტყდება, წაიქცევა, გვერდზე წაწვება, ფესვები გამოჩნდებიან, აღმე თავ-აქერილები, თითქოს ლოცულობდენ, ღმერთს ევედრებოდენ, შველას სთხოვდენო. ზაფხულობით უფრო შესაბრალისია ხმელი წიფელი: სხვა ხეები მორთულან მწვანის ფოთლით, უვნებელი, უღარდენი; მათზედ ათასი ფრინველი სხდება საგალობლად, ქედნები ღულუნებენ იმათ ტოტებზე, ქერონა ჩიტი დაჰკრავს დაუსრულებელს გალობას, წიპრია იკლებს სტვენით იმათ არე-მარეს და მოუსვენრად გადახტადმოხტის; ყელ-მოდერებული შველი და ირემი იმათ იჩრდილავს. ეს გაფოთლილი ხეები ამაყად დასტყერიან ბეჩავს ხმელს წიფელს, იმისი ეჩოთირებათ და ამბობენ: „ნეტავი შენ არ გვაუშნოებდეთ!“ არ იციან, რომ ხმელი წიფელი იმათზე მეტად იხსენიება, და არიან, იპოვებიან ისეთნი კაცნი, რომელთაც მოსწონთ და უყვართ უბედურებაში ჩავარდნილი ხმელი წიფელი... სოფელში დღეში სამჯერ მაინც მოიგონებენ ხმელს წიფელს.—სადა გყვანდათ დღეს საქონელიო?—მამამ რომ ჰკითხოს თავის შვილებს, ისინი უჩვენებენ ხმელის წიფლის მიდამოს, გაღმითს ან გამოღმითს, თავს ან ბოლოს.

— ხმელ წიფლის ძირს, კლდეში, ვეფხვი დაბუდებულიაო, — ხმა არის სოფელში: — ლეკვები დაუყრიაო. მონადირეებს ენახათ ხმელ წიფლის გარშემო დედა-ვეფხვის და იმის ლეკვების კვალიო.

— ეს სააბედე სოკო ხმელს წიფელს ავაჭერო, —
ამბობს მეორე.

დიალ, არ იციან უგუნურმა ხეებმა, რომ ხალხს
ჯერ არ დაუფიწყნია ხმელის წიფლის სახელი, კი-
დევ ახსოვს იმისი სიდიადე.

განა ყველა, რაც ხმელია,
კაცისგან საწუნარია?
ათასს ცოცხალსა ბევრჯელა
ათჯერ სჯობს ერთი მკვდარია.
შენის დანახვით, ტიალო,
გულის დარდი მაწევს ცხარია,
რაკი გხედავ რო ბეჩაეად
და უპატრონოდ ხარია, —
თითქო დაჰკრესო განგაში,
სამგლოვიარო ზარია.
მინდა რომ დიდხანს ნახარში
და გულში ნადულარია
გაგიზიარო ვარაში,
მდიოდეს ცრემლის ღვარია.
რისთვის მოსულხარ, ბეჩაეო,
არ იგლოვები მკვდარია?!
შენთვის არც წაწყმედა არი,
არსად ცხონება არია!
ვინ არ შეგიკრავს კუბოსა,
ვინ არ აგინთოს სანთელი?..
ვაჰ, რა ძნელია, კვდებოდეს,
იკარგებოდეს სახელი!

ლამ-ლამობით ათასში ერთხელ ხმელს წიფელზე
 ბუ შეჯდება და დაკოდილის ხმით მოჰყვება გულ-
 მოკლოლი ძახილს: „ვერ იპოვეო“? და, როცა ძახი-
 ლით დაქანცულს შემოესმის: „ვერა, ვერაო“, მო-
 საწყლებული თავს დაჰკიდებს, და „ღრუ, ღრუო“
 ხმა-დაბლა გულს ჩასძახებს.

ზამთრობით მგელი ესტუმრება ხოლმე ხმელს
 წიფელს, აიტუზება იმის გვერდით და ღმუის, შიმ-
 შილისგან შეწუხებული. ხმელი წიფელი შეუშფოთ-
 რადა სდგას, არც ავს იტყვის, არც კარგს; სდგას გა-
 შტერებული; იმან არც სიბრალოლი იცის, არც სი-
 მძულვარე; არც სამტროდ აუღუღდება გული,
 არც სამოკეთოდ; ფიქრობს ხმელი წიფელი თავის
 თავზე, წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე; გულში
 თითქო ღრმად ჩასქდევია მწუხარება. ხანდისხან გად-
 მოაკეცრდება მის ერთს ფესვის ბოლოზე ამოსულს,
 პატარა დასახულს ყლორტს, რომელიც მზეს და წვი-
 მას უცდის, რომ გაიზარდოს. ეს-ლაა იმისი ნუგეში...



მთის წყარო

სრაფერი ცოდვა არ მიქნია ჩემს სიცოცხლეში. ვერც ერთი სულიერი, თუნდ უსულო, ჩემს ცოდვას, ჩემს სიბევს ვერ იტყვის. ღმერთს ესე დაუწესებია: უნდა ვილინო, ვილინო; ყველამ ჩემით უნდა მოიკლას წყურვილი. გახურებულს ზაფხულის დღეში რამდენი ნადირი მოდის, სვამს ჩემს წყალსა, რამდენი დაღალულ-დაქანცული მუშა მოვა, მოიტანს ცელს, ნამგალს გასალესად. კაცნი მსმენ და ათასში ერთი თუ იტყვის: „დაილოცე, ცივო მთის წყაროვ, რომელი ღვინო შეგედრებაო?“ უმრავლესობა ზედ მაფურთხებს. რა ვქნა, მე ვერავის მივაფურთხებ. დეე, ისევ მე მაფურთხონ! რა ბედნიერადა ვგრძნობ ჩემს თავსა, ღმერთო! რა კარგი მეგობრები მყვანან გვერდსა! აი ჯერ ეს ლოდები, სქლად მწვანე ხავსი რომ გადაჰკვრია; აი კიდევ ჩემს თავზედ პირ-ყვითელი კლდე რომ დაყუდებულა და დამცქერის, მეხურება თავზედ მუზარადივით. ეს დევებივით ქორათები როგორ აწვდილან ზეცად და მზის სხივსაც არ უშვებენ ჩემამდის! სქელი, გველებივით დაკლაქნილი ფესვები ჩემს უბე-კალთაში ჩაუწყვიათ.


ორისა თუ სამის ვერსის სიგძეზე ვარ მხოლოდ ბედ-
 ნიერი და უცოდველი, მერე დამლევეს, ჩამნთქავს
 უზარმაზარი მდინარე, დაიკარგება ჩემი სახელი, ჩემი
 ვინაობა. როგორც უნდა, ისე მათამაშებს. თითონ
 ხომ ღრიალებს, ბორგავს, აწყდება აქეთ-იქით, ან-
 გრევეს დედამიწას, გლეჯავს ხეებსა და მიათრევეს, მეც
 იმასვე ჩამადენინებს. მაგრამ მაშინ მე ის აღარა ვარ,
 რაც ეხლა, ამ წამში, როდესაც პირველად კლდი-
 დამ ვიბადები. ოჰ, ამ მდინარისაგან გული მაქვს გა-
 ხეთქილი! რამდენჯერ აქ მესმის ხოლმე ხალხის ჟი-
 ვილ-ხივილი: „დაარჩო წყალმა კაცი, უშველეთ,
 ღმერთოთა არავის გწამთო!“ ცოტა არ არის, მეც ბრა-
 ლი მედება. ვაჰ, ჩემო თავო! ნეტავი დამბადებელს
 ესე არ დავეწესებინე და სულ დაუსრულებლად მე-
 დინა, მერწყო მცენარენი, დედამიწის ლამაზი გუ-
 ლი, მომეკლა კაცთა და ცხოველთათვის წყურვილი!
 რა ბედნიერად ვგრძნობ ხოლმე ჩემს თავს, როცა
 მე ჩაუვლი გასახმობად დამზადებულს ბუერასა და
 იგი თავს დამიკრავს, სალამს მაძლევს, თან თავისის
 ფოთლებისას კაბას მიკერავს. მერე რომ ჩაღუნიან-
 ში ჩავრაკრაკდები და ისინიც გარს შემომერტყმიან
 და ტრფილით მომძახიან: „გაუმარჯოს მთის წყა-
 როს, გაუმარჯოსო!“ ახლა ზევისაგან წამოთელილს
 თხილებსა და ყურძნებს დავულობობ დამქნარს ფე-
 სვებსა და მალლა ავახედინებ... ოჰ, ღმერთო, ღმერ-
 თო, ჩემს ამაგს რად აფუჭებინებ იმ ტიალს, აბეზარს,
 დაუდეგარს, მოუსვენარს მდინარეს! წუხელის რა ცუ-
 დი სიზმარი ვნახე!.. ღმერთო დამბადებელო, ჩვენო

პატრონო, ჩვენო შემნახველო, კარგად ამიხდინე!... ვნახე, ვითომ ვიღუპებოდი. გვალვა, დიდი გვალვა დამდგარიყო; ბალახნი, ხენი, ჩემნი მშობელნი, დამქვნარიყვნენ, მეც დავმშრალიყავი თითქმის. ლაბუა, ლამაზი „წითლის ჩიტა“ ჩამოფრინდა ვერხვის ტოტიდამ და უნდოდა ჩემს გუბეში ბანაობა, მაგრამ ველარ დაისველა მხრები და დაიწყა ტირილი. ვხედავდი ამას და გული მიკვდებოდა: „სად წახველ, ჩემო მადლო-მეთქი“, — ვდუღუნებდი. დამქვნარნი დიცი, შუპყა, შამბი, არცი, ცაცხვი და ურძავნი, — ყველანი ერთად შფოთავდნენ: — „მივაშველოთ წყაროს წყალი, არ დაგვიშრესო!“ . მაწვდიდნენ ფოთლებიდამ, ტოტებიდამ, ფესვებიდამ თითო-ოროლი ნამობით, მაგრამ ველარასა მშველიდნენ. თანაც ვითომ მიწამ პირი მიყო და დაუსრულებელს უფსკრულში უნდა დავღუპულიყავ. შემეშინდა და გამომეღვიძა. გული მიკანკალებდა, შუბლზე ოფლი დამსხმოდა. ავიხედე, ნისლებით გაქედილიყო ხევ-ხუვი. ქორათმა ტოტები დამკრა, აკვანი დამირწია და დამდუღუნა: „ნუ გეშინიან, პატარავ, არ დაშრები, არ დაიკარგებიო!“ ამ დროს, დღისით ფრთხილი და წინ-დახედული, ზურგზე ~~სტებ-გადაყრილი~~ „ყელყურ ლამაზიანი“ ირემი მოვარდა გაჩქარებით, დაეწაფა ჩემს წმინდა წყალს, დალია და გაძლა. მაშინ გულ-დამშვიდებულმა ვსთქვი: — „არა ვარ გამშრალი, არაო!“



ჩ ვ ე ნ ი ს ო ზ ე ლ ი

(სურათი)

ოდესაც სოფელს გაეიხსენებ, მაშინვე თვალწინ წამომიდგება ტყე, მინდვრები, მდინარე, მთები, მიწური და ჩალური გაბეჩავებული ქოხები და გაჭიმული გუთანნი, ცელი და ნამგალი, მკითხავი და ქადაგი, მღვდელ-დიაკვანი, მნათე და გონების სიჩლოუნგე, ქუდ-მომრუდებული მჭადა-აზნაურა, სუდია-მამასახლისი, იღლიაში ჯოხ-ამოჩრილი გზირი, რომელიც ჩამოწეწილს ჩოხის კალთებს დაათრევს, წვიმისაგან გალოუსკულს ქათამს დაჰფერებია, უგზო-უკვლოდ დაფარფატებს სოფლის უსწორ-მასწორო ქუჩებზე, ხან აქ დააჩენს ქუდის წვერს, ხან იქ, ამოადენს ძაღლების ყეფას, დედა-კაცებისა და ქათმების წიოკს, ჟივილ-ხივილს. გზირი სოფლისთვის ქორია. უნებლიედ მოგაგონდება „კანცელია“, ცხრაგან ჩამონგრეული, და დუქანი, რომელშიაც მეტად ავი სუნი ტრიალებს. დიად, დუქანი მისი განათლებულის დახლიდრითურთ, რომელიც „სვოლოჩო!“ ეუბნება გლეხებს და ლოქოსავით პირი დაუღია ყველას და ყველაფრის ჩასაყლაპავად.

დუქანი სოფლის „კანცელის“ განყოფილებაა. განსამართლება აქიღამ იწყება ხოლმე და თვით სამართალიც ღვინის რუმში ჩაუმწყვედევით სოფლის მოხელეებსა. საბრალო სამართალი რუმში ზის მობუზული და თვალთაგან ცრემლი ჩამოსდის ღაპაღუპით.

სოფლის ხსენებასთან ერთად კაცს აგონდება დედამიწასთან სასტიკი ბრძოლა, მედგარი შრომა, ოფლი გულ-მკერდზედ. ფეხ-შიშველი, მუცელ-ტიტველი ბაღლები, ტიკჭორასავით დაბერილები, მირბი-მორბიან; ლობიოთი დათხუპნულს ცხვირ-პირს და ფაშვებს იტრიალებენ.

სწორედ შესაფერი აქია უთქვამთ ქართველებს ლობიოზე. ლობიოს იმდენივე ამაგი უდგა ჩვენზე, რამდენიც ბატებს რომზე. აი როგორ:

ქართულს სოფელში, ერთს ოჯახში ბუხარია ძალზე გახურებული. ბუხრის ნაპირი დაუმშვენებია უზარ-მაზარს ლობიოს სადულარსა; სადულარში ლობიო თავისებურად, ფილოსოფიურად დინჯად დულს და გადმოდის. მოვიდა სადილობის დრო, შეგროვდნენ ოჯახის წევრნი; გაჩნდა დიასახლისი, ამოზილა ლობიო, მოიმარჯვა ჯამ-ჭურჭელი; გაშალეს სუფრა. ის-ის იყო გადმოდგა დიასახლისმა, უნდოდა ჯამებზე დაესხა ლობიო, უცბად ხმა გაისმა: „თავს უშკეღეთ, ლეკები მოდიანო!“ თავს ზარ-დაცემული ოჯახობა აიბარვა, ზოგმა ციხეს მიაშურა, სხვა ტყეში გაიქცა. სადულარი დარჩათ გადმოდგმული. გაათურებული ლეკები შეცვივდნენ სახლში იმ იმედით, რომ ტყვე-

ბი და დავლა ეშოვათ, მაგრამ თავისებური დარბაისელი სადუღარი დახვდათ; ქოთანში ლობიო ისევ ჩუხჩუხებდა, თითქოს ცეცხლი უკეთიაო. ლეკებმა ეს რომ დაინახეს, გაოცდნენ, შეშინდნენ, სთქვეს: „ჩქარა წავიდეთ აქედამ, თორემ ჩვენი საქმე ცუდად არის, სუფრა გაშლილია, საცაა ოჯახის პატრონი მოვა პურის საქმელად და ტყავებს დაგვაძრობსო; ამ საკვირველის საქმლის, რომელიც უცეცხლოდ დუღს, მჭამელი სწორედ ცეცხლი იქნება, ერთი რამ საოცარი კაცი;—ჩქარა, აბა ჩქარაო!“ ლეკებმა, არამც თუ იმ ოჯახს, მთელს სოფელსაც თავი დაანებეს, ხელი არ ახლეს და გაპზორდნენ იმ არე-მარეს.

აი რა მადლი დათესა ჩვენმა ლობიომ.

დადგა სოფელში გვალვა, გახმა დედამიწა, უხმება მოსავალს ძირი. „ეჰე, რას გვიშვრება ი დალოცვილი ღმერთი, აიღო ჩვენზე ხელი! გვადირსე კიდევ ნამი, ღმერთო, შენის მადლისა და სახელის ჭირიმი!“,—გაისმის სასოწარკვეთილი ხმა სოფელში.

— ცოდო გამრავლდა, შვილო, ცოდო, — ეუბნება ერთი მეორეს, მეორე მესამეს, მესამე მეოთხეს, მეოთხე მეხუთეს და სხვ. — გინდათ ერთმანეთის დალუპვა, გშურთ მეზობლისათვის ერთი ლუკმა პური და ღმერთმაც დაიშურა თქვენთვის. ძაან კარგა გვიშვრება, ახია ჩვენზე!

წამალი გვალვისა ისევ ბებრუკუნებმა და პატარძლებმა მოიგონეს: შეზილეს ტალახისაგან „ლაზარე“, სწორედ ისე, როგორც ღმერთმა პირველი კაცი ადამი, დაასვენეს გაძაგრული ხონჩაზედ, დაათ-

რევენ საბრალო ლაზარეს კარი-კარ და გაიძახიან: „ლაზარ მოდგა კარსა, ლაზარ-ბატონო! ცხრილი აგორებულა, წვიმა გაჩქარებულა, აღარ გვინდა გორახი, ახლა მოგვეც ტალახი, ლაზარ-ბატონო!“-ვო. თუ როგორმე მოჰხდა და წვიმა მოვიდა, უყურეთ მაშინ სოფლის თავის მოწონებას.

— მადლობა უფალს, — ეუბნება ერთი მეორეს, მეორე მესამეს, მესამე მეოთხეს და სხვ.: — ალბათ სოფელში მადლი კიდევ დარჩენილა, არ გავვიმეტა ღმერთმა წასახდენად.

იქნება სოფელში ყველა ერთმანეთის მტერი და მოშურნე იყოს, მაგრამ სოფელს-კი, მთელს სოფელს ცალკე თავის თავისათვის კარგი უნდა. ტყუილად-კი არა სვამენ გლეხნი მალალის „სორტის“ სადღე-გრძელოს და ამბობენ: „ღმერთო, შენ გააძლიერე ქვეყნიერობა, ქვეყნის წყალობით ჩვენი სოფელიო!“.

თუ ვინმემ სოფლისთვის სამაჟნეო საქმე ჩაიდინა, ან სიტყვა დახარჯა, მაშინ მძლავრი ხმა გაისმის: „ეგ არ მოხერხდება, შვილოსან, არ იქნება, არა, სოფელი დაილუპება!“

თუ დამნაშავე სოფლის წინაშე ხელშესავალია, მაშინ სოფელი ჯოხს ეძებს დამნაშავის გასაწურთ-ნავად, და თუ არა, ქუდს მოიგლეჯს და ჩივის: „ნუ დაგვლუპავთ, ბატონო; თქვენის ცოლ-შვილის სა-დღეგრძელოდ, შეიბრალოეთ ჩვენი საწყალი თავი“.

თუ რომელიმე სოფლის მოხელე, მამასახლისი იქნება თუ სუდია, „საყელოში იწევს“, სოფელი უწყრება: „ბატონ-ყმობა დიდი ხანია გადავარდა,

შენ გინდა ისევ დაიბრუნო!? ჩემი დაყენებული ხარ, თუ ჰკვირანად არ იქნები, შეველა მაქვს, მალე გადაგაყენო. სოფელი დუმაა, ნელ-ნელა მოთაღე, შევილოსან, ის გირჩევიან. შენ სოფელს გინდა გაუმკლავდე? ეჰეე, დიდი ძალა აქვს სოფელსა; თუ მონდომა, მალე ყირაზე გადაგატარებს!“

დიად, უყვარს სოფელს თავი და უფრთხილდება კიდევ თავის თავს ბევრით მეტად, ვიდრე ცალკე წევრნი სოფლისანი ერთმანეთს.

ზაფხულობით ცხარე დღე აღგება სოფელს; რაც ორს თთვეს ოფელს დააქცევს სოფელი, მთელს დანარჩენს დროის ღვაწლს სამჯერ აღემატება. შეაგროვებს სოფელი დედამიწის ნაძღენევს, მის მადლს. ეს მადლია დამნამუსებელი სოფლისა, იმის კაცობის დამაგვირგვინებელი: მკედარს, ცოცხალს იმითი უნდა გაუძღვეს.

დადგა შემოდგომა. კაცის მარჯვენამ მთა-ბარს, წინდვრებს ნაღები მოჰხადა; დარჩა გახრიოკებული დედამიწა; რაც რამ სარჩო-საბადებელი ჰქონდა დედამიწას, კაცს უძღვნა და თითონ-კი დარჩა ცალიერი.

მინდვრებზე აღარაფერი ჩანს; მარტო პატრონი-საგან მოძულეებული, სიბერისაგან გადახრწნეული კულა ცხენები-ლა თუ დახეტიალებენ და ჰხონხიან ხმელს დედამიწას; სოფელი-კი მხიარულობს, თვრება, „პარუნანო-თარუნანო“ გაისმის. სოფელი შემოსძახებს სუფრულს:

„წუთი-სოფლის სტუმრები ვართ,
ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება;

კარგი ვსოთ და კარგი ვქამოთ,
 ამის მეტი რა შეგვეჩება!
 ჰარუნანო, თარუნანო, ჰა ბიქო, ჰეო!
 მე სოფლის თავსა ვესახლე,
 არა სოფელი ჩემს თავსა, —
 რაც მე სოფლისთვის მინდოდა,
 წინ-წინ მოვიდა ჩემს თავსა! აა-ო“.

— აბა, ბიქო, ბანი! ბიჭებო ბანი, ჰაააა! ყვობის ერთი და მოჰყვებიან სხვანიც. გაისმის დაუსრულებელი სიტყვები: „აბა, მიირთვით, აბა, კაი დროგება გამიწიეთ, ნათლიდელ, ნათლიმამ, მოყვარე, სეხნიაგ“ და სხვ. და სხვ.

ხალხი, გაბრუებული სასმლისაგან, შეგულიანებულია; ისმის თამამი სიტყვა-პასუხი, გულმა ქონი მოიკრა, ამოხრანწული ყელი გაპოხიერდა, ხმა გაიწმინდა, სისხლი აფუვდა ძარღვებში; ერთი მეორეს უკადრის სიტყვას და ქცევას აღარ უთმობს. თუ სიტყვიერად ვერ დაახვეინა უკან, გადადილდება მუშტის ხმარება, ჩამოვარდება შუღლი, შეძულდება, რომელმაც ბევრი-ბევრი დიდ-მარხვამდე გასტინოს. დიდ-მარხვაში შერიგება უნდა მოჰხდეს უსათუოდ. მანამ არ შერიგდებიან, ზიარება, წმინდა საიდუმლო არც ერთს მაშფოთარს არ ერგება. სოფელს მტკიცედ ახსოვს ჯერ კიდევ ძვირფასი სიტყვა იესო ქრისტისი:

„უბეთუ შესწირვიდე შესწირავსა საკურთხეველსა ზუდა და მუნ მოგახსენოს შენ, რამეთუ ძმა შენი გულებიონ რაიმეა შენზედა, დაუტყვე შესწირავი იგი საკურ-

თხვევლას ზედა, წარუდ და დაეკე მარჯვლად ძმასა შენ-
სა, მოვედ და შესწორე შესწორაფი იგი“.

გართულს ხალხს ვერ შეუნიშნავს, რომ ზამთარი სპეტაკის წვერითა და თეთრის სამოსლით წამომდგარა კარებში, სიცივისაგან აცახცახებული, და იხვეწება: „შემიშვით სახლში, გამათბეთო, აბა, შეშა და ცეცხლიო!“ თითონ დაუბატიყებლად შიბრამანდება და დაიღრიალებს: შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი, — კვალი ყინვისა, ხველა-მკვლისა, „ფუფალა ბატონებისა“ო. მხოლოდ მაშინ გამოფეხიზლდება ხალხი, მოიფშენეტავს თვალებს, ეღირსება ბუხარს „გაძრიელება“ და დაუდევარი ღიღინი:

„გამხიარულდი, ბუხარო,
გულ-ჩათხრობილი ნუ ხარო!“

აგერ ყველიერიც დადგა, ყველიერი თავის განუშორებელ მეგობრებითურთ — ბერიკებით და ღიღილამ მოყოლებული მეორე დილამდე. განუწყვეტლად სმა-ჭამით. იმდენი ხორაგეულობა უნდა წაყლაპოს, შთანთქმას ყველაშ, რომ შთელი ორმოცი დღე მისმა სინოყივრემ გასტანოს. დაუსრულებელი სმა-ჭამა და ქანაობით მონელება გახლავთ ყველიერის სამკაული.

მობრძანდა დიდ-მარხვაც, დადგა დრო ლობიოს შეფობისა, მისის სასტიკის ბრძანებლობისა. დადგა დრო სინანულისა, რათა მოველოდეთ აღდგომას სიხარულისას. ისმის მწუხარე ხარის რეკა, მწუხარე, თითქოს მიცვალებული უიყოს სოფელში... მღვდელი

და დიაკვანიც, ვერად მოყვარულნი წირვა-ლოცვისა, ზარმაცად მილიან საყდრისკენ; ნამეტნავად შესაბრალოსია ეს უკანასკნელი მსახური ეკლესიისა, რომელიც თავისუფალ დროს ძილის მეტს არაფერს აკეთებს და ერთავად სძინავს, როგორც რუსები იტყვიან, დევურის ძილით, ისე, რომ თვალის ქუთუთოები ტომარასავით გაჰხდომია. ჩივის საქმელზე: რა უნდა ჭამოს კაცმაო, ეს მარხვა რაღა ხათაბაღააო... მეტი ჩარა არ არის, უნდა აასრულონ თავისი წესი. გაისმის დიაკვნის გამოურკვეველი კითხვა, კითხვა სხაბა-სხუბით, აჩქარებით. რაც უნდა გვადო, ერთს სიტყვასაც ვერ გაიგონებ. ისმის მღვდლის ლოცვაც, სწორედ გლოვისა და ტირილის ხმაზე წარმოთქმული სიტყვები:

უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისაო, სუღსა უქმობისასა, მიმომწვედიდეულობისასა, მთავრების მოგვარებისასა ნუ მიმცემ მე; ხოლო სული სიწმინდისა, სიმდაბლისა, მოთმინებისა და სიუვარულისა მომადლე მონასა შენსა. ჰე, უფალო და მეუფეო, მომანიჭე განცდა ოვისთა ცოდვათა და არა განკითხვა ძმისა ჩემისა, რამეთუ კურთხეულხარ შენ საუკუნეთა უკუნისამდე. ამინ.

დიალ, საბრალო კილოთი ისმის ეს სიტყვები. ხალხი ოხვრით მუხლს იყრის, და თქვენც ამბობთ: ამინ, ამინო!

კ უ რ დ ლ ე ლ ი

საწყალი კურდღელი სძინავს, თვალები უქყე-
ტია, — თუ ფხიზელია, ხომ უქყეტია და უქყე-
ტია, და აბრიალებს, რაც ძალი და ღონე აქვს,
დიდრონს, საცოდავს თვალებს, თანაც „კნუსკუ-
სებს“, — ნამეტნავად თუ მტერი მოსდევს, და როდის
არ მოსდევს საბრალოს მტერი? ბევრი არა ცხოვ-
რობს კურდღელივით.

საცოდავი ცხოველი!

მე კი ყველაზედ საწყლად ის მიმაჩნია და სხვამ
ყველამ თავისი თვითონ იცოდეს... სხვას ყველაფერს
თავი დაფანებოთ, მარტო თვალ-ხილულა მისი ძილი
გავიხსენოთ. სძინავს კურდღელს თვალხილულას, —
არ იკითხავთ, სადა? — ჯაგ ში. რატომ კურდღლის
ძილს არ ვუკვირდებით? რატომ ამაზედ არა ვფიქ-
რობთ: რად უხელია მძინარა კურდღელს თვალები?..
მეტს სხვას ვერაფერს ვიტყვი ამაზედ: იცის რომ
მტრინია, მტერი ბევრი ჰყავს; სულ მტრის ფიქრშია,
სულ მუდამ მტრები გლანდებიან. და ისე მიეძინება;
თვალებს არ დახუჭავს; მძინარაც ფრთხილობს და
თვალები ღია ჰჩაება. დეე შეცნირებში იძახონ, რომ.

კურდღელს თვალის ქუთუთოები პატარები აქვს, თვალის კაკლებს ვერ უფარვენ, ვერ უმაღავენ და იმიტომ უხილია მძინარა კურდღელს თვალებიაო. ესტკვათ, ესეც იყოს. რალა მარტო მტრიანს კურდღელს დაუბატარავდა თვალის ქუთუთოები და სხვას არა? განა რომ ემავე თვალ-ხილულობისაგან, — თვალ-ხილულობისაგან, რომელიც დაუღვევლის, დაუბოლოვებელის შიშისა და ელდისაგან წარმოსდგება... კურდღლის „ქუ-ციხე“, სიმაგრე, — ჯავია. არავის არაფერს უშავებს, არავის არას ავნებს. საღამოზე, შხის ჩასვლისას ოდგება და დაცანცალებს ველ-ველის პირებზე: საღ ნეკერს მოჰკვნიტს, საღ მწვანე ბაღახს მოჰკორტნის, საღ ჯეჯილს იგემებს, მაგრამ ამით ის ზარალს მაინც არაფერს აძლევს კაცსა და ბუნებას. მერე „დაცუცქდება“ კურდღელი დინჯად, დარბაისლურად; ყურები მაღლა აცქვეტილი უჭირავს; ხან-და-ხან აათამაშებს — ერთს წინ წასცქვეტს, მგორავს უკან და ერთმანეთზე „გააწკაპუნებს“. საცოდავი, ცოტა გულ-უბრუვილია, იმიტომ არის უფრო მესობრალისი: კაცმა თუ ახლო გაუარა, გაინაბება, ნამეტნავად თუ აჩვენე, ვერაფერს გხედავო, და ამითი ძალად იფუჭებს თავსა. იმის შავიერად, რომ წაშობტეს და თავს უშველოს, სანამ მოწადირე მიუვას, ის ინაბება, „გაიტყლაპება“ დედა-მიწაზე. რის იმედი აქვს, რომ არ ფიცის — მკლავისა? განა არ ფიცით იმის მკლავის ძალა. თოფ-იარაღისა? ისიც ხომ კარგად მოგეხსენებათ, რა ზარბაზნების პატრონიც არის? არა; კურდღელს იმისი იმედი აქვს, — მიანდირე ვერ

დამინახავს, დავემალეობიო. სისაწყლოე მეტი-ლა გინდა, იმისი იმედი ჰქონდეს, კაცია თუ ცხოველი, რომ მტერს დავემალევი და ვერ დამინახავსო. იქნება და-გინახა, კურდღელიო, მერე? არა სჯობია, წინა-პირ-ველადვე თავ-ღარიგიანად დაიჭირო საქმე?!

საწყალი კურდღელი!

ყველა, ვინც კი პირველად თოფს აიღებს, კურდღელს ემუქრება. აგერ ერთი გამოჩნდა თო-ფიანი.

— გამარჯვება სად მიხვალ, კაცო? ვეკითხები.

— სანადიროდ, — კურდღელს უნდა ჩავუჯ-დეო, — მეუბნება.

აგერ მოდის მეორე, მესამე, მეოთხე, — ყველანი თოფ-იარაღიანები. იმათაც ისე ვეკითხები. კურ-დღელს უნდა ჩავუჯდეო, იძახის თვითვეული მათგა-ნი. წადი და შენ კაცს ღმერთი და სამართალი სთხოვე! ახლა ის ვიფიქროთ, რამდენი სხვა ცხოვე-ლი ემტერება კურდღელს. ნუ იტყუით მეგებს, მე-ლას, — ტკიპებისაგან გამოხრული ბუც-კი შდინარა კურდღელს დააწვება ხოლმე თავზე. ბუ ხომ ღამ-ღამობით დაფრინავს, — და კიდევ იმიტომ არის სო-შიშარი კურდღლისათვის, — მერე ისე ჩუმად, რომ ოდნავ შრიალსაც ვერ შეატყობთ. რა ქმნას საწყალომა კურდღელმა? საით წავიდეს? სად გადავარდეს?..

აი სარიყოლაპია რას მთამბობდა კურდღელზე.

— ერთხელ, — დაიწყო სარიყოლაპიამ ტუჩების გრებით, ლორის ღრუტუნსა ჰგავდა იმისი ხმა, — აქე-დამ დავინახე, რომ ღუნია ხაღბი, გეგონებოდა ჯა-

რიაო, მოაქანებს ცხენებს მინდორზე. ისმის ყვირი-
 ლო და კოეინი, აუარებელის ძაღლების წკავ-წკავი
 და ყეფა აყრუებს იმ არე-მარეს, ზედაც თოფი-თოფ-
 ზედ გადის. წამლის ბოლი და მტვერი ერთმანეთში
 არეული ნისლივითა ფუის. დავაცქერდი კარგად...
 ოღონდაც შევნიშნე, რომ ის ხალხი ერთს კურ-
 დღელს მოსდევს. გამიკვირდა კიდევ, სად მოიყარა
 ამოდენა ხალხმა თავი-თავსა მეთქი: ზოგი უკან მო-
 სდევს კურდღელს, ზოგი წინ უხვდება, სხვანი მარჯვ-
 ნილამ და მარცხნილამ ეტანებიან. მაგრამ არ იქნა,
 ვერც მოჰკლეს და ვერცა დაიჭირეს, თუმცა ბურტყლი
 კი ბლომად გაადინეს... შორიდგან კარგად ვხედავ-
 დი, რომ კურდღლის ბურტყლი ნარის ბუმბული-
 ვით მადლო მიმოჰქონდა ქარსა... კურდღელი მაინც
 მორბოდა, მორბოდა გამაღებული, ზურგზე ყუ-
 რებ-გაწყობილი. გამოასწრო როგორც იყო, მო-
 ნადირეებს წინა და ჩემს სახლს დაუპირ-და-პირდა.
 ერთად-ერთი თავშესაფარი ჩემი სახლი იყო. მოვიდა
 პირ-და-პირ, მეტი გზა აღარ იყო, და ჩემს სახლში
 მოვარდა. მე მაშინვე კარებზე მივხურე, რომ ძაღლე-
 ბი შინ არ შეჰყოლოდენ. შევედი, ტახტ-ქვეშ შე-
 მძვრალიყო და კუთხეში მიკუნჭულიყო... რომ და-
 მინახა, ამობრუნდა გულ-აღმა და ფეხებს დაუწყო
 თამაში, შიშისაგან აკანკალებდა და თითქოს მეხვე-
 წებოდა: ნუ მომკლავ, თუ ლმერთი გწამს, ფითომ
 შენი სტუმარი ვყოფილვარ, შემიბრალეო... გამი-
 ხარდა, გამიხარდა, რომ მეტი არ იქნება. მეც ისე
 ვაჩვენე თავი, როგორც მოკეთება: ავიყვანე ხელში,

გადუსვი ზურგზე ხელი, დამნებდა, ფეხიც აღარ გაუქნევია. ათასიც რომ გაექნია, სადღა წამივიდოდა!.. გადავეცი მაშინვე მზარეულს... ნახევარი გვერდი შემწვარი უნდა ჰქონდეს და მეორეც მალე დაებრაწება. ნიგვზით გემრიელია და გემრიელიადაც გაიხლები. მოვიდნენ მონადირეებიც.

— სად არის ჩვენი კურდღელი, — რა უყავი, მოიტა აქა?! — ყვირიან.

— ღმერთმა ნუ იცის თქვენი თავი-მეთქი, — შევუტიე. არა, თქვე ოხრებო, კურდღელი ხელში არ გეჭირათ, რაღათ გაუშვით-მეთქი? რაღა ეთქმოდათ! ერთი კი მომადფურთხეს, მიაბრუნეს ცხენები და გასწიეს კუდ-ამოძუებულებმა. შორიდან ბარემლაც გულის იმჯილავენ, მუქარას მითვლიან, კბილებს მიღრქენენ, მაგრამ რას გაჰხდებოდნენ?!

მ ო ზ ო ნ ი ბ ა

(საშობაო მითხრობა)

საშობაოდ დათხოვნილი სწორედ შუა ქრისტი-
შობისთვის მოვედი შინ. გზაზე ძლიერ შე-
მცვივდა, ფეხები დამიძრა, მაგრამ ის ფიქრი,
რომ დედასა და მამას, ნათესავებს ვნახავ-მერქი, მა-
მხნევებდა და ბაიბუად არ გამაჩნდა. არავის რომ ვა-
მოვდიოდით, გარშე ნაპირიდან იხვეწის გუნდი აფ-
რინდა და ყიყინით გახსნია თავიქვე.

— ოჰ, შენი ქირიშე, დედავ, რამოდენებია! —
წამოვიძახე განცვიფრებულმა, — განა ისეთი მსხვილი
იხვი, როგორც არაგვმა იცის, სხვაგანაც არის? — ვკითხე
ბერუას, რომელიც, დურა-ტყავში გახვეული, ტყავის
ქუდზე ყაბალან-წაკრული, ცხენის ჩაკჩაკით მომდევ-
და უკან. ბერუამ იცოდა, როგორს პასუხსაც მოვე-
ლოდი იმისაგან, და მიპასუხა:

— არაგვისთანა მსხვილი იხვი დედა-მიწის ზურგ-
ზედ სადღა შეიძლება იყოსო.

— კალმახი და ორაგული?

— მაგას ხომ თქმაც არ უნდაო.

თანდათან მიეუახლოვდით ჩვენს სოფელს. აგერ
ახუნი, აი სასვეთავი, აგერ „საძეროანი“. რამოდენა

სიამოვნებას ვგრძნობდი, როცა დავინახე მიღამო ჩემის სოფლისა. უნოა ყველაფერი, რასაც ვხედავ, მაგრამ რამდენს რასმე ეუბნება ჩემს გულს ეს მთავრი, ეს ტყე გაბარდნულის თოვლით. აგერ ჩვენი საყდარი გამარტოებით გორაზე, დაღონებულად მარტოდ-მარტო გადმოსტეკროა არაგვის ხეობას, ამ იმედის კაკალიც, დამამშვენები მამულებისა, უხარ-მანარი, გაბარჯლული. დავინახე ჩვენი სახლიც სვეტად ბუხრიდამ მალლა აღიოდა ბოლი. როგორც გაბარდულა თოვლით ჩვენი წნორი. გული აღარ მითშენს; გაუაჩქარე ცხენი... გორაზე ვილაც პატარა გადმოდგა, გადმოგვხედა და სწრაფად მიბრუნდა შინსკე. ის ჩემი ძმა იყო, გვიცნო და გაექანა, რომ ჩვენებისთვის ეხარებინა. ყველაზედ უწინ დედაჩემი გამოჩნდა კარებში და მოგვეგება წინ. თვალგზეცრემლი მოუვიდა: „შეგციფდებოდა, შვილო, ვი შენს დედის!“ მკოცნა, ბევრი მკოცნა. მომეხვივნენ და-ძმები და ცივ-ცივად გამიტაცეს სახლში, სადაც ჩემთვის, როგორც კეისრისათვის, ბუხრის წინ ვაუზმართათ საბძანებელი. ბუხარი რუხილის კუნძებით იყო გამოტენილი და საამურად ღუღღუღებდა. მიმიჩემის მეტი ყველანი ფეხზე იდგნენ და თავს მევლებოდნენ. მიმიჩემი ფეხზე არ ადგა, სტოლთან იჯდა, სათვალეები გაეკეთებინა, წინ ქალაღლი და ჩოთქი ედგა და რაღასაც ანგარიშობდა. მე შივედი, ხელზე ვემთხვიე. იმან ჯვარი გადამსახა: „სახელითა მიმოსათა და ძისათა და სულითა წმიდისათა, ამინო“, — სთქვა და შუბლზე მაკოცა.

— ძალიან შეგცივდა? — მითხრა მამამ ღიმი-
ლით: — აბა რა მოგარბენინებდა და თბილად არ იჯე-
ქი? სოფელში საკვირველს რას ნახავ?!

— არ შემცივდა-მეთქი, — ვუთხარი ძლივ-ძლი-
ვობით, რადგან სიცივისაგან კრიჭა მქონდა შეკრუ-
ლი. ან-კი რა მათქმევინებდა, შემცივდა მეთქი.

— ბავშვს შესცივნია, თბილად ჩააცვიო, —
უთხრა მამამ დედაჩემს, რომელიც უკვე მზდიდა ფე-
ხებს. მომიტანა თავის ხელით დაქსოვილი წინდები,
ახალი ახალუხი, ჩემთვის დამზადებული, მომახვია მა-
მას თულუფი, და ასე გამოვბრწყინდი ბუხარის წინ.
მამამ ისევ თავისი საქმე განაგრძო. დაგვრჩა ბუხარი
მე და ბერუას. წაიძრო იმან ხელიდამ ხელ-თათმანე-
ბი (საფუხრები) და ჯერ შორიდამ გადმოეწოდა
ცეცხლს, მერე მოუჩოჩდა ისიც ბუხარს და მიუშვირა
გული და ხელები. ბერუამ გააჭირ-დიდა ჩვენი მგზავ-
რობა, თითქოს ამერიკაში ყოფილიყო და არა ტ — ში.
რასაკვირველია, აზრად ისა ჰქონდა, რომ მეტის პა-
ტივის-ცემით მოჰპყრობოდნენ ჩემი მშობლები, რა-
დგან იმდენი შრომა და ჯათა გამოიარა ჩემის გუ-
ლისათვის.

— დავიხოცენით, გავსწყდით, მამაო მღვდე-
ლო, — სთქვა ბერუამ წარბების აჭიმვით: — ვაგლახი
გზაა გასატიელბელი, წელამდე თოვლი ვკვალეთ.
გავსილა ზვაეებით გზები. მე ისე ჩემი თავი არ მა-
ჯავრებდა, როგორც ეს ბაღლი.

— წუხელ ვისთან იდექით? — ჰკითხა მამაჩემმა
ბერუას.

— მამიდასთან მოვიყვანე. ცას დაეწია საწყალი. აღარ იცოდა, რა ექნა, და როგორ დაგვხვედრიყო. ჯერ ხომ სულ ფეხზე ჰყუდავ და წუხელ სულ ფეხზე იტრიალა. თბილად დაგვაწვინა, მაგრამ მე კიდევ ჩემი ნაბიძცი დაეხურე ლევანს, არ შესცივდესო.

— ძალიან ღარიბად ხომ არ არის თინათინი? — იკითხა მამაჩემმა, რომელმაც ეხლა ძლივს დაანება თავი ანგარიშს და კრიალოსანს მიჰმართა.

— თავისად კარგად ყოფილან, ბალოცი მოსწრობით. ძალიან ცოცხალი ბაღია. წუხელის აღარ დაგვადინა, გვიამბო ზღაპრები, არაკები. დილასაც გვიანლა წამოვედით, აღრე არ გამოგვიშვებს. ჟენაცვალოს მამიდაო, — უთხრის თინათინმა ლევანს: — აღრევე მიხვალთ შინაო; წელში ერთხელ ანა გნახეთ, ან არაო; ჩემი ძმა ერთხელ იმას არ იტყვის, მივიდე, გავიგო ან ავი, ან კარგი ჩემის დისაო. თქვენ ი თავი ხო სუ დამინატრაო“.

ბერუა ბევრს რასმე იტყოდა კიდევ, რომ დედაჩემს ბურის საქმელიად არ დაეძახა.

ეხლა ძლივს ამოვისუნთქე თავისუფლად. როდის-ღა ვივარძნობ იმ გვარს სიამოვნებას? ნეტა აღარ წამიყვანდნენ იმ ოხერს სასწავლებელში-მეთქი, ვფიქრობდი. ეს ფიქრი ხომ არ შემისრულდებოდა და არა, მაგრამ ის მიხაროდა, რომ ორი კვირა თავისუფალი ვიქნებოდი. და სულთამხუთავი მასწავლებლები აღარ დამადგებოდნენ თავზე. . . ნიადგ უნდა მესიამოვნებოდა — ჯერ ერთი. გადაფრჩი ბერძნულის მასწავლებელს, ამ დათბებულს; დახავსებულს ბურსაკს;

ჯერ ქართული ანბანა არ ვიცოდით და ის-ე მოგვიყვა ბერძნულს ენის: ნეტავი თითონ მაინც სტოუნონოდა თავის საგანი, ისიც მაშინ სწავლობდა. შავ-შაფი, ხმელი კაცი იყო; დაგვადგებოდა თავზე და „გვაზუბრინებდა“: „აღფა, ბეტა, ლამა, დელტა“. ისე ამოიძახებდა ამ ხმებს, თითქოს საშარიდამ მკვდარმა ამოიძახაო. მთელი ერთი თთვე გვაზუბრინებდა ერთს ბერძნულს ფრაზას და, ლმერთმა იცის, ნამდვილად ისრეა ბერძნულად, თუ სხვა ნაირად იგი ფრაზა დადგებოდა, ჯერ თითონ დაიწყებდა და მერე ჩვენ ვაგვამეორებინებდა ხოლმე: „დიკის დიკინ ტიკ-ტიკინ, კე ბლაფის ბლაფინ ბლაფიო“, ვითომ სიმართლე ჰბადებს სიმართლეს და უსამართლობა უსამართლობასაო. მეორე მასწავლებელს რაღა დამავიწყებდა. ამას დავითი ერქვა სახელიდ და გვარად ეკალაძე იყო. თავის დანიშნულებად ის მიჩნდა ამ კაცს, რომ რაც შეიძლებოდა შეგეშინებინეთ...

ღმერთო, რა ამბავი იყო, როცა ის გაჯავრდებოდა: თვალები დაესისხლებოდა, მოავლებდა შევირდს თმაში ხელს და გაისურვდა; საითაც მოხვდებოდა, ერთი მუქა ბალანი ხელში უნდა დარჩომოდს და მერე-შებურავით აქეთ-იქით გააბნევედა. უნდა მოგახსენოთ, რომ როზვა მაშინ ისხლად ვადავარდნილი იყო, დავით ეკალაძის ხავადალოდ და სამწუხაროდ, მაგრამ ჩუმ-ჩუმად ეკალაძე ამოკმულდებდა მაინც როზვს. შენახული პქონდა სახლში და საქიროების დროს მოიკითხავდა. „თქვე მ—ღებო, იქნება იმას მუიქრობთ, როზვი ვადავარდაო, ვერა მო-

გართყვისა“, — ეტყობა ზურაბულით. გულოდამ შევლი
 ზურაბის შეფორდებზე, რომელიც სწრაფად გაბაწრავ-
 დნენ ერთ-ერთს ამ არწივის მსხვერპლს და წამოაჭ-
 ცვედნენ. „აბა ერთი რივიანად მოახვედრეთ: მაგას
 რომოკიოდე რაზგი“. ბევრსა ჰყვიროდა საწყალი
 ბავშვი: — ვაი, დედავ, მოგვიკლიო, — მაგრამ ამით
 არწივი ეკალაძე დასძახებდა: — „მოკვდი, მოკვდი,
 მოკვდი, ს—სინ! მაგრა დაკათ, მაგრა, მაგ მ—ს!“
 ვაი იმ შევირდ-ჯალათის ბრალი, რომელიც გულ-
 ზელობას გამოიჩინდა და ვერ დაჰკრავდა გამეტებით;
 ახლა იმას გადაგვრინებდა რატაკზე.

მე ბუხარში ვიჯექი და იქილამ ვუცქეროდი, ამ
 საშინელებას. დიად, ბუხარი იყო ჩემი სკამი მთელი
 ორი წელი, რადგან ადგილი აღარ იყო შევირდო-
 სადგის, და ერთ თავად ნაკარში ამოგანგლოული დავ-
 დიოდ. რა ღმერთი გამიწყობოდა, დამეშავებინა
 რამე ამ სურათების მნახველს. ეკალაძეს ბრაზი მოუ-
 ვიდოდა ხოლმე; რომ საბუთს არაფერს ვაძღვედი
 გაროზვისას, შთამშარებდა რასმე და დამკიფლებდა: —
 „მ—ის სუფს აგიტორებ, ფ შეველო!“ გამოსომდა
 ბჯღალის ქორორე, თითქოს ქორმა ქათამს გაჰკრა
 ბჯღალიო, და გაღისვრიდა ბურტყლებს დაბ-
 ლა. გაკვეთილების გათავების შემდეგ, რომ ჰკვიანი
 კაცი გამოჩენილიყო და ჩვენს კლასში მოსულიყო,
 ერთის ჯამბარის საკმაო ბურტყდის აჰკრეფავდა. ამ
 ვაი-ვაგლახის მნახველსა და გამოფლიოს ჩემს საკუ-
 თარს ჰქერს ჰქვე ყოფნა მშვიდობიანად, რა თქმა
 უნდა, დედად მეფასებოდა და ღიღის სიამოვნებას მი-

ღვიძებდა. გულში, თუნდ სულ არაფერი ექმიათ და არაფერი ესმიათ ჩემთვის. მაგრამ ამ შხრითაც ბედნიერი ვიყავი ჩემს სახლში, მანამ სახლის პატრონთან. სახლის პატრონი იმისთვის ჰპატრონობდა სახლს და იყვანდა შევირდებს, რომ ფული მოეგო. ამიტომ ზაფხულობით ჭრიანტლით (ტყემლის წვენი) დაგვეკრა კბილები და ზამთარში მახოხით. როცა მამა ჩამოვიდოდა, სახლის პატრონიც შესცვლიდა თავისს პოლიტიკას, მშვენიერს სადილს გამართავდა, უ-„გენაცვალე“-ოდ სიტყვას არ მეტყოდა, მილაქუცებდა, რა არის არ დამებეზღებინა მამაჩემთან და ლუკმა არ დაშეკარგვიან. მეც მეგონა, იქნება ამას იქით სულ ესე კარგად მომექცეს-მეთქი; და ვიყავი ამ ვაებაში ცალკე შინ ცალკე სკოლაში.

გულმა აღარ მომიტმინა. ვერ შევსძელი მეტი ჯდომა, თუმცა დედა ჩემთვის საუზმეს ამზადებდა, ხვდევ და მოვუარე, სადაც რაზე საცუცნარი მეგულლებოდა... ვნახე ჩემი კვიცი, რომელსაც ამ ოთხს თთვეში ბევრი მოემატნა. ვითომ უნდა დამეურავა ჩემს ჭკუაში, მაგრამ ხელის მიახლოვება იუკადრისა და კამპი გამკრა მხარზედ... ამოვალებინე სკივრიდამ ჩემი ხანჯალი, რომელსაც ენგი მოჰკიდებოდა; და გავწმინდე, გავაკაშკაშე. მოვიკითხე ჩემი მამალი — კუბლირი. მე რომ თავი დავანებე, მაშინ ჩიორა იყო, ძლივ-ძლივობით, რის წვითა და დაგვით ყელის ძაფები უნდა დაეგლიჯა, მანამ ხრინწიანის ხმით „ყი-ყოიყა“-ს დაიძახებდა. ენლა-კი თამამად, ამაყად დედლებში დასეირნობდა და ბოხის ხმით, ისეთი

ხმით, რომ პროტო-დიაკვნებსაც-კი დაენატრებოდათ იმისი ბასი, გასძახოდა მულმიფს, ერთ ფეროვანს თავისს საგალობელს. დედაჩემს დავენახე, რომ თავმოწონებით დავსცქეროდი კუბლირს, და მითხრა თურმე ხუმრობით, მე-კი მართალი მეგონა:

— ხვალ, შვილო, კუბლირი უნდა წამოვყინებ-როთ, ვერაფერი მამალიაო.

— დიალ, როგორ არა-მეთქი, — ვთქვი მე გულგადმოტრიალებულმა და გული დავიმშვიდე, რაკი დედაჩემს ხუმრობა შევატყე. ჩქარა ჩემს მეგობრებს ბესას და ვასილსაც შეეტყოთ ჩემი მოსვლა და მოვიდნენ ჩემს სანახავად. მე ღარბაისლად ვიჭერდი იმათთან თავს, როგორც „განათლებული“ კაცი, ვიმაგრებდი თავს, თითქმის აღარც-კი ვიციინოდი და შუბლს ვიჭმუხნიდი. თითო-ოროლა რუსულს სიტყვას წამოვისროდი, რა არის მჩვენებინა იმათთვის, რომ რუსული ვიცი-მეთქი. თან მოტანილი მქონდა: ერთი ტყვიის მამალი, თუნუქის საყვირი და რეზინის ბურთი... სოფლელი ბიჭები ამეებს განცვიფრებით სინჯავდნენ და მე-კი თავი მომწონდა, როგორც დიდის საკვირველების მექონეს. დიალ, ვჭკვიანობდი და „ესურიოზნობდი“, მაგრამ ჩემი ძალად-ქვეიანობა, როგორც ჩემს თავს ვატყობდი, ერთს დღეზე მეტს ვერ გასტანდა. მეორე დღეს უნდა გამეტიო აღმე თუ დაღმე, მარჯვნივ თუ მარცხნივ. ამასობაში კიდევ დაღამდა, ჩაიზე დავსხედით, ჩემი მეგობარი ბესა და ვასილიც მივიპატიყე. ჩვენმა მურამ ვიღასაც ყეფა დაუწყო, მაგრამ მალე ხმა გაკმინდა.

რიაო, მოაქანებს ცხენებს მინდორზე. ისმის ყვირი-
 ლი და კიჟინი, აუარებელის ძაღლების წკავ-წკავი
 და ყეფა აყრუებს იმ არე-მარეს, ზედაც თოფი-თოფ-
 ზედ გადის. წამლის ბოლი და მტვერი ერთმანეთში
 არეული ნისლივითა ფუის. დავაჯერდი კარგად...
 ოღონდაც შევნიშნე, რომ ის ხალხი ერთს კურ-
 დღელს მოსდევს. გამიკვირდა კიდევ, სად მოიყარა
 ამოდენა ხალხმა თავი-თავსა მეთქი: ზოგი უკან მო-
 სდევს კურდღელს, ზოგი წინ უხვდება, სხვანი მარჯვ-
 ნიდამ და მარცხნიდამ ეტანებიან. მაგრამ არ იქნა,
 ვერც მოჰკლეს და ვერცა დაიჭირეს, თუმცა ბურტყლი
 კი ბლომად გაადინეს... შორიდგან კარგად ვხედავ-
 დი, რომ კურდღლის ბურტყლი ნარის ბუმბული-
 ვით მალლა მიმოჰქონდა ქარსა... კურდღელი მაინც
 მორბოდა, მორბოდა გამალებული, ზურგზე ყუ-
 რებ-გაწყობილი. გამოასწრო როგორც იყო, მო-
 ნადირეებს წინა და ჩემს სახლს დაუპირ-და-პირდა.
 ერთად-ერთი თავშესაფარი ჩემი სახლი იყო. მოვიდა
 პირ-და-პირ, მეტი გზა აღარ იყო, და ჩემს სახლში
 მოვარდა. მე მაშინვე კარები მივხურე, რომ ძაღლე-
 ბი შინ არ შეჰყოლოდენ. შევედი, ტახტ-ქვეშ შე-
 მძვრალიყო და კუთხეში მიკუნჭულიყო... რომ და-
 მინახა, ამობრუნდა გულ-აღმა და ფეფებს დაუწყო
 თამაში, შიშისაგან აკანკალებდა და თითქოს მეხვე-
 წებოდა: ნუ მომკლავ, თუ ღმერთი გწამს, ფითომ
 შენი სტუმარი ვყოფილვარ, შემბრალეო... გამი-
 ხარდა, გამიხარდა, რომ მეტი არ იქნება. მეც ისე
 ვაჩვენე თავი, როგორც მოკეთება: ავიყვანე ხელში,

გადუსვი ზურგზე ხელი, დამნებდა, ფეხიც აღარ გაუქნევია. ათასიც რომ გაექნია, სადღა წამივიდოდა!.. გადავეცი მაშინვე მზარეულს... ნახევარი გვერდი შემწვარი უნდა ჰქონდეს და მეორეც მალე დაებრაწება. ნიგვზით გემრიელია და გემრიელადაც გაიხლები. მოვიდნენ მონადირეებიც.

— სად არის ჩვენი კურდღელი, — რა უყავი, მოიტა აქა?! — ყვირიან.

— ღმერთმა ნუ იცის თქვენი თავი-მეთქი, — შევუტიე. არა, თქვე ოხრებო, კურდღელი ხელში არ გეჭირათ, რაღათ გაუშვით-მეთქი? რაღა ეთქმოდათ! ერთი კი მომამფურთხეს, მიაბრუნეს ცხენები და გასწიეს კუდ-ამოძუებულებმა. შორიდამ ბარემღაც გულს იმჯილავენ, მუქარას მითვლიან, კბილებს მიღრჭენენ, მაგრამ რას გაჰხდებოდნენ?!

მ ო ზ ო ნ ე ბ ა

(საშობაო მითხრობა)

საშობაოდ დათხოვნილი სწორედ შშ ქრისტი-
შობისთვის მთელი შინ. გზაზე ძლიერ შე-
მცირებო, ფეხები დამიძრა, შაგრაში ის ფიქრი,
რომ დედასა და მამას, ნათესავებს ვნახავ-შეგვი, შა-
მხნევებდა და ბაიბუად არ გამაჩნდა. არავის რომ გვ-
მოვლილოდით, გარშე ნაპირილამ იხვევის გუნდი აფ-
რინდა და ყიყინით უახსნია თავქვე.

— ოჰ, შენი ქირიბე, დედავ, რამოდენებია! —
წამოვიძახე განცვიფრებულმა, — განა ისეთი მსხვილი
იხვი, როგორც არავემა იცის, სხვაგანაც არის? — ვკითხე
ბერუას, რომელიც, ღურა-ტყავში გახვეული, ტყავის
ქულზე ყაბალახ-წაკრული, ცხენის ჩაკჩაკით მომდევ-
და უკან. ბერუამ იცოდა, როგორს პასუხსაც მოვე-
ლოდი იმისაგან, და მიპასუხა:

— არავისთანა მსხვილი იხვი დედა-მიწის ზურგ-
ზედ სადღა შეიძლება იყოსო.

— კალმახი და ორაგული?

— მაგას ხომ თქმაც არ უნდაო.

თანდათან მივეუახლოვდით ჩვენს სოფელს. აგერ
ახუნი, აი სასვეთავი, აგერ „საძერიანი“. რამოდენა

სიამოვნებას ვგრძნობდი, როცა დავინახე მიღამო ჩემის სოფლისა. უნაოა ყველაფერი, რასაც ვხედავ, მაგრამ რამდენს რასმე ეუბნება ჩემს გულს ეს მთები, ეს ტყე გაბარდნულის თოვლით. ავერ ჩვენი საყდარი გამარტოებით გორაზე, დაღონებულად მარტოდ-მარტო გადმოსცქეროა არავის ხეობას. ახ იმედის კაქალიც, დამამშვენები მამულებისა, უზარ-მაზარი, გაბარჯული. დავინახე ჩვენი სახლიც სვეტად ბუხრიდამ მაღლა აღიოდა ბოლი. როგორც გაბარჯული თოვლით ჩვენი წინარი. გული აღარ მითშენს; გავაჩქარე ცხენი... გორაზე ვილაც პატარა გადმოდგა, გადმოგვხედა და სწრაფად მიბრუნდა შინისკე. ის ჩემი ძმა იყო, გვიცნო და გაექანა, რომ ჩვენებისთვის ეხარებინა. ყველაზედ უწინ დედაჩემი გამოჩნდა კარებში და მოგვეგება წინ. თვალგზე ცრემლი მოუვიდა: „შეგცივდებოდა, შეილო, ვაი შენს დედის!“ მკოცნა, ბევრი მკოცნა. მომეხვივნენ დაძმები და ცივ-ცივად გამიტაცეს სახლში, სადაც ჩემთვის, როგორც კეისრისათვის, ბუხრის წინ გავუმართათ საბძანებელი. ბუხარი რცხილის კუნძებით იყო გამოტენილი და სამურად ღუდღუდებდა. მამიჩემის მეტი ყველანი ფეხზე იდგნენ და თავს მევლებოდნენ. მამიჩემი ფეხზე არ ადგა, სტოლთან იჯდა, სათუთლები გაეკეთებინა, წინ ქილაღლი და ჩოაქი ედგა და რაღასაც ანგარიშობდა. მე შივედი, ხელზე ვემთხვიე. იმან ჯვარი გადამსახა: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინო“, — სთქვა და შუბლზე მაკოცა.

— ძალიან შეგცოვდა? — მითხრა მამამ ღიმი-
ლოთ: — აბა რა მოგარბენინებდა და თბილად არ იჯე-
ქი? სოფელში საკვირველს რას ნახავ?!
— არ შემცივდა-მეთქი, — ვუთხარი ძლივ-ძლი-
ვობით, რადგან სიცივისაგან კრიჭა მქონდა შეკრუ-
ლი. ან-კი რა მათქმევინებდა, შემცივდა მეთქი.

— ბავშვს შესცივინა, თბილად ჩააცვიო, —
უთხრა მამამ დედაჩემს, რომელიც უკვე მზლიდა ფე-
ხებს. მომიტანა თავის ხელით დაქსოვილი წინდები,
ახალი ახალუხი, ჩემთვის დამზადებული, მომახვია მა-
მას თულუთვი, და ასე გამოვბრწყინდი ბუხარის წინ.
მამამ ისევ თავისი საქმე განაგრძო. დაგვრჩა ბუხარი
მე და ბერუას. წაიძრო იმან ხელიდამ ხელ-თათმანე-
ბი (საფუხრები) და ჯერ შორიდან გადმოეწოდა
ცეცხლს, მერე მოუჩოჩდა ისიც ბუხარს და მიუშვირა
გული და ხელები. ბერუამ გააქირ-დიდა ჩვენი მგზავ-
რობა, თითქოს ამერიკაში ყოფილიყო და არა ტ — ში.
რასაკვირველია, აზრად ისა ჰქონდა, რომ მეტის პა-
ტივის-ცემით მოჰპყრობოდნენ ჩემი მშობლები, რა-
დგან იმდენი შრომა და ჯათა გამოიარა ჩემის გუ-
ლისათვის.

— დავისოცენით, გავსწყდით, მამაო მღვდე-
ლო, — სთქვა ბერუამ წარბების აქიმვით: — ვაგლახი
გზაა გასატიელბელი, წელამდე თოვლი ვკვილეთ.
გაუსილა ზეავებით გზები. მე ისე ჩემი თავი არ მა-
ჯავრებდა, როგორც ეს ბალოი.

— წუხელ ვისთან იღექით? — ჰკითხა მამაჩემმა
ბერუას.

— მამიდასთან მოვიყვანე. ცას დაეწოა საწყალი. აღარ იცოდა, რა ექნა, და როგორ დაგვხვედრიყო. ჯერ ხომ სულ ფეხზე ჰყუდავ და წუხელ სულ ფეხზე იტრიალა. თბილად დაგვაწვინა, მაგრამ მე კიდევ ჩემი ნაბადიცი დაეხურე ლევანს, არ შესცივდესო.

— ძალიან ღარიბად ხომ არ არის თინათინი? — იკითხა მამაჩემმა, რომელმაც ეხლა ძლივს დაანება თავი ანგარიშს. და კრიალოსანს მიჰმართა.

— თავისად კარგად ყოფილიან, ბაღლიც მოსწრობი. ძალიან ცოცხალი ბაღლია. წუხელის აღარ დაგვადინა, გვიამბო ზღაპრები, არაკები. დილასაც გვიანლა წამოვედით, აღრე არ გამოგვიშვეს. ჟენაცვალოს მამიდაო, — უთხრის თინათინმა ლევანს: — აღრევე მიხვალთ შინაო; წელში ერთხელ ანა გნახავთ, ან არაო; ჩემი ძმა ერთხელ იმას არ იტყვის, მივიდე, გავიგო ან ავი, ან კარგი ჩემის დისაო. თქვენ ი თავი ხო სუ დამანატრაო“.

ბერუა ბევრს რასმე იტყოდა კიდევ, რომ დედაჩემს ბურის საქმელად არ დაეძახა.

ეხლა ძლივს ამოვისუნთქე თავისუფლად. როდის-ღა ვიგრძნობ იმ გვარს სიამოვნებას? ნეტა აღარ წამიყვანდნენ იმ ოხერს სასწავლებელში-მეთქი, ვფიქრობდი. ეს ფიქრი ხომ არ შემისრულდებოდა და არა, მაგრამ ის მიხაროდა, რომ ორი კვირა თავისუფალი ვიქნებოდი. და სულთამხუთავი მასწავლებლები აღარ დამადგებოდნენ თავზე.. ნიადაგ უნდა მესიამოვნა. — ჯერ ერთი გადავტრე ბერძნულის მასწავლებელს, ამ დაობებულს; დახავსებულს ბურსაკს;

ჯერ ქართული ანბანა არ ვიცოდით და ის-კი მოგვიყვა ბერძნულს ენის. ნეტაფი თითონ მაინც სკოდნოდა თავის საგანი, ისიც მაშინ სწავლობდა. შავ-შაგი, ხმელი კაცი იყო; დაგვადგებოდა თავზე და „გვაზუბბინებდა“: „ალფა, ბეტა, ლამა, დელტა“. ისე ამოიძახებდა ამ ხმებს, თითქოს სამაროდამ მკედარმა ამოიძახაო. მთელი ერთი თთვე გვაზუბბინებდა ერთს ბერძნულს ფრაზას და, ღმერთმა იცის, ნამდვილად ისრეა ბერძნულად, თუ სხვა ნაირად იგი ფრაზა დადგებოდა, ჯერ თითონ დაიწყებდა და მერე ჩვენ გაგვამეორებინებდა ხოლმე: „დიკის დიკინ ტიკ-ტიკინ, კე ბლავის ბლავინ ბლავიო“, ვითომ სიმართლეს ვხადებდნენ სიმართლეს და უსამართლობა უსამართლობასაო. მერე მისწავლებელს რაღა დაშავიწყებდა. ამას დავითი ერქვა სახელიდ და გვარად ეკალაძე იყო. თავის დანიშნულებად ის მიაჩნდა ამ კაცს, რომ რაც შეიძლებოდა შეგვეზინებინეთ...

ღმერთო, რა ამბავი იყო, როცა ის გაჯავრდებოდა: თვალეები დაესისხლებოდა, მოავლოებდა შევირდს თმაში ხელს და გაისურვდა; საითაც მოხვდებოდა, ერთი მუქა ბალანი ხელში უნდა დარჩომოდოდა და მერე-შებურვით აქეთ-იქით გააბნევდა. უნდა მოგახსენოთ, რომ როზგი მაშინ ისწავლად გადაფარდანილი იყო, დავით ეკალაძის ხავალალოდ და სამწუხაროდ, მაგრამ ჩუმ-ჩუმად ეკალაძე ამოკმულდებოდა მაინც როზგს. შენახული ჰქონდა სახლში და საქიროების დროს მოიკითხავდა. „თქვე მ—ლებო, იქნება იმას ბუიქრობთ, როზგი ვადავარდაო, ვერ მო-

„გართყვანა“, — გეტყვოდა ზურჩხულით. გულოდამშტეტლი
 ჭედროსს შფუნიდებს, რომელნიც სწრაფად გაპბაწყავ-
 დნენ ერთ-ერთს ამ არწივს მსხვერპლს და წამოაქ-
 ცევდნენ. „აბა ერთი რივიანად მოახვედრეთ: მაგას
 რომოკიოდე რაზგი“. ბევრსა ჰყვიროდა საწყალი
 ბავშვი: — ვაი, დედავ, მოგიკედლო, — მაგრამ ამითლ.
 არწივი ეკალაძე დასძახებდა: — „მოკვდი, მოკვდი,
 მოკვდი, ს—სინ! მაგრა დაკათ, მაგრა, მაგ. მ—ს!“.
 ვაი იმ შვიგირდ-ჯალათის ბრალი, რომელიც გულ-
 ზეილობას გამოიჩინდა და ვერ დაჰკრავდა გამეტებით;
 ახლა იმას გაძაგვრინებდა იატაკზე.

მე ბუხარში ვიჯექი და იქილამ ვუცქეროდი. ამ
 საშინელებას. დიად, ბუხარი იყო ჩემი სკამი მთელი
 ორი წელი, რადგან ადგილი აღარ იყო შევიწდი-
 სათვის, და ერთ თავად ნაკარში ამოგანგლოული დავ-
 დიოდ. რა ღმერთი გამიწყობოდა, დამეშავებინა
 რამე ამ სურათების მნახველს. ეკალაძეს ბრაზი მოუ-
 ვიდოდა ხოლმე, რომ საბუთს არათყრს ვაძღვედი
 გაროზვისას, მომჩივარებდა რასმე და დამკიფლებდა: —
 „მ—ის სუფოს აგიტირებ, თ შეველო!“ გამოსომდა
 ბჯღალის ქოჩორე, თითქოს ქორმა ქათამს გაჰკრა
 ბჯღალით, და გაღისვრიდა ბურტყლოებს დაბ-
 ლა. გაკვეთილების გათავების შემდეგ, რომ ჰკვიანი
 კაცი გამოჩინდლიყო და ჩვენს კლასში მოსულიყო,
 ერთის ჯამშარის საკმაო ბურტყლს აჰკრეფავდა. ამ
 ვაი-ვაგლახის მნახველსა და გამოთვლილს ჩემს საკუ-
 თარს ჰქერს ჰქვე ყოფნა მშვიდობიანად, რა თქმა
 უნდა, დიდად მეფასებოდა და ღიღის სიამიფუნებას მი-

დვიძებდა. გულში, თუნდ სულ არაფერი ეჭმიათ და არაფერი ესმიათ ჩემთვის. მაგრამ ამ შხრითაც ბედნიერო ვიყავი ჩემს სახლში, მანამ სახლის პატრონთან. სახლის პატრონი იმისთვის ჰპატრონობდა სახლს და იყვანდა შევირდებს, რომ ფული მოეგო. ამიტომ ზაფხულობით ჭრიანტლით (ტყემლის წვენი) დაგვეჭრა კბილები და ზამთარში მახოხით. როცა მამა ჩამოვიდოდა, სახლის პატრონიც შესცვლიდა თავისს პოლიტიკის, მშვენიერს სადილს გამართავდა, უ-„გენაცვალე“-ოდ სიტყვას არ შეტყოდა, მილაქუცებდა, რა არის არ დამებზღებინა მამაჩემთან და ლუკმა არ დამეკარგვია. მეც შეგონა, იქნება ამას იქით სულ ესე კარგად მომექცეს-მეთქი; და ვიყავი ამ ვაეზაში ცალკე შინ ცალკე სკოლაში.

გულმა აღარ მომიბოძინა. ვერ შევსძელი მეტი ჯდომა, თუმცა დედა ჩემთვის საუზმეს ამზადებდა, ზღდგ და მოვუარე, სადაც რაზე საცუცნარი მეგულლებოდა... ვნახე ჩემი კვიცი, რომელსაც ამ ოთხს თთვეში ბევრი მოემატნა. ვითომ უნდა დამეურვა ჩემს ჭკუაში, მაგრამ ხელის მიახლოვება იუკადრისა და კამპი გამკრა მხარზედ... ამოვალებინე სკივრიდამ ჩემი ხანჯალი, რომელსაც უნგი მოჰკიდებოდა, და გავწმინდე, გავაკაშკაშე. მოვიკითხე ჩემი მამალი — კუბლირი. მე რომ თავი დავანებე, მაშინ ჩიორა იყო, ძლივ-ძლივობით, რის წვითა და დავეთთ ყელის ძაფები უნდა დაეგლიჯა, მანამ ხრინწიანის ხმით „ყოყოლიყო“-ს. დაიძახებდა. ეხლა-კი თამამად, ამყად დედლებში დასეირნობდა და ბოხის ხმით, ისეთი

ხმით, რომ პროტო-დიაკვნებსაც-კი დაენატრებოდათ იმისი ბასი, გასძახოდა მუღმივს, ერთ ფეროვანს თავისს საგალობელს. დედაჩემს დავენახე, რომ თავმოწონებით დავსცქეროდი კუბლირს, და მითხრა თურმე ხუმრობით, მე-კი მართალი მეგონა:

— ხვალ, შვილო, კუბლირი უნდა წამოვყინჭროთ, ვერაფერი მამალიაო.

— დიალ, როგორ არა-მეთქი, — ვთქვი მე გულგადმოტრიალებულმა და გული დავიმშვიდე, რაკი დედაჩემს ხუმრობა შევატყე. ჩქარა ჩემს მეგობრებს ბესას და ვასილსაც შეეტყოთ ჩემი მოსვლა და მოვიდნენ ჩემს სანახავად. მე დარბაისლად ვიჭერდი იმათთან თავს, როგორც „განათლებული“ კაცი, ვიმაგრებდი თავს, თითქმის აღარც-კი ვიციხოდნი და შუბლს ვიჭმუნდი. თითო-ორი რუსული სიტყვას წამოვისროდი, რა არის მიჩვენებინა იმათთვის, რომ რუსული ვიცი-მეთქი. თან მოტანილი მქონდა: ერთი ტყვიის მამალი, თუნუქის საყვირი და რეზინის ბურთი... სოფლელი ბიჭები ამეებს განცვიფრებით სინჯავდნენ და მე-კი თავი მომწონდა, როგორც დიდის საკვირველების მექონეს. დიალ, ვჭკვიანობდი და „ესურხოზნობდი“, მაგრამ ჩემი ძალად-ჭკვიანობა, როგორც ჩემს თავს ვატყობდი, ერთს დღეზე მეტს ვერ გასტანდა. მეორე დღეს უნდა გამეტია აღმე თუ დღემე, მარჯვნივ თუ მარცხნივ. ამასობაში კიდევ დაღამდა, ჩაიზე დავსხედით, ჩემი მეგობარი ბესა და ვასილიც მივიპატიყე. ჩვენმა მურამ ვირასაც ყეფა დაუწყო, მაგრამ მალე ხმა გაკმინდა.

რიო, მოაქანებს ცხენებს მინდორზე. ისმის ყვირი-
ლო და კიჩინი, აუარებელის ძაღლების წკავ-წკავი
და ყუჟა აყრუებს იმ არე-მარეს, ზედაც თოფი-თოფ-
ზედ გადის. წამლის ბოლი და მტვერი ერთმანეთში
არეული ნისლივითა ფუის. დავაჯერდი კარგად...
ოღონდაც შევნიშნე, რომ ის ხალხი ერთს კურ-
დღელს მოსდევს. გამოკვირდა კიდევ, სად მოიყარა
ამოდენა ხალხმა თავი-თავსა მეთქი: ზოგი უკან მო-
სდევს კურდღელს, ზოგი წინ უხვდება, სხვანი მარჯვ-
ნიდამ და მარცხნიდამ ეტანებიან. მაგრამ არ იქნა,
ვერც მოჰკლეს და ვერცა დაიჭირეს, თუმცა ბურტყლი
კი ბლომად გაადინეს... შორიდგან კარგად ვხედავ-
დი, რომ კურდღლის ბურტყლი ნარის ბუმბული-
ვით მალლა მიმოჰქონდა ქარსა... კურდღელი მაინც
მორბოდა, მორბოდა გამალებული, ზურგზე ყუ-
რებ-გაწყობილი. გამოასწრო როგორც იყო, მო-
ნადირეებს წინა და ჩემს სახლს დაუპირ-და-პირდა.
ერთად-ერთი თავშესაფარი ჩემი სახლი იყო. მოვიდა
პირ-და-პირ, მეტი გზა აღარ იყო, და ჩემს სახლში
მოვარდა. მე მაშინვე კარებზე მივხურე, რომ ძაღლე-
ბი შინ არ შეჰყოლოდენ. შევედი, ტახტ-ქვეშ შე-
მძვარალიყო და კუთხეში მიკუნჭულიყო... რომ და-
მინახა, ამობრუნდა გულ-აღმა და ფეფებს დაუწყო
თამაში, შიშისაგან აკანკალებდა და თითქოს მეხვე-
წებოდო: ნუ მომკლავ, თუ ღმერთი გწამს, ფითომ
შენი სტუმარი ვყოფილვარ, შემობრალეო... გამი-
ხარდა, გამიხარდა, რომ მეტი არ იქნება. მეც ისე
ვაჩვენე თავი, როგორც მოკეთება: ავიყვანე ხელში,

გადუსვი ზურგზე ხელი, დამნებდა, ფეხიც აღარ გაუქნევია. ათასიც რომ გაექნია, სადღა წამივიდოდა!.. გადავეცი მაშინვე მზარეულს... ნახევარი გვერდი შემწვარი უნდა ჰქონდეს და მეორეც მალე დაებრაწება. ნიგვზით გემრიელია და გემრიელადაც გაიხლები. მოვიდნენ მონადირეებიც.

— სად არის ჩვენი კურდღელი, — რა უყავი, მოიტა აქა?! — ყვირიან.

— ღმერთმა ნუ იცის თქვენი თავი-მეთქი, — შევუტიე. არა, თქვე ოხრებო, კურდღელი ხელში არ გეჭირათ, რაღათ გაუშვით-მეთქი? რაღა ეთქმოდათ! ერთი კი მომადურთხეს, მიაბრუნეს ცხენები და გასწიეს კუდ-ამოძუებულებმა. შორიდან ბარემლაც გულს იმჯილავენ, მუქარას მითვლიან, კბილებს მიღრჭენენ, მაგრამ რას გაჰხდებოდენ?!

მ ო ზ ო ნ ე ბ ა

(საშობაო მითხრობა)

საშობაოდ დათხოვნილი სწორედ შშ ქრისტი-
შობისთვის მივედი შინ. გზაზე ძლიერ შე-
მცირვდა, ფეხები დამიძრა, მაგრამ ის ფიქრი,
რომ დედასა და მამას, ნათესავებს ვნახავ-მეთქი, მა-
მხნევებდა და ბაიბუად არ გამაჩნდა. არავის რომ გზ-
მოვლილით, ვარძი ნაპირილამ იხვეწის გუნდი აფ-
რინდა და ყიყინით გასწია თავ-ქვე.

— ოჰ, შენი ქირიზე, დედავ, რამოდენებია! —
წამოვიძახე განცვიფრებულმა, — განა ისეთი მსხვილი
იხვი, როგორც არავემაიცის, სხვაგანაც არის? — ვკითხე
ბერუას, რომელიც, ღურა-ტყავში გახვეული, ტყავის
ქულზე ყაბალახ-წაკრული, ცხენის ჩაკჩაკით მომდევ-
და უკან. ბერუამ იცოდა, როგორს პასუხსაც მოვე-
ლოდი იმისაგან, და მიპასუხა:

— არავისთანა მსხვილი იხვი დედა-მიწის ზურგ-
ზედ სადღა შეიძლება იყოსო.

— კალმახი და ორაგული?

— მაგას ხომ თქმაც არ უნდაო.

თანდათან მივუახლოვდით ჩვენს სოფელს. აგერ
ახუნნი, აი სასვეთავი, აგერ „საძერიანი“. რამოდენა

სიამოვნებას ვგრძნობდი, როცა დავინახე მიღამო ჩემის სოფლისა. უნოა ყველაფერი, რასაც ვხედავ, მაგრამ რამდენს რასმე ეუბნება ჩემს გულს ეს მთები, ეს ტყე გაბარდნულის თოვლით. აგერ ჩვენი საყდარი გამარტოებით გორაზე, დაღონებულად მარტოდ-მარტო ვადმოსცქერია არაგვის ხეობას, აი იმედის კაქალიც, დამამშვენები მამულებისა, უზარ-მაზარი, გაბარჯლული. დავინახე ჩვენც სახლიც სვეტად ბუხრიდამ მაღლა აღიოდა ბოლი. როგორც გაბარდული თოვლით ჩვენი წნორი. გული აღარ მითშენს; ვაჟაჩქარე ცხენი... გორაზე ვიღაც პატარა ვადმოდგა, ვადმოგვხედა და სწრაფად მიბრუნდა შინსკე. ის ჩემი ძმა იყო, გვიცნო და ვაექანა, რომ ჩვენებისთვის ეხარებინა. ყველაზედ უწინ დედაჩემი გამოჩნდა კარებში და მოგვეგება წინ. თვალებზე ცრემლი მოუვიდა: „შეგციფდებოდა, შვილო, ვაი შენს დედას!“ მკოცნა, ბევრი მკოცნა. მომეხვივნენ და-ძმები და ცივ-ცივად გამიტაკეს სახლში, სადაც ჩემთვის, როგორც კეისრისათვის, ბუხრის წინ ვაუ-მართათ საბძანებელი. ბუხარი რუხილის კუნძებით იყო გამოტენილი და საამურად ღუღღუღებდა. მიმიჩემის მეტი ყველანი ფეხზე იდგნენ და თავს მევლებოდნენ. მიმიჩემი ფეხზე არ ადგა, სტოლთან იჯდა, სათვალეები ვაეკეთებინა, წინ ქალაღლი და ჩოთქი, ედვა და რაღასაც ანგარიშობდა. მე შივედი, ხელზე ვემთხვიე. იმან ჯვარი ვადამსახა: „სახელითა მამოსათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინო“, — სთქვა და შუბლზე მაკოცა.

— ძალიან შეგცივდა? — მითხრა მამამ ღიმილით: — აბა რა მოგარბენინებდა და თბილად არ იჯექი? სოფელში საკვირველს რას ნახავ?!

— არ შემცივდა-მეთქი, — ვუთხარი ძლივ-ძლივობით, რადგან სიცივისაგან კრიჭა მქონდა შეკრული. ან-კი რა მათქმევინებდა, შემცივდა მეთქი.

— ბავშვს შესცივნია, თბილად ჩააცვიო, — უთხრა მამამ დედაჩემს; რომელიც უკვე მზდიდა ფეხებს. მომიტანა თავის ხელით დაქსოვილი წინდები, ახალი ახალუხი, ჩემთვის დამზადებული, მომახვია მამას თულოფი, და ასე გამოვბრწყინდი ბუხარის წინ. მამამ ისევ თავისი საქმე განაგრძო. დაგვრჩა ბუხარი მე და ბერუას. წაიძრო იმან ხელიდამ ხელ-თათმანები (საფუხრები) და ჯერ შორილამ გადმოვიწოდა ცეცხლს, მერე მოუჩოჩა ისიც ბუხარს და მიუშვირა გული და ხელები. ბერუამ გააჰირ-დიდა ჩვენი მგზავრობა, თითქოს ამერიკაში ყოფილიყო და არა ტ — ში. რასაკვირველია, აზრად ისა ჰქონდა, რომ მეტის პატივის-ცემით მოჰპყრობოდნენ ჩემი მშობლები, რადგან იმდენი შრომა და ჯათა გამოიარა ჩემის გულისათვის.

— დავიხოცენით, გავსწყდით, მამაო მღვდელიო, — სთქვა ბერუამ წარბების აქიმვით: — ვაგლახი გზა გასატილებელი, წელამდე თოვლი ვკვალთ. გაუსილა ზეაგებით გზები. შე ისე ჩემი თავი არ მაჯაფრებდა, როგორც ეს ბაღლი.

— წუხელ ვისთან იდექით? — ჰკითხა მამაჩემმა ბერუას.

— მამიდასთან მოვიყვანე. ცას დაეწია საწყალიო. აღარ იცოდა, რა ექნა, და როგორ დაგვხვედროყო. ჯერ ხომ სულ ფეხზე ჰყუდავ და წუხელ სულ ფეხზე იტრიალა. თბილად დაგვაწვინა, მაგრამ მე კიდევ ჩემი ნაბადიც დავხურე ლევანს, არ შესცივდესო.

— ძალიან ღარიბად ხომ არ არის თინათინი? — იკითხა მამაჩემმა, რომელმაც ეხლა ძლივს დაანება თავი ანგარიშს. და კრიალოსანს მიჰმართა.

— თავისად კარგად ყოფილან, ბალღიც მოსწრობია. ძალიან ცოცხალი ბალღია. წუხელის აღარ დაგვაძინა, გვიამბო ზღაპრები, არაკები. დილასაც გვიანლა წამოვედით, ადრე არ გამოგვიშვეს. „ენაცვალოს მამიდაო, — უთხრის თინათინმა ლევანს: — ადრევე მიხვალთ შინაო; წელში ერთხელ ანა გნახაეთ, ან არაო; ჩემი ძმა ერთხელ იმას არ იტყვის, მივიდე, გავიგო ან ავი, ან კარგი ჩემის დისაო. თქვენ თავი ხო სუ დამანატრაო“.

ბერუა ბევრს რასმე იტყოდა კიდევ, რომ დედაჩემს ბურის საჭმელად არ დაეძახა.

ეხლა ძლივს ამოვისუნთქე თავისუფლად. როდის-ღა ვიგრძნობ იმ გვარს სიამოვნებას? ნეტა აღარ წამიყვანდნენ იმ ოხერს სასწავლებელში-მეთქი, ვფიქრობდი. ეს ფიქრი ხომ არ შემისრულდებოდა და არა, მაგრამ ის მიხაროდა, რომ ორი კვირა თავისუფალი ვიქნებოდი. და სულთამბუთავი მასწავლებლები აღარ დამადგებოდნენ თავზე... ნიდავ უნდა შესიამოვნა. — ჯერ ერთი გადავჭრი ბერძნულის მასწავლებელს, ამ დაობებულს; დახავსებულს ბურსაკს;

ჯერ ქართული ანბანი არ ვიცოდით და ის-კი მოგვიყვა ბერძნულს ენის. ნეტავი თითონ მაინც სტოდნოდა თავის საგანი, ისიც მაშინ სწავლობდა. შავ-შუი, ხმელი კაცი იყო; დაგვადგებოდა თავზე და „გვაზუბობინებდა“: „ალფა, ბეტა, ლამა, დელტა“. ისე ამოიძახებდა ამ ხმებს, თითქოს სამართლამ მკვდარმა ამოიძახაო. მთელი ერთი თთვე გვაზუბირებინებდა ერთს ბერძნულს ფრაზას და, ლმერთმა იცის, ნამდვილად ისრეა ბერძნულად, თუ სხვა ნაირად იგი ფრაზა დადგებოდა, ჯერ თითონ დაიწყებდა და მერე ჩვენ გავგამეორებინებდა ხოლმე: „დიკის დიკინ ტიკ-ტიკინ, კე ბლოვის ბლოვინ ბლოვიო“, ვითომ სიმართლე ჰბადებს სიმართლეს და უსამართლობა უსამართლობასაო. მერე მასწავლებელს რაღა დამავიწყებდა. ამას დავითი ერქვა სახელიდ და გვარად ეკალაძე იყო. თავის დანიშნულებად ის მიაჩნდა ამ კაცს, რომ რაც შეიძლებოდა შეგვეშინებინეთ...

ლმერთო, რა ამბავი იყო, როცა ის გაჯავრდებოდა: თვალები დაესისხლებოდა, მოავლვებდა შევირდს თმაში ხელს და ვაისუროდა, ხაითაც მოხვდებოდა. ერთი მუჟა ბილანი ხელში უნდა დარჩომოდო და მერე შებურვით აქეთ-იქით გააბნევდა. უნდა მოგახსენოთ, რომ როზგი მაშინ სხალად ვადავარდნილი იყო, დავით ეკალაძის ხავალოლოდ და სამწუხაროდ, მეგრამ ჩუმ-ჩუმად ეკალაძე ამოქმედებდა მაინც როზგს. შენახული ჰქონდა სახლში და საქორების დროს მოიკითხავდა. „თქვე მ—ლებო, იქნება იმას მუიქრობთ, როზგი ვადავარდაო, ვერ მო-

გართყვანა", — ეტყობა ბურჟუაზია. გულ-დამშტეტლი ჟურნალის შეფარდებს, რომელიც სწრაფად ვაჰბაწიდავ-
დნენ ერთ-ერთს ამ არწივის მსხვერპლის და წამოაქ-
ცედნენ. „აბა ერთი რივიანად მოახვედრეთ: მაგას
ორმოციადე რიხი“: ბევრსა ჰყვიროდა საწყალი
ბავშვი: — ვაი, დედავ, მოგიკვლიო, — მაგრამ ამითლ.
არწივი ეკლამე დასძახებდა: — „მოკვდი, მოკვდი,
მოკვდი, ს—სინ! მაგრა დაკათ, მაგრა, მაგ. მ—ს!“.
ვაი იმ შევირდ-ჯალათის ბრალი, რომელიც გულ-
წვილობას გამოიჩინდა და ვერ დაჰკრავდა გამეტებით;
ახლა იმას გააძაგვრინებდა იატაკზე.

მე ბუხარში ვიჯექი და იქილამ ვუცქეროდი. ამ
საშინელებას. დიად, ბუხარის იყო ჩემი სკამი მთელი
ორი წელი, რადგან ადგილი აღარ იყო შევირდ-
სათვის, და ერთ თავად ნაკარში ამოგანგლული დავ-
ლიოდი. რა ღმერთი გამიწყებოდა, დამეშავებინა
რამე ამ სურათების მნახველს. ეკლამის ბრაზი მოუ-
ვიფიდა ხოლმე, რომ საბუთს არაფერს ვაძლევდი
გაროზვისას, მომიშარებდა რასმე და დამკითხებდა: —
„მ—ის სჯობს აგიტორებ, ფშაველო!“ გამოსომდა
ბუღალის ქორორე, თითქოს ქორმა ქათამს გაჰკრა
ბუღალაო, და გადისერიდა ბურტყლებს დაბ-
ლა. გაკვეთილების გათავების შემდეგ, რომ ჰკვიანი
კაცი გამოჩინდლიყო და ჩვენს კლასში მოსულიყო,
ერთის ჯამბარის საკმაო ბურტყლს აჰკრეფავდა. ამ
ვაი-ვაგლობის მნახველსა და გამთვლილს ჩემს საკუ-
თარს ჰქერს ქვეშ ყოფნა მშვიდობიანად, რა თქმა
უნდა, დიდად მეფასებოდა და ღირს სიამფრინებას მი-

ღვიძებდა. გულში, თუნდ სულ არაფერი ექმნათ და არაფერი ესმით ჩემთვის. მაგრამ ამ მხრითაც ბედნიერი ვიყავი ჩემს სახლში, მანამ სახლის პატრონთან. სახლის პატრონი იმისთვის ჰპატრონობდა სახლს და იყვანდა შევირდებს, რომ ფული მოეგო. ამიტომ ზაფხულობით ქრიანტლით (ტყემლის წვენი) დაგვჭრა კბილები და ზამთარში მახობით. როცა მამა ჩამოვიდოდა, სახლის პატრონიც შესცვლიდა თავისს პოლიტიკას, მშვენიერს სადილს გამართავდა, უ-„გენაცვალე“-ოდ სიტყვას არ მეტყოდა, მილაქუცებდა, რა არის არ დამებეზლებინა მამაჩემთან და ლუკმა არ დამეკარგვიან. მეც მეგონა, იქნება ამას იქით სულ ესე კარგად მომექცეს-მეთქი, და ვიყავი ამ ვაეზაში ცალკე შინ ცალკე სკოლაში.

გულმა აღარ მომიტმინა. ვერ შევსძელი მეტი ჯდომა, თუმცა დედა ჩემთვის საუზმეს ამზადებდა, ავღეგ და მოვუარე, სადაც რამე საცუცნარი მეგულლებოდა... ენახე ჩემი კვიცი, რომელსაც ამ ოთხს თთვეში ბევრი მოემატნა. ვითომ უნდა დამეურვა ჩემს ჰკუაში, მაგრამ ხელის მიახლოებება იუკადრისა და კამპი გამკრა მხარზედ... ამოვალებინე სკივრიდამ ჩემი ხანჯალი, რომელსაც ენაგი მოჰკიდებოდა, და გავწმინდე, გავაკაშკაშე. მოვიკითხე ჩემი მამალი — კუბლირი. მე რომ თავი დავანებე, მაშინ ჩიორა იყო, ძლივ-ძლივობით, რის წვითა და დავით ყელის ძაფები უნდა დაეგლიჯა, მანამ ხრინწიანის ხმით „ყიყლიყო“-ს. დაიძახებდა. ეხლა-კი თამამად, ამაყად დედლებში დასეირნობდა და ბოხის ხმით, ისეთი-

ხმით, რომ პროტო-დიაკვნებსაც-კი დაენატრებოდათ იმისი ბასი, გასძახოდა მუდმივს, ერთ ფეროვანს თავისს საგალობელს. დედაჩემს დავენახე, რომ თავმოწონებით დავსცქეროდი კუბლირს, და მითხრა თურმე ხუმრობით, მე-კი მართალი მეგონა:

— ხვალ, შვილო, კუბლირი უნდა წამოვყინებ-როთ, ვერათფერი მამალიაო.

— დიალ, როგორ არა-მეთქი, — ვთქვი მე გულგადმოტრიალებულმა და გული დავიშვიდე, რაკი დედაჩემს ხუმრობა შევატყე. ჩქარა ჩემს მეგობრებს ბესას და ვასილსაც შეეტყოთ ჩემი მოსვლა და მოვიდნენ ჩემს სანახავად. მე დარბაისლად ვიჭერდი იმათთან თავს, როგორც „განათლებული“ კაცი, ვიმაგრებდი თავს, თითქმის აღარც-კი ვიცინოდი და შუბლს ვიჭმუნხნდი. თითო-ოროლა რუსულს სიტყვას წამოვისროდი, რა არის მჩჩვენებინა იმათთვის, რომ რუსული ვიცი-მეთქი. თან მოტანილი მქონდა: ერთი ტყვის მამალი, თუნუქის საყვირი და რეზინის ბურთი... სოფლელი ბიჭები ამეებს განცვიფრებით სინჯავდნენ და მე-კი თავი მომწონდა, როგორც დიდის საკვირველების მექონეს. დიალ, ვჭკვიანობდი და „ესურიაზნობდი“, მაგრამ ჩემი ძალად-ჭკვიანობა, როგორც ჩემს თავს ვატყობდი, ერთს დღეზე მეტს ვერ გასტანდა. მეორე დღეს უნდა გამეტია აღმე თუ დაღმე, მარჯვნივ აუ მარცხნივ. ამასობაში კიდევ დაღამდა, ჩაიზე დაესხედით, ჩემი მეგობარი ბესა და ვასილიც მივიპატიჟე. ჩვენმა მურამ ვიტასაც ყფა დაუწყო, მაგრამ მალე ხმა გაკმინდა.

— სად ვინა ხართ, ოჯახი შეიღებო?! — მოისმა გარედგან რიხიანი ხმა. ეს ხმა ბიძაჩემის ხმასა ჰგვანდა, მაშინვე ვიცანი.

— ვინ არი? შემოდი, ბიჭო, შინა, ვინა ხარ?! — დაუძახა მამა-ჩემმა.

— ვინ არი? თოფიანი მგელია. არ ისტუმრებთ? — და შემოეყუდა კარებში ბიძაჩემი და თან ჩულიანი თოფი შემოიყოლა: — სალამო მშვიდობისათო, — სთქვა ბიძაჩემმა და მოიხედა ჩემსკე: — ეს ვინლა მოგვსვლია? ჩვენი ქამალაღუელი! ოჰ, ენაცვალოს ბიძა შეილსა! ამიყვანა ხელში და მაკოცა. ქამალაღუელი ფშაურის გმირის სახელია და დაცინვით იმის სახელს ბიძაჩემი მე მეძახდა. შემდეგ მამაჩემს მიუბრუნდა და უთხრა: — შენ, ჯერ ძმაო და მერმე მამაო, თუ ღმერთმა მღვდლობის გონება მოგცა, მე ემისა მამცა! — დაჰკრა ხელი თოფსა: — ვენაცვალე ამის მადლსა; სადაც მე და ესა ვართ, იქ ღმერთი ლუკმას არ დაგვიკარგავს. ამით მაინც არ გარცხვენ, ძმაო! — უთხრა მამაჩემს ნინიამ თავ-მოწონებით.

— რა ვიცი, — უთხრა მამაჩემმა, შენ და შენი თოფი სულ მუდამ გამარჯვებულები ხართ, რამოდენა ნადირსა. ჰლუბავ და ერთხელ ნანადირევის ხორცი ვერ მაჭამე.

— ხვალამდე მომიტმინე, ღმერთი და ბედი, იმედი მაქვს გავხდე რასმეო, — სთქვა ბიძაჩემმა: — გუშინ საფიჭრის გორში ექვსის შვლის ნავალს შევხვდი. დავსდიე იმ დღეს, მაგრამ, აბა, სათოფედ არ მიმიშვეს. ამინდია ტიალი ცუდი: ფეხი ჩქამობს, კაცის

ფეხის ხმა ერთის ღლის საეალზე ისმის. მანამ ასავალთ-გორის ხეეში გადამივიდოდნენ, გორის პირში მოგვკარ თვალი, მიფუსხლიტე ერთი, აიარა საფალიამ, მაგრამ არ გამივარდა თოფი, გამასწვრეს ოხრებმა, ასრივე წვრილთ-გორისაკენ წამამივიდნენ. მანდ საღვომები აქვთ, ხვალ დაუხელაენი არ მომრჩებიან. თუ დილისათვის თოვლი გადილო და ღმერთმა ბძანა, ძალიან კაი ამინდი იქნება ნადირობისა...

— ამ კვირია, მაშ, ვერათფერი ინადირე? — განავრძო მამაჩემმა.

— ერთი შელა ძლივ-ძლივობით დავიჭირეო, — სიტკა ბიძაჩემმა. ოთხი დღე ზედი-ზედ ხაფანგი მეგო; დაჩვეულა მყუანდა, მაგრამ, აბა, არ იქნა, ვერ გავიბი ის ოხერი. მოვილოდა, ხაფანგს შემოაუვლიდა გარშემო და არ ახლებდა პურს პირსა. ხაფანგის გარშემო-კი სულ დაქსელილი იყო. მანამ ხაფანგს კარგა სქლად თოვლი არ წაფაყარე, ვერას გავხდო; უფრო ყაპყმა (ფიფქი) მიშველა, ყაპყი აღარ აუცხოვებს კაცის ნახელარს თოვლსა და მაშინ აღვილოდ მიენდობა მელა.

ბიძაჩემი ნიწია გათქმული მონადირე იყო და ომესი მოსვლა ერთი-ათად მიმატებდა სიხარულს: ბევრს რასმე მიაშობდა ნადირობისას. ბიძაჩემმა იმ ღამეს აღარ დაისვენა, წამ-და-უწუმ გაიხედვდა გარეთ, უნდოდა შეეტკო; გადილო თოვლი თუ არაო.

დღეაჩემი ვახშმის მზადებას შეუღდა. ამაღამ, რაც-კი ოჯახში სამარხო რამ მოშობებოდა, ყველათის უნდა საქმელად გაკეთებულიყო, ჩვეულებისამებრ „მარხვის ფახსტუმრებლად“. მე-კი ბიძაჩემს

მივუჯექი. ვთხოვე, რომ თავისი მონადირეობის ამბები ეამბნა ჩემთვის. მართლაც, იმდენი რამ მიაშობო ნადირობაზე, რომ ასი თაბახი ეკოტაა ამის ჩასაწერად. მამაჩემი ცალკე ოთახში გავიდა სალოცავად. ბიძაჩემმა, სხვათა შორის, ერთის დათვის ამბავი მითხრა.

— კაბლის ტყეში, შვილო, — დაიწყო ბიძამ რიხიანად: — ერთი ირემი მოვკალ; ვატყავე, ავკუწე ნაჭრებად, მივფარე ზედ ტყავი და ვუფეთქე წამალი, რომ ნადირი არ მიჰკარებოდა. თავ-რქა კისერზე გავიდევ და გამოვწიე ბინისაკენ. ლაწი-ლუწი, თუნატა-თუნუტი მომესმა. შევხედე, ერთი უბრალო უზარმაზარი დათვი შემდგარა ჩემს კვალზე და კვალდა-კვალ მომდევდა, ნება-ნება მოჯოჯავდა. რამდენი დათვი მომიკლავს და ჩემს დღეში იმოდენა დათვი არ შემხედრია, სწორედ ქოხსა ჰგვანდა ის დაწყევლილი. მივბრუნდი და ჰკვიანად ვუთხარი: დამანებე თავი, შენ შენი ღმერთი, მე რომ არაფერს გერჩი, შენ რა გინდა ჩემგნითა-მეთქი, და წამოვედი ისევ ჩემს გზაზე. მივიხედე კიდევ, ისევ მომდევს ეს დათვი, არ მეშვება, მაიქნევს საზარელს თავ-ყურს. მე კიდევ ჰკვიანად ვუთხარი: ვაჟო, დათვო, თავი დამანებე, წერას ნუ აუგდიხარ; წადი, შე რჯულძალლო, დაილუპე, რას გადამესიე!? აბა, შენც არ მამიკვდე, ყურიც არ შაბერტყა. გამოვიარე კიდევ კარგა მანძილი. რა მომაშორებინებს იმისათვის თვალსა? მივიხედე, ისევ თავისებურად მიაბოტებს. დასწყევლოს ღმერთმა, კაცი არ ვეგონე, როგორ იყო იმისი საქ-

შე, როგორ იყო იმისი ფიქრი? თან ვიფიქრე, იქნება ეშმაკი იყოს-მეთქი. დაუიკვივლე, რაც ძალი და ღონე შქონდა: დამეხსენ, ჩამამეხსენ-მეთქი! რომ ვერაფერი გავაგონე, ცოტა გზა კიდევ გამოვიარე, მივეფიქრე ერთს კაი დიდს ჭანდარს, მოვიგდებინე ბარგი, მოვსართავდი და მივეუშვირე თოფი. დათვი მოდის. კარგა ახლოს რომ მოვიდა, ნიშანი შიგ ნიკორა შუბლში მივეც და მაუსვი ფეხს ხელი. თოფმა არ მიმტყუნა, შიგ შუბლში სძგერებიყო ტყვია და, წამლის ბოლი რომ გამეცალა, ვნახე წამოჩახული დათვი იღვა ჩემს წინ და კიდევ გამოსდიოდა ნატყვიარში ბოლი. ეგ გინდოდა და იშოვნე კიდეცა-მეთქი, დავვედრე მე გალაღებულმა.

ბიძაჩემის გალაღებამ მეც გამალაღა. ბიძაჩემისათვის დათვთან შეხვედრის ბოლო საშიში მეგონა და გამეხარდა, რომ ბიძაჩემი დარჩა გამარჯვებული.

— ნეტა, ძიავ, მეც შენისთანა მონადირე ვიყო-მეთქი, — ვუთხარი ბიძაჩემს.

— ჰა, ჰა, ჰააა, — ჩაიციხა ბიძაჩემმა მწარედ: — შენ უფრო კაი მონადირე ხარ, თუ ჭკუას მოიხმარებ, შეილო. სწავლას ეხლანდელს დროში აღარაფერი შეედრება. მე ცოდვის მეტი არაფერი მამცა ნადირობამ. რამოდენა ნადირსა ვლუპავ, მაგრამ სულ ტყუილად მიდის, იმისი მე არაფერი მრჩება.

ნადირობა მე პირველ სასახელო საქმედ მიმაჩნდა და გამიკვირდა ბიძაჩემის სიტყვა. დიად, გამიკვირდა და მეწყინა, თუმცა-კი პირში არ მოიტყვამს ჩემი აზრი და არ აეხიროებივარ. მაშაჩემსაც გაეთავებინა ლოცვა და შემოვიდა ჩემთან.

— ეგ არი, — სთქვამს ღიმილით მამაჩემმა: — რაკი ბიძა-ძმისწული ერთად შეიყარნეთ, თქვენს ნადირობის საუბარს დსასარული აღარ ექნება. საკვირველია, რომ ჯიში არ გასწირავს კაცსა: საწყალი მამაჩემი ოთხმოც-და-ათის წლის კაცი იყო და მაშინადვე ლაპარაკს ნადირობაზე ჩამოგიგდებდა: აქ თოფი ვესროლე და მთა-ბარი დაინგრა იმის ხმისაგან, იქ მოკალი, აქ კიდევ დაჭრილი წამივიდაო...

— ჯიშისა ყველაფერი, მაშ, მაშ, — დაამტკიცა ბიძაჩემმა.

ჩქარა ვახშამიც მოიტანეს და ყველანი, გარდა მამაჩემისა, შემოაუსხედით სუფრას. ვახშამი მხიარულად გავატარეთ; ბიძაჩემი ბევრი ვალაპარაკე ნადირობაზე. მარხვაც „გავისტუმრეთ“. სამნი, — მე, მამაჩემი და ბიძაჩემი, ერთს ოთახში დავწექით დასაძინებლად. იმ ღამეს წინიას არა სძინებია ორი საათი, ლოგინში მოუსვენრად ტრიალებდა და ხან ფანჯრილამ, ხანაც კარებიდამ ათვალიერებდა გარეთ, გადილო თოვლმა თუ არაო. მეც არ მეძინა და ფიქრობდი იმაზე, ხვალ როგორ გამეტარებინა დროება, ან ბიძაჩემის ნადირობა როგორ ჩაიფიქრებდა. სწორედ შუალამე ექნებოდა, ბიძაჩემი ერთხელ კიდევ ადგა, გაიხედა კარებში და წაიბუტბუტა: „ძლივს არ გადილო ამ სატილემო!“ მობრუნდა შინ, ჩამოიღო თოფი, სასწრაფო და საპირიწამლე. ჭრაქი აანთო, ბუხარში ცეცხლი აასინათა და დაუწყა თოფს წმენდა შიგნით და გარეთ; ჩახმახს ტალი გამოაჩრია და საშლით დაუპირა; ჩანთილამ ამოიღო პატარა თით-

ბრის ყალიბი და პატარავე ტყვიის სადნობი ტაფა და დაუწყაო ტყვიას ცეცხლზედ დნობა. რამდენიმე ტყვია ჩამოასხა და ახლა სასწრაფოს მიჰმართა, ამოაძრო სასწრაფოდამ მასრები, სინჯავდა, წამალი იყო, თუ არა შიგა, გადაწყყ-გადმოწყყო რქის საწყაოთი, რომელიც სასწრაფოზე ზედ იყო დაკიდებული. რაკი ტყვიას დაუწყაო დნობა და სანადირო მასალას მზადება, მეც გულმა ველარ მომითმინა, წამოვხტი ქვეშაგებიდამ, მივეუჯექი ბიძაჩემს ახლო და დაფაციცებული ვადევნებდი თვალს იმის მოქმედებას. როდესაც ბიძაჩემმა ჩამოასხა, რამდენიც ტყვია უნდოდა, არწყაო წამალი მასრებში და თითოეულს ძონძში გამოხვეული ტყვია დაუფივა; ახლა ბანდულებს მიჰმართა, დაპოხა, გაბლანდა, სადაც გაბლანდვა აკლდა; წრიაპის თასმებიც დაპოხა. ტყვიის სადნობს ტაფაში სხვა ტყვიის ნაქყლეტებთან ერთად ნინიამ ერთი ტყვია ჩააგდო, რომელსაც სისხლი ჯერ ისევ ეცხო და ამ ტყვიას უნდა ერთი თხუთმეტამდე ტყვია მოენათლა, გაეზიარებინა, გაენაწილებინა მათთვისაც თავისი იღბალი. როცა ეს სისხლიანი ტყვია ჩააგდო ბიძაჩემმა ტაფაში, ქუდი მოიხადა, გვერდზე დაიდო და თქვა: „ღმერთო და ჩვენო ლაშარის-ჯვარო, რა იღბალისაც ეს ტყვია არი, სხვანიც ამის იღბლისანი იქმნენო“.

— ეგ რალა ბედენა ტყვიაა, ძიავ?— ვკითხე ბიძაჩემს.

— ეს ტყვია, შვილო, იღბლიანი ტყვიაა; ირემი მოვკალ მავ ტყვიით; შიგ დამდგარიყო და იმას ამო-

ვარიდე. ყველაფერი გაამზადა ბიძაჩემმა და ეხლა ყალიონი გააჩაღა და იდაყვზე დაბჯენილი წამოწვა ქვეშაგებში. მე ღავწეკი. ნაფხიზლარს მაგრა ჩამძინებოდა. ბიძაჩემი ადრე გაპარულიყო სანადიროდ, ისე რომ ჩვენებს ვერავის ვერ გაეგო იმის წასვლა.

დილით მე ყველაზე გვიან ავდეგ... ჯერ კიდევ ბურანში ვიყავი, რომ დედა-ჩემი მომჯდომოდა გვერდით, მეტოლებოდა, მკოცნიდა ჩუმ-ჩუმად. უცებ თვალები გავახილე.

— გაიღვიძე, გენაცვალოს დედა, შვილო, ყველანი საყდარში წავიდნენ, შენ დარჩი მარტოკა შინა. დედაჩემიც ჩემს გამო არ წასულიყო წირვაზე. მეც ზმორვით ავდექი, ძლივ-ძლივობით ავატანე ძილსა, პირი დავიბანე, თმა კოხტად გადავივარცხნე, ახალი ტანისამოსი ჩავიცვი, „კარტუზი“ დავიხურე ჩემდა სასახელოდ. კარტუზიანი ერთი მარტოკა მე ვიყავი სოფელში. ამითი დიდად მომქონდა თავი და, სწორედ მამალივით თავ-მოწონებულმა, გავწიე საყდრისაკენ. ჯერ საყდარში არ მივსულიყავი, შუა-გზაზე ვიყავ, რომ გაღმა, გუთანაურთ-ახოში, თოფი გავარდა. ცოტა ხანი გამოვიდა და მეორე მიჰყვა. მე გულში ნათელი ჩამიდგა: უსათუოდ მოჰკლა ბიძაჩემმა ნადირი-მეთქი, ვიფიქრე. წირვის გამოსვლას არ დავუცადე, ჩემდა სამარცხვინოდ, გამოვიპარე. მინდოდა გამეგო, რა ქნა ბიძაჩემმა. მოჰკლა რამ თუ არა. შორიღამევე დავინახე ბიძაჩემი, იგი დერეფანში იდგა, პირში ჩიბუხი ეჭირა, ქუდი გვერდზე მოექცია და რაღასაც ელაპარაკებოდა ბერუას. თოფი ბოძზე ჩა-

მოეკიდა, სასწრაფო და საპირისწამლე-კი ისევ გულ-ზედა ჰქონდა. მივედი და დავინახე, რომ რქიანი შველი ეგდო ბიძიჩემის წინ. საბრალოს ლამაზი, მაგრამ დახოცილი თვალები ნახევარზე მიეხუჭა და ენა გადმოეგდო გვერდზე. მაინც კიდევ ლამაზი იყო. ეს თავისუფლების შვილი.

— საწყალი! — ვსთქვი მე და თვალებში სიბრა-ლულისაგან კრემლები მომივიდა.


— ჰო, მეც ვგრე ვიცი, შვილო, — სთქვა ბიძაჩემ-მა, — როცა მოვკლავ; მაგრამ მანამ მოვკლავ-კი, თვალ-დაფეთებული დავალ, გულს ვიმიჯილავ და ვამბობ: როდის იქნება ზედ შემამეარდეს, თვალი დავკრა ნა-დირსაო. პური არ ვიცი და წყალი... ვნახავ და რამ-დენს ტანჯვასა ვგრძნობ, თუ მოუკლავი წამივიდა; ვუნიშნებ თოფსა და მაშინაც ტანში მათრთოლებს, ვაი თუ ჩახმახის დასხლეტა ვეღარ მოვასწრო და მიე-ფაროს სადმეო. მოვკლავ და ვამბობ: რად მოვკალი, რას მიშავებდა, რა შამისვა, რა შამიჭამაო?! კაცნი შაუბრალებელნი ვართ.

ბიძაჩემმა შველი ცალის ფეხით ჩამოჰკიდა და ორივემ, იმან და ბერუამ, ტყავება დაუწყეს, ერთმა ერთის ფეხიდან, მეორემ — მეორიდან. ნახევარზე ჩა-მოატყავეს, რომ ამ დროს მამაჩემიც გამოჩნდა: ჯოხს მოიბჯენდა, უკან დიაკვანი მოსდევდა, რომელსაც საცვეცხლოური და ხელსახოცში გამოკრული ეამნ-დავითნი ეჭირა, და სულ უკან ტარასტა მ-ჩანჩა-ლებდა, მხარზე ტაბლებით სავსე ხურჯინ გადაკიდე-ბული. რამდენიმე სხვა სოფლის დარბაისელი კაცი

დაეპატივა მამას ხადილად. შევლი რომ დაინახა მამაჩემმა, ძლიერ გაეხარდა და ბიძაჩემ წინას გამარჯვება მიულოცა; თითონაც ანაფორა გაიძრო და თავს დასტრიალებდა ნანადირევს. ჯიბიდან ამოიღო კალმის დანა, თითონ ააჭრა სუკები, ცალკე თეფშზე დააწყო და დააბასტურმა... დიდხანს არ გაუვლია, რომ სუფრას ვუსხედით გვერდზე და ბუხარში შევლის მწვადები შიშინებდა... ჩემი ნათესავი ქალები და ძალებიც მოვიდნენ ჩემ სანახავად „მოსაკითხით“ — ნამცხვრითა და ხილეულით... ბედნიერი დღე იყო ის დღე ჩემს სიცოცხლეში და ისე ვერ მოვიგონებ, ერთხელ მაინც არ ამოვიოხრო!..



ს ა ა ლ ღ გ ო მ ო ლ

ღეს შაბათია, წინა დღე აღღგომისა. ბუნე-
ბაც მომზადებულია აღღგომის მისაგებებლად.
აესილა მისი გულ-მკერდი ყვავილებით, თავ-
ზედ აღვა გვირგვინი გამარჯვებისა და ეს დედა,
დედა-მიწა, სულ-გრძელი, უსაზღვრო სიყვარულით
ავსილის გულით, აწვდის ყველას და ყველაფერს
ხელს და, როგორც დედა შეილებს, პირჯვარსა სწერს,
სიცოცხლეს დიდის ხნისას, სიყვარულისას სთხოვს
მათთვის ზეცას. ყველგან სიხარულია, ყველას გულ-
ში სიამოვნებაა მომავალ დღესასწაულის გამო. ერ-
თი მხოლოდ ბოზოლა სტირის და სტირის იმიტომ,
რომ შვიდის ფრთისა ერთი-ლა შეჭრჩა და ისიც, რო-
გორც თითონ, შემჭვარტლული; იგი, თავ-პირ ჩა-
მომტირალი, ბუზრის თავზე ჰკიდია მოსაწყლებუ-
ლი, გაბეჩავებული, სასოება-მიხდილი. საბრალო! ხვალ
იმ ერთად-ერთს ფრთასაც დაჰკარგავს და თითონაც
თან გაჰყვება. მოელება ბოლო მის ფარფაშს, მის სა-
ზარელს მალლიდამ გადმოცქერას, დიდისა და პატა-
რის დამაწიოკებელს. გაითრევენ, გასწეწენ ბაღლებს
და გადაუძახებენ საღმე ხევში ან კლდეზედ, ქარსა
და წყალს მისცემენ.

რამდენი ცრემლი ზამოაგდებინა ამ შეჩვენებულ-
მა ბობოლამ ბაღლებს, მაგრამ ხვალ-კი ჯაერს ამო-
იყრიან; როგორც შეეფერება, სწორედ ისრე მოექ-
ცევიან, ამოაშხამებენ სასტიკობა-მტარეალობას. ჯერ
გუშინ-წინვე გაიგონებდით ბაღლების სიმზიარულეს
ბობოლას ჩამობძანებაზე და ყელის ჩაპოხაზე.

„ღღეს წითელი პარასკევი,
ხვალ შაბათი შევდებოა;
ხვალ-ხევით რომ კვირა მოვა,
ყელი ჩაიპოხებოა“.

ყველგან მოძრაობა და დიდი მოლოდინია ქრის-
ტეს აღდგომისა. საღ ქათამი ჩამოსვეს ქანდარიდამ
და მოაგდებინეს კისერი, საღ ნასუქს ინდაურს მოა-
შორეს სწორედ ინდაურული, გამოჩერჩეტებული
გოგრა, საღ ნასუქის ქოსმანის ქყვილი ისმის, ქყი-
ვილი ვაისა და ვაგლახისა. ამოაშხამეს იმასაც იმდენ-
ის სანოვაგის შეყლაპვა და გაოხრება. დიასახლი-
სებს ჯერაც არ გადასვლიათ ხელები დამ კვერცხების
ღებით ახალი ფერი. მოისვენებს ამას იქით ლობიოს
სადულარიც. პატარძლებმა და გასათხოვარმა ქალებ-
მა სწორედ ათ-ათჯერ დაიბანეს პირი და, ვისაც-კი
რამ ზიზილ-პიპილა მოეპოვებოდა, ტანზე მიიკრეს;
„ბუზიკები“ და „პოლსაპოჩკები“ გაიწმინდეს. მხო-
ლოდ მოხუცებულნი არა ზრუნავენ ტანის აჭრელე-
ბაზე, მისხლომიან ცეცხლს კერის პირას, სანთელს
აღნობენ და აკეთებენ. მღვდელი და დიაკვანიც,
უნდა მოგახსენოთ, დიდს ფაცა-ფუცში არიან. ხურ-
ჯინები დააკერეს, ტიკქორები დარეცხეს და, სადაც

დაზიანებული იყო, პოლოარჭიკი მოაკრეს. მარილი და შაბიც მოამზადეს ბატკნის ტყავების დასამარილებლად. მომზადდა ძღვენიც ნათლიისათვის, მის განუშორებელის მეგობრითურთ—ინდაურით, ამასთან ნამცხვარ-ნაზუქით და საქმის დამაგვირგვინებელ ყელ-მოღერებულ გოზაურით.

საყდრის შორი-ახლო ცეცხლის ალი ავარდა. გაჩაღებულს ცეცხლს გარს შემოსხდომოდა ხალხი. დიდი და პატარა გაფიცებულიყვნენ ეფხიზლათ ამ ღამეს. ყველანი ყაყანებდნენ. იმათში მხოლოდ ერთი გაჭალარავებული კაცი ერია. დაფიქრებული თვალები, ჩამომხმარი და ჩამომტირალი სახე ცხადად ამტკიცებდნენ, რომ ამ კაცს ბევრი ტანჯვა და ვაება უნდა გამოეფლო. უცნობს სოფელში ნაბერალს საბას ეძახდნენ. მართლაც, საბამ ბერობაში ათიოდე წელი გაატარა, მაგრამ რა მიზეზის გამო დაანება თავი ბერობას, არავინ იცოდა; იგი სოფელში მაინც კიდევ ბერივით სცხოვრობდა, საყდრის ყარაულად იყო. სოფელელთაგან ბევრი დაცინვა ესმოდა საბას: ერთი „ძალად წმინდას“ ეძახდა, სხვა „გამოპარულს ბერს“ და სხვა, და სხვა. საბა ამას ყურადღებას არ აქცევდა.

— აბა, ერთი, შენ ჩვენზე ბევრით მეტი იცი,— სთხოვა საბას ერთმა იქ მყოფმა შუათანა გლეხმა: ერთი გვიამზე რამა, გეთაყვა საბავ!

— დიდება შენს სახელს, ღმერთო, სასოებაო ჩვენო, დიდება შენდა! სთქვა საბამ: ნეტარ არიან დევნილნი სიმართლისათვის, თვით იესო ქრისტემ

ბრძანა. იგი ღმერთი იყო, შეილო, — არ იწამეს, მოჰკლეს, ჰგვემეს, სტანჯეს, ჯვარს აცვეს და მე ერთი საწყალი კაცი რომ მასხარად დამიჭიროთ, რა საკვირველია. იგი ჯვარს აცვეს, მაგრამ ჯვარზედაც თავის მტრებისთვის ლოცულობდა, ვეფერებოდა მამა ღმერთსა, რომ მიეტევებინა ცოდვა უგუნურთათვის: „რამეთუ არა იციან, რას იქმანო“. მაინც და მაინც იესომ ქვეყანა არ მოიძულა, მას არ გადაემტერა.

— რად მოჰკლეს ქრისტე ურიებმა, საბავ? — ეკითხა მეორემ.

— იმიტომ, — უპასუხა საბამ, — რომ კუტს არჩენდა, მკვდარს აცოცხლებდა და ბრმას მხედველობას აძლევდა. ფარისეველთ სწყინდათ, ჰშურდათ, ქრისტე ხალხს რად უყვარსო და მოაკვდინეს კიდევ, მაგრამ მან სიკვდილი დათრგუნა და ამაღლდა ზეცას, და კვალად მომავალ არს... ვაი მაშინ იმას, ვინც ცოდვილია. მეორედ მოსვლა რომ იქნება, მაშინ იესო ქრისტე გაარჩევს ყველას, როგორც მწყემსმა ცხვრები თხებისაგან გაარჩიოს, და ყველას თავის შესაფერს ადგილს მისცემს. მაშინ ბევრი ინანებს, ბევრი იტირებს, მაგრამ გვიან-ღა იქნება...

ეს საუბარი დიდხანს გაგრძელდებოდა, რომ ძვლების კნაწა-კნაწის ხმას არ მიექცია ხალხის ყურადღება. თურმე კატას, ვინ იცის რომელ დიასახლისისათვის, ქათამი მოეჭაცა, შორეულ დამისმთველების შორი-ახლო მიეთრია და შეექცეოდა. ნახევარი ხალხი იმას გამოეკიდა.

— ვერ უყურებ მაგ ვერანას, წინა დღითვე გაუხსნილებია, ე! — ამბობდა ხალხი ხარხარით.

ამ მდგომარეობაში იყო ხალხი, რომ ზარი ამ-
ქამდა. ყველამ ქულები მოიხადეს და დაიწყეს პირ-
ჯვრის წერა. „ტარასტა“, რაც ძალი და ღონე
ჰქონდა, რეკდა ზარებს, მაგრამ ახალგაზდებმა მა-
ლღე ჩამოართვეს ეს ხელობა და ერთმანეთს ეჯიბ-
რებოდნენ ზარის რეკაში; ერთი მეორეს სტაცებ-
და ხელიდამ ზარის თოკს. შორიდან მღვდლისა
და დიაკვნის ხმაც მოისმა, იმათ თან მოსდევდა ხალ-
ხის გროვა. მღვდელი მოვიდა მრევლითურთ. ყვე-
ლამ სანთლები დაანთეს, მხოლოდ „ტარასტა“ აღარ-
სად ჩანდა, იგი საყდრის კარებს ევარა. მღვდელმა
წინაღვე დაარიგა, რა პასუხიც უნდა მიეცა. „ტა-
რასტა“ მიკუნქული იდგა კარებში და დასწავლილს
სიტყვებს ბუტბუტებდა. მღვდელი შეიმოსა, აიღო
კელაპტარი და გაუძღვა წინ ხალხს „ქრისტე აღდგა“-ს
გალობით. ხალხიც თან მისდევდა ხელ-სანთლიანები.
შემოუარეს ლიტანია ორჯელ და, მესამედ რომ
მიუახლოვდა კარებს, მღვდელმა ყველანი შეაჩერა
და სთქვა:

— აღახვენით ბჭენი თქვენი, მთავარო, აღა-
ხვენით ბჭენი საუკუნენი და შევიდეს მეუფე ღირდ-
ბისა! „ტარასტას“ დაჰვიწყებოდა მღვდლის ნასწავ-
ლი სიტყვები და, იმის მაგივრად რომ ეთქვა: „ვინა
არს მეუფე ღიდებისაო“, — ვინ არის და ვინ გინ-
დაო, — შემოგვჩხავლა საყდრიდამ. ხალხს სიცრლი
წასკდა. მღვდელმა ყური არ უგდო „ტარასტას“
უგვანს პასუხს.

— უფალი ძალთა თავადი არს მეუფე ღიდები-

საო, — სთქვა მან, დაჰკრა ფეხი და შეაღო კარები. ხალხიც მიჰყვა გრიალით. მღვდელმა და დიაკვანმა გამარჯვებულად ჩამოილოცეს ეს გამარჯვება სიმაართლისა, ქრისტეს აღდგომა.

— აღსდგინ ღმერთი და განიბნიენინ ყოველნი მტერნი მისნი, სთქვა მღვდელმა და „ქრისტე აღსდგა!“ მოაძახა ხალხს გამეორებით.

— ჭეშმარიტად! ჭეშმარიტად! ჭეშმარიტად! გაისმა გრიალით ხმა ხალხისა.

ბოლოს მღვდელმა სიტყვა სთქვა, რომელიც შემდეგის სიტყვებით დაამთავრა: „ფარისევლო, უფუნურთ აცვეს ქრისტე ჯვარსა, ვითარცა ავაზაკი, და გაგმირეს ლახვრითა, მაგრამ აღსდგა, სძლია სიკვდილსა და მით მოგვცა ჩვენ, კაცთა, მაგალითი აღდგომისა, სიკვდილის ძლიერისა, და დაემკვიდრა ჩვენს შორის; მოგვანიჭა ნათელი ნაცვლად ბნელისა. ამიერიდგან ეშმაკი ველარ გაიმარჯვებს კაცთა ნათესაზე, სამეფო მისი შემუსვრილ იქმნა. ლოდი, რომლითაც დაკეტა ფარისევლობამ, ბოროტებამ, შურმა სამარე ქრისტესი, რათა მოესპო ჩვენთვის კავშირი ქრისტესთან, გადაგორდა. საფლავს, სადაც იყო დამარხული ქრისტე, ჰფარვიან ანგელოზნი და ეტყვიან იესოს მაძიებელთ: „ვისაც ეძიებთ, იგი აღსდგა!“

ხალხი თავ-დაკიდებით, მორჩილად ისმენდა ამ სიტყვებს, საბაკი დაჩოქილი იდგა ქრისტეს აღდგომის ხატთან, ცრემლი სიხარულისა ჩამოსდიოდა და ხელ-აღპყრობით ევედრებოდა მეუფეს.

დ ა რ მ ჯ ა ნ ი

(ფშაგლების ცხოვრებადამ)



დარეჯანი იქნებოდა 50 წლისა, მაგრამ 30-35 წლისასა ჰგავდა. იგი იყო შავგვრემანი, უზომოდ მალალი. სახის გამომეტყველება ჰქონდა მძლავრი; დარეჯანის პირდაპირ შეუპოვარი ცქერა კაცს ძალა-უნებურად შეაკრთობდა. ამასთან ერთად წარმოიდგინეთ იმის ვაჟკაცური, რიხიანი ხმა და საუცხოვო ჩაცმა-დახურვა. იმ სიმაღლე დედაკაცი ხანდა-ხან მარტო ჯუბას ჩაიცვამდა, ჯუბას, რომელიც ერთი-ორად სიმაღლეს უმატებდა. წელზე შემოიჭერდა პტყელს ტყავის ქამარს, რომელზედაც ტყავის ქარქაშით ხანჯლის ტოლა დანა ეკიდა. დარეჯანს, როდესაც იგი გაემგზავრებოდა სადმე, ხელში ეჭირათავის ტანზედ აცილებული, ხის ტარზედ დაგებული შუბი. დარეჯანი სოფლის დარაჯად და პატრონად იყო სწორედ დაბადებული. იმაზე აღრე სოფელში არავინ გაიღვიძებდა; გაღვიძებისათანვე იმის ხმა ქექა-ქუხილივით გაისმოდა გაღმა-გამოღმა. ავერ ერთს გასძახის: „სად ვინა ხართ, დალია ხბუებმა ყანა?!“ ახლა მეორეს: „მიეშველე, თორა გადმო-

ვარდება ბალლი, თეთრუფე! ჰაი, შე უკლოვ, შე უგერგილოვ, შენა! ლაპარაკობს სადმე სამი კაცი, დარეჯანიც იმათში ჩაერევა და ურთ-ერთსაც იქნება „დაპრიშნავს“, შეუტყვის: „შენ ამას არ ეღაპებოდე, ბეჩავო, მამულსა, გაისარჯო, თავად გააკეთო მამული, ის გირჩეენია. ღმერთმა იმით არ მოგვცაა ე ხელები გაისარჯენითო, განა იმითა, რო მიწის საქმელად გასუქეთო“. დარეჯანი მაშინვე თავის თავს წაუყენებდა მაგალითად: მე სოფელმა მამული არ მომეცით, აბა, გაჭხედენით შაშუბსა, აის მამულები, საქერეები ვისი გატეხილია? ემისი არი, უყურეთ ჩემს ხელებსა? დღე და ღამ იქ მოვიკალ თავი და, დაილოცოს ღვთის მადლი, ერთი ლუკმა პური არ მაკლია დღესა. თქვენ ერთმანეთს ებძვით, არა მე უნდა შექიროს მეტი მამული, არა მეო. განა ჩხუბით-კი მანებებთა მამულებსა, ცოდვილნო?!“ სოფლელნი დარეჯანას ათას ნაირს, არა საძრახს და საკიცხავს, არამედ სასიქადულო სახელს ეძახდნენ. შე ამ სახელებიდან ორი მახსოვს: ერთი „ღევა“ და მეორე „პარახოტა“. მაგრამ ვინც ამ სახელებს დაუძახებდა დარეჯანს, იმას არ შეიძლებოდა თანაც არ დანებებინა შემდეგი სიტყვები: „ბეჩავ, დედაკაცო, ცოდვა არ არია შენ კაც არა ხარ?“ დარეჯანმა ცხოვრებაში დიდი წვადავა გამოიარა და წვა-დაგვიტაცდასრულა თავისი სიცოცხლე. დარეჯანი 18-ის წლისა დაქვრივდა; იმისი სახელი შორს იყო გაგარდნილი; დარეჯანს აქებდნენ სილამაზით, „თავ-გზიანობითა“ და მეოჯახობით. მოხივნილი გულში ბევრი იყო დარეჯანისა,

შეგრამ ვერაკინ ჰბედავდა გარდა ურჯუკისა. ურჯუკი სხვა თემისა და სხვა სოფლები იყო. ურჯუკმა დარეჯანს „მარჯეკალი“ გაუგზავნა. მაქანკლობი საზოგადოდ ბებერ დედაკაცების ხელობაა. სამეფო ბიჭები მაშინვე იმათ მიჰმართავენ საქმის გასარჩევებლად, რადგან ისინი უკეთ იცნობენ მამაკაცისა და დედაკაცის გულსა, იციან რით და როგორ მოაწონონ ქალ-ვაჟს ერთმანეთი. სოფელ გ—ში, სადაც დარეჯანი იყო გამოთხოვილი, სცხოვრობდა დიდის ზნის დაქვრივებული მამიდა. ურჯუკისა შამანდუხი. ურჯუკს სხვისათვის ვისთვის უნდა ეთხოვა. შუაკაცობა, თუ არა თავისის მამიდისათვის? შამანდუხი იმ დროს მივიდა სამაქანკლოდ, როცა დარეჯანს კეცი გადმოღებული ჰქონდა და პურის „ჩაცხობას“, ჩაკვრას აპირებდა. შამანდუხმა, რა წამს დარეჯანთან კარებში შევიდა, იმ წამსვე ქებით მიჰმართა დარეჯანს:

— გენაცვალე, შეილო, — სთქვა მოსაწყვლებულის ხმით შამანდუხმა, — რა თავ-გზიანი ხარ და ყინჩი (კარგი).

კერის პირას დარეჯანის ორის წლის ვაჟე გამახარე იჯდა და ნაცარს ურევდო ჯობნით. შამანდუხი მოეხვია ბავშვს, თანაც თვალები მოუტყრემლიანდა, გამახარეს ლარადელა (ჩირი) და თხილ-კაკალი მისცა და თან დაიწუწუნა.

— ჩამოგვიდნი აგრია, ვაჟავ, ობოლავ, ტიტველი-შიშველო! შემდეგ ჩვეულებრივად მოიკითხა დარეჯანი:

— რას კილოსა ხართ, დამიტირე, ხო არა გიჭირსთ კაცით, საქონით, მერავ, — ან ამ ვაჟს ხო არ გიტკივა?

— არა გვიჭირს, შენი ჭირიმე, ღღესნამდინ ცოცხალნი ვყრივართ, ღმერთმა გიცოცხლოს მზის საფიცარი. შემრე თავად ხო არა გიჭირსთ? — ჰკითხა დარეჯანმა.

— არცარა ჩვენ გვიჭირს, აგრემც დამმარხავ.

სტუმარი და მასპინძელი ერთად ჩამოსხდნენ სადღედაკაცო კერაზე. დარეჯანმა შამანდუხს ნაბადი დაუგო. შამანდუხს იღლიაში ტარ-ფარტენა ეჭირა ხოკრით. ხოკრიდამ საგრებელი ამოიღო და დაუწყო მატყლს რთვა, თან დაწვრილებით ჰკითხავდა დარეჯანს ყოფა-ცხოვრებაზედ.

— მებრალეები, — სთქვა შამანდუხმა ამოოხვრით ბოლო დროს: — მებრალეები, ჩემთ მკვდართ ცხონებამა, ბაღლი ხარ, შეილო, ჯერ შენა, ჯანი გაქვის, მაგრამ განა სულ ეგრე იქნები? შენ თუ პატრონი არ იშოვნე, დედა შეილობამ, არ გამოგადგება ეგრე ყოფნა. კაცს გიშოვნის ისითასა, რო შენს ბედს ქვეყანა მიჰნატროდეს.

ეს უკანასკნელი სიტყვები შამანდუხმა ჩურჩურით წარმოთქვა. დარეჯანი ამ სიტყვაზე ანთო: გათხოვება ფიქრადაც არ მოსულია არა დროს. იგი წრფელის გულით უერთგულებდა გარდაცვალებულს ქმარს, მით უმეტეს, რომ უძეოდ არ დაქვრივებულა. შამანდუხის რჩევა არ მოეწონა.

— ჩემგნით არ გკადრება-კი შენად, — სთქვა

სახე-ალეწილმა დარეჯანმა, — და რა ვქნა, გაკადრებ. შავისთანა ქართულების გაგონება არ მინდარის, მაგად თუ დაძვრები აქა, შე სულელო?! ადგი, ადგი, გამოძვერ, აქითა, ადგი, დაითხიე, თორა ერთს უნა-მუსობას გაქმევე, ჩემის გამახარეს დღეგრძელობამა.

— არ გინდა თავის თავისად კარგი და ეშმაკსა ჰქონდეს შენი სულ-ხორცი! — სთქვა შამანდუხმა კარების გასავალში.

დარეჯანი სიკვდილამდე პირველის ქმრის ერთგული დარჩა. ბევრი სხვა-და-სხვა ხმა დადიოდა სოფ. გ — ში დარეჯანზე და, რაც მართალი იყო, არც თითონ ჰმალავდა. სხვათა შორის, აი, ერთი მოთხრობა იმაზედ, თუ როგორ ამოთხარა დარეჯანმა თავისი პატარა ქალი ნენე საფლაოვიდამ.

— სუყველა საკვირველს შენ რად ჩაიდენ, დედაკაცო? — ჰკითხავდა სალია დარეჯანს. — საფლაოვიით შვილის ამოთხარა რამ-ლა მოგაგონა?

— ერთს წელს სუ გაბრუებული ვიყავ, — იტყოდა დარეჯანი: — დახელთილივით დავდიოდი. ერთხელისა, შუალამისას, დიდი ნაორღვენი მოიდა, დეღღმა, ავდარი. არ მეძინებოდა, ვერ მოიხუჭედ თვალნი, ჩამაუნდეს დედა, ნენე მიდგებოდა თვალთ წინა. ვიფიქრე: ე ჩამოსადნობი, რას უწევარ ამაში?! მე აქა ვწევარ მშრალად და ეს ამოდენა ნიაღვარი ჩემს შვილს გადასდის თავზედაო. თან ისიც მამაგონდა, რო გველ-ბაყაყები ჩაუძვრებოდენო, ავმდგარვიყავ და გავქცეულიყავ სასაფლაოზე. მე რავ როგორ ამოვთხარე, მაშინ-ლა მოვედ გონსა, კუბოს თავი რო

ავგლიჯე და სული მეცა, მითამ პირზე სამა ვკოც-
ნიდი. თანდათან გამოვფხიზლდი. მივიხედ-მოვიხედე,
დავშინდი: ვაჰმე, არაფინა მნახოს, ვინ რას იტყვისო?!
მივაყარე ისივ მიწა და გამოვიქე, რაც ძალი და ღონე
მქონდა. წყალზე რო ჩამუვდი, დავიყურე და მითამ
ტირილივით ვავიგონე, ჩემის ქალის ტირილსა ჰგვან-
და. ჯერ გაბრუნვა ვავებდე, შემრე დავფიქრდი: რო-
გორ-ღა იტირებს ჩემი შეილი, მიწაში ჩამპალაო.
შევვებვეწე ჩემის მამის სალოცავთა, — დამასვენეთო.
შემრე კიდევ გონთ მუედი.

ერთის წლის შემდეგ დედამთილიც მოუკვდა-
რიგი ყველას თითონ დაუყენა. ხატში კისრით თი-
თონ მიიყვანდა საკლავს, იგი შორი-ახლოს დადგე-
ბოდა. დასტური მოეგებებოდა და ჩამოართმევდა.
საკლავთან ერთად ჰადა-პურსაც. სოფლეონი დარე-
ჯანს გამრჯელს ეძახდნენ: „დარეჯანი ისე არ და-
ყენებს ხელთა, როგორც ე ჩამდინარ წყალნი არ
დადგებიანო“. დარეჯანმა გამახარე პატარაობიღვანე.
შეაჩვია მუშაობას. უსაქმობასა და უქმად ყოფნას
უშლიდა. გამახარე, რაკი იდროვებდა, ტოლებში ვაე-
რეოდა, მაგრამ დარეჯანი იმას ჩქარა იპოვნიდა და
ხელ-შუბიანი სულთა-მხუთავივით წაადგებოდა თავსა.

— რას ეშმაკს უზიხარ ამაში — ეტყოდა იგი
მრისხანედ: და არ მიეპატრონები ი თავის ბეჩაობასა?

— ბატარა ხან კიდევ ვიქნები, ჩემო დედავ,
შენი სულის ჰირიმე, — ეტყოდა ყელ-გადაგდებით გა-
მახარე. იმას სწორებიც მიეშველებოდნენ, სთხოვ-
დნენ დარეჯანს, ნება მიეცა გამახარესთვის იმათთან

დარჩომისა... დარჩეს ბატარა ხან, ვიფიხვნებთ, ჩემო დარეჯანო, კიდევ, დედა-შვილობას, და მერე წავალ-წამულათ ყველანი. განა ჩვენ საქმე დაღეულები ვართ?!

დარეჯანი იმათაც შეუტევდა და მაინც თავისას გაიყვანდა, გაისტუმრებდა გამახარეს შინ. გამახარე დავაჟაკებული იყო, რომ დედასთვის ერთი მაღალი სიტყვა არ უთქვამს. დარეჯანი გამახარეს ხშირად ქორწილშიაც მიუხტებოდა, „ჯარ-ზეით“ ააყენებდა და გააგდებდა სახლში.

— განა სულ ქორწილი იქნება, მწერ-ჩვალაო? მალე შამოგველევა მუქით სასმელ-საქმელი. შენი ქორწილი აი შენი სახლი და საქმეა, არ იცია!? გამახარე თავისუფლებას, სიამოვნებას მოკლებული იყო, დედის ბძანებას ვერა სტეხდა; ამისთვის, მართალია, აქებდენ, მაგრამ თავს-კი დაჩაგრულადა ჰგრძნობდა.

II

დარეჯანი ვაჭრებს, ჩარჩებსაც სუსხს აძლევდა. ისინი იმას „ნამახ დარეჯანას“ ეძახდნენ. ჩარჩებს დარეჯანი ეჯავრებოდათ და დარეჯანს ვაჭრები, თუმცა-კი ისევ იმათგან ვაჭრობდა, ვაჭრობდა და თან ეჩხუბებოდა. გამვლელ-გამომვლელს ხალხს ისე არ გაიცილებდა, რომ არათფერი ეთქვა, არათფერი ეწყენინებინა.

რად გეჯავრება ჩარჩებიო, რომ გეკითხა დარეჯანისთვის, „რჯულ-ძაღლებია, იმათაო“, გიპასუხებ-

დათ. დარეჯანი ყველაზედ მეტად არუთინას სტან-
ჯავდა. ეს არუთინა ფრიალ გაქნილი ვინმე არის.
25 წელი იქნება, რაც იგი ფშავში ჩარჩობს. არუ-
თინა ყველას იცნობს და ყველანი მას იცნობენ,
დაშინაურებული კაცია, ფშაური ფიცი იცის, ფშაურს
კილოზედ საუბარი.

— ლაშარის ჯვარის მადმა, — ამბობს არუთინა, —
ეს ჩითი დამპალი არ არის.

— ისე გიშველოს შენ ლაშარის ჯვარმა, რო-
გორც შენ იმას მართლა ჰფიცულობდე! — ეუბნება
დარეჯანი.

არუთინა თავივით წვრილს თვალებს აციმცი-
მებს და თხელს, მოკლე წარბებს შეათამაშებს. ვაჭ-
რობის დროს დარბაისლობს, არ გაიცინებს, თუმცა
იოხუნჯებს-კი, მაგრამ გამჭირახი, გამოკდილი თვა-
ლი მალე შეატყობს, რომ არუთინა თავიდან ფეხამ-
დე სიცრუისაგან, სიფლიდისაგან და ეშმაკობისაგან
არის მოქსოვილი. არუთინას ტანზედ ერბოთი გა-
ლესილი ახალუხი აცვია, თავზედ ბუხრის ქუდი ახუ-
რია, ადგილ-ადგილ ამოგლეჯილი; იმის ქუდი მგლი-
საგან დაგლეჯილს ცხვარს მოგავიწყებსთ. საბრალოა
ეს ქუდი მაშინ, როდესაც არუთინა ვაჭრობს. საცო-
დავი ქუდი ხან წინ შუბლზედ გადმოხტება, ხან
აქეთ, ხან იქით, ხან უკან, ერთის სიტყვით რომ
ვსთქვათ, — არუთინას თავზე ბუქნას უვლის. მეტის-
მეტი სასაცილოა (რა თქმა უნდა საზიზღარიც) რამ
არის ამ დროს არუთინა და უფრო მაშინ, როცა
ვაჭრობას გაათავებს, მოსჭრის ჩითს და ახლა საქმე

კარაქის, ერბოს აწონაზე მიღება. ნაშინ არუთინა პატარძლად იქცევა, უცოდველ, უვნებელ კრავად, ტუჩებს მოიპრუწავს, თვალებს შორს გაუშტერებს და აღარ უცქერის იმის წინ წამოაჩოქილს ფშავლის დედა-კაცებს; ქულიც დაისვენებს, აქიმული წარბებიც შეჩერდება. იგი ამ დროს ჰგავს გაზაფხულის გაქუცულ მელას, რომელიც ჩიტებს ეპარება. მაგრამ დარეჯანი არუთინას ისე შეუბრალებოდა და სასტიკად არ მოჰქცევია არა დროს, როგორც ერთხელ მოექცა. დარეჯანს ხელში და გულში საბუთი ეჭირა. აი ეს რა საბუთი იყო. იმავე სოფელში სცხოვრებს მარტო-ხელი, ალალ-მართალი კაცი ჯაბანა. ჯაბანას წინა წლებში საქონელი დაულია ქირმა. ორის სულიდამ ორი კვებულა-ლა დარჩა. ჯაბანა დარდისაგან ლოგინად ჩავარდა. იგი იწუვა ჩალა-დაგებულ წნელის ჯინში, რომელიც ზაფხულობით დერეფანში ედგა და ზამთრობით შინა. ჯაბანას სახლში სხვა არავინ გააჩნდა, არც ქალი, არც ვაჟი-შვილი, გარდა ანუკასი, რომელიც სულ ფეხზედ ტრიალობდა და თავისის მარჯვენით არჩენდა „დარჩომილს“ მიმას. დარეჯანს ანუკა ძლიერ უყვარდა და, როცა-კი შეჰხვდებოდა, ეტყოდა ხოლმე:

— ვენაცვალე შენ ქალობასა, შენს გარჯილობასა. ეგრე, ვენაცვალოს დარეჯანი, გაისარჯე, შვილო. გაურჯელოდ არავის რა მოგვივა. დარეჯანს მამითადში, „მუშაში“ ოჯახის შვილებიც დაიპატიებდნენ ხოლმე, მაგრამ ის იმათთან არ წავიდოდა.

— ჯაბანას მივეშველებიო, — იტყოდა დარეჯა-

ნი: — უფრო მაღლია, ერთი-ორი ძნა რა შაუკრა, იმათად კარგია, — იტყოდა და წავიდოდა კიდევ.

ჯაბანას ემართა არუთინასი ოთხი მანეთი. ორ-ჯელ მივიდა არუთინა ჯაბანასთან ვალის სათხოვნელად, მაგრამ ვერაფერი მიიღო, რადგან მოვალეს არაფერი გააჩნდა. ჯაბანა თითონაც სწუხდა ამ ვალის გადაუხდელობას და მოულოდნელად წამოიტყოდა ხოლმე თავისათვის: „დახე, შავრცხვი იმ კაცთანა, ვერას ღონეს გავხდი, ვერ ვუშოვნე“. არუთინასაც, როცა ვალსა სთხოვდა, ასე ეტყოდა:

— რა ვქნა, შენი თვალების ჭირიმე, ჩემო არუთინავ, განა არ იცი ჩემი ბეჩაობა, აი დამკვლიე, მეორე წელია ასე დავრჩი და ჩემის ხელით ჩხირი არ გათლილა ჩემს სახლში! განა არ იცი, თუ თავის მარჯვენას არა გამუადნეთ, ძნელია ჩვენი დარჩომა!? მეც აი ქალის ამარასა ვარ, დავწვი, დავდაგე ეგეცა, ეგ ბეჩავი, დაწყდა ნაწლეგებში. სხვისაგან ვივალო და შენ მოგცე, ისევ მე ჩემი დამემართება: როცა გნახავ, სირცხვილით სუ ტანიოგში დავიშლები. მრცხვენიან, განა არა მრცხვენიან, მაგრამ, აჰა, რა ვქნა, რა გიყო?!

არუთინამ ბევრი აღარ იფიქრა, მამსახლისს „ამოუღო“ ერთი მანეთი და სთხოვა, რომ ვალში წაერთმია ჯაბანასთვის ის ორი კვებულა. მამსახლისმა აუსრულა ეს თხოვნა არუთინას. ერთს დღეს გზირმა და არუთინამ გამორეკეს კვებულები და წაასხეს. ამ დროს ანუკა სამუშაოდ იყო წასული მეზობლებში.

— რა ვქნა, — სთქვა განაცრებულმა ჯაბანამ, რაკი გადასწყვიტა, რომ მიდიოდა იმის ხელიდამ ერთადერთი-ლა იმედი, — რა გითხრათ, თუ-კი ღმერთს არ შაჰხედავთ?!

სალამოზზე ანუკა დაბრუნდა, ბევრი იტორა საბრალომ, ილანძლა და იგინა. ანუკამ ჯოხ-დაბჯენილი, მკვდრის პატრონივით, საცოდაოდ გაჰკივლა: „ვაჰმე, ჩამოვიდნესთ პატრონი, ჩემო მირეშავ, ჩემო კულ-ბეჭედავ! ღმერთო და აი მამის ჩემის სალოკავო, ნურას კარგს მასვლევინებთ იმათ წამსხმელსა!..“ ანუკამ ქვითინით შესჩივლა ეს აშბავი ერთადერთს თავისს იმედს დარეჯანს.

— ვაჰმე, აღარას მიშველა ძალუაო? — ქვითინებდა ანუკა, — რო ჩემი მირეში დ'კულ-ბეჭედაი ვალში წაუსხამ არუთინას, იმ გმირის კოპალაის ლახტ-ნაკ-რავს, იმ შავის მიწის შესაქმელსა?!

— ჰაი, ეგ რჯულ-ძაღვები, ეგეებიიი! იქნება მართალია?! ვაჰმე, რატომ არ ვიცოდი, ამ თავ-მო-საკდავმა, შე ვიცი, რასაც წავასხმეინებდი იმათა-შენ არ გინდა, ძალუისავ, იმ ძაღლის ჯავრს მე ამოვიყრი, — ანუგეშა დარეჯანმა.

მართლაც. ერთის კვირის შემდეგ არუთინამ ჩამოიარა ორი ცხენით და ძახილით: „ფარჩა ივაჭრეთ!“ დარეჯანი „დილაურს“ საქონელსა სწვევდა. მალე თვალი შეასწრო არუთინას და ჩუმიად წასძახა ძაღვებს, რომლებიც დარბაისლად ბაკის გვერდზედ იწვნენ: „ა, წობანავ, ალაბეშავ, მავას“.

ალაბეშა და წობანა სიავით გათქმულები იყვნენ

სოფელში. მსწრაფლად ძაღლებმა ყურები სცქვიტეს და ტყვიასავით შეუპოვრად დაეტაკნენ არუთინას, გააბუეს, გაჰპენტეს ბამბის ქულასაებ და გადაადგეს პატარა ბექურზე. არუთინა გამწარებული ყვიროდა და ხრიალებდა. არუთინას ცხენებიც დაფთხნენ. ერთმა მოიყრევინა ბოხჩები, მეორემ — ერბოიანი გუდები. ყველა ეს დაგორდა ქვეით ხევში. ერბოს გუდა გასკდა და წყალივით ერბომ დაიწყა ჩადენა მიწაზე. „მიშველეთ, ქრისტიანები არა ხართ!“ ჰყიროდა არუთინა ზემოდამ. „არ დაირჩოს-კი, ე დამეხილი, და კაცის ცოდვაში არ ჩავდგე“, — სთქვა დარეჯანმა და გაიქცა მისაშველებლად. გადადგა ბუქურის პირზე, შეეცოდა არუთინა დარეჯანს, როდესაც იმის პირზე სისხლი დანახა და შეუტია ძაღლებს: „წამოთე, წამოთეო, თქვე სამგლებო!“. ძაღლებმა მაშინვე თავი დაანებეს და გამოსწიეს შინათკენ. არუთინა გასაცოდავებული ადგა და კოჭლობით გამოიარა ცოტად.

— თქვე ოჯახ-დაქცეულებო, — სთქვა არუთინამ, — რატომ არ აბამთ ძაღლებს? ხომ იცით მაგათი სიკაბასე! ახ, ჩემი ხანჯალი მქონოდა! — ამ დროს შეასწრო თვალი დაღვრილს ერბოს, ტირილი მოუვიდა და უფრო უკადრისი სიტყვები უთხრა დარეჯანს.

— ოჯახ-დაქცეულიც იყავ და ძაღლიცა! შენ რო მკვდარი იყო, ვისი რა ბრალია?! მთელი ქვეყანა ამაზე არ დადის, შე მიწის ჩამოშაშლელიო, — აბა სხვას რომელს მისწვდენ ჩემი ძაღლები?! ნეტავი გაემარჯვა ი მამიჩემის სალოცავსა, დაგეკრა რაი ძაღლებისადა

და მაშინ ჰნახავდი შენს ყოფასა? დაგმეხოს მწარე სიკვდილმა, აგრეთა! დაჰკრავდი და მე რაღას ვაკეთებ აქა!? შუბს შიგ ცოფიანს ლაშჩი ჩაქცემდი!..

დარეჯანმა ხშირად იცოდა ესე დამუქრება. დარეჯანი მაშინვე გამობრუნდა და პირზე ღიმილი მოუვიდა. პირველად ეხლა შევნიშნე იმის პირზე მხიარულება, — აღბად გული მოიფხანა ცოტად მაინც... არუთინაკი საცოდავად ეფხოტებოდა ბეჭობზე, ჰფხეკდა და ასხავდა ისევ გუდაში მიწიანს ერბოს. ამ დროს წყალს ნემსკავით ბიჭი მოჰყვებოდა, იშველია იგი, აჰკიდა ცხენს ბოლჩები და ხურჯინები და გასწია დუდუნით თავ-პირ ჩამომტირალმა. დარეჯანმა ერთხელ აჰხედა კიდევ და „დაიმეხე, აგრეთა!“ თან გააყოლა.

III

კვირა დღე იყო. ჯერ მზე არ ამოსულიყო. ბერაანთ სახლის ბოლოს, მურყნიანში, წისქვილის სარუის გვერდზე, დარეჯანის ყვირილი, ჯავრობა ისმოდა. იმას ხელი ჩაეველო ორის ბალღისთვის და სახე-ალეწილი ელაპარაკებოდა ჯავარას, რომელსაც ზურგზე ფქვილიანი გუდა ეკიდა.

— ე ბალღებ სადლა მიგიდის, დაო? — ჰკითხავდა დარეჯანს ჯავარა.

— სიკვდილმა რო დააბუნდოოს ამათი დედა, იქ მიმიდის, — სთქვა დარეჯანმა და თან დაანუგეშა მტირალი ორი ბავშვი: — ნუ იტირებთ, შვილო, დედა თქვენნი მალე მოაღის.

— აცა, დამარხე ჯავარაი, მინც რა არი?

-- ის არი, ქალო, რომ ამათ დედა გამიხარდას გაპყოლია, გასტაცებინებია, ბალოლებსად თავი დაუნებებავ.

— უყურე, უყურე იმ უნამუსოსა!

— მე კი არ ვიყავ ქვრივი? სხვა რამდენია კიდევ? აბა, სხვას რომელს უქნა? ეგ საქმე, ეხლა მავ კახპამ რომ ჩაიღინა? აუ, ეს რაღა მოვიხილო, თქვენი ქირიმეთ... მე ხო დავიწვი დილას ამათი ცოდვითა. ჩადუნაობას მივიდოდი, ამათ კარისას გავიარე, გავიგონე ბალოლების ტირილი დ'წიოკი. კარი გარეთათ იყო გადარაზული. გავადე, შევედ, ეს სუ ბატარია ვაჟაი ტირილისაგან მისუსტებული პირ-ქვე წაქცეულიყო და ე დიდი კი დავიდოდა დახელთილივითა და სქევინავდა ყურე-მარეგბსა. ვაჰმე! დედა სადა გყავთო, ვკითხე. კაცს რასამ გაჰყვა, თავის ბარგი და ხურჯინებიც თან წაიღო და წავიდაო, ედიდამ მითხრა. მაზლიც არა ჰყოლია შინა იმ დაბუნდებულსა. ჯავარა გაფითრებული და გაშტერებული შესჩერებოდა დარეჯანს. ვაჰმე, განაგრძო დარეჯანმა, სად არი კაცი და პატრონი, დასტაცე იმას ი ბუწუწები და დაბეგვეო, გაუნაყე ი თავრიულა ქვებზედო!.. ფშავის ხევს შადლი გამოვლიო, ნიდავ გამეგლევა, ნამუსი აღარცა არი და დანდობაო. რაად-ლა უნდა ეხლანდელს დროში კაცს სიცოცხლე? რომ მოკვდეს, ის არ ურჩევნავა?!

— მემრე შენ რას უხამ მა ბალოლებსა? — ჰკითხა ჯავარამ.

— უნდა წავასხა შინა, მანამ ბიძა მოუვალის. მა რა უყვია, შე ჩემ თავ-მამკვლარო?!

— კარგია, დაო, დაილაშა, — სთქვა ჯავარამ: — მალე მუალის ი კაცაიცა. მე მგონავ, იორზე არი წასული.

დარეჯანი წამოვიდა და ზავშეებიც თან წამო-ასხა, წამოიყვანა. ერთი ხელში ეჭირა და მეორე ხელი-ხელს ჩავლებული მოჰყვანდა. იმან სოფელში ერთი ალიაქოთი ასტეხა. ყველას გული შეძრწუნდა.

— ნუ რა კარგი მაახილებინოს ამათ დედას ღმერთმა და იმ ჩემის მამის სალოცავო?! რა გაუჭირდა ისითი იმ ღვთის ნაენებს, რო დააობლა ეს ბაღლები! დარეჯანმა ბაღლებს რძე აუღელა, აჭამა და დააშოშმინა... ეხლა დარეჯანის წუხილი ის იყო, რომ სადმე შეხვედროდა მზეფინარსა... ამბობდნენ, რომ შევხვდა და ატირაო, თუმცა კი მეორე ქმრისათვის თავი ვერ დაანებებინაო...

— თავი დამანებე, ჩემო დარეჯანო, აგრემც გი-ცხონდებიან მკვლარნი, — ეუბნებოდა მზეფინარი თვალ-ცრემლიანი დარეჯანსა, როდესაც იგი თავს წაადგა ერთხელ საქონელში მყოფსა და თავისებურად დაუწყო შოლტვა: — რაღა გქნა, შავცდი, თავს ხო არ მამაკვლეინებთო.

დარეჯანზე სოფელში იმასაც ლაპარაკობდნენ, თუ „როგორ აკადრებინა ერთს მოხელეს უკან დაეწია“. ბრძოლა მოხელესთან დარეჯანს თავისის შეილის გამახარეს თაობაზედ მოუხდა. დარეჯანი შეშაზე იყო წასული. იგი იმ დროს დაბრუნდა, რომ

მოხელე გამახარეს მათრახითა სცემდა. დარეჯანი აენტო, საჩქაროდ ტვირთი მოიგდებინა და „შესტაცა“, დაუჭირა ლაგმისტარი მოხელის ცხენსა.

— ვინა ხარ შენა?—სთქვა დარეჯანმა ათრთოლებულის, აკანკალებულის ხმით:—რაზედ მიკლავ შეილსა, შე ურჯულოვ?! მოხელემ იმასაც მოუღერა მათრახი, მაგრამ ისევ მალე ძირს დაუშო, რადგან დარეჯანი უკან დადგა და შუბი გაუსწორა.—ხელი არ მახლო, ჩემის გამახარეს დღეგრძელობამა, თორაო.. მოხელემ მართლა „უკან დაიწია“ და შემდეგ თავისიანებს აცინებდა ხოლმე ამ შემთხვევით: „რას ვიზამდი, ყმაწვილო, ხანში შესული დედაკაცი იყო... Но подобной женщины еще не встречалъ! სწორედ სულთა-მზუთავივით დამეცა თავზე, ერთი ახმახი რალაც იყო; дикарка, дикарка, чистая дикарка!“

— შენ კი არ გსხიანა ხელნი, შე მწერელ-შვილო, შე უგერგილოვო,—უთხრა დარეჯანმა გამახარეს:—რას ეთრეინები?..

— დიდი კაცია, მაგას ხელი არ შეებრუნება, დედავ, რა მექნა?—სთქვა გამახარემ და ჯავრი დედის სიტყვების შემდეგ-ლა შეეტყო, უდროვოდ დარწმუნდა, რომ საჭმე წააგო.—მაგას რა ნება აქვ, რო ჩემს კარზე მიხდება და მცემს?!—სთქვა გამახარემ წამოწითლებულმა.

— კარგი, სუ, სუ, ბეჩავო! შენი რა იმედი უნდა მქონდეს. რო დავარდე, მთელი ქვეყანა გადამქედავს!—დაუმატა დარეჯანმა ამოოხვრით.

IV

დარეჯანს თუმცა თავის სოფელშიაც ბევრი სა-
დავიდარაბო და სავაგლახო საქმე ჰქონდა, მაგრამ
ის იქით-აქეთაც გადაედ-გადმოედებოდა. აქ უნდა
აღვნიშნოთ დარეჯანის ქიზიყს წასვლა და მიზეზიც
ამ წასვლისა. მაშინ მე მოსწავლე გახლდით და სოფ-
ლად ვსცხოვრობდი. ერთს დღეს, არ კი მახსოვს,
რა დღე იყო, დარეჯანმა დილა-ადრიახად დამათე-
თიანა:

— ადე, ბიჭო, ადე, — დამძახოდა თამამად და-
რეჯანი, — გავიწილა ამ დრომდე ძილი?! სკოლაში
იმას თუ გასწავლიანთ, შუადღემდი იძინეთო? ადე,
მეჩქარება, საქმე მაქვს! — დარეჯანი ისე დარწმუნე-
ბულად და გაბედულად მეუბნებოდა ამ სიტყვებს,
თითქოს მოვალე ვიყავი, იმისი საქმე გამეკეთებინა.
ღიალაც მოვალე ვიყავ, რადგან დარეჯანს უჭირდა.

— რა გინდა, რა ამბავია, დარეჯანო? — ვკითხე.

— ის ამბავია, შენს თვალთ ენაცვალოს დარე-
ჯანი, შენ ერთი ქალადლი უნდა გამიკეთო, რა ვი-
ცი, ბილეთს ეძახიან, ბიჭო, თუ მილეთსა, ქიზიყს
ვაპირობ წასვლას.

— ეჰ, რადა ხარ დუსვენარი, მოუსვენარი დე-
დაკაცი, რა გეჭიზიყება, იქ რა დავრჩომია, რადა
დროს შენი აქეთ-იქით სიარულია?

— შენ რაღას ამბობ, ბალოო? — მითხრა დარე-
ჯანმა ხმა-მალლა: — მოუსვენარი რას მიქვიან?! საქმე
მაქ და მივალ... — დარეჯანმა თანდათან ხმა დაიდაბ-

ლა, — ქალაღღში ისე უნღა გემოიყვენო, რო მე ბე-
ჟანის დედიღა ვარ ღა ქიზიყს ღისწუღლის სადებრად
მივალ, — სთქვა დარეჯანმა ღა თან შუბის ტარი მაგ-
რად ღაჰკრა დეღამიწაზე.

— რომელ ბეჟანის სადებნელად? ბეჟანს შენი
ძებნა რად უნღა?

— იქნება შენ არც კი გავიგავ ჯერა, ბიჭავ?!

— რა? არათფერი გამიგონია!?

— ბეჟანი ხო ღაიკარგა, შე ჰემთავმამკვღარო, —
განავრძო დარეჯანმა ამოოხვრით, — აღარავინ არ ვი-
ციოთ იმისა: არც შინაურმა, არც გარეულმა, არც
იმის ამხანაგებმა წყემსებმა. ძალთოღენი ბიძა-ბიძა-
შვიღლები ჰყვანან ღა ერთმა ვერ შაიღვა თავსა ღა
ვერ წავიღა ღა ვერ გავიგო, საღ არი ის კაცი, ცოც-
ხალია თუ მკვღარი? მინღორშიო მოსული ყვეღა
იმას ამბობს: ის ღუქანში ქიზიყს მოკღესო, აქით
ფული გავყოღა, ჰამოუღნი, თანა; რაკი ფულს შავგუ-
ღებღენ, რას ღაჰზოგავღენ. უბატრონო, ოხერ-
ტიალი ვინშე იქნებაო, იფიქრებღენ... ისე გამავონეს,
იქვე ღუქნის ახლო სანაგვეში არი ის ჰამარხულიო,
მე უნღა ვნახო ის აღგიღლები ყვეღა... საღ-ღა არი,
ღამარხე დარეჯანი, წინანღელი ერთურთის სიყვა-
რული ღა დანღობა? ძალ-ღორი ქვეყანა გახღა: ერ-
თი მეორის სახს გაშხეღავს, გავიგო, კიღვე ამოღისა
იმის სახღშიო ბოღი თუ არა; ერთი ოჯახი მეორის
ღაბუნღუებასა ნატრობს, რომ აგება იმისი მამულე-
ბი მე ღამრჩესო. იმღენი გეშვეღლოს შენცა, შვიღო,
ღა აი მემს ობოღსაც, — დარეჯანი თავის შვიღს გა-

შახარეს „აზოლს“ ეძახდა, — რამდენიცა ნატრულობდეს, სხვა გაწყდეს და მე კი გავმრავლდეო, სუყველა მე დამრჩესო... რვა თვეა სრული, რაც ბეჟანი-სა აღარა ვიცით... აბა, რას შნოზე დაეთრევიან ხატებში და ქორწილებში იმის ბიძაშვილები?! ღთისწყალობა გაქვ და მაქვ, მე კარგა, ლამაზა გამოგილანძღე ძოღან თირუხანი.*) რას ამბობ, ბიჭო, გამძღარი, გალოთებული ციხე-გორობით მოსვეს, ჩემთან მოიდა ისი და კიდევ სხვა რაიმ ეტანა, ყუნჭივით დაბალა, წვივ-სქელა, ქისერ-ჩაძვრენილა, თავმამწონ არა რაიმა, გაპოხილა, ძველა ქუდის ჩაჩა ეხურა. ერთის სიმღერით, გნისით, ცხენ-ხეთქით მოცვივდენ ჩვენს კარზე და, არც კი შაპრცხვა იმ პირ-ბნელს თირუხანსა, დამიძახა: „მძახალო, აბა არაყან არან გიდგანა, შაგვასმიენ ბატარანი, დაგვალოცვინე, აგრემც დამიტირებო!“

— დაითხოვე იქითაო, უთხარ, — განაგრძო დარეჯანმა, — თორა მა თავ-პირს ჩამოგამტვრევ, შე უგერგილოო, შე, ბეჩავო! აბა, რას შნოზე დასდიხართ მზე-ქვეყანაზე, რატუ არ დაჰკვლევთ თავის თავსაო?.. სად დაჰკარგეთ ი კაცი, რატუ არ მოსძებნითო!? რა ვქნათ, მძახალო, — მითხრა, — ცუდი დროება ჩამოგვივარდა, ცუდიო! — ცუდი დროა, იმით აღარ უნდა გავიგოთა თავის ცოცხალი და მკვდარი? — სთქვა დარეჯანმა ათროლოლებულის სახითა: — განა კი ვინმე შაშქამდა მაგ ბეჩავსა, რომ მისულიყვნენ და

*) სახელია კაცისა.

სადაც ქვეყანა იძახის, იქ მაეძებნა; რა ვიცი, მკითხავსაც ვაკითხვინე და იმანაც ისე მითხრა, როგორც ქვეყანა ამბობს...

დარეჯანმა მეორე დღესვე ცხენით გასწია ქიზიყს, თავისებურად მორთულმა. იგი, როგორც იყო, ჩავიდა და დადიოდა სოფლით-სოფლად, კითხვა-კითხვით; თითქმის ყველა დუქნები და ნადუქნარები გადასინჯა, „გადაჯყვენა“, მაგრამ თავისის მოგზაურობით იმას გახდა, რომ თუ ფშავში, თავის სოფელში, „ღღევსა“ და „პარახოტას“ ეძახდნენ, ქიზიყში „მგელკაცი“ დაარქვეს... მნახველები ყველა გააკვირვა დარეჯანმა. ბევრს არც კი სჯეროდა, თუ ის ღვდაკაცი იყო, „მგელკაცი გაჩნდა“. ეს ხმა ისე გაძლიერდა, რომ თვით თავისის თვალით დარეჯანის მნახველებიც კი ექვში შეიყვანა.

†

ყველაფერს გაზაფხულის ფერი დასდებია. არაგვის ნაპირებზე მურყნები „გაბზინებულან“. გუგული იძახის. არაგვი აღიდებულვი, „აღვევებული“ ზოდის. პატარა მდინარეებმაც მოიმატა და ვაი-ვაგლახით მოაგორებენ ლოდებსა, კლდეებს, ხეებს ძირიდან ჰგლეჯენ; ყურთა სმენა არ იყო; განურჩეველი და განურკვეველი გრიალი იდგა. პატარა მწყემსები მზიარულად დარბოდნენ მურყნიანებში არაგვის პირას; თვითეულს მათგანს ხელში საჭე ეჭირა. წვერებზე საჭეებს „შატოვ“ ჰქონდა ძუა გაკეთებული.

ბაღლები მწყერის გუნდს დასდევდნენ. მწყერებს თავ-
შესაფარი აღარსადა ჰქონდათ, რადგან ბაღები ჯერ
არ იყო კარგად მოსული. აგერ ორი ბაღლი ეპარე-
ბა მწყერს, ერთი ძერას ხმაზე წივის, მეორე საქეს
ამზადებს, მწყერში ინაბება, ეკვრის დედამიწას. საქეს
პატარა ფშაველი მოუტანს ახლოს და გამონასკულს
ძუას თავზე ჩამოაცვამს, მეორე გაუქშევს, მწყერი
აფთხირობდება და თევზივით დაეკიდება. უფროსი
ამ პატარებში მხოლოდ დარეჯანია; იგი თავისთვის
ზის მინდორზე, დარეჯანის გარეშემო ბატკნები და-
ხტან, ნაზამთრი საქონელი გამლაშებული გაუმად-
ლრად სკოხნის ახლად შემწვანებულს დედამიწას.
დარეჯანის გვერდზე იმისი განუშორებელი მეგობარ-
ი მოსჩანს—ერთი შუბი, მეორე ალაბეშა; დარე-
ჯანს წინ უდგია ხოკერი, იგი ფარტენას ართავს.
გამარჯვებული ბაღლი გაეჩანა დარეჯანისაკენ.

— დიდავ, აია!—დაიყვირა იმან და თან მწყე-
რი დაანახვა დარეჯანს.

— გაუშვი, გაუშვი, შე დამეხილო, შენა,—
ეუბნება დარეჯანი,—თორღ არ ვიცი, რას გიზამ,
რას გილევენ ეს ბეჩავები, რა დასდევთ და აწი-
ოკებთ, ცოდვა არ იცითა, რა არის?! კარგი იქნე-
ბა, თქვენც რა ეგრე ლეკებმა დაგიპირონთ და
წავასხათ!—დარეჯანი ბაღლს დაუტკბა და დაშოშ-
მინებითა სთხოვა:—მაჩვენე, აბა, დიდაისავ, როგო-
რია? ვაჰმე, ჩამოგიდნი აგრია, შე დამწვარო!—და-
რეჯანმა მწყერი გაანთავისუფლა და ბავშვი შემდე-
გის სიტყვებით ანუგეშა:—მადლია, შეილო, ჩვენი

სტუმარია; წავა ეხლა ეგე და დაგლოცავს, გაიზარდე-
ლმერთმა დედ-მამა გიცოცხლოს, რო გაიშვიო.

მზე გორის პირს „დაეწვერა“. მწყემსებმა სა-
ქონელს გარეშემო მოუარეს და გამოირეკეს სოფ-
ლისკენ. საქონლის ბლავილი ბავშვების ჟივილ-ხი-
ვილთან ერთად საამოდ გაისმოდა.

— ავაჰმეო, — დაიყვირა ერთმა, — ხთისო წყალ-
მა წაილო, ბატკანი და ის ორივე ერთად მიაქვო!

მდინარეს კ — ს მწყემსისთვის ბატკანი მოეტაცნა;
ღვთისო თან შეჰყვა ბატკანს, მაგრამ აღიდებულმა
მდინარემ ორივე არაგვში მიიტანა. დარეჯანი თავ-
გადაგლეჯილი გაიქცა მწყემსის მისაშველებლად. და-
რეჯანმა დაინახა, როგორ ატივტივებდა არაგვი ღვთი-
სოსა და ბატკანს. იგი, გიჟივით, მოუფიქრებლად
შევიარდა წყალში, მამაცურად ებრძოდა ტალღებს,
წყალმა მკერდამდის დაჰკრა. რამდენიც წინ მიიწევ-
და დარეჯანი, იმდენი წყალი მატულობდა და ისიც
ერთად ღვთისოსთან მძიმე ნაზოვრის წყალმა მოარეფ-
ში მიიტანა და კლდეზე მიაწყვიტა. დარეჯანს გო-
ნება წაერთვა თითქმის, მაგრამ ხელებს კიდევ აფა-
თურებდა და თან ამბობდა: „სადა ხარ, შვილო, სა-
და?!“ დარეჯანმა რამდენჯერმე კიდევ წამოიწია ასა-
დგომად, მაგრამ ამაოდ. დარეჯანი და ღვთისო ორი-
ვენი დაილუპნენ. დარეჯანი ველარ დაინახე. ქვეით-
შორს წყალმა ამოაგლო იმისი შავი თავ-მოსახვევი.
დარეჯანი საუკუნოდ გამოეთხოვა წუთისოფელს. ზე-
დაც დაბნელდა. მთებმა შავი ნაბდები წამოისხეს და
მალლიდამ ამაყად გადმოსცქირეს არაგვის ხეობას...

არაგვი შეუშფოთრად, უდარდელად მიაქანებდა თავ-
 ქვე ტალღებს... აქ ხმა არაფრისა ისმოდა, მხოლოდ
 „წყლის-ჩიტა“ ლმვლის მსგავსის მხრების თახთახ-
 კანკალით არაგდეს პირ-პირ „წივ-წიოს“ გაიძა-
 ხოდა.

აა,

მ

ს

აა,

ი ძე

ღამ

სობი

ყვან, →

ბალახი ვარ მთისა, ერთის ას ზის, სალის კლდის შუა გვერდზედ მოსული მაემს გვერდით სხვა მცენარე ვერა ხარობს. ატაქებას მხოლოდ ჩემთვის დაუწერია: ქუჩო! კლდის მყოს შენი დედ-მამა, შენი ბედი და იღბალი, შეტივჯარსული და მომავალი!

— კლდეო! განა, რად შენა ხარ ჩემი დედ-მამა, ჩემი მცველი და პატრონი?

— მე ვარ, ნუ გეშინიან, შავ-ბნელო.

გარშემო მარტყია მაგრად დაჭედილი ლოდები. ვინ იცის, სადამდე აქვთ გადგმული ძირი; ზოგი ამათგანი ყურსაც არ მიგდებს, თითქოს არც-კი ვარსებობდე; ისინი თვალ-დაშტერებით დასცქერიან უფსკრულს. რას ეძებენ, რა დაუკარგავთ იქ? მე არ მეტყვიან, ათასჯერაც რომ ვკითხო. რალსაც ფიქრობენ. უსაზღვროა იმათი ფიქრი, გამოუცნობელია იმათი გულის წადილი. ხანდახან კლდე ოხრავს, ალბად, დარდი რამ აწუხებს. სხვაფრივ შეუღრეკელი და გულ-მაგარია ჩემი დედა; იმას როდი აშინებს ზეავი, რომელიც ზამთრობით ჭექა-ქუხილით თავზე და-

გვაწვება ხოლმე, მოვა და გრიალით ჩავარდება უფსკრულში, დაეცემა და, თითქოს დაისვენაო, მძიმედ ამოიოხრებს. კლდე ხანდახან კიდევ სტირის. მეც ესტირი მაშინ. დედის ცრემლებსა ვხედავ და იჭიტომ. დედაჩემი თავის დახოცილს შვილებსა სტირის, რომლებიც მუდამ თვალ-წინ უწყევია; ბევრიც რომ უნდოდეს, თვალს ვერსაიღამ მოაცილებს. კლდის შვილები ლოდებია, დაბლა რომ ჰყრია ერთი-ერთმანეთზედ, კლდის ძუძუთვან მონაწყვეტი, იმის მკერდის ანაგლეჯი...

აგერ, დაბლიდამ როგორ გულსაკლავად შემოხსკქერიან თავის მშობელს, თითქოს ეხვეწებიან, რატომ მანდ არ აგვიყვან, რატომ შენს ახლოს არ ვართო. ამაო იქნებოდა იმათი თხოვნა, იმათი ვედრება, კიდევ რომ შეეძლოთ ამის ნატვრა; მაგრამ არ შეუძლიანთ. მეც იმათ დავცქერი თავზე და თითო-ოროლ წვეთობით ნამს ვასხურებ. იმათთვის ეს მეტის-მეტად სასიამოვნოა.

ნეტა ერთიც არის მეგობარი მამცა, ხანდახან მაინც გამოვესაუბრებოდი. ღმერთმა ყვავილებს უშველოთ, გაღმა მთის ფერდიდამ რომ გამომცქერიან. ტკბილად დუდუნებენ, ტკბილად მღერიან ნაზის, დაბალის ხმით; ისინიც, როგორც მე, ბედკრული, შესტრფიან პირი-მზეს. ლამაზო პირი-მზევე, როგორ შორსა ხარ ჩემზედ, მაგრამ მაინც როგორ მიკოდავ გულსა!

მე როგორ შევსტრფი, თვალ-გულ-დამშეული შევსცქერივარ, თვალს ვერ ვარიდებ ერთს წუთას,

ისე მიყვარს, და ის-კი ერთხელაც არ გადმომხედავს, რომ ჩემი მოკლული, დამწვარი გული გაცოცხლდეს; ის მზეს შესცქერია, იმას ეტრფის. პირი-მზე მზის მოტრფიალვა. აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე თვალს და პირს იმას აყოლებს; როცა მზე ჩავა, დაიქვითინებს, იწყენს სატრფოს განშორებას. პირი-მზეს ტირილი მეც ამატირებს: გუშინ, ვგონებ, მეც გადმომხედა. არა, ის წმინდაა, უცოდველი, მე-კი უშნო და ცოდვილი. მე განა სისხლითა და ბურტყლით უნდა ვიყო შემურული?! ეს სულ იმ ბებერის არწივის ბრალია, ჩემს გვერდით რომ ბუდობს. გაიღვიძებს თუ არა დილით, მოჰყვება საზარელს ყეფას, ვილაცას ემუქრება, აბრიალებს ი დიდრონს, სისხლის მოყვარულს თვალებს და მერე გასწევს სადავლოდ; ყველა ფრინველები გზას უთმობენ. მოიტანს ნანადირევს, დაჯდება ჩემს ზემოდამ ერთს ამოჩემებულს ლოდზედ, სწიწკნის, სისხლი ჩამოსდის და მე დამდის. საიდან მოვერიდები? სისხლით წითლად ვილესები, მერე მზე დამხედავს და ახმობს ჩემს ტანზე ამ სისხლსა. იკურთხოს წვიმის გამჩენი! ხანდახან ის გამბანს ხოლმე. უთუოდ ამ სისხლის გამო მარიდებს პირი-მზე თვალსა, თორემ ერთხელაც იქნებოდა დამიძახებდა: ქუჩო! კლდის შვილო, გამარჯობა, შენია!

* მიყვარს ეს ყვირილი... იმას კაცები პირი-მზეს ეძახით, რადგან პირი და თვალები მუდამ მზისკენ აქვს მიპყრობილი, მზის მოტრფიალვა; როგორც შვილის თვალები თან დასდევს დედას და სცდილობს

არსად დაემალოს დედა, ისე ამისი. მზე დედაა, პირი-მზე— შვილია მზისა.

ვინ იცის, თუ მე პირი-მზე მიყვარს! მაინც რაა ასეთი სიყვარული? მე იმასთან ვერ მივალ, ის ჩემთან, ერთმანეთს ვერ ვაკოცებთ. ასეთი სიყვარული სასიამოვნო ტანჯვაა. მოუთმენლად ველი განთიადს, მაშინ დავინახავ ხოლმე ჩემს სატრფოს. როცა ზამთარი დადგება, ჩემი გულიც მაშინ ჩაშავდება და პირი-მზეც მიწაში ჩადნება. ნეტავი მეც ჩავდნებოდე, რომ ეგებ ერთი ჩემი ნაწილი შეხვდებოდეს იმისას პირისპირ. დადგება გაზაფხული, პირი-მზე ცოცხლდება და მეც მაშინ ვცოცხლდები. მავიწყდება ჩემს ქედზედ მოკიდებული ხავსი და ობი, თავი პირი-მზე მგონია და გიჟივით ვამბობ: შენი ჭირიმე, ლამაზო, შენი!

ნეტავ ვიცოდე, სად მიდიან ზამთრობით ყვავილნი? ვგონებ, ამას სიკვდილი ჰქვია. ვინ მასწავლა მე სიტყვა სიკვდილი? აი ამ ლოდმა, ჩემს გვერდზე რომ ცხვირი წამოუშვევია და მრისხანედ დასჩერებია ქვეყანას. ამან და იმ ორასის წლის ბებერმა არწივმა. არა, სიკვდილი კარგი არ უნდა იყოს. გუშინ რომ მაგ დაუსვენარმა ბებერმა ერთი როჰო შეყლაბა ჩემს თავზე, რამდენსა ჰკენესოდა საბრალო და ის-კი შეუბრალებლად სწიწკნიდა, ჰგლეჯდა თავისის აღმასის ნისკარტით.

— ქუჩო, ბენტერავ, მაგასა ჰქვია სიკვდილიო! — წამოძიურჩულა ლოდმა. მე კაკბის სიბრალოლით ვსტიროდი. თუ მართლა ესაა სიკვდილი, კარგი არ უნდა იყოს...

ერთხელ საზარელი სანახავი ვნახე, ისიც სიკვდილსა ჰგავდა. აგერ დაბლა, შორს რომ დიდი მინდორი მოჩანს, იმ მინდორზედ მოჰხდა ეს ამბავი. ორპირად, ორის მხრითგან გამოჩნდა ხალხთა გროვა. ყველანი ლამაზები იყვნენ, ლამაზად ჩაცმულ-დახურულები; ცხენებზედ ისხდნენ ტურფად, მოხდენით და ერთმანეთისკენ მიდიოდნენ სისწრაფით. სიშორის გამო არ შესმოდა, რას ამბობდნენ. დაერივნენ ერთმანეთს. იარაღის ბჭყვრიალს თვალს ვერ ვუსწორებდი, მწვავდა. ერთმანეთს ცხენებიდამ ჰყრიდნენ, ჰქეღავდნენ, მახვილსა სცემდნენ.

ბოლოს დროს, თითქოს ჯანლი დაეხვიაო, დაიმაღნენ ყველანი. ჯანლი ზომ გადიკრიფა, საღამოხანიც მოახლოვდა. ვნახე, რომ მხედარნი თავის ცხენებითურთ ეყარნენ მინდორზე უსულოდ, როგორც აი ეს ლოდები. ეს სურათი ჩემთვის სატირელი სურათი იყო და ვიტირე კიდევ. სილამაზე, შვენება დაჰკარგოდათ. ეს მეწყინა და ამან ამატირა.

მზეო, დამხედე! წვიმავ, დამნამე! კლდეო მაღალო, შეინახე ჩემი ფესვები, სიცოცხლეს ნუ დაუკარგავ, ნუ ამომთხრი, ნუ ამომავდებ!

პირი-მზევე, ტურფავ, ლამაზო! შენის სილამაზის მზეს, ათასში ერთხელ მაინც გადმომხედე, მაღირსე შენი ღიმილი! საწყალი, ზეჩავი ქუჩი ვარ, შემობრალე! ნიავო მთისავ, ბუნების მაცოცხლებელო სულო! დამბერე, გააგრილე ჩემი მხურვალე გული!

არწივო, მედიღურო ფრინველო! თუ გწამს ღმერთი, ეცადე, რომ ჩემს თვალებს არ აჩვენო, რო-

ცა უცოდველად სულდგმულთა სისხლს აქცევ; ჩემს
ყურებს ნუ გააგონებ იმათს კვნესას, რადგან იმათი
კვნესა ჩემი კვნესაა, ჩემი გულის ოხვრა და ვაებაა.
დამბადებელო, დამიფარე, შემინახე უნაყოფო კლდეზე
დაკიდებული ქუჩი!..



კოკალა და იახსარი — დევების მებრძოლნი

ფშავლებს დევები ბოროტ მომქმედებათ ჰყავთ წარმოდგენილი და არა კეთილ სულად, როგორც ინდოელებს. ფშავლის წარმოდგენით, დევი არის ახოვანი, ტანი ხშირის ბალნით აქვს შემოსილი, დევი დღე იმალება და ღამე გამოდის სანადიროდ. დევს ისე არაფრის ეშინია, როგორც მახვილისა და ცეცხლისა. დევი კაცს ჰგავს სახით, მაგრამ მისი სახე უმსგავსია, წელს ზევით ღორივით ჯაგარი ასხია. დევებს წინად უნავარდნიათ ხალხზე: უქლექიათ ხალხი, უჭამიათ; წყალიც-კი არ უსმევიათ არა სულიერისთვის; ქვეყანა შეწუხებული, შეძრძუნებული ყოფილა იმათგან. მაგრამ ჩნდებიან ხატები და ისინი უტეხენ დევებს ბრძოლას. ცხოველი ხატები, რომელთაც გაელიტეს დევები, არიან კოპალა და იახსარი. ფშაველი დღესაც უჩვენებს ადგილს, სადა და სად გადუხდიათ ამ გმირებს დევებთან ბრძოლა. დევები, ფშავლის წარმოდგენით, დღესაც არიან, მაგრამ იმალებიან და უცდიან დროს, რომ ხატების ვედრება გადავარდეს; ისინი მონატრულნი არიან ხალხმა აღარ იწამოს და ან უარ ჰყოს

ხატები. ეს თუ მოჰხდა, მაშინ ისევ გამოვლენ დევები საფრებიდამ და დაიწყებენ ნადირობას.

კობალა სახელიანია იახსარზე. ფშავლის დედა-კაცი, როცა იწყებდნენ, კობალას და მის ლახტს ახსენებს: „შე გმირის კობალის ლახტ-ნაკრავო“, „დაგლახტოს გმირმა კობალამ აგრანე!“ — ეუბნება იგი თავის მოპირდაპირეს. კობალა, ფშაურის ზეპირ-გარდმოცემით, ყოფილა იხინქას (ადგილია) ბერად; შესმენია, რომ ფშავი დევებისაგან დიდად შეწუხებული და შევიწროებულია, ამდგარა და წამოსულა ხალხის მოსაშველებლად. დევების უმთავრესი სადგური და სიმაგრე ციხე-გორს (ადგილია) ყოფილა. კობალა დევებთან სტუმრად მისულა, როგორც გზა-დაკარგული მონადირე, და ღამე დევებთან უთევია. მეორე დღეს დევებს დაუწყიათ თავისი ჩვეულებრივი ვარჯიშობა — ქვის სროლა. კობალასაც უთხოვნია, რომ მიეცათ დევებს ნება გამოეცადა თავისი თავი. დევებს ბერი მასხარად აუგდიათ, მაგრამ, როცა კობალას გაუსროლია ქვა და დევების საფლავნო მიჯნისათვის გაუცილებია ბევრით შორს, დევებს თავს-ზარი დასცემიათ. კობალას მიუყვია ხელი, გაუყლეთია დევები და იმათი ციხე-დარბაზი თითონ დაუჭერია, იმათგან დავლად დარჩენია ქვა. დღეს ეს ქვა არაგვის პირასაა, იქ, სადაც კობალას სალოცავია, და ჰქვიან „კობალის ქვა“. კართანაში (ადგილია) მყოფს დევებს გაუგიათ ციხე-გორელ დევების ზარალი. მაშინ აქედამ ერთი თავ-გამოდებული დევი წასულა „კობალის ქვის“ გამოსატაცებლად ციხე-გორს

და მოუტაცნია კიდეც, მაგრამ ამოჰშხამებია ბოლოს. კობალა სანადიროთ ყოფილა, დაბრუნებულა შინ და გამოსდგომია ქურდს კვალ-და-კვალ, რამდენიმე ვერსის სიშორიდან დაუნახია დევი, შემოუტყორცია იქიდან ისარი, დევიც მოუკლავს და ქვაც დაუტოვეზინებია იქ, სადაც დღესაც არის იგი ქვა მრავალტანჯული. იქვე ახლოს ჰქონია ამ დევს ბინადრობა, კობალა მისულა იმის სახლში და ჰხედავს, რომ მოკლულის დევის დედას ჯარა უდგია და მშვილდის ბაწარს ჰგრებს, ანუ როგორც ფშაველი ამბობს, სძახს.

— რას სძახ, ბებერო?.. შვილები სად-ღა გყავსო? — ჰკითხა კობალამ დევის დედაკაცს.

— მშვილდის ბაწარს ვგრებსო, — უპასუხა მან: — ერთი შვილი ციხე-გორს წავიდა, კობალას უნდა ქვა მოსტაცოს, და მეორე სანადიროდ არის წასულიო.

ამ ლაპარაკში რომ არიან, კობალამ შეჰხედა მთაზე და დაინახა, რომ დევი, ამავე დედაკაცის შვილი, ავთანდილი, მოდის; ცალს მხარზე გაუდგია დიდი ჭანდარი და მეორეზე — ირემი. კობალამ ესროლა ისარი და მოჰკლა დევი ავთანდილი. დევი დაგორდა, გამოქანდა იქიდან და თან წამოიღო არე-მარე, რისაგანაც გაკეთდა, ვითომც, ის ღრმა ხევი, რომელსაც ფშაველი „ავთანდილის საქანს“ უწოდებს. ავთანდილის საქანი „კობალის ქვის“ პირდაპირ არის. კობალა აქედამ ციხე-გორს ბრუნდებოდა და იქიდან იხინჭას, თავისს საბეროში. ეს ამბავი

შეიტყო ცხრა თავიანთა დევმა, რომელსაც კართანელი ერქვა, და შეუკრა გზა კოპალას. კართანა ფრიად ვიწრო ადგილია არაგვის ხეობაზე და ამ ადგილს, ფშაურის ზებირ-გადმოცემით, დარქმევია სახელი „კართანა“ დევის კართანელისაგან, რომელსაც გამუდმებით აქ უცხოვრია;—ეს დევი კართანელი ეპონიმურ პირად გამოდის. მიდის კოპალა იხინქას და ჰხედავს კართანას, დევი კართანელი გაწოლილია გზაზე. დევის დანახვამ კოპალა შეაშინა; მან განიზრახა გზა აექცია დევისათვის. დევმა ეს შეჰნიშნა და შეუძახა: „სად მიიპარები, კოპალიაო!“ მეტი ჩარა არ იყო, კოპალა უნდა შესჭიდებოდა დევს. იმათი ბრძოლა დილიდამ სალამომდე გაგრძელდა; კოპალამ სძლია დევს, ცხრავე თავი მოაჭრა და მშვიდობით მიადწია თავისს საბეროში.

დევეებმა კიდევ თავი თავს მოიყარეს და იფიქრეს, ხალხი ხატებისა და ღვთის. თაყვანის ცემას არ დაიშლის, თუ არ გაეყოლიტეთო. ადგნენ და დაუწყეს არაგვის გუბება კართანაში, აშენებდნენ მალაღს უზარმაზარ კედელს, ჰფიქრობდნენ, იმდენად დააგუბონ არაგვი, რომ ზღვად იქცეს და წალგკოს მთელი ფშავი. კოპალამ ეს შეიტყო, წამოვიდა და დღიურ მუშად დაუდგა დევებს. ერთს დღეს-კი უშველა, მართალია, დევებს დევურს ბოროტს საქმეში, მაგრამ მეორე დღეს გულმა აღარ მოუთმინა და გასწყვიტა ყვფლანი.

კოპალას ისჩის წვერი, ონუ ზრო, წაუხდა და იმის გასაკეთებინებლად წავიდა მჭედელს პირქუშთან.

ეს პირქუშიც ხატად ითვლება, ვითომ იმასაც უხოცია დევები, მაგრამ ვრცელს ამბავს იმის მოქმედებისას ხალხურს ზეპირ-გარდმოცემაში ვერა ვპოვებულა; ამ თქმულებაშიაც ვერაფერ ვაქცავად იხატება. კობალა ეხვეწება პირქუშს, გამიკეთე რკინის ზრო და ერთი ბექედლიო; პირქუში უარზე დადგა, არ აუხსრულა კობალას თხოვნა, მაგრამ მალე დასჭირდა კობალას თავი. კობალა დალონებული თავის საბეროში, „სამწირველოში“ დაბრუნდა. დევებმა გაიგეს, რომ კობალა პირქუშთან ნამდურვეად არის და აღარ უშველისო. შეიპყრეს პირქუში დევებმა და წაიყვანეს ხუშხვეს (ადგილია). კობალამ ეს ამბავი გაიგო, პირად უსიამოვნებას არ მიჰხედა და გასწია პირქუშის საშველად. დევებს თავიანთ ბინაზე მიესწროთ, კობალა ველარაფერს გახდა. ბოლოს ღმერთმა ხელი მოუშართა; დევებმა ერთი დევი თავის კრებიდგან გააძევეს, მოიკვეთეს. შემთხვევით ეს დევი კობალამ შეიპყრო და გამოჰკითხა, თუ როგორ დაამარცხებდა დევებს და პირქუშს როგორ გამოიხსნიდა. დევი ჯერ უარზე დადგა, მაგრამ კობალამ მოკვლა დაუპირა დევს. დევს შეეშინდა და ასწავლა: „როცა ხეებს თავისი ჩრდილი გაუსწორდებათ, დევები მაშინ ისადილებენ, ბანგს დალევენ და დაიძინებენ და კარგი დროც იმათის დახოცისა მაშინ არისო...“

კობალაც ისე მოიქცა, როგორც დევმა დააროგა, და გაქლიტა დევები. თითონ ეს მოკვეთილი დევი-კი გაიქცა და ვერხველში გამოჩენილს დევს—

„ვერხვლის ბუღას“ შეეხიზნა. ვერხვლის ბუღამ თავის თანამოძმეს შემწეობა აღმოუჩინა და შეეხა კოპალას და თითქმის დამარცხებაც დაუპირა, მაგრამ კოპალას მთავარ-ანგელოზი მოეშველა და შოაკვლევიონა ვერხვლის ბუღა. კოპალა გამარჯვებამ გაამხნევა და დევებით სავსე მთა-ბარი აავსო მდევეების მძოვრითა და იმათის სისხლით მორწყა. დედამიწა.

იახსარი ანგელოზი იყო და ანგელოზად ჩამოვიდა ციღამ. სადაც ღღეს შუაფხოში საყდარია, იქ დევების სადგური იყო. სახელად ამ ადგილს ერქვა „ავის-გორი“. იახსარი გადის პირდაპირ და ჰელეტს დევებს ლახტით აქაც და სხვაგანაც; გადურჩა მხოლოდ ერთი ცალ-თვალი დევი და გაექცა; დევი ახადს „წაწადს ტბაში“ ჩავარდა, იქ უნდა დამალულიყო. იახსარი ტბას არ შეუშინდა და თან ჩაჰყვა ტბაში, სადაც მოჰკლა ცალ-თვალი დევი. სისხლი დევისა ამოვიდა მაღლა ძირიღამ, გადაეფინა ტბას და მთლად დაჰფარა, გაება ზედ აბლაბუდასაებ. იახსარი, რადგან წმინდა იყო, ანგელოზი, ღვთის შვილი, ისე ვერ ამოვიდოდა მაღლა, რომ დევის სისხლი არ მისცხებოდა და არ გაუწმინდურებულყო. დარჩა ხატი იახსარი ტბაში. ხალხმა გაიგო ეს ამბავი და დიდად შესწუხდა. ქადაგის პირით ხალხმა ღმერთს შესთხოვა, ესწავლებინა მას ხალხისთვის საშუალება იახსარის ტბადამ განთავისუფლებისა; ამოყვანესა. ღმერთმა ქადაგისავე პირით გამოაცხადა, ეშოვნით ოთხ-რქა, ოთხ-ყურა ცხვარი და იმის სისხლით გაენათლათ ტბა, ე. ი. სისხლი ამ ცხვრისა ჩაელვარათ ტბა-

ში, ანუ შიგ ჩაეკლათ ცხვარი. ფშავში ბევრი ეძებეს ოთხ-რქა, ოთხ-ყურა ცხვარი, მაგრამ ვერ მოიძიეს. ბოლო დროს ხევსურეთში აღმოჩნდა ეს საოცარი ცხვარი. ღეთის ბრძანებისამებრ, წაიყვანეს და ჩაკლეს ცხვარი წაწადას ტბაში. მაშინვე ცალი პირი ტბისა გაიხსნა და იახსარი მტრედისთვრად ამოვიდა ტბიდან, შემოჯდა ტბის პირად ჭეახუნდ და დაიწყო მხრების ბღერტა, სწორება. ეს ამბავი თვით ხალხურ ლექსშიაც ნათლად არის გამოხატული. თუმცა კოპალაზედაც გვინდოდა ხალხური ლექსი, მაგრამ ხალხში კოპალაზედ ლექსად არაფერია ნათქვამი. აი ლექსი იახსარზედ:

ღთის კარზედ შავიყარენით
 ღთიშვილნ სამოცდა-ცხრანიო;
 ჭეემოთ, ბოლოში ჩამოვეე
 მე, ხატი იახსარიო.
 გადმოდგეს სასწორ-ჩარეჭი,
 კვირაჲ*), გვიჭირე თვალიო,
 ჩამაირთგეს ღთიშვილთა,
 ვერვინ გაუგდო ქარიო.
 გადავხე, ერთი აეწიე,
 ღმერთო, შენ მამე ძალიო.
 სამოც-ღოტრიახს რკინასა
 ჭეეშ გაუგდოე ქარიო.
 აღის გორს შამამიკიდეთ

*) კვირა ძლიერ: ანკლოხი კოტლო. ფშავლების წარმოადგენია და ანის ხადიდებლად. მასამხრებლად არის დადებული კვირის დღე უწილად.

ჩემი პატარა ზარიო.
დაჰკარ, ხმა ახადს მოვიდეს,
იქ დაიწერონ ჯვარიო.
ღვეს მაუქნიე საგმირო,
კლდეს მათფარა თავიო;
კლდე ოთხად გაეანათოსე,
ღვეს გამოვსთხარე თვალიო.
წაწადას ტბაში ჩავარდა,
მიძრნა და მოძრნა ტბანიო.
ღთისაგან ვიყავ შათელილი,
თან ჩავყვე იახსარიო.
ღვეი მოვიგდე ტბაშია,
თავს დავამტვრიე ფარიო.
ამოსვლით ველარ ამოელ,
სისხლით შამიკრა წყალიო.
ხატი დავგრჩეხა ტბაშია,
შაწუხდნენ ჩემნი-ყმანიო;
მაიყვანეს და ჩამოკლეს
ოთხ-რქა, ოთხ-ყურა ცხვარიო.
ღთისაგან იქნა ბრძანება,
მემრე გაიხსნა წყალნიო;
შამოვჯე ბელოის ქვაზედა,
შამოვიბერტყენ შარნიო.

პატარა მწამლის ფიქარი

(ფშავლების ცხოვრებიდან)



ენობით გაზდილი ვარ, ძმისავ. მას აქეთ, რაც ფეხზე სიარული შევიძელ, სულ სხვის შვილადა*) ვარ. შეიღის წლისა მამა-ჩემმა დიდყურაანთ დამიყენა მოჯამაგირედ და ამ ხუთის წლის განმავლობაში მამა-ჩემი ჩემის ჯამაგირით იხდის მახტას. წლისა და წლის თავზედ მოდის ხოლომე ჩემის ჯამაგირის ასაღებად. მე-კი ერთი ფჩხილის საკვეთი დანაც არ მიყიდა. ვჰ, ნეტავი მშობლები ცოცხლები მყვანდნენ და რა ვუყოთ!..

მარტოობამ დამატანა ძალა: ხშირად ოთხი თვე გავა, კაცს ვერ დავინახავ თვალით; მოხუცებული პაპუა რა ტოლ-ამხანაგობას გამიწევს? სადამოზე ბინაში მისვლა-კი მეზარება ხან-და-ხან, მაშინვე ჯაგრობას დამიწყებს, სულ ჯაგრობს, ბუზღუნებს: „ემ-მაკ-ქაჯთ შეჰხედავ, ცხვარს ვერ უმარჯვებ ბალახიანს ადგილებსაო“. ჩვენს თემში ხომ ბალახს ძებნა არ უნდა, ლაშარის ჯვრის მადლობა.

ჩემი განუშორებელი დღე და ღამ ამხანაგი ყურ-

*) მოჯამაგირედ.

შია არის. ენაცვალოს თავისი პატრონი ყურშიას, ის არავის დააჩაგვრინებს ჩემს თავს! იმ დღეს პაპურელთ ტილუნა ყოფილიყო სანადიროდ როჯოებზე*), მამას გამაჰპარვიყო სათიბილამ. ის იყო ცხვარი გადავფინე თხილიან ვაკეზე; ზევიდამ ხმა მომესმა: — „თილო, ჰააა, თილო!“

— ვინა ხარ, მტერი თუ მოკეთეო? — დაეუძახე მე ქვეილამ.

— „აბა, თუ ბიჭი ხარ, ამოდი, მექიდეო“, — მეუბნებოდა თავ-მოწონებით ტილუნა. მეც არ დავუშინდი, ვიჭიდენით. ტილუნა ხერხითა მჯობდა, მე ღონითა, „სწორული“ **) მოგვდიოდა. ბოლოს იმან წამაქცია და ყელში წამიჭირა. ნახა ჩემმა ყურშიამ, რომ ტილუნა აღარა ხუმრობდა, ეძგერა, წააქცია და, მე რომ არ მივშველებოდი, სულ ლუკმა-ლუკმა დაგლეჯდა. ჩემს ყურშიას ჯერ ძალლი არ მოჰრევია; ამაყი და დიდგულაც ძლიერ არის, მეც არ დამიზავებს, თუ უმიზეზოდ გავაჯავრე, სამს დღეს ხეირიანის თვალით აღარ შემომხედავს, — გამებუტება. ბეწვი გაწყდა, კინალამ ტილუნას ახალი ჩოხა და წითელი პაიჭები არ შემოახია. მე ვინ მომაშავებს, — წითელს არ ვიტყვი, — თუნდ თეთრს პაიჭებს?!

მამა-ჩემი გულ-შავი კაცია, სრულებით არ ვებრალები, ისევ დედა-ჩემს ვენაცვალე სულში. ამ ხუთს წელიწადში ერთხელ ძლივს-ძლივობით და-

*) ქათმის შგავსი ფრინველია, მამალი ირის შავი, დედალი — თუგა ფერისა.

***) თანასწორად, როდესაც ხან ერთი აქცევს, ხან მეორე.

მითხოვეს დიდყურაანთ შინა. დედას ჩემი დანახვა ძლიერ გაეხარდა, დიდხანა მკაცრა: „ენაცვალოს დედა ჩემს ბეჩავსაო“, — იტყოდა ხოლმე, რამდენჯერაც მაკოცებდა. დედამ ერთი პირი ჭრელი წინდა მომცა; ეს წითელ-გულისპირიანი პერანგიც ჩემთვისა ჰქონდა შენახული. ყველაფერი დაწვრილებით გამომიკითხა: — როგორ გექცევიან დიდყურაანიო, ხომ არა გცემენ, ან ხომ არ გამშევნო? დიდხანია, შვილო, რაც ეს ტყავნი გაცვიანო? ბარემლაც დიდყურაანი ცუდად მექცევიან, მაგრამ იმათზე ცუდს როგორ ვეტყობდი დედას. როდესაც დედამ ჩემი ტანისამოსი ნახა, დავლევჯილი ტყავ-ნაბადი, დაუწყო ჩხუბი მამა-ჩემს: „შე დამეხილო, რაზე ჩაუგდე სხვათ ეს ბალღი ხელში, რად აკვლევინებ ქვეყანასაო?!“ — ამბობდა რა ამას, თან თხილის გულის სიმსხო ცრემლები ჩამოსდიოდა თვალებიდან და კალთა ევსებოდა. მეც დამენანა, შამებრალო თავისი თავი და ტირილი დავიწყე.

დედამ საცვლები დამირეცხა, ნაბადი დამიკერა, ტყავი გამიპოხა და ისე ჩამაცო. დიდი ხანია მე წმინდის პური აღარ მეჭამა, დედამ-კი გამომიცხო კვერი, წმინდის ფქვილი მოლოდინაანთგან ისესხა, „ჩამიხურა“ ერბოში და მაჭამა. გული დამიბრუნდა შინ, აღარ მეწადა ცხვარში წასვლა. რადა ვყვივარ, მიკვირს, მამას სხვის შვილად? დიდყურაანი ერთხელ არ გამგზავნიან ქორწილში, არც ხატში... შენი ქორწილი ცხვარიო, — მეტყვიან. მომაგონდება წითელკაბიან ქალების თამაშობა, ჩემი სწორების ღხინი, სიმღერა და გული მომიკვდება...

საშინლად იტანება მგელი. ნეტავი დამბაჩა შინ-
ცა მქონდეს, რომ დავახალო და გავაფთხო. დედა-
ჩემს შავებვეწი, ერთის ვარიათი ტყვია-წამალი მიყი-
დე და მამას დამბაჩა მითხოვეო. დამპირდა, მაგრამ
არ ვიცი, ამისრულებს პირობას, თუ არა. თუ დამ-
ბაჩა ვიშოვნე, ჯიხვების და როჭოების ჯაფრსაც მა-
შინ ამოვიყრი. ეხლა რომ არ მეპუებიან და, სადაც
არა მგონია, გადმოჰყუდებენ ჯიხვები რქებს კლდის
თავეებზე, ხან ხროდ შეყრილები დააქანებენ ქვიშის
ზვავს, და როჭოები ჩემს წინ მოიღებენ ფთხრიალს, —
აბა, მაშინაც ნუ შემეპუებიან!

ჩემი შინ ყოფნის დროს ჩვენსა მღვდლის შვი-
ლი ვასო მოვიდა. იმან მიაბო, რომ ქალაქში ბევ-
რი ტყვია-წამალი არისო. ნეტავი მე მომცა... ახ,
ნეტავი მეც ნასწავლი ვიყო! რამდენი რამეები მიაბ-
ო ვასომ ნახული და გაგონილი. თუმცა პაპუამ
მითხრა ცისა, დინდგლისა არისო, მაგრამ ვასომ, ეს
რომ ვუთხარი, სიცილი დაიწყო, აქამდისინ მაშ რა-
ტომ არ დადნაო.

ვასოს ლამაზად ეცვა: მოუღის ჩოხა, ქრელი
ახალუხი, ვერცხლის ქამარ-ხანჯალი. თოფიც მამამ
უყიდა. მე ვინ რას მიყიდის?!. როდესაც გავიზდები,
შე თითონ ვიყიდი ჩემთვის ყველაფერს: ტყვია-წა-
მალს ბლომად ვიქონივ, ერთს შევევრცხლილს თოფს,
სირმიანს ჩოხას... ვასომ ერთი სროლა ტყვია-წამალი
მომცა, მაგრამ ისიც იქვე დავწვი ნიშანზედ. ვასო
კარგი გულისაა. მაშინ რო მყოლიყო ის როჭო, რო-
მელიც გუშინ ჩემმა ყურშიამ დამიქირა, ვასოს ვა-

ჩუქებდი. რად მინდა, ტყუილად მომიკვდებო; თუმცა კალათაში მიზის, მაგრამ პაპუა იმას ყურს არ უგდებს, არაფერს არ აქმევს...

საწყალო! როგორ ჰფეთქდა, გული როგორ უცემდა, წინაპირველად ხელში რომ ავიყვანე. შავარდენი მოსდევდა. ქექასაებ ხმა, ხუილი რომ შემომესმა, თავი მივიბრუნე და დავინახე: წინ როჭო და უკან შავარდენი დამალებულები მოდიოდნენ; ორივენი მე მომიახლოვდნენ, ცხვარი მაშინ ქობთოხვესა მყვანდა, წყლის პირას ვიჯექ და დიყის*) სტივრს ვაკეთებდი. შეშინებულმა როჭომ გზა ველარ გაიგნო, ჩემს წინ გუბეში ჩაეცა; ჩემი ყურშია გადუბტა და დაიჭირა. შავარდენი გაწყრა, წავიდა მალლა-მალლა კივილით და ცაში დაილუპა. მე როჭო ხელში ავიყვანე. საცოდავი! კანკალებდა და გასაფრენად იზიდებოდა, დაფეთებულს თვალებს აქეთ-იქით ავლებდა; წუხელ-კი უფრო გულ-დასვენებულს ჰგავდა, ორჯელ გადუბედნ ჩრაქვით**), თვალებ-მიხუჭული, მობუზული იჯდა.

ჩემმა ყურშიამ შარშან უფრო საკვირველი საქმე ჩაიდინა. ერთხელ ცხვარი აფხუშოს კულებში მყვანდა. იმ ღამინდელი წვიმისაგან სველი იყო ბალახი. მე, ისეც სველი, უფრო დავსველდი. ის იყო მზე-მაც გააწითლა მთის წვერები. მე დავჯექ ერთის კლდის თავზედ და ვუცდიდი მზის ამოსვლას. ჩემ

*) მცენარეა.

***) მის ქერჭი, რომელსაც მთის ხალხი ხანთლად ხმარობს,

წინ ერთი ცირკული*) იდგა... საპარაგის ყელში**) გამოჩნდა არწივი; თავმოწონებით, ამაყად შოიზლაზნებოდა; მხოლოდ დრო-და-დრო მოიხრიდა თავქვე და იქით-აქით კისერს; იმას აპსევციო ორი ყორანი და აღარ ასვენებდენ; გაუფლევებდა ერთი მათგანი, ამოუბრუნდებოდა გულადიმე და „ყრანტ“, „ყრონტს“ შესძახებდა. არწივი ყორნებს თავს არ უყადრებდა, არ ივლოებდა ბაი-ბუიად იმათაგან მიტანილს იერიშს; იგი ხან-გამოშვებით შაფრაშ-ფრაშებდა მხოლოდ მხრებს და ერთ-მხრივ მიიწევდა. ერთი ყორანი უფრო აწუხებდა. არწივი გაჯავრდა, დაჰკრა გაზი; ყორანი მხარ-გაშლილი თავქვე წამოვიდა, თან ბუმბულის კვალი გამოჰყვა, ერთი კუმში იმის ბუმბულისა ქარმა ცისაკენ წაიღო. არწივმა იმას ყური არ უგდო, ის ისევ თავისთვის დინჯად შიდიოდა და უფსკრულებს თვალს ავლებდა. მეორე ყორანმა მაშინ ფეხი უკან დადგა. არწივმა სამერიანი***) გადიარა, დამეკარგა თვალიდან.

ახლა ახუნდიამ გამოჩნდა ერთი ორბი. კლანკებში ძვალი ეჭირა; ორბი ძვალს ათამაშებდა: ჩამოაგდებს დედამიწაზე და დაეტანება; მერე ისევ წაიღებს, წავა, წავა მალლა, გაუშვებს კლანკებიდამ და ჩამოჰყვება თვითონაც თანა; ესე რამდენჯერმე ჩამოაგდო ძვალი და წაიღო. მალე მეც დამიახლოვ-

*) მჟონავი (მცენარეა).

**) ეს სხელი ამ მთას იმიტომ ჰქვია, რომ ამაზედ ლეკებს ჰქონიათ სითარეშო გზა.

***) მთა არის.

და, მაგრამ ვერ-კი დამინახა, ცირკული მეფიარებო-
და, ყურშიაც გვერდზედ მეწვა. აფხუშოს კულები
კლდიან-რიყიანები არის, ორბი უფრო რიყეს უგა-
ნებლა ძვალს. აკი გაუწყრა ღმერთი და ჩვენს ახლო
ჩამოაგდო ორბმა ძვალი, ყურშია გადაეტანა და, მ-
ნამ ორბი აიღებდა, ყურშიამ დაასწრო აღება. ორბს
ეწყინა, გველივით სისინი დაიწყო და თოფ-ნასრო-
ლივით საჩქაროდ შეეფარა კლდეებში. მერე პაპუას
ვკითხე: რადა შვრებოდა, ჩემო პაპავ, ორბი იმა-
საო?—ორბმა ეგრე იცისო,—მითხრა იმან:—როცა
ძვალს ნისკარტით ვერ გასტეხს, რომ ტვინით ჩი-
პოხოს ყელი, რიყეზედ ჩამოაგდებს მალლით ძვალს,
დაამსხვრევს და მერე ტვინს ისე შეექცევიაო. დიდე-
ბა შენთვისა, ღმერთო, ფრინველსაც ამოღენა ჭკუა
ჭკონია!.. თქვენი ჭირიმე, მთებო, რამდენი რამ არის
კარგი სანახავი აქა!.. გაზაფხულზედ, როდესაც ზვა-
ვები დადნება, ნაზოვრებში კენკეშა და ჩაღუნა ამო-
ჩნდება, მოვკრეფ ნორჩ ჩაღუნას, მივიტან ბინაში,
მოვხარშავთ რძეში. იმაზე გემრიელი განა კიდევ რამ
იქნება?!

დოლოზბაც ამ დროს არის, გვიჩნდება ბატკნე-
ბი. დღე და ღამე სიხარულით აღარა მძინავს. უღდათ
ბატკნებს და ბატკნის დედებს „ბლავილი“... მაგრამ,
ახ! ამ ოროს წლის შემდეგ დიდყურაანი დამითხოვენ
შინ და ხელ-ცარიელი როგორ მიუვიდე დედას, რომ
ერთი სატყავე მაინც არ მიუტანო?

ჩხიკვათა ქორწილი



ს ამბავი დიდს, შავს, დაბურულს ტყეში მოპხ-
და, სოფლებსა და ქალაქებზე ძლიერ დაშო-
რებით. რა ამბავიაო? იკითხავთ. ჩხიკვათა ქორ-
წილზე მოგახსენებთ. ჩხიკვი ზაქარა იწერდა ჯვარს
ლამაზს, სიტუროფით განთქმულს და მეტის-მეტად
ეშმაკს ჩხიკვს ქეთევანზე. ამ ორ ახალგაზდა ფრინ-
ველს ჯვარსა სწერდა მსცოვანი ჩხიკვი თომა.

თომამ გულ-მოდგინეთ აღაპყრო თვალნი ზეცად
და წარმოსთქვა: „აკურთხე, უფალო, გვირგვინი ამა-
თი, შთაუნერგე ამათ ერთმანეთის სიყვარული და
ერთგულება, განამრავლენ ესენი, ვითარცა წყალში
თევზნი, ცაში ვარსკვლავნი, ჰქმენ შეუბღალავი სა-
რეცელი მონისა შენისა ზაქარასი და მხეველისა შე-
ნისა ქეთევანისა. ამინ“. სთქვა რა ეს, ორივეს ტურ-
ფა ყვავილების გვირგვინი დაადგა თავზე. „ამინ!
„ამინ!“ გაისმა გრგვინით ხმა აქეთ-იქიდან. ამას
იძაღენ სტუმრად მოწვეულნი ფრინველნი: ჩხიკვნი,
ქერონები, წიპრები, ნიბლიები, კაკბები, გნოლები,
ღობე-მძვრლები, ბოლო-ცეცხლები, ჭივჭივნი, კო-
დალები, გვრიტნი, მტრედნი და სხვანი მრავალნი.

ტევა აღარ იყო, იმოდენა სტუმრებს მოეყარათ თავი. საქეიფოდ შეენიერი ადგილი ამოერჩიათ: ერთი ტაფობა ხშირ-ყვავილიანი, ბალახით დაფენილი და უზარ-მაზარი ხეებით დაჩრდილული. ყვავილებსაც უხაროდათ, ისინიც ქორწილში იყვნენ დაპატიჟებულინი. იქვე ცივი, ანკარა წყალი გამოდიოდა. სუფრა გრძლად იყო დაფენილი და ზედ ათას-ნაირი საჭმელები და ხილეულობა ელაგა. რა ჯურის ჭიას და ბუხს იტყვიო, აქ არ მოეტანათ, — ბალახთა თესლი ათას ნაირი...

ნეფე-დედოფალი მიიწვიეს ყვავილებით დაფენილს ტახტზე და წვეულნიც წამოსხდენ მწკრივად. გაიმართა დიდი სმეულობა და კმეულობა. ათას ნაირი სასმელები ისმეოდა: კახური ლალის ფერი ღვინო წყალივით მოდიოდა სუფრაზე... ყველამ ადღეგრძელა ნეფე-დედოფალი და ყველამაც ძღვენი მიართვა.

იქვე კოდალა მჯდარიყო ერთ ყუნწზე ფულუროში და იმან „მრავალ-ჯამიერი“ დაიძახა.

— შენ, ეი, მყვირალავ, ღვინოს-კი არა სვამ, შვილონიავ, და რა იქნება? ღვინო დალიე, და! — შეუძახეს კოდალას ერთხმად ფრინველთა.

— მოიცათ, კაცებო, ცოტა ხანი დამაცადეთ, ღმერთი გადღეგრძელებთ: აქ ერთი კაი მსუქანი ჭია ვიპოვნე, ის მინდა გამოვთხარო და მერე, რამდენიც გინდა, ღვინო მასვით, ფიჭრი აღარა მაქვს, გულდამშვიდებით ვიქნები, — მიუგო მათ კოდალამ და თან ნისკარტით დაუწყო ფუტურო ხეს ჩინქა. ყველამ თვალთ კოდალას მიაპყრო.

— აბა, შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამ,—მისძა-
ხოდენ კოდალას ფრინველნი:—თუ არ გამოგიყვანია,
ვაი შენს ტყავს, პურს აღარ გაჰმევეთ, იცოდე.

კარგა ხანს გაუდიოდა ფუტურო ხეზე კოდა-
ლას ნისკარტს და ფეხებს ფბაკუნი და არც ტყუი-
ლად: კოდალამ გამოათრია კარგა მოგრძო ჭია, გვე-
ლის ჭარის*) მსგავსი და ნისკარტით მიართო ნეფე
დედოფალს.

— გაუმარჯოს ნეფეს და დედოფალს!—დაიყვი-
რა კოდალამ მალალის ხმით:—კამპანიასაც გაუმარ-
ჯოს, ურა!

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს! ურა! ყოჩაღ, კო-
დალა! ბარაქალა, რომ არც თავი შეირცხვინე და
არც ჩვენ, —ჰყვიროდენ ფრინველნი. თამადამ „საკარგ-
ყმო“, რადგანაც ვაჟკაცობა გამოიჩინა კოდალამ,
ღვინით სავსე ჯიხვი მიაწოდა; იმანაც სულ-უქცევ-
რად გადაჰკრა და გადაუგდო თამადას ცარიელი ჯი-
ხვი. თამადად იგივე მოძღვარი ჩხიკვი თომა ამო-
ერჩიათ.

— პურსა სჭამენ და ღვინოს სმენ, სიმღერას არ
იტყვიანო,—სთქვა ყვავმა და თავის შშვენიერის ხმით
შემოსძახა სუფრული. ყვავს მისცეს აქეთ-იქიდან ბანი
და გაძლიერდა მღერა ისე, რომ ტყეს ჭახჭახი გა-
ჰქონდა. შთა-ბარი ზანზარებდა. ყვავილები სიცილით
იხსოვებოდენ. აქვე ახლოს ერთს თავუნახო ჰქონდა
ხორო. ხმაურობაზე საღერღელი აეშალა და გამო-

*) გველის წინაყარი ტყავი.

იხედა სოროდან გარეთ. დიდ-ხანს უცქირა ფრინველთა ნადიმს, შექცევას, ჰხედავდა მსუქანს, ნოყიერს საქმელებს, ფერად-ფერადს, ნაირ-ნაირს და ხარბად ჰყლაპავდა ნერწყვს ნერწყვზედ. ითმინა დიდ-ხანს და ველარ მოითმინა: რაც მომივა მომივაო, სთქვა; მიცუნკულდა ახლოს, ისკუბა და პირდაპირ ნეფე-დედოფლის წინ თხილიანს სუფრაზე დასკუბდა.

— ვინც მოვიდეს, გაუმარჯოს! გაუმარჯოს წრუწუნას! — გაისმა საერთო ხმა ფრინველთა: — ჰოი, შენიჭირიმე რო დაგვხედე, ბიჭო! — ეუბნებოდნენ თავგს შეზარხოშებულნი ფრინველნი.

— გაგიმარჯოთ, გაგიმარჯოთ, გენაცვალებო, იცოცხლებო და იხარეთ, მუდამაც ღვინი და კაი საქმე ნუ მოგიშალოსთ უფაღმა დამბადებელმა, — ამბობდა თავვი და თან ერთს გულიანს თხილს ჩასციებოდა, კბილით აქნაწურებდა ნელ-ნელა.

— ღვინო მიაართვით წრუწუნას, ღვინო, — დაიძახა თამილამ, — მაგას ჩვენოდნობამდის ბევრი აკლია.

— ღვინოს არ გიახლებით, გენაცვალებო, თხილი ჩემის თვალის სინათლესაც მირჩვენია, თქვენ გაატარეთ დროება; მე თხილს ვაქნაწუნებ, არაფერი მიშავს.

— არ გიახლებით, რა სიტყვის პასუხია! ჰა, დალიე, თორემ თავზე დაგასხამთ ღვინოს, — უთხრა შეტევით თამილამ თავგს და ჯიხვი კოდალოს მიაწოდა. კოდალამ ჩამოართო თომას ჯიხვი და მიუჯდა წრუწუნას ახლოს.

— დალიე, ე, ძმობილო, ქორწილია, განა ის ხომ არ არის. თხილი აკნაწურო, რა ბრძანებაა. ჰაი, თუ აკნაწურებ შენცა, ჰა, ჩამომართვი ჯიხვი-მეთქი, — უთხრა კოდალამ და თან ჯიხვი მიაწოდა.

— ვერ დავლევ, თუ ძმა ხარ თავი დამანებე, არ შემოძლიან და რა ვქნა, რა წყალში გადავარდე, — მიუგო მას თავგმა და პირი მოაჩიდა.

— დაასხით, თავზედ დაასხით მაგ ვირიშვილს მაგას! — დაიყვირა თამადამ: — მაშ, ნეტე-დედოფალი არ უნდა აღდეგრძელო, შე ბრიყვო, შენა!

— ჩემს დღეში ღვინო არ მისვამს, კაცებო, ეხლა უნდა დამაჩვიოთ ღვინის სმასა?! როგორ იქნება, რა ახირებაა მინც და მინც! პატოხანი, დარბაისელი ხალხი ბრძანდებით. აი, ნეტე-დედოფლის სადდეგრძელოდ ერთს რკოს გიახლებით.

— დააღვინე, დააღვინე მაგ რაზბონიკს, მაგას, ძალით უნდა დალიოს, არ შაიძლება. აქ რისთვის მოეთრეოდა, თუ ღვინოს არა სვანდა, დააღვინე, — ისმოდა ფრინველთა ხმა.

კოდალამ დასტაცა წრუწუნას ცალის ხელით კისერში, მეორე ხელით პირში მიაგება ღვინით სავსე ჯიხვი და დაუწყო ძალათი სმევა.

— შენი ნება თუ იქნება, კი ვიცი არ მიირთმევ, ვაჟ-ბატონო, მაგრამ აქ თამადის ნებაა. უყურებ ამოდონა ღვინის, ერთი არ არის, აქ ღვინოს არ სვამდეს, ერთი შენ გამოსჩნდი აქ ახირებული. ჰა, ვაუბედვ, ვაუბედვ, ცოდო არ არის დედის რძესავით ღვინოს პირს არიდებდვ, შე უჯიშოვ, შენა? თავგმა

რის წვალებით ჩაყლაპა რამდენიმე წვეთი და თან წრუწუნებდა, ეტყობოდა არ ესიამოვნებოდა ღვინო.

— გაუბედე, წრუწუნავ, გაუბედე. აბა და ჰა! ემანგრე, მანგრე! ა, ყოჩაღ, ბიჭო! — დაჰკიჟინებდენ თავუნას ფრინველნი.

თავუნამ დაიწკიპა, დაიჭიმა ყელის ძაფები, შეე-ბრძოლა ღვინოს და გადაჰკრა, დასცალა. ხოლო ხა-ვერდის ქულაჯაზე გადაესხა ცოტაოდენი ღვინო.

— ქულაჯაზე ნუ მასხამ ღვინოს, ე, ჩერჩეტო, განა შენს ხაჩათის ფაფანაკსა ჰგავს, რომ აგრე ბრიყვად ექცევი! — შეუტია კოდალას. მერე ღრმად ამოიხვნეშა. სულ უკანასკნელი ყლაპი-ლა აკლდა და დაიყვირა: გაუმარჯოს ნკფეს და დედოფალს! გაუმარჯოს, ეჯიბო, შენს ნეფეს!...

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს! მოცალა, მოცალაო! — ისმოდა აღტაცებული ხმა.

წრუწუნას მალე მოედო ღვინო და მოჰყვა ბაიათებს. ისე მღეროდა, რომ წრიპინით ყველას ყურები გამოეჭედა. მერე ცეკვაც დაიწყო. ხალხს სიცილით ჰხოცავდა. იმას კაჰკაჰი აჰყვა და დავლოურს უვლიდენ ორივენი. ყვავებს მუცლები ხელით ეჭირათ, იმდენს იცინოდენ ამ სურათის მნახველნი.

— უჰ, დავილაღეო, — სთქვა ბოლოს თავგმა; მართლაც პირზე და გულ-მკერდზე ხვითქი გადასდიოდა. იქვე სუფრის ახლო წამოწვა, გამობურთული ფაშვი ზეცას მიაპყრო და ისე ქშინავდა.

სულ ბოლოს სუფრაზე ბუღბუღი იჯდა; მგალობელი ჩიტი არა ღხინობდა, არ იცინოდა; დაღობულ-დაფიქრებული უცქეროდა სეირს.

— მშვენიერო ბუღბუღო, რატომ შენს მშვენიერს ხმას არ გაგვაგონებო? — შესთხოვეს ბუღბუღს ფრინველთა.

ბუღბუღი უარზე დადგა; განა ყოველთვის ვარ სიმღერის იშტახე, უგუნებოდ გახლავართო, — სთქვა მან.

როგორც იყო, ფრინველთა ხვეწნა-მუდარამ გასჭრა და ბუღბუღმაც დაიწყა. ფრინველთ ხმა გაკმინდეს, ბუზების ფრენა ისმოდა, ყვავილთ სული განაბეს და მოტრფიალე თვალებით შესცქეროდნენ მგოსანს. ბუღბუღმა დამღერა:

დიდება შენდა, ცათა მპყრობელო,
დიდება შენდა, ბუნების ძალო, —
დიდება, მეფევე გვირგვინოსანო,
და გაღვგრძელოს შენც, პატარძალო!

სიყვარულისას დავსწნავ გვირგვინსა,
სათნოებითა მოვქარავ გარსა,
არ დავინანებ, ყველას შიგ ჩაქსოვ,
თუ ქვეყნად რასმე კი ვპოვებ კარგსა.

და წრფელის გულით გამეტებულსა
იას დაგადვამთ, ქალ-ვაჟო, თავსა.

სიყვარულია თვით ჩემი გული,
სხვისაც თუ ვნახე, მომიღებს ალსა,
დღეს თქვენი ტრფობა უდიდესია,
და მით იპყრობს ჩვენს გულსა და თვალსა.

ამ დროს შორი-ახლოს ხარი ირემი გამოაჩენილიყო და გულ-მოდგინედ უგდებდა ყურსა ფრინველთა მღერას, ბუღბუღის სტვენას. ბუღბუღის

სტვენამ ნალველი აღუძრა გულში. რაღაც მოაგონდა, თვალეებზე ცრემლი მოუვიდა, ამოიოხრა და გაბრუნდა, მიეფარა ულრანს ტყეს.

ფრინველთ გააბეს საერთო მღერა. ერთს სიმღერას ამბობდენ ყველანი, ხოლო თავ-თავიანთს ხმაზე-კი. ამ სიმღერაში ბუნების ქება იხატებოდა, ტყისა და დედა-მიწის მადლი. ამ მადლს მადლობას უძღვნიდენ ფრინველნი. ამ დროს თვალის ვლებით გადმოიარა არწივმა; „არწივი, არწივი!“ გაისმა ხმა: „მეფე მობრძანდებოა!“ ერთბაშად ყველას ჩაუფარდათ მუცელში ენა, ხმის ამოღებას ველარ ჰბედავდნენ; ყველანი ცახცახმა, კანკალმა აიტანა.

მართლაც და საშინელი სანახავი იყო ამ დროს არწივი: რა უნდოდა? ერთის დატევების მეტი კი არ მჟოუნდებოდა, რომ მთლად ბურნუთად ექცია ფრინველთა ბრბო.

— რად შეჰკრთით, ხალხნო? ხმა ამოიღეთ. განა მეფე ჩვენს შემუსრვას იკადრებს, მოიწადინებს?! — ეტყოდა ფრინველთ ჩხიკვი მოძღვარი: — თუ მეტყვით, ამ წუთას აქ მოვიწვევ მეფეს. ზოგნი უარზე დადგნენ; იმის თვალების ბრიაღს ვინ გაუძღვებსო, ამბობდნენ: ჩვენ კი ველარ ვისიამოვნებთ და რა იქნებაო. სხვებმა მოუწონეს, მოვიწვიოთ, მოვიწვიოთო.

მოძღვარი ჩხიკვი წავიდა ჩრიალით აღმა და გაუთამაშა წინ ფრინველთა მეფეს. არწივმა სიარული არ შეშალა, თითქოს ბუზი უფრინავდა წინა.

— გაუმარჯოს შენს დიდებულებას, ჩვენო მეფევ, — მისცა ქუდ-მოხდილმა ჩხიკვმა სალამი არწივს.

— გაუმარჯოს ჩიკესაც, — სთქვა მან დინჯად.

— ჩვენო დიდებულო მეფევე, გთხოვთ ქორწილში გვეწვით. გთხოვთ გულით და სულით; შუბლ-მოყრით გვედრება მთელი შენი საყმო; თუ ჯვიკადრებს შენი დიდებულება, დიდად მადლობელნი დაგრჩებით, თავს შემოგვევლებით.

— შეიძლება, რატომ, — სთქვა არწივმა: — გამიძელ წინ!

ჩიკვი დაეშვა თავქვე და არწივმაც შემოიკეცა თავისი მძლავრი ფრთები და დაეშო თავქვე. ეს სურათი ცის მოგლეჯას ჰგავდა.

მთელი ფრინველთა გუნდი წამოიშალა და ეივილ-ხივილით მიეგება წინ თავის მეფეს. არწივმაც თავისებური სალამი მისცა ფრინველთა კრებულს.

მოიწვიეს მეფე და დასვეს თავში. ყველანი ფეხზე იდგნენ ქულ-მოხდილნი. ბუღბუღი არა სჩანდა მხოლოდ აქ.

— შეგიძლიათ დასხდეთ, — უთხრა მათ არწივმა და ფრინველნიც უფროს-უმცროსობის წესზე დალაგდნენ.

ეს ამბავი ორშაბათს დღეს მოჰხდა. ტყეში წასული ხალხი, თუ სამუშაოდ, თუ სანადიროდ, გაოცებული რჩებოდა. ამბობდა ყველა: ეს რა ამბავია, რამ გააწყო ჩიტები, რომ ერთის ხმაც აღარსაიდან ისმისო.

ხალხმა რა იცოდა, თუ ფრინველნი ჩიკვთა ქორწილში იყვნენ, — განცხრომასა და ქეიფში.

არწივს მთართვეს ღვინო ჯიხვებით. იგი დაუზა-

რებლივ სვამდა და ძლიერაც გამხიარულდა; შემოსძახა თავისი საზარელი ხმით რაღაც საგმირო სიმღერა; ყველას ტანში ერუანტელმა დაუარა.

— ღმერთო, — ეხვეწებოდენ ყველანი ღმერთს: ღმერთო ნუ გააჯავრებ ნურათფრით ჩვენს მეფეს, თორემ გაგვეყუყავს ერთს წამშიო.

არწივი მაინც არ ჯავრობდა, სთხოვდა ფრინველთ ემხიარულათ, ემღერათ, ეცეკვათ, მაგრამ ფრინველთ რაღაც გუნება გადაუბრუნდათ. არ იცოდნენ, რა დაემართათ. რომ ფრინველებისთვის გაბედულება მიეცა, არწივმა უბრძანა შთაებერთათ ბუკ-ნალარისათვის.

ბრძანება იმავე წუთას ასრულდა და არწივმაც დაიწყო ბობღვა თავის მძლავრის კლანჭებით: სულგათელა თითქმის ის ყვაელიანი ადგილი.

მაინც კიდევ ვერავენ ჰბედავდა თამაშობას. ბოლოს ისევ წრუწუნამ გაჰბედა: ისეთი ლეკური დაუარა, ისეთს ბუქნაში ამოდიოდა, რომ მტვერი ცასა სწვდებოდა.

ერთხელ გატაცებული და გაცხარებული არწივისაც-კი გადაახტა თავზე. ცოტა არ იყოს, მეფეს ეწყინა ყმის ასეთი ბრიყული ქცევა, მაგრამ ზრდილობისა გამო, არათფერი უთხრა, მხოლოდ შეუბღვირა კი ერთხელ ისე, რომ თავუნამ შიშისაგან კინაღამ სული განუტევა. მაინც ამ შებღვერის შემდეგ წრუწუნა კაცად აღარ ვარგოდა, გახდა ავად, წავიდა და დაწვა ერთის ხის ძირას, ზედ ერთი ხმელი ვერხვის ფოთოლი წაიხურა.

ფრინველებში ყველაზედ თამამად კოდალა იქცეოდა. კარგა გადაკრულიც გახლდათ და ისეთს ბაიათებს გაჰკიოდა, რომ მთელი მთა-ბარი ინძრეოდა. კოდალა ეხლა იქამდის გათამამდა, რომ მეფესაც აუხირდა.

— შენ მეფობა ვინ მოგცაო, — უთხრა მან არწივს: — ჩვენ როდის ამოგირჩიეთო.

— ბიჭო, შე ოჯახ-ქორო, სუ, გაჩუმდი, რას ამბობ, შე თავხედო? — წასჩურჩულეს ფრინველთა.

— არც გაჩუმდები და არცა! რად უნდა გავჩუმდე, რაო ჩემო?!.. — ამბობდა კვლავ შეზარხოშებული კოდალა. თქვენ რა ხალხი ხართ? გული-გულში ყველას გეჯავრებათ, შეილოსან, და პირში-კი ვერაფერს ეუბნებით. ბიჭობა პირად თქმაა.

არწივმა ბევრი იცინა კოდალას ახირებაზე, მაგრამ ფრინველთა ითაკილეს მეფის შეურაცყოფა, შეიპყრეს კოდალა, ნისკარტში წბილა გაუყარეს და იქვე ხეზე მიაკრეს. დალონდა კოდალა, აღარ იღებს ხმას, არ ესმის, რისთვის დასაჯეს ასე სასტიკად.

ფრინველნი რომ ამ გაზიდულობაში იყვნენ, მელა მოჰპარებოდათ ახლო. დიდხანს უთვალთვალა ცბიერმა ცხოველმა ტყის პირიდან და უცდიდა დროს, ფიქრობდა, ჯერ კარგად დათვრნენ, მაშინაა ჩემი დროვო. მელა იმ დროს დაინახეს, რომ ის-ის იყო უნდა ნეფე-დედოფალისთვის ეტაცა პირი. ატყდა ხმა, ყვირილი, აიშალა ფრინველთა გუნდი, ხოლო ნისკარტ დაღებული არწივი ეძგერა მელას და ერთს წამს სული გააფთხობინა. ფრინველნი გაიფანტნენ:

ზოგი ხეებზე შესხდა, სხვა მალლა ღრიალებდა. დაბ-
 ლა არწივი და კოდალა-ლა დარჩა; ავადმყოფმა
 თავგმაც განგაშის ხმაზე სორო მოძებნა. არწივმა
 კოდალაც გაათავისუფლა და უთხრა: ეგ მიქარვა მი-
 პატიებია, რადგანაც ნასევამი იყავი და მერე აღარ
 გაბედო, თორემ ვაი შენს ტყავსო. თითონაც აფრინ-
 და, აფრინდა მალლა, თითქოს ცას მიეკრაო, და იქ
 ირგვლივ დაიწყო ტრიალი. ქეთევანი და ზაქარაც
 მიეფარნენ ულრან ტყეს: ერთმანეთის აღერსში და
 კოცნა-ხვევნაში გაატარეს ის დღე და საღამოდ ერ-
 თის წიფლის ტოტზე დაეძინათ გვერდის-გვერთ.

ზ მ ს მ ბ ი

ნუ გეშინიან, არა ვართ გველები. ამ მაღალ მთაზე გველს რა უნდა? ტყუილად შეკრთი, ჩვენ კაცს არაფერს ვაძენებთ, არ მოვსწამლავთ. გარედან რომ დაქმუქნილი, ხმელი ტყავი გვაკრავს, იმან შეგაშინა? ერთს დროს ჩვენ სხვა ფერი და იერი გვედო. დრომ, ჟამთა-ვითარებამ შეგვიცვალა სახე და ახლა, მწყემსი წამოგვაწყდება ზედ თუ მონადირე, უნდა შეკრთეს, მანამ ახლოს გვნახავს, სანამ შეიგნებს, რომ ჩვენ ერთის მუხის ხმელი ფესვები ვართ და სხვა არა-რა. ერთს დროს ჩვენ უზარმაზარ მუხას ვკვებდით, საზრდოს ვაწვდიდით, ძუძუს ვაწოვებდით. ჩვენის ოფლით, ჩვენის ღვაწლით მუხა თავ-მომწონედ ყელ-ყელოაბდა. ჩვენც ამითი მოგვწონდა თავი, რომ ლამაზი, გულ-შეუდრეკელი, ამაყი შვილი გავზარდეთ.

— თქვენ და თქვენს მუხას მოგინდათ ჩემი ძალღონე, ჩემი ამაგიო, — ბევრჯელ უთქვამს ჩვენთვის დედამიწას; მაგრამ ჩვენ მაინც ყელის წვევით მუხლ-მოდრეკილნი გამოვსთხოვდით ხოლმე საზრდოს ჩვენის საყვარელის შვილისათვის. მის გულისთვის დღე

და ღამე გასწორებული გვექონდა. საზრდო არ დავაკლოთ, ვეცადოთო, — ერთმანეთს ამ სიტყვებით ვამხნევებდით. დაისვენე, დედამიწავ, დაისვენე. ჩვენ ახლა შენ აღარ შეგაწუხებთ. ვისთვისაც გეფერებოდით და გეხვეწებოდით, ის აღარა გვეყავს, ჩვენცა ვხშებით, ხმელსა და მკვდარს საზრდო რალად უნდა? კაცმა, შეუბრალებელმა ადამიანმა, მოგვიკლა გული, მოგვიკლა შვილი და დაგვტოვა თვალ-ცრემლიანი. ადგა ცულით, დაუწყა ჭრა; იმას არ ესმოდა ჩვენი და ჩვენის შვილის კენესა. უკუღს რომ გვეცემენ, ჩვენ ვკენესით და თქვენ-კი, კაცნი, ამას „რაკუნს“ ეძახით. გადმოგვდის სისხლი და თქვენ ჩვენს სისხლს „ხის წვენს“ უწოდებთ... განა რომ ხელს არ გამოვიღებთ, თავ-პირს არავის ვაკაწრით, არა ვლანძღავთ, წასულს არ მივდევთ და მოსულს მრისხანე სახით არ ვუხვდებით, იმიტომ არაფერსა ვგრძნობთ?!

„მუხას ვჭრიო“, — კაცი თავის ამხანავს ეძახდა, ვითომ-და არაფერიო. იგი ვერა ჰხედავდა, რომ ჩვენ მაშინ ჩუმად მიწაში ცრემლსა ვღვრიდით, რომ ჩვენმა ცოდვა-ბრალმა დედამიწაც აატირა: „საწყლებოვო, — ბუზლუნებდა ისიც, — რისთვის, ვისთვის იწვალეთ, ან მე ვისთვის ვწვალობ, ვინ არის მადლობის მოქმელიო!..“

თუმცა დედამიწა ამას ამბობდა, მაგრამ იმავე დროს წინ წამოწვდილს, შორიდან წამოზრდილს წიფლის, არყის და ვერხვის ფესვებს უღებდა საგზალს... უარს ვერავის ეტყვის ეს ღეთისაგან კურთხეული. ყველას დედაა, ყველასთვის ის ზრუნავს, ყველა იმის

ზურგსა ჰკიდია. იკუთხოს უენი ძუძუ, ჩვენო დე-
დავ, ჩვენო გამზრდელი, ჩვენო ძუძუს მაწოვებელი!

მაგრამ რა ჰქმნას საბრალომ? ამასაც ბედმა უმ-
ტყუნა. გუშინ და დღეს ჩვენ ბევრი ვიტირეთ, გვე-
ნანება იმ ადგილის განშორება, საცა დავიბადენით,
აღვიზარდენით, სადაც სიცოცხლე ვიგრძნეთ. ვინ
იცის, რა მოგველის?! დღითი-დღე ჩვენი ბინა ინგრე-
ვა, იშლება, ფლატე კეთდება და ჩვენ უსახურავო-
ნი ვრჩებით, ტიტველნი და მშვიერნი. ბოლოს მოვ-
წყდებით და წავალთ თავქვე, ჩავეშვებით უღრანს
ხევში. ვინ იცის, იქ რა მოგველის? ვინ იცის, იქ
რა ნიადაგი დაგვიხვდება? დავიხოცებით სრულიად,
თუ კიდევ მიწა დაგვფარავს და გაგვიჩენს საზრდოს?!
ვინ იცის, იქნება გიჟმაჟმა მდინარემ გაგვრიყოს სად-
მე უდაბურს ადგილას და მწვავე შვის სხივებმა და-
გვაჰკნოს, გაგვახშოს, გააქროს ჩვენი ხსენება!

ღმერთო, ნუ დაგვკარგავ! ბელო, ნუ გვიმტყუ-
ნებ! დედამიწავ, კიდევ გაგვიჩინე ბინა! სიცოცხლე
და შრომა გვწყურიან, გვინდა კიდევ ვიშრომოთ, ეგე-
ბი კიდევ გავზარდოთ ჩვენს ფესვებზე შვილი, ეგები
კიდევ ვიგრძნოთ სიხარული. ბუნების ძალნო, შეი-
წყნარეთ საბრალო ფესვების მუდარა!



ს უ რ ა თ ე ბ ი

(სოფლის ცხოვრებიდან)



ამთარი დადგა. გაოხრებული და გატივლი-
ბულია მინდვრები. გარეშემო, არე-მარე სასა-
ფლაოს მოგაგონებთ. მართლაც და რამდენი
გვამი ჰმარხია იქ, ვინ დასთვლის?! მხოლოდ ალაგ-
ალაგ ძეძვების ძირში-ლა დარჩენილა ბალახი ჯგუ-
ფად, სადაც ამ ბალახს კამეჩის გაუმაძლარი პირი
არ შეჰხებია. საბრალო წიბილაები დამჰქანარან, მობუ-
ზულან და ერთმანეთს ეკვრიან, თითქოს სცდილობენ,
ერთმა მეორე გაათბოს. გორ-გური გადუქარავს. მხო-
ლოდ ალაგ-ალაგ მოჩანს შავად მიწა, „ქოჩორა“ ტო-
რუას იღბლადა; ბეჩაფი ტორუა, გარინდებული და-
გოგავს და დრო-გამოშვებით შესძახებს, რაკრაკებს
გასაწყლებულის ხმით...

დრო-და-დრო შორს სადმე, ტრიალს მინდორზე,
მელი თავის ნაკურთხის კუდით დაცუნცულებს, ხან-
და-ხან შესდგება, მოიბრუნებს თავს უკან და გადა-
სკუპდება კუდ-აბზეკილი. გაფიხარიან, ის გაფიხარებს,
თუ თავუნა დაინარჩუნა, თუ არა და გულდაწყვეტი
შეუდგება ახლად ნადირობას.

აქა-იქ მგლის კვალიც ეტყობა. ღამ-ღამობით ისმის მისი ყმუილი. საბრალო მგელო, ერთს დღეს მაძლარო და ერთს თვეს მშვიერო! იქნება ჩემს მეტს არც-კი არავის უყვარდე! მიყვარხარ ისე, როგორც-კი შეიძლება ნადირი უყვარდეს კაცსა. რათა? იმიტომ რომ შენს ცხოვრებაში სილამაზეს ვხედავ.

მომავლანდება მთაზე შეფენილი ცხვარი და ღრმა ხევი. ვალმა-გამოდმა ბექ-ბუქია. მეცხვარეს სთვლემს. შენ ტყიდან ჰნახე ცხვარი და მეცხვარის ყოფა, მაგრამ ვერ გაპხედე ცხვრის მოტაცება, თუმცა-კი ძლიერ გშიან. შენ უცდი ნისლს; აი დაიძრა ჰალიდამ და ხევზედ შემოწვა. მიიწვეს აღმა და შენც ნისლს გამოჰყე. მოჰყეები ხევის ძირს. ნისლი ცხვარსა და მწყემსს დაეფარა შავის ნაბადივით. შენც იქ მიხვედი და ერთს კლდის ნაგლეჯთან აიტუზე. უცდი, ცხვარი მოგიახლოვდეს. ერთი რქა-დაქნილი ჰედელა გამოერჩია ცხვრის თარიდამ და მოდის შენსკენ ბალახის ძოვნით. ახლოს მოგვივიდა კიდევ, შენ გადუხტი, სტაცე პირი ცხვარს, გაიკარ გვერდზე, კუდი მოჰხვიე და გაამაღე სწრაფად ხევისკენ; ცოტა ხანიც კიდევ და დაგრჩებოდა ნანადირევი, მაგრამ ყურშიამ გაგიგო, დაგედევნა ყეფით. მწყემსმაც გააჰკიტა თვალები, მოიგდო ხელში თოფი და გამოგადევნა ტყვია ზუილით. შენ დასტოვე ნადავლი და მოჰკურცხლე, მაგრამ ცდა მაინც ცდად დარჩა. მწყემსსაც მადლი მოუვიდა, იგი გაფთხილდა და, ვიდრე შინ არ მორეკა ცხვარი, სულ გარშემო უვლიდა, — შენ ელანდებოდი...

თოვლი სდევს მინდვრებზედ, ლამეც ბნელია. გშიან, გშიან ძლიერ. მინდვრად ვერაფერი იპოვნე საჭმელი, მოატანე სოფელს; შენებურად, მგლურად ეკრობი ლობეს, იფარებ ხეს, ქვას, ყველაფერს, რაკ-კი დაგეფარება; მიიპარები საცხვრისაკენ. შენი სული დაიყარეს ძაღლებმა და ასტეხეს ვაი-ვაგლახი, დადგა გრიალი; გარბიან და გამოარბიან; ერთი ზევით „წკავწკავენს“, მეორე აქეთ, მესამე იქით; ბებერი, ქვე-მუნისაგან გამოხრული ძაღლებიც-კი აღაღვლადნენ, მორთეს ხრინწიანის ხმით „ბუყბუყი“. სოფელს სიცოცხლის ფერი დაედო. „შენ საცხვრეში შესვლა მოასწარი, მაგრამ სოფლელები ეჭვში შევიდნენ, გამოცვიდნენ მუგუზლებით და იძახიან: „მგელია, მგელია!“ მეცხვარეშაც მოანთო კვარი და შემოალო საცხვრის კარები. ორი ცხვარი მოკლული გყვანდა. სინათლეზე იკადრე და მოჰფრინდი; გავარდი გარეთ და მიიძაბები ტრიალს მინდორზე. დარჩა პირ-ღია მწყემსი. სოფელმა დიდხანს ილაპარაკა შენზე, ყველას სიცოცხლის ფერი ედო იმ ხანებში: საცხვრეებს სინჯვა დაუწყეს და ამაგრებენ, თოფებს ტალები უნახეს, ცხრა თუ ათი კაცი დღეებში წავიდა ტყვია-წამლისათვის.

ქკვიანიცა ხარ, მგელო. სადაც იმარჯვებ, იქვე მიიწევ... შენ საქები ხარ ამ შემთხვევაში, მაგრამ ის მწყემსი-კი, ვისაც შენ ცხვარს უჭამ, საძაგები და სალანძღავია... თუ ის კაცია და თავში ჰკუა აქვს, უნდა ერთი კარგი რამ მახე მოგიგონოს, დაატრიალოს, გაანძრიოს ის გაყინული, გაქვავებული გონება, რომ

ორჯელ თუ აზარალებ, მესამედ შენც ამოგშხამ-
დეს...

უნდა გატეხილი გითხრა, მგელო, რომ შენი დანახვა ფრიად გამეხარდებოდა მაშინ, როდესაც ხაფანგში გაბმული დაიწყებდი თვალების აქეთ-იქით ბრიალს და კბილების ღრჭენას პირ-ქაფიანი. მეტისშეტად საწყინო იქნება, რომ მესამე მისვლაზე რამე მიზეზით თავის თავად მოჰკვდე და ბრიყვმა მწყემსმა მკვდარი გიპოვნოს. არამი იყოს იმისთანა მწყემსზედ შენი ტყავი!

მაგრამ მაინც მიყვარხარ, მგელო, და მიყვარ-
ხარ იმიტომ რომ, როდესაც შესაქმელს ცხოველს დაინახავ და ატყობ, მარტოკა ვერაფერს გავხდებო, დაიწყებ ღმუილს, ეძახი ამხანაგებს. ისინიც ყოველ მხრილამ ხმას მოგცემენ, ჩქარა შენთანაც მოვლენ და ერთის პირით შეუდგებით ხოლმე საქმეს. მაინც იცოცხლე, მგელო! შენ გშიან და იმიტომ იტაცებ; რამდენია იმისთანა, რომ არცა ჰშიან, არცა სწყურ-
იან, და მაინც კიდევ ჰყლაპავს ყველაფერს, რაზე-
დაც-კი ხელი მიუწვდება; რამდენია სხვა, რომ რა-
საც მისწვდება, ამტვრევს და ჟღერს ისე, აჩემების გამო, შექცევის გულასასთვის. მაგრამ ის მაინც სხვაა და შენ-კი მგელი ხარ და მგლობა გქვიან სახელად.

მგლებზე საუბარით გავერთე და სოფლის „კან-
ცელარია“-კი დამაფიწყდა, თითქოს იგი მგელზედ ნაკლებად საყურადღებო იყოს?! ზამთარი რაკი და-
დგა, „კანცელარიამაც“ გაიღვიძა; თუ ზაფხულში

კვირაში ერთხელ, და ისიც რის ვაი-ვაგლახით, შესდგება ყრილობა, ეხლა სამჯერ შესდგება ხოლმე. იმართება ყაყანი, ისმის მამასახლისის ძახილი: „დაამწყვდიეთ ეგ ასეთ-ისეთი“. მამასახლისი მაშინათვე, რამწამს ამ ხელობას ჩაიბარებს, ისწავლის ხოლმე ამ ვითომ დიდკაცების სანიშნავ სიტყვა-პასუხს. უფროსი იმას ამ გინებით მოიხსენიებს ხოლმე, მაშასადამე, იმასაც ნება აქვს, თავისზე უნცროსი ამგვარისავე გინებით მოიხსენიოს! უხდება კიდევ, სხვას რომ ჰლანძღავს მამასახლისი.

ეხლანდელი მამასახლისი რომ ამ ორის თთვის წინად, ე. ი. სანამ მამასახლისად დააყენებდნენ, გენახათ, შეგეცოდებოდათ, რადგან დონ-კიხოტის ცხენით გამხმარი და გაბეჩავებული იყო. ეხლა რომ ჰნახოთ, გაჰკვირდებით: ფაშვი დაუსქელებია, ლაბაზი დაჰსახვია ნიკპის ძირში, თვალეზედ ქონი და სიწითლე გადაჰკვრია. სოფლის „სუდიებს“, ცოტა არ არის, ჰშურთ მამასახლისისათვის კეთილი ცხოვრება, მაგრამ თავის თავმოყვარეობით სხვა გზით სიამოვნებენ ისინიცა. აგერ, ერთი სუდიათაგანი ჰყვირის: „დაამწყვდიეთო“.

— რათა? — ჰკითხავს დამნაშავე.

— იმიტომ რომ „უფალი სუდია“ არ დამიძახეო.

მამასახლისმა თავის თავის უკადრისობად ჩასთვალა „სუდიის“ ასეთი ქცევა. ამას და „უფალ სუდიას“ მაინც მუდამ ჩხუბი აქვთ: არა მე მაქვს „პრაფა“ დამწყვდევისა, არა შეო. შენ არ იცი „ზაკონი“, და მე

ვიციო,— ეუბნება ერთი მეორეს. ერთი მეორის დამ-
ცირებას სცდილობს, რომ ამით ამაღლდეს ხალხის
თვალში. „უფალი სუდია“ უფრო გამოაცდილი კა-
ცია; მამასახლისის დასამტკიცებლად სხვას რომ ვე-
რაფერს ვახდა, როცა მამასახლისის ელაპარაკება, „შვი-
ლო“-ს დაატანს ხოლმე.

— რათა, შვილო, დინჯად მოქცევა სჯობიან?

ან-კი რა ქნას „უფალმა სუდიამ“. თუ ლანძღვა-
გინებით მტერს ვერა სძლია, ამ საშუალებით ხომ
მოერევა? ხალხის წარმოდგენით, მამამ შვილზე მე-
ტი იცის და, მაშასადე, „უფალი სუდია“ პოლიტი-
კა კაცია. მამასახლისი-კი ბრაზ-მოსული მიიტანს
იმაზე იერიშს:

— საიღამა ვარ შენი შვილი, საიღამ? საიღამ?—
დააყრის ზედიზედ მამასახლისი.

„უფალი სუდია“ დინჯად, ხმა მალლა ეტყვის,
თან თვალი ხალხისკენ უჭირავს:

— ჩემ ხელში გაიზარდე, აი, ამოდენა ღლაპი,—
უჩვენებს ხელით მიწის პირზე,— ხელში მჭერბზარ და
„შვილობა“ რომ გითხრა, დიდი საქმეა!?

„უფალი სუდია“ თავის ღირსებისა და აბრუს
განსაღიღებლად, აი, კიდევ რას იტყვის ხოლმე:

— ამ წინაზე ქალაქ რო ვიყავ, პრიპტავმა, აი,
კაცო, ჩვენმა პრიპტავმა, დამიძახა ჩაიზე. ღვთისა წი-
ნაზე, მეც არ დავზარდი. გამომკითხა სოფლოვ საქ-
მეები და დამავალა: ვინძლო სოფელ კარგად მოუა-
რო, კარგად შეინახოვო, „ზაკონი“ შენს მეტს არა-
ვის ესმისო...

განა მარტო მამასახლისი და სულია ხომ არ იბრძვიან. წამოდგება „დარჩომილი“, მოხუცი გოგია და დაიწყებს თავის შვილზე ჩივილს:

— დავაბინავე, დავაცოლ-შვილიანე და ლამის ეხლა სიმშილით სული ამომართვას, დამარხვას ვინ-ლა იტყვის!

გოგიამ მაზრის უფროსთანაც იჩივლა... მაზრის უფროსს ეწყინა ძლიერ შვილისაგან მამის დაჩაგვრა და მოინდომა გოგიას ურჩის შვილის გალახვა, მაგრამ გოგიამ ვერ გაიმეტა შვილი:

— არა, შენი ჭირიმე, ბატონო, აპატივე, როგორც იქნება გავშველდებით.

აქ უნებურად მომაგონდა კუპრიან მურავეუშკინი*), რომლის შდგომარეობაც ჩვენის გოგიას მდგომარეობას ჰგავს. ხომ კარგად მოგეხსენებათ, კუპრიან მურავეუშკინმა არ დასტოვა არც ერთი სასამართლო, თვით უმაღლესი კანცელარიაც-კი, რომ საჩივარი არ შეეტანოს თავის შვილზედ; ყველას თავდაპირველად იმასა სთხოვდა, რომ გაეროზგნათ მისი ურჩი შვილი. თვით კუპრიანის წიგნიც, შვილთან მიწერილი, ვგონებ, უნდა გახსოვდეთ. წერილს თავზე აწერია: „Вдохновение всевышняго чрез бывшаго волостного старшину Купріяна Муравушкина сыну моему Симеону для вразумленія отъ развратныхъ поступковъ.“

Сынъ мой Симеонъ!

*) გლეხ უსპენსკის ერთს მოთხრობაშია გმირად გამოყვანილი ეს კუპრიან მურავეუშკინი და ქვემოდ მოყვანილი რუსული წერილიც იქილამ არის ამოღებული.

„Господь вседержитель и Адонаи Саваофъ въ первый самый день отъ сотворенія свѣта, когда сотворены были рыбы и птицы, а впоследствии того времени человекъ и жена его изъ ребра—Создатель и промыслитель нашъ І. Христосъ на горѣ Хоривѣ утверди законъ: Чти отца своего.

შემდეგ და შემდეგ:

„Больше ста двадцати пяти рублей серебромъ издержано мною на твое просвещеніе, не касаясь обуви и одежды, каковая позимнему была справлена и полѣтному положенію; харчей же яицъ гусей и по грибной и по капустной части, которые твоему наставнику препровождены я съ великодушіемъ не утруждаюсь вспоминать“ და სხვ. და სხვ.

ამისთანა „ვდობხოვენიე“ ჩვენს გოგიას ჯერ-ჯერობით არ მოსვლია და ღმერთმა ნურც მოჰგვაროს. თუნდაც რომ მოუვიდეს, საიღამ, რომ წერა არ იცის? ვსთქვათ, იმან იცოდეს, შვილს არ ეცოდინება. დაე ვსთქვათ, ორივემ იციან წერა-კითხვა, გოგიას მაინც ასე პირ-წყლიანად, საბუთიანად წერა არ შეეძლება, ისე როგორც შვილზე ამ პირ-წყლიანობას ძალი არ ექნება.

ყველა კაცის თავ-მოყვარეობა სწუხს, „პრავას“ და ზაკონს“ ეძებს, მარტო ჩემს მეზობელს, ბებერს ქეთევანს არ გაუვლის თავში ფიქრად ესენი; იმას თუ ტარი და საჩიჩელი არ მოეშალა, ხომ არ შესწუხდება, თავს არ აიტკივებს. რაკი პირველად მამალი იყივლებს, აღგება, შანათებს ცეცხლს, ჩა-

მოჯდება კერის პირს, სჩქის მატყლს... საჩქიელის-
კბილები წკრიალებს; თუ საჩქი არა აქვს, ტარს-
დალწყებს ბზრიალს; ვაისველებს თითებს და გა-
ბზრიალებს. თავის ზარმაცს რძალსაც გააღვიძებს და
დაისომს გვერდით:

ადექი, ქალო, შეილო, რამდენი გძინავს, ქა!

ჯერ დასტუქსავს რძალს, მემრეკი დაუტკებება.
ცოტას კიდევ წაიქორიკავებს:

— არ გაგიგია, ქალო, რა საქმე ჩაუდენია ბე-
რუანთ სესელას,—თეკლეს. შეჭხტომია, სარეცხი
სდგომია, საყურე შეუწყვეტია, ბექედი წაურთმევიდა
და უკოცნია კიდევც,—არც ახლა მისცემენი?

— მეხი-კი დავაყარე შევ-ხორეშანას! მეზობ-
ლებში თურმე დადის და იძახის: ქალო, ქეთევანაზე
მეტე წვრილ-ფეხობა მყოფსო. ისე იმან იხაროს!“

რაკი ვარიყრაყდება, ხომ მოსვენება აღარ იცის,
რა არის. სულ ფუსფუსობს, დაცუცუნებს თავივით.
იმ დილითვე დაუყრის ქათმებს ხაკენკს, ევლება თავს,
ეძახის: „ჯუ, ჯუ, ჯუ, ჯუკრ!“ თქვენს მტერს, რომ
ქეთევანი წივილ-კივილს ასტეხს, თუ ქორი „ჩამოე-
ტია“ და ქათამი გასტაცა. გაედევნება თავ-გადა-
გლეჯილი და მისძახის: „სად მივაქვს, ქორო, შე
გულ-კვდარო, ქათამი!“

მთელი ერთი თვე აღარ დაავიწყდება ქეთევანს
ქორის ოინი. რამდენჯერაც მოიგონებს მოტაცებულს
ლაბუა ვარიას, იმდენჯერ გულს ჩაიმჯილავს.

მთანი მალაღნი



დგნენ და ელოდნენ. უსაზღვროა მთების მოლოდინი; უსაზღვროა ზღვადა სდგას იმათ გულში. წითლად, სისხლის ფრად შედგებულნი უთიმთიმებთ გულ-მკერდში. გარეთ, სახეზე-კი არაფერი ეტყობათ, გარდა მტერობისა. ეს არის კიდევ ნიშანი მოლოდინისა. ვინ რა იცის, რა ამბავია მთების გულში, რა ცეცხლი სდუღს და გადმოდის.

მთებო, მთებო! რას ელით, ვის ელით! ნუთუ გყავთ სატრფო დიდინის უნახავი? იქნება შვილი დაჰკარგეთ? იქნება ძმა, ან დედა გყავთ შორს წასული და არაფერი ამბავი მოგსვლიათ? პასუხი არ ისმის. სდგანან წარბ-შეუხრელად. ელოდნენ, ელიან და კვლავ ექნებათ მოლოდინი. რა დააშრობს იმათ გულში იმ მოლოდინის ზღვას? არა აქვს იმას ბოლო, არც დასასრული, როგორც ღვთაებას...

როცა ყველა სულდგმულს, შწერს, ბალახს, ყვავილებს, მდინარეს და მოუსვენარს, დაუღალავს ნიავს დაეძინებათ, მაშინ, მხოლოდ მაშინ ამოიხრებენ და ცრემლსა ღვრიან. ჩვენ, კაცნი, მაშინ ვამბობთ: ახ, რა მძიმე ლოდინით ნაღველი მაწევს გულზეო.

რატომ არ მღერით, მთებო?! განა ისე უნდა მოგკვდეს, რომ თქვენი ხმა, თქვენი სიმღერა ვერ გავიგონო? რატომ არ იცინით? ღიმილი მაინც მიჩვენეთ თქვენი, კარგებო? მაგრე როგორ დაგიმონათ, შეგიაპყრათ, დაგიმორჩილათ ერთმა ფიქრმა, რომ სხვა ყოველივე ძალა და ნიშანი სიცოცხლისა დათრგუნვილან თქვენს გულ-გონებაში?! არა, არა. ხან-და-ხან თქვენც გიხარინათ, და ქვეყანას-კი ჰგონია, ვითომ თქვენ არაფერს ჰგრძნობთ. ხომ ვიცი, თქვენს გულში სანთლები დაენთება, როცა ლალი არწივი დაგთამაშებთ თავზე და დასასვენებლად თქვენს კალთაზედ ჩამოეშვება. რა ლამაზები ხართ მაშინ! როგორ გინდებათ, რომ ის თქვენი აღზრდილი შვილი ისე მამაცი, შეუბოვარი და ლამაზია. ის ხომ შიკრიკიცაა თქვენი. ღმერთს უამბობს, ატყობინებს თქვენს ამბავს...

არა გაქვთ აზრი? იღვა? გრძნობა? არ ოცნებობთ? როგორ არა! მაშ რაა ის მშვენიერი ყვავილები, თქვენ რომ გულ-მკერდს გიმშვენებთ? ეგაა თქვენი ოცნება, იმედი, ნუგეში. რად იბურავთ თავს ხშირის ნისლებით, თუ ჩუმ-ჩუმად რასმე არა ჰფიქრობთ და მაგ ფიქრს არ გვიმაღლავთ ადამიანის შვილებს?! რად მოგყავთ ბალახი? რად ადენთ ცივთა წყაროთა? რად აქანებთ ზვავებს? რადა ზრდით ლალთა ხარ-ჯიხვთა! ვის ატყუებთ, თქვე კარგებო!

სდგანან და ელიან. წვიმა წვიმს იმათ თავზედ, ელვა უტუსავეს ოქროს ქოჩორს, მეტი ეთამაშება იმათ თვალებს და ხშირადაც ერქობა ისარივით გულ-

მკერდში. არათფერია. ინგრევა ხშირად ნახევარი მთა და ზევად მიდის ხევში. არათფერი ეგრევე, თუ კლდე და ლოდები მაინც ელიან. წადით, ვისაც არ გინდათ ჩვენთან მაღლა, ცის ახლოს ყოფნა, დაბლა განისვენეთ.

სდებს თოვლს. ჰყინავს. ცივა. ქვა ტყვრება. მთებს სუდარი ჩაუცვამთ ტანზე, თითქოს მკვდრები იყვნენ. დაგვმარხეთ, დაგვიტირეთო, — გვეძახიან. ჩვენ-კი იმათგან მოველით დამარხვას...

სდგანან და ელიან. გული სტკივათ, ძალიან სტკივათ. მაგრამ არ იხოცებიან, არც ჭლექებიან. ელიან, ვის? ან რას? რაღაცას. დიად, რაღაცას. ეს რაღაცაა უნახავის დანახვა. ჰნახეს და გაათავეს, რასაც იმათი თვალი და გული მისწვდებოდა. სხვა ახალი მოსწყურებია იმათ თვალსა და გულსა. ეს ხომ თვალ-გულის გაუმადლობაა. სწორედ რომ ისაა.



სოფლის სურათები

მრავალ-გვარია სოფელი, მისი მდებარეობა, მცხოვრებთა ზნე-ხასიათი. ერთი საზოგადო თვისება სოფლებს ისა აქვს, რომ აქა ჰბუდობს უმეცრება, დათარეშობს ცრუ-მორწმუნეობის გუნდი, აქა მეფობს უზრუნველობა, თუმცა კეთილი ცხოვრება-კი, სიმართლით რომ ვსთქვა, სოფელსაც უყვარს და გრძნობა თავის დაცვისა ხელში ფარად აღუპყრია. უნივერსიტეტად სოფელს ქადაგ-მკითხავეების ქობ-მახობა დაუფუძნებია, სადაც გონიერებისა და ზნეობის გაკვეთილებს მცხოვრებთ უვიცნი, უმეცარნი და ბრიყვნი მამანი და დედანი უკითხავენ... უმთავრესი სოფლის მოთხოვნილება, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ერთად-ერთი, გაძლომაა. როცა ჰშიან სოფელს, მარტო მაშინ ამუშავენს გონებას სიცოცხლის საღსრის მოსაპოვებლად და როცა გაძლობს კუჭს, მაშინ გონებას დააძინებს, აღარა სწადიან ფიქრი, სჯა, მოსაზრება. რადა, რისთვის? თითქოს გაძლომა, როგორც შედეგი მეცადინობისა, ფიქრისა, იმავე დროს მიზეზიცაა გონების აღფრთოვანებისა, „სწავლა შევიძინო“-ს სურვილის აღორძინებისა? იმიტომ რომ მარტო გაძლომაა სოფლის საგანი, მარტო გაძლომაში

მხედარს კაცის დანიშნულებას. სოფლის იდეალი ფეხ-მოკლე და ფრთა შეკვეცილია. ამაზე მეტი არ უსწავლია, ამაზე მეტი არაფისაგან არ გაუფრთხილა. ან-კი გაძლომას რა სწავლა უნდა, დედის მუცლიდანვე თან ჰყვება ყველა სულიერს, განა მარტო ადამიანს! მოკლედ რომ ვსთქვა, მოსანათლავია ხელ-ახლად სოფლის გონება და მონათვლით-კი მაშინ მოინათლება, როცა სოფელს აზრი ესტუმრება, სხვა აზრი, გარდა გაძლომისა და ისიც ისეთს პატრივისცემას მოიპოვებს, ისეთს ებტიბარს გაიკეთებს, როგორც პირველსა აქვს გაკეთებული...

ღიად, ეს ასეა და ყველაზე მეტად საყურადღებო ჩვენში სოფელია, — ჩვენი ძალა იქ არის დამარხული. ღვთით, თითო-ოროლა კაციცა ჩნდება სოფელში მადლიანი, მოწადინებული, არგოს რამ სოფელს, მოიყვანოს გონზე, მაგრამ სასოწარკვეთილება ჰრჩებათ ბოლო დროს გულში. რადა? მადა, რომ საქმეს უხეიროდ ჰკიდებენ ხელსა, ხალხს სანამ გაიციან, მანამ ერჩიან საქმეს და თვით საქმისაც არ იციან, საიდგან დაიწყონ და სად გაათავონ...

თუმცა სოფლის საქმე ამ გვარად მიმდინარეობს დღეს, როგორც ზემოდ მოგახსენეთ, მაგრამ ჩემს თვალს და გულს მაინც იტაცებს იგი, იტაცებს მისი ბუნება; მრავალ-გვარი სურათი მეშლება თვალ-წინ: ზოგი ბეჩაფი, ცხრა-ათ-კომლიანი, მწირს ადგილას აშენებული, გატიტვლებულ-გაშიშვლებული, სხვა დიდი, ბალ-ბალჩით შეზავებული. მაგონდება სხვა-

და-სხვა სურათი სოფლისა სხვა-და-სხვა დროს. მო-
ვიგნათ ჯერ გაზაფხულის სურათი, როცა ბუნება
სამარადამ სდგება და ირთვება, იღვიძებს, იფხიზლებს
და თვალებს იფშენებს, თითქოს ამბობსო: მეყო,
რაც მეძინა, ახლა დროა, აღვსდგე და ავაყენო ისი-
ნიც, ვინც მე ზურგზე მკიდია, იმათაც მივანიჭო
სიცოცხლეო!..

დედა-მიწა გაიზმორება, გაგულ-უხვდება, და-
იყრის გულ-მკერდზე ყვავილს, მწვანით იმოსება,
ხეებს ფოთოლს დაასხამს და ააყვავებს; ვენახილამ პა-
ტარძალივით მოარცხვად წითლად გამოიყურება ატა-
მი... ჯეგელი ღალანებს, მწყერი აფხიზლებს მთვლე-
მარეს; ვენახში ჭოტი იძახის, ოლოლი ბანს ეუბნე-
ბა, მერცხალი ცელქად დაჰფრინავს და, როგორც
მახარობელი, ჭიკჭიკებს, მოხუცთა ჰლოკავს, ბალ-
ლებს სწყევლის, სწყევლის იმიტომ, რომ ბინას მიშ-
ლიან, შვილებს მიწიოკებენო: „ბებერ ცხონდი, ბე-
ბერ ცხონდი, ყმაწვილები ეღმიტო!“ გუგული უხეი-
როდ იღანძღება... პატარა მდინარეც სუქდება, დლი-
თი-დღე ბუზლუნს მოჰყვება, წვიმითა და დამდნარის
თოვლის წყლით დამთვრალი. ეს უფრო ახმინებს
სოფელს, სიცოცხლის ფერს აძლევს, მისძახის:

სოფელო, გამოიღვიძე,
გაზაფხული ღვას კარზედა;
გეყოფა მაგდენი ძილი,
ხელი მოისვი თავზედა;
ერთხელ კეთილიც რამ ჰქმენი,
ნუ ხარ დამდგარი ავზედა!

ბარმა, სახნისმა და საკვეთელმაც ფერი მოიწმინ-
 და; შრომობენ და იმიტომ. გაზაფხულზე დაწყებულს
 საქმეს ზაფხული გვირგვინს დაადგამს, ხოლო შე-
 მოდგომა მიესევს, სწორედ თულივით თავზე დაე-
 ცემა ბუნებას და ცრცვას დაუწყებს. ეს ის დროა,
 როცა ნაოპარს, ნაოხარს დაემსგავსება ბუნება, ბა-
 ლახი ჩავა, ტყე გაშიშვლდება, ვენახებს შნო დაე-
 კარგება. ბუღბული გაჩუმდა, აღარ სწადიან მღერა,
 ეხლა ყვავს დარჩა ბურთი და მოედანი, კეისარივით
 ამჟღად დამჯდარა კაკლის კენწეროზე და თავის კან-
 ტურით „ყვა-ყვაო“-ს დასჩხავის სოფელს თავზე. გა-
 მხმარის, გაწითლებულის, მწირის სერიდამ ტორუა
 დაჰმღერის და ქარისაგან გატაცებული დჰკასკასებს
 სოფელს თავზე. სოფლის ბოლოზე, დღეს გაბეჩავე-
 ბულის სოფლის მდინარის პირზე ჩამწკრივებულის
 ჩალიდგან ამოფრინდება მიმინოსაგან დამფთხალი
 ღალღა ჭყვილით, გაჯაფრებული, კაცს ეგონება, ეს
 არის უნდა გადიკარგოს სადმე, ამ არე-მარგს ეთხო-
 ვებო, მაგრამ იქვე ახლოს-კი ჩამოეშვება „კუტ-
 კუტით“. მარტო ჯანღს არ ეცვალო ფერი, მოაქვს
 ეინჟლი და საფლავის ქვასავით აწვება სოფელს
 თავზე... ეხლა ზამთარიც მოკლედვე მოჰყვება. გა-
 დაჰლესს ყინულით ბანებს, საბძლებს, ყველას სუდა-
 რას აცმევს... მგლები ღმუიან, მელეები ჩხავიან...
 ცივა. ნამქერს ისერის. იმას არა უჭირს-რა, ვისაც შე-
 შაც მიტანილი აქვს სახლში, პური და ღვინოც
 უხვად აქვს! ბრალი იმისი, ვისაც არა აბადია-რა, ვინც
 ბედს დაუჩაგრავს და გაულახავს, ვინც იწვეს და ვე-

ღარ ამდგარა, ვისაც აღარხაითა აქვს საღასარი წასვლისა, თავის ღნისა, გათბობისა და გაძლომისა...

**

ვინ არის სოფლის პატრონი? ვინ უზენებს გზას? ან თითონ სოფელს რა სწადიან, რა მოსწონს?.. რა ეწუნება? რას აკეთებს მღვდელი? რას აკეთებს მასწავლებელი სოფლისა? რას აკეთებს თავად-აზნაურობა? ამ საკითხავზე, ვგონებ, რომ ღირდეს პასუხის მიცემა. მოდი ვიტყვი და რაც იქნება, იქნას: სოფელს მოსწონს ყველაზე მეტად კარგი წლის მოსავალი. კაცად ის მოსწონს, ვინც იმას პატივს სცემს, ვინც იმას არ აწუხებს, არა სძარცვავს. თუ ართმევ თავის კუთვნილსა და საკეთილოდ ჰხმარობ, სოფელს არ დაეწუნები. თითონ რომ ლოთია სოფელი, რატომ ლოთი კაცი არ მოსწონს? არ მოსწონს და მოდი მოაწონე ძალად, კაცია და გუნება. არა უშავს-რა, ამ ულოდიკობისათვის სოფელი ნუ დაგვეწუნება, რა ვუყოთ, წესია და კანონი: კაცი თავისს თვალში ძელს ვერა ჰგრძნობს და სხვისაში-კი ბეწვსაც ჰხედავს.

მაშ, მათე მღვდელი რად-ღა მოსწონს სოფელს? იმიტომ რომ ყოველს კვირა-უქმეს სწირავს და ქადაგებასაც ეტყვის, ხალხს გონებაზე აყენებს, სოფლის ფიქრი მოძრაობაში მოჰყავს. კარგად უწყის მამა მათემ, რომ თუ მარტო ხორცისათვის იზრუნა კაცმა, სული დაჰქნება და, თუ სული დაჰქნა, მაშინ ლეშიც გაიხრწნება. უწყის მღვდელმა, რომ თითონ მწყემსია და სოფელი სამწყსო, თუ არ მოუა-

რა, არ უდარაჯა სოფლის სულისა და გულის, დაიღუპება, მგელი წარიტაცებს. კიდევ რად მოსწონს მათე მღვდელი სოფელს? ამიტომ მოსწონს, რომ შებრალება იცის, მუდამ იმაზე-კი არ არის დამდგარი, რაც შეიძლება, მეტი მოვხვეჭო და მოვხვეტო, არამედ ჰგრძნობს, ბეჩავსაც შებრალება უნდაო; ბეჩავს ჯვარს მუქთადა სწერს, კვდება და მუქთად ჰმარხავს, ბეჩავის ობლებთან თითონაც სტირის. როცა ბეჩავს მქალავრი მიესევა საცემზრად თუ მოსაკლავად, თითონ ზედ ეფარება: მე მომკალით, შე მცემეთ, ოღონდ ამას-კი ნუ სცემთო.

— შენ გენაცვალე, მათე მღვდელო, შენაო! — ამბობს ამ დროს სოფელი.

კიდევ რად მოსწონს მათე მღვდელი სოფელს? რადა და მადა, რომ მხნე კაცია, ძალიან მხნე. იმაზედ აღრე გერავინ გაიღვიძებს სოფელში. გუთანი თითონ უჭირავს, ურმის თავზედ თითონ უჯდება, ეზიდება თივას, ძნას თუ შეშას, ჰბარავს და სხლავს ვენახს, სთახნის სიმინდსა; ერთს წამს არ დადგება, არ დაისვენებს, „ჩამდინარი წყალია“ სწორედ. თუ დრო აქვს, გადიკიდებს ბაღეს და მიდის წყალზე სათევზაოდ... მკაში ერთიც ვერა სჯობია, ოფლში გასწურავს მუშებს, გვერდში ამომდგარი და თავზედ ხელსახოც-წაკრულღ „ჰოპუნას“ ძაბილით.

— ოო, წორე გითხრა და, მეტი მუშა-კაცი რომ აღარ შეიძლება ჩვენს მღვდელზე... ქვას გააღნობს, ქვას; ეგ დალოცვილი, დიდი ოფლის კაცია, — ამბობს სოფელი თავის მღვდელზე.

ხალხში მხიარულია, სმა-ჭამაში ზომიერი. მხნეობს, თითონ იკლებს და შეილებს კი სკოლაში ზრდის.

კიდევ რად მოსწონს მამა მათე სოფელს? იმიტომ რომ პურადია, გულ-უხვი. მათე მღვდლის სახლის კარებთან არ გამოიღევა მთხოვნელი თუ ავეჯისა, თუ პურისა და თუ ღვინისა.

— ქალოო, საცერი გვათხუეთოო! — შესძახის ფეხშიშველა სოფლის გოგო შუშების მაგიერად ქალაღებ-გაკრულ ფანჯრიდან.

— ქალოო, სამი პური გვასესხეთოო, დედაჩემმა გამომგზავნა, ნათლია გოგია მოგვივიდა, — ეხვეწება დედაკაცი მღვდლის სახლობას.

— რაღას იხვეწიებთ, აიღეთ, მიეცით! — გაისმის ხმა მათე მღვდლისა.

კიდევ რად მოსწონს სოფელს მათე მღვდელი? იმიტომ რომ ღვთის ამორჩეულია, იმასთან ახლო სდგას, სამღთო წერილი უჭირავს ხელში და მღვდელია.

რატომ არ მოსწონს სოფელს მისი დიაკვანი და „ტარასტა“? იმიტომ რომ ზარმაცები არიან, გაურჯელები, მსუნაგები; გაკვრაზე, გამოცინცვლაზე უჭირავთ თვალი და ხატებს სანთლებსა ჰპარავენ. სოფელს ცოტა მიზეზი ეყოფა კაცის შესაძლებლად, მით უმეტეს ეკლესიის მოსამსახურისა...

**

სკოლა თუ არ მოსწონს სოფელს, მასწავლებელი რადლა მოსწონს? იმიტომ რომ ახალგაზდა კა-

ცია, ახლად „წვერ-დაწამებული“, ხათრიანობს, ხალხის სიყვარული აქვს, ყველას ძმობით ესაუბრება, ყველას თავმდაბლად ეპყრობა. ატყობენ, რომ მასწავლებელს გული შესტკივა სოფლისთვის; თუკი რამ ღონე აქვს, სცდილობს ყველას უშველოს, უსმელად მთვრალია, საქმეზე თავდადებულია. ხალხს ესაუბრა სკოლის აშენების თაობაზე და, რომ ვერაფერი გააწყო, ცრემლები გადმოსცვივდა. ალბად მაგ ახალგაზდა კაცს კარგი რამ უდევს გულშიო, — იფიქრა ხალხმა. დიდაც, რომ უდევს და ბევრიც რამ. ეხლა უზის მაგას ღმერთი გულში და, ვინ იცის, როდემდის არ გასწირავს, როდემდის იქნება ანთებული მაგის გული იმ ღვთიურის ცეცხლით?!

სოფელმა უარპყო სკოლის აშენება. მასწავლებელმა სოსომ არ დაიშალა. ერთს ფანჯატურში გამართა სკოლა და იქ ასწავლის ბაღლებს... თითქოს სოფლისაგან გამიგონია, „სწავლისთანა რა იქნება ეხლანდელს დროშიაო“, თითქოს სოფელელის პირით გამიგონია დავით გურამიშვილის სიტყვები, რომ

სწავლა თან დასდევს მცოდნელსა,
 რა ზომცა დაეტარების,
 აქვს უხილავი საუნჯე,
 ხელი არ შეეკარების,
 არც ცხადის ძალით წაერთმის,
 არც მალვით მოიპარების.
 ჭკვა უხმარი არს ბრიყვთათვის,
 ჭკვა ცოდნით მოიხმარების.

ეს ხომ იცის სოფელმა, მაგრამ რა ვიცით, ისევ

ის უნდა ვსთქვათ, რომ კაცია და გუნებაო. სწორედ რომ ამ შემთხვევაში გუნება, რაღაც სხვა ფიქრი უფლის სოფელს. თუმცა სოფლის მხრით ეს დაბრკოლება ჰნახა, მაგრამ სოსომ მაინც თავისი არ დაიშალა და ამიტომ იგი მოსწონს სოფელს. მე თითონ ვნახე იმისი სკოლა, თანჩატურში გამართული; თვით სოსო მშიერ-ტიტველია, როგორც მისი შეგირდები, მაგრამ მხნედ მყოფი, გაუტყებელად მშრომელი. მაშინ ზამთარი იყო. შეგირდებს სახელმძღვანელოები არც-კი ჰქონდათ, დაფების მაგიერად სიფრიფანა ქვებზე აწერინებდა, მაგრამ ასწავლა, სკოლის საქმე მაინც კარგად წაიყვანა. ბავშვებსაც ლილის ფერი ელოთ სიცივისაგან, თითონ სოსოც გალურჯებულიყო, მაგრამ მაინც მხნედ იყო.

— ხომ დაიხოცნენ ბავშვები სიცივისაგან? თუ-კი თითონ არ იქნებიან, სწავლა რაში-ღა უნდათ მეთქი? — შევნიშნე სოსოს.

— რა ვქნა, თუ-კი მეტი ღონე არ არის. ბავშვებს უსწავლელებს, უგუნურებს-კი ვერ დაუსტოვებ, ისევ დაიხოცნენ, ისა სჯობია. უსწავლელის ყოფნა რა ყოფნაა, უსწავლელის სიცოცხლე რა სიცოცხლეა.

კიდევ რად მოსწონს სოსო სოფელს? იმიტომ-რომ კარგებს ელაპარაკება. ჩვენ ძმანი ვართო, ძმურად ვიცხოვროთ, ძმურად ხელი მივაწოდლოთ ერთმანეთს გაჭირების დროს, ერთმანეთის შებრალება გვქონდესო, ერთმანეთს ნუ დავჩაგრავთ, უსამართლოდ ნუ მოგებურობითო. ერთმანეთი შეიწყალოთ,

რომ სოფლის საქმე კარგად წავიდეს, ერთმანეთში პირი გქონდეთ, საქმე ჯერ გახინჯეთ, ყველამ თავისი სათქმელი სთქვით და, რომელიც უკეთესს იტყვის, იმას დაუჯერეთ, იმის სიტყვაზე დადექითო; ნუ გეწყინებათ, ან-კი რა საწყენია, ნუ აიხირებთ, ვინც ქვეიანია და გონიერი, იმას რომ მიჰყვეთ კვალზეო; მდიდარი და ჯიშინი კაცი ნუ იფიქრებთ იმას ღარიბსა, უჯიშოსა და ბეჩაეზე, რომ მაგას ქკუა ვინ მისცა, მაგის ქკუაზე როგორ გავიაროთო. განა ღარიბსა და ბეჩაეს-კი დააკლო ღმერთმა მადლი ქკუისა და დაუწერა, როგორც ბეჩაეი ხარ, ისე უქკოც იყავიო, როგორც უჯიშო აქამდის იყავი, ამას შემდეგაც აგრე დარჩიო, ნულარ ეცდები, შენი ჯიში, შენი ყოფა გააუკეთესოვო. არა, ღმერთი ყველასათვის ღმერთია, როგორც ეს სოფელი ყველას გეკუთნით და თითოეულს თქვენგანს შეუძლიან სთქვას, როცა გკითხავთ სხვა სოფლები თქვენის სოფლის სახელს,— გაწყალებულიო.

კიდევ რად მოსწონს სოფელს სოსო? იმიტომ რომ მისი სახლის კარი მუდამ ღიაა. ვისაც რა უნდა, ყველას შეუძლიან შევიდეს, დასაწერი ექნება— დააწერინოს უფასოდ, საკითხავი ექნება— ჰკითხოს. რასაც ამბობს, ასრულებს; შებრალებს ჰქადაგებს და თითონაც შემბრალება. ბოქაულთან და მამასახლისთან უთანხმოება მოსდის ხალხის გულისათვის. ეუბნება: ხალხს ნუ აწუხებთ, ხალხს ნუ სცემთ, ნაცემი კაცი საცემრად ვარგა, სხვად არაფრად! სოფელს თავ-მოყვარეობას, სიამაყეს ნუ უთრგუნავთ;

ნუ უკლავთ გულშიო, სისხლს ნუ უწყალებთ ძარღვებში, გულზე სარქველს ნუ ჰხურავთ, პატვისცემით მოეპყარით, რომ ისწავლოს სოფელმა ერთმანეთის პატვისცემაო. ერთხელ სოსოს ბოქაულთან შეტაკებაც მოუხდა, როგორ თუ მეთევზე ქიტესას სილა შემოაჰკარითო.

— ვენაცვალე ჩვენს მასწავლებელს ი სულშიო! — სოქვა მაშინ სოფელმა.

კიდევ რად მოსწონს სოფელს მასწავლებელი? იმიტომ რომ, თუმცა ბევრმა მდიდარმა აძლია ქალიშვილი ცოლად მზითვით და ქრთამით, მაგრამ არ ინდობა, საწყალი ვინმე უნდა შეეერთოვო, — ამბობდა და იასრულა კიდევ: ერთი საწყალი, მშვიერი და ტიტველი გოგოა შვირთო. ესლა ორივენი ბედნიერად სცხოვრობენ; ერთს რომ უყვარს, მეორეს, არა მართო ებრალება, კიდევ უყვარს. აი ამისთვის მოსწონს მასწავლებელი სოფელს, რომ სრული კაცია, სრული ადამიანიშვილი. მიიტანს ყრილობის დროს გაზეთებს, წიგნებს, ჩაუჯდება შუაში და უკითხავს ალტაცებით; სატირელია — სტირის, საცინელია — გულით იცინის და სხვებსაც სიცილითა ჰხოცავს.

— გიშველა ღმერთმა, მადლობელი ვართ, ჩვენო მასწავლებლო! — ამბობს ამ დროს სოფელი: — აი გაცოცხლა ღმერთმა და ვადღეგძელო!

**

რატომ არ მოსწონს სოფელს მამასახლისი? იმიტომ რომ, მანამ მამასახლისად ამოირჩევენ, ჭკვიანი, ცხვარივით ბიჭი იყო, და ამისათვისაც ამოირჩია

სოფელში. როდესაც ამოირჩიეს და ჯაჭვი დაჰკიდეს. ყელზე, მაშინ-კი სრულიად გამოიცვალა: შედგა მან-ღალ-ქუსლიანს „აბოიკის“ ჩექმებზე, დაიკერა ბუზ-მენტები ჩიხა-ახალუბზე; დაუჭერია ხელში მათრახი და, ვინც ქუდს არ მოუხდის, როგორც ყვინს, სალამს არ მოართმევს, გადუბტება და მათრახით „აჭრელებს“. უსწავლია რუსულად ლინტლავ. დაავიწყდა დღეს, გუშინ ვინ იყო და ხვალ ვინ იქნება ეს დიდებული ყვინი! მუცელი რომ გაიძლო, ახლა სხვა-და-სხვა-გვარი გაძლომაც მოინდომა: ფუფუნება, განცხრომა.

— ძნელია, სწორე ვითხრა, როცა კაცს კაცი, თუ კაცს სოფელი, მარტო დღეისათვის უნდა და სახელილოდ აღარ უფთხილოდება. „მე სოფლის თავსა ვესახლე და არა სოფელი ჩემს თავსა; რაც მე სოფლობის მისდოდა, უწინ მოვიდა ჩემს თავსაო“. ძნელია, როცა კაცმა ეს არ იცის! — ამბობს სოფელი.

კიდევ რად არ მოსწონს მამასახლისი სოფელს? იმიტომ რომ სოფლის ფულებსა სკამს და, როცა სოფელი უჩივის, მაშინ მეუფროსეს შემწეობასა სახბოვს. გამარჯვებული რომ დაბრუნდება, მამალ-ყონწასავით გაბერილი წაუღებია სოფელს და შესძობებს:

— ჰაი, თქვე „ბუნტოზიკებო“, ჰაი, თქვე მამე-ნიკებო, დამაცადეთ, მე ზიჩვენებთ თქვენს სეირს! თუ ჩემი ნაწალიკი ცოცხალი მეყოლებო, გავიხარებ, მე თქვენ ზურგზე ბოლი ავადინოთ-ყუ. თქვენს ჯაჭვი, — ბოი და-და-და-და-და, — როდის უნდა ამო-

ვიყარო, როდის?! ჯამით უნდა დავლიო თქვენი სი-
სხლი, ჯამით!.

სოფელი პირველად იწერს და ამბობს:

— დიდება შენთვისა, ღმერთო, დამბადებელია ჩვენო, ნეტა რა ჯაფი უნდა ჰქონდეს ამ კაცს სოფ-
ლისა!.. რა დაუშავა სოფელმა იმის მეტი, რომ მამა-
სახლისად ამოიძრია და მშვიერი კაცი გააძლო? ობო-
ლო, ვისა სკვამ, და ვინც გამზარდა! მაგის საქმეც
სწორედ აგრეა. მაგისთანა კაცს თუნდა ხელის გულ-
ზე ერბო-კვერცხი მოუწვი, მაინც უმადური დაგზაფ-
ბა და მაინც.

კიდევ რად ეჯავრება სოფელს მამასახლისი? მა-
და, რომ წამდაუწუმ იძახის: „მე სხვა გოგრა მაქვს,
მე სხვა კაცი ვარ, მე სხვა ფიქრი, შორს გამჭვრეტე-
ლი ფიქრი მაქვს!“ აღარ ახსოვს ამ ჰევიანს, სოფე-
ლი რომ ხუთს თუმანზე გაჰყიდა. ჯერ განაჩენი შეა-
დგენინა სოფელს დუქნების დაკეტისა, მოწმობას
აღარ აძლევდა „გილოდის“ აღებისას და, როცა ხე-
ლის გული მოუპოხეს, მაშინ მოწმობაც მისცა და
„ფეხატიც“ დაუკრა.

— სოფლის მოლალოტე ღმერთმა დასწყველოს,
ღმერთმა დაჰკარგოს, ღმერთმა ამოაგდოს!.. ამოა-
გდებს კიდევ, სოფელს დიდი მადლი და ღოვლათი
აქვსო! — ამბობს გამწყრალი სოფელი.

**

რად ეჯავრება სოფელს კნიაზი ფშატაძე? იმი-
ტომ რომ დედ-მამის ამაგი ვერ დააფასა. საცა სკო-
ლაში მისცეს, ყველგნით ან თითონ გამოიფარდა, ან

გამოავდეს. ჯერ არა დარჩა-რა მამისა და, რაც დარჩა, იმასაც მისდევს და სჭამს. ხუთი მანეთი რომ მოიგდოს, მაშინვე ქალაქში გარბის, შესჭამს და ცარიელი დაბრუნდება შინ. გზის ფული აღარა აქვს ჯიბეში, ღამე მოიპარება სახლში, დილაზედ ადგება და ლეკივით თავის ტყის გზას შეჰკრავს. თუ ვინმემ ერთი სახრე მოსჭრა, გადაუხტება და, „ჰაი, რევოლუვერო, მიშველე; ჰაი, ხანჯალო, გასჭერი; ჰაი, ხმალო, გაპრიალდი „მტრის“ თავზე! „რაკი სახრე მოსჭერი ჩემს ტყეში, შემოიხსენ ხანჯალი, გაიხადე ჩოხა!“ — დასძახის პირ-დორბლიანი ფშატაძე გლეხს.

მეტად სასტიკია, უსამართლოა სოფელი... თუკი ფშატაძეს სახარჯო შემოეღია და აღარა აქვს, მაშ რა ჰქმნას, თუ ან ერთს არ წაართვა, ან მეორეს; თუ ან ამას არ მოუშარა, ან იმას.

გარბის დაქრილი, ნაცემი კაცი სასამართლოში. მისდევს ფშატაძეც. ვერაფერს დაწაკლებთ, ვერა, — ჰფიქრობს ფშატაძე გულში, — თქვენი სული ჩემს ხელშია; მაშ, რაღა ფშატაძე ვიქნები, თუ მოწმები დუქინობით ვერ ვიშოვნე იმის დასამტკიცებლად, რომ მე მაგ კაცისათვის ხელიც არ მიხლია! ჰეი, ივანე, ჰეი, პეტრე და სოსია, — ეუბნება ფშატაძე სოფლელებს, — აბა, უნდა მიმოწმოთ, რომ მე აღალ-მართალი კაცი ვარ; თუ არ მიმოწმებთ, იცოდეთ, ჩხირს არ გაგათლევიებთ ჩემს ტყეში, სულელებს ამოგაძრობთ, სიცივეს გაგიუუყინებთ ცოლ-შვილსა, წკირს არ გამოგატანინებთ ჩემის ტყიდან...

სხვა რას ფიქრობს, რას აკეთებს ფშატაძე? იმას,

რომ სულ „ხლაპოტშია“. შინ გული არ უღვება, არც არაფერს აკეთებს სახლში. თუ მივიდა შინ, დაიძინებს, პირქვე წევს, ხან გულაღმა და, როცა გაიღვიძებს, ხელოზლად ან გზის შესაკვრელად გაიქცევა, ან დუქანში მიიღბენს.

— აბა, სერგო, ნახევარ თუნგი ღვინო, თავის „ზაკუსკით“, — ეუბნება დახლიდარს თვალი-დაწითლებული და უღვაშებ-გაწკეპილი ფშატაძე.

— ფულები, კნიაზო? — უბასუხებს დახლიდარი.

— რის ფულები? მოიტა ჩქარა, თორემ ფულებს მე მოგცემ თავში... შენი ნახევარ თუნგის ფასი ვერ უნდა გადავიხადო, შეგ ოხერო, სახლისა და მამულის პანტრონმა?!

— რა ვქნათ, კნიაზო, ჯერ ორმოცი თუმანი სხვაც არის თქვენზე, ის გვიბოძეთ და მერე კიდევ დახარჯეთ...

ეს საუბარი მუშტაობით გათავდება. ფშატაძე ლანძღვით, ისეთის ლანძღვით, რომ მთელს სოფელს ესმის, გასწევს შინისკენ, რათა ისევ მისცეს თავი განსვენებას. მეორე დღეს კიდევ დუქანს ესტუმრება. ვისაც მოიგდებს, ზოგს ბრძანებით, ზოგს ხვეწნით, დაახარჯვინებს, გაძღება, მოქეიფდება, ნაბადში გამოხვეული დარაბებს მიექადლება ამოტუზული და წყალზე კოკებით მიმავალს გოგოებს წაუსტვენს და წაუჭყვიღებს:

— თქვენ-კი გენაცვალოთ ფშატაძე, გოგოებო, თქვე დალოცვილებო, თქვე ქრისტიანებო, თქვე ლამაზებო, კარგებო, გვრიტებო, ჩიტებო, შემობრალებო მე, მონა თქვენის!

ვსალამოხანზე, მანამ შინ წავა, თუ წამოაწყდ
 ინმე, ხომ იმას ჩამოასხმევენებს ერთს „კასუშკა“ ა
 „როზგა“, თუ არა-და, ისევ დახლიდაჩს გააბედვი-
 ნებს; სულთამხუთავივით ჩააცვივდება, კუჭს უნდა
 სარქველი დაეხუროვო! მერე გასწევს სკოლისაკენ,
 მასწავლებელთან.

— უჩიტელო, ჩაი მინდა, აბა, ჩაი, ჩქარა ჩაი!
 ჰგლოვობს კუჭი ჩემი, ჰგოდებს მადა ჩემი... მოარ-
 თვით ფშატაძეს, რაც გიბძანოთ... ჩქარა, თორემ
 ქუდს დაეხევ, ქუდს დაეხევ-მეთქი! — მართლაც გა-
 სწევს და გაჰხევს ქუდსა. — მთას მოგვლეჯავ, მთას.
 კამეჩს გასხეპავს ჩემი ხანჯალი. მაღაღეც, კნიაზ
 ფშატაძე! უჩიტლებო, თქვე არამზადებო! ვითომ
 ხალხს უნდა ასწავლოთ განათლება თქვენს ჭკვაში
 დიდი მატრახაზები ხართ, ვინც არ გიცნობთ... მე
 ერთი კლასის მეტი გიმნაზიისა არ გამოითავებია. ეი,
 უჩიტელო, გაიგონე, რას გელაპარაკები და? ვითომ
 არ ვარგივარ შენ ჭკვაში? შენ ნასწავლი, მე უსწავ-
 ლელი, მოდი, გავიდეთ თუნდ ხმაღში, თუნდ კრივ-
 ში, თუნდ ჭიდილში... გაგპენტავ ბამბასავით!.. ეე,
 უჩიტელო, შტო ტაკოე ვიჩიტანიე? შტო ტაკოე
 სლოჟენიე, უმნოჟენიე, დელენიე? შტო ტაკოე აფ-
 რიკა, ამერიკა, აესტრალია და გეოგრაფია? შტო ტა-
 კოე ლრამატიკა? შტო ტაკოე პრავოსლავნი კატე-
 ხიზის? შენ იქნება გეგონოს, ფშატაძემ არ იცისო!
 ისე დაგაყარო სწავლა, როგორც ჩეჩქი!

— ეეე, რა ბლომადა ჰყვანან მაგ ჩვენს კნიაზ-
 სა და! რა უნდა აქამოს, რითი უნდა გამოჰკვებოს,
 რო კაცმა სთქვას?! — ამბობს ამ დროს სოფელი.

ფშატაძე თავს აკანწურებს და თვალგებაც თან აყოლებს; ტუჩებზე-კი ღორბლი ჩამოსდის და მიინც განაგრძობს სიტყვას, აღტაცებით ამბობს:

— შტო ტაკოე ფშატაძე, კნიაზ ფშატაძე? ნას-ტოიაში ქუჩუკ-ყარამან. შტო ტაკოე უჩიტელო? ნულ. შტო ტაკოე სკოლა? ედინიცა. ია სამ სკოლა! სკოლა! ფშატაძემ თუ არ ისწავლა, მე ვიცო, ბიჭი არ არი, მე ვიცო, წინ არავინ გადაუხტეს... ემ საათში მთელს სოფელს დაენიავებ... შტო ტაკოე ჩაი, უჩიტელო?! ჩაი ნე ვინო... პრავდა... ჩაი ჩქარა, უჩიტელო, თორემ ფანჯრებს დავამტვრევ...

ჩაის მოართმევენ ფშატაძეს, მასწავლებელიც იქვე წინ უზის და მღუპარებით შესცქერია.

— შტო ტაკოე გოროდ ტიფლის, უჩიტელო? შტო ტაკოე მუშტაიდ, „როზა“, „ვაზა“, გოსტინიცა, რესტორანი?.. ხვალე ქალაქს მივდივარ, გესმის, უჩიტელო? დღეში რომ ოცი მანათი ვსჭამო, ხუთს დღეში რამდენი დამჭირდება? ნუ, იანგარიშე ჩქარა!.. ამ საათში ვეჭილოსა ვწერ, თუ ფულს მომცემ, ემ საათში-მეთქი, ვბრძანებ კნიაზ ფშატაძე... ნუ, ღვინო მიინც მოიტანე, თორემ სტაქნებს დავლეწავ! — გაიბრუეება კარგად და გასწევს შინისკენ. რომ აუწყოს სოფელს თავის ციხე-დარბაზში მიბრძანება, დაუწყებს ვარსკვლავებს თოფისა და დამბაჩის სროლას. გულს რომ მოიოხებს, განისვენებს, რათა ახლა მეორე დღეს შეუდგეს საქმეს შესვენებულის ძაღლით...

ზურაბი რად-ლა უყვარს სოფელს? იმიტომ რომ კაცია. კნიაზობას არ ჩაგინებდავს, მუშაობს ისე, როგორც თავგამოდებული მუშა-კაცი და ღმერთიც აძლევს: პურიც ბლომადა აქვს, ღვინოც; ცხვარიც ბლომადა ჰყავს, ღორიცა და ძროხაცა. მაღლიანი კაცია.

— ჩვენი მამა-პაპა სისხლსა და ოფლს ერთადა ღვრიდაო, — ამბობს ზურაბი, — ეხლანდელს დროში სისხლს აღარა ვღვრით და იმის მაგიერად ოფლი მიინც დაფლვართო.

— ეგ ზურაბიაო, — ამბობს სოფელი, როცა იმის ოროველას გაიგონებს: — დაილოცე, კაცო... ღმერთმანი, გაწყენოს რამა, ღმერთმანი, წაგართოს რამ, ან მოგატყუილოს, ღმერთმანი, დაითვრას და აურზაური დაიწყოს. კაცია, კაცი, ნამდვილი აღამინი! ცხონდა მაგისი მშობელი დედა! ვინც ბიჭია და მავას საერისკაცო საქმეში აჯობებს! დაგჭირდება რამ და, ღმერთმანი, ხელს არ გაგიმართავს! ამოდებული ხმალია ეგ მამაცხონებული სწორედ!

კიდევ რად მოსწონს ზურაბი სოფელს? განა მართლა დიდს მაღლს თუ არ სჩადი, სოფელი დავიწყუნებს? ზურაბი კიდევ იმიტომ მოსწონს სოფელს, რომ, როცა დღეობაა და ახალგაზდა ბიჭები ფერხულს დააბმენ, ზურაბიც შიგ ჩაერევა, თუმცა თითონ წახნიანებული კაცია.

— თომავე, შაი, შე ქვრივების მტერო! რად გაუტეხე ქვრივ სალომეს კოკა, შა?! ჯაფრითა განა, რო ვერას გახდი! კენჭი რო მიურტყი, კამეჩს ვესრო-

ლერა კი იფიცავდი, შენ ის კაცი არა ხარ?! შოლი, მეჭიდვ, თუ ბიჭი ხარ!—გაებლანძულავენ და თან მბრლიანად იცინის. ხშირად გასხვლაში და ხენი-შიაც მიეშველება ზურაბი გლეხებს: „ჰაი, შენი ჭირიმე, გუთანო, შენის მადლისა“,—დაიძახებს ზურაბი, წაჰყვება გუთანს კვალზე და უცქერის გუთნის „სიარულს“; თუ შეატყო მიზეზი, მაშინვე გაჰმართავს. ეგრე, თქვენი ჭირიმე, ბიჭებო, ემაგრე, გავისარჯნეთ, მტერს თვალი დაუუყენოთ; პური და ღვინო გულს ახარებს კაცისასა. სხლვაშიაც დარიგებას აძლევს და თან ატანს: „გენაცვალე, ვაზო, შე მათრობელას დედავ! აბა, გავსხლათ და შევყელოთ; ბერუავ, რა კარგია დალოცვილი ღვინო, რომ ჭუბ-ჭუბებს ქვევრებში“. ოცი ვაზიც რომ გაუსხლას ზურაბმა, პატრონს დიდად გულს დაედება: იკადრა ჩემს ვენახში ვაზის გასხლვაო.

— დაილოცე, კაცო!—ამბობს სოფელი.

**

რას ჰფიქრობს მედუქნე სოფლისა? რატომ არა ვსთქვი, მოსწონს, ან ეწუნება სოფელს-მეთქი? პირველი ამ შემთხვევაში სათქმელი არაა, ხოლო მეორე იგულისხმება. არც ისე ბრიყვი გახლავთ სოფელი, რომ დაწუნ-მოწონების ადლით ახლა მედუქნეები ზომოს. მედუქნე რაც არის, ღმერთმა მშვილობა მისცეს, მაგრამ ფიქრი-კი დიდი აქვს, ისე დიდი, რომ ამ მთას იმას მიაჯახებს, დედამიწას ცასა, სოფელს აკოტრიალებს თავისს ფიქრში, აგორავებს ბურთივით, „ჩოტკის“ მარცვლებივით. მაინც რას ჰფიქრობს მედუქნე?

— ღმერთო, სურფ-სარქისის მადლო და ძალო, ღმერთო, ქვეყნის დამაარსებელო, ალებ-მიცემის გამჩენო; ჰა, შენ მომიმართე ხელი, ღმერთო! კიდევ რას გეხვეწები, შენი სულის ქირიმე, შენ დააბრმავე ქვეყანა და მე კი თვალეზი მომეცი! მე ვხედავდე და სოფელი-კი ნურაფერს დაინახავს. ე, მახლას! ტერასტვაც! ეე, ღმერთო, იცი, კიდევ რას გეხვეწები? რაღა გეხვეწო, როცა შენ უფრო კარვად იცი, შე დალოცვილო, ჩემი ბოღმა, ჩემი გულის ვარამი! ჰა, ღმერთო, მინდა გთხოვო, ვიცი კიდევ, რომ ამისრულე. თუ-კი, შე დალოცვილო, იმდენი უნარი გამოიჩინე, რომა სამი-ათასი თუმნის პატრონი გამხადე, რომელიც ქალაქში კევსა ვყიდდი, და დღეში მარტო ოთხი გროშის პურსა ვყიდულობდი, განა ეხლა დაივიწყებ შენს კალთას ქვეშ შემოხიზნულს შვილსა?! ღმერთო! საცა კნიაზების ნახევარი მამულები, ზვრები ხელში ჩამიგდე, მეორე ნახევარიც მე დამილოცე. რად უნდათ იმათ? ისიც ჰარამია იმათ ზედ, რაც სხვა მიგიცია. მე როგორც ვუცქერო, ღმერთოჯან, ძალიან ცუდად არის კნიაზების საქმე... თავიანთი ბრაღია, მე და შენი ხომ არა, ვა! იქნება გეცოდებიან, იქნება ჰფიქრობდე, ლუკმა-პურს ნუ გაუწყვეტამ ქვეყანაზედაო. ტყუილად გიფიქრია, ღმერთმანი, სულ სათოკეები არიან! მიკვირს შენი ჰკვისაგან, რომ აქამდის აცოცხლებ და ერთს ხორაველას არ გადმოაგდებ ციდამ, ერთს ცეცხლს არ წაუკიდებ რაღა, რომ გასწყვიტო მაგათი ქოქი! ვა, გაგონილა?! ხომ იცი, ღმერთო, ცეცხლში ვიწვი,

რაღა, ცეცხლში! ხომ იცი, შე დალოცვილო, რა
 საქმე დამმართეს კნიაზ ივანეს შვილებმა? ჯერ სახლ-
 ში დამპატივეს, იხტილატი გამიწიეს, მერე, ვნახოთ,
 ერთი ცხვირში მკემს, მეორე მეჭიდება, ყურებზედ
 რაღა, მესამე ყელში მიჭერს, მახრჩობს რაღა, მეოთ-
 ხე ხანჯალსა მჩხვლეტავს, ნელ-ნელა უნდა მომკლას.
 კარგი, რომ იმათი მამა მომეშველა... მაშ, ბრაზი არ
 მომდის, ღმერთო? მაშ, ცოდო არა ვარ? ასი თუმა-
 ნი ფული მიმიცია, ერთი გოდორი ბზე ხომ არ არის?!
 ჩემი ფული მე მკლავდეს, სამართალია? ღმერთოჯან,
 შენ იცი, შენ მიეცი ჩემი მაგიერი პასუხი იმ... იმ...
 იმ სათაკეებს, იმ ყაჩაღებს! შენ გაჩენილს კაცს ისი-
 ნი უნდა ჰკლავდნენ? შენ გაჩენილს დოვლათიანს
 კაცსა? ხომ იცი, ღმერთოჯან, ქალაქში რას ლაპა-
 რაკობენ ჩემზე? ცხენი ვისია, იორღა ცხენი? ხეჩუა-
 სი. არა ჰყიდი, ბიჭო?—ჩემ ბიჭსა ჰკითხავენ,—ორ-
 მოც თუმანს გაძლევ ხელად. ეკიპაეი ვისია? ხეჩუა-
 სი. სახლები ვისია? ხეჩუასი. ვაჰმე, ვაჰმე, ეგრე უნ-
 და გამაფუქო ლაწირაკების ხელით, ვაჰმე, ვაჰმე...
 მაშ მამულები იმათზე ჰარამი არ არის?! განა პურს
 ვაჭმევდი მე იმათი? ჯერაც გული გულის ალაგას
 არ დამდგომია, ჩემმა მზემ. ეგრე გამოიმიმეტე, ღმერ-
 თო?! ქვეყანას ვატყუილებ, სოფელს ვცარცვავ! გა-
 ნა ვაქრობა შენი გაჩენილი არ არის, ღმერთო! მე
 ხომ მიკიტანი ვარ, განა ჩენი ფირი წმინდა კაცი
 არ იყო? ხარაზებისთანა წმინდა „ფირი“ ვისა ჰყვან-
 დე? სამოც წლამდე ქალის სახე არ დაუნახავს და
 მერე რომ ერთმა უნამუსო დედაკაცმა შეაცდინა

ფეხსაცმელების ზომის აღების დროს, რომ კანქი აიწია და დაანახვა ხორცი, იმან არ იყო, რომ სადღესები თვალებში იტაკა და თვალები დაითხარა: დედაკაცის ხორცი რად დავინახეო!?

კიდევ რას ჰფიქრობს ხეჩუა? იმას რომ კნიაზებს ისე დასჭირდეთ ფული, რომ თთვეში თუმანზე თუმან სარგებლით ისესხონ ხეჩუასაგან ფული და „ზალოგად“ მამულები მისცენ. ბევრს რასმესაც სხვა-სა ჰფიქრობს ხეჩუა, ისეთ სხვილ-სხვილებსა ჰფიქრობს, რომ სად იქნება დედამიწის პირზე ისეთი სასწორი, მისი ფიქრები აიწონოს... ჰფიქრობს ამას მელუქნე და ლაბაბი დარაბაზე უსვენია, ცხვირით დუქანსა ჰგვის და თვალებით სოფელსა სჭამს. თახლო კვერცხად მაინც იჭკეს სოფელი, რომ ერთბაშად გადაჰყლაპოს!..

— ვაჰარი ღმერთმა დასწყევლოს, ღმერთმა ამოაგდოს! არ იქნება, არ მოგატყუოს: ღმერთსაც მოატყუებს, სავაჰროდ რომ მიუვიდესო, — ამბობს სოფელი.

**

განა სხვა აღარავინ არასა ჰფიქრობს სოფელში? როგორ არა! ბებრები ცხონებასა და ახალგაზდები სიცოცხლეს, სიმთელეს. სამრეკლოცა ჰფიქრობს და მასთან ერთად საყდარი: ვინ იცის, მკვდარს მოასვენებენ, თუ ჯვარის დასაწერად ვინმე მოვაო. ჰფიქრობენ ქადაგნი, მკითხავნი. იმათ სხვა მობანენიც მოეპოვებიან. დიად, ჰფიქრობენ, ჭკუას ნუ ისწავლის სოფელიო, ბრძევად დარჩესო, რომ უფრო აღ-

ვდილად მოვატყუოთ, ტყავი ადვილად გავაძროთ, ადვილად გავძარცვათო. მგელსა და ქურდს ბნელი ღამე უყვარს.

ჰფიქრობს ტყე სოფლისა, ჰფიქრობენ მთანი სოფლისანი, ჰფიქრობს მდინარე, ჰფიქრობს დიდი ღოღი, სოფლის პირდაპირ რომ ვლავ და პირ-ქუშად გამოიყურება, ჰფიქრობენ მგლები და ტურები. რას ჰფიქრობს ტყე სოფლისა?

როს გაზაფხული დადგება,
გავიფოთლები მწვანედა;
ბუღბუღი მიმღერს ტკბილად,
ტკბილი ხმა მესმის მწარედა...
ხვალე ზამთარი დადგება,
გავიხიშები მთლიანად;
ამდენის სარჩოს დაკარგვა
რაკი არ მეყო ზიანად!
იქნება ცეცხლიც მომედოს,
სულ ამოვვარდე ძირითა...
ბეწვია ჩემი იღბალი,
დაკიდებული კბილითა;
რამდენი გადიკარგება
აქით ირმების შვლებითა
და გაივსება სოფელი
კბილ-დალესილის მგლებითა.

რასა ჰფიქრობენ მთანი?

მალლით დავსცქერით სოფელსა,
ხმას-კი ვერ ვაწვდენთ, შორია;

ი მინც რად ირას ეტყვის,
 მის თაეს რა მომცრა გორია?
 რად არ ასწავლის „სიმალღეს“,
 ამაყად მიღლით ცქერასა?
 მთელის ქვეყნისა დანახვას,
 უფლის კალთების მზერასა;
 ტკბილსა, გულ-გონის გამწმენდელს
 ანგელოზების მღერასა?
 ჩვენს შემწეობას არ ვაკლებთ,
 წყლებით ვრწყავთ სოფლის არესა
 და იმის გამნათობელსა
 ტახტად ვუდგევართ მთვარესა.
 ღმერთმა იქნება უშველოს
 იმის ზედ-ყოფნას მწარესა!..

რას ჰფიქრობს მდინარე სოფლისა?

მაღალის მთების შვილი ვარ,
 ყელ-თავქვე დაკიდებული,
 მოვდივარ დაულალოვად
 სოფლისთვის აკიდებული...
 სოფლის შანა ვარ, შანასებრ
 გულმკერდზე ჩაკიდებული.
 დაგვალულს მინდორს ვაცოცხლებ,
 თან ვეუბნები ნანასა;
 ბაღებს გაემართავ წელშია,
 თაეს აევმაღლებ ყანასა.
 სოფელს ვასწავლი, ორ სწავლობს
 ზნეობის ანა-ბანასა.

თუ-კი მე მსებამენ ყველანი,
 ჩემით იკლავენ წყურვილსა,
 რატომ არ აასრულებენ
 სოფლის მდინარის სურვილსა?!
 მე სხვა რა მინდა სოფლისგან,
 მე სხვას რას მოვეშორები:
 ნუ დაუკეტავ, გაალოს
 მძიმე გონების კარები;
 ღროება ცუდს რასმე ჰფიქრობს,
 მე ვერვის დავეფარები;
 ტყე რომ გაცვლება, მეც მაშინ
 მიწაში ჩავეფარები.
 შეჰყუროს ხალხმა ზეცასა,
 წვიმას უჭყიტოს თვალები;
 გამხმარი სასა გაიღბოს,
 გახურებული გულია,
 წვიმისა წვეთით დაიცვოს.
 შეწუხებული სულია.
 მე იმას ვამბობ: სოფელი
 რად არა ჰფიქრობს ამასა,
 განა გიჟი მჭირს, როგორ მუქთად
 ვშველ იმის სმას და ჯამასა?
 ჩემი სოფლისთვის შეწვენა
 მითამ რა არის ძვირია?
 და არ-კი მითქვამს ერთხელა—
 თუ ამ ფასადა ჰღირია!..
 არა მინდარა, სოფელითა
 ერთურთში ჰქონდეთ პირია,

რომ აიცილინონ თავიდგან
 მრავალი გასაჭირია
 და ამოაგღონ ძირითა,
 საცა ეკალი სჩხირია!

რას ჰფიქრობს დიდი ლოდი, სოფლის პირდა-
 პირ რომ გღია?

განა ჰკვა არ მაქვს, რო ვწევარ
 და აქით გავიყურები?
 მეც თვალები მაქვს, სოფლელო,
 ღმერთმა მეც მომცა ყურები.
 შენი იერი მაოცებს,
 სირცხვილით გავიწურები!
 ათასი წელი შენ სცოცხლობ,
 მე უფროსი ვარ შენზედა;
 წარსულთა დროთა ამაგი
 ზედ მაწერია მკერდზედა.
 დიდის კლდის მონაგლეჯი ვარ,
 ჩამოთრეული ღვარისა,
 ჩასაწერავად დამღვარი
 შენის ბედ-იღბლის მწარისა:
 ათას წელს თვალ-ყურს გადევნებ,
 და არ იცვლები ფერთა,
 რაც იყავ, ისევ ის დარჩი
 ზნე ხასიათით, ერთა.
 მე მგევახარ: არ იკვერები,
 რაც უნდა გცემონ კვერითა.
 რაც მე ვარ, შენაც ისა ხარ,

ერთს ადგილს განგრებული;
 მე რო შენ გიკვირ, შენ კიდევ
 ცას უკვირ გაშტერებული.

—
 რასა ჰფიქრობენ მგლები და ტურები?

ჩვენ რას დავეძებთ, სოფელმა
 ისა ჰქმნას, რაცა სწადიან;
 ჩვენ იქ უუკვირით მინდვრადა,
 საცა ბატკნები დადიან.
 მე მგელი მქვიან, ცხვარს მოვკლავ,
 შენ გაატყავე, ტურაო.
 დაესხდეთ ლამაზად, მზურადა,
 ერთად ვიძახოთ „ურაო“.
 ნეტავი მოკლა, არ იყოს,
 კულ-ბუთქვი, ლეგა მურაო;
 არ დაიძინებს, ფრთხილია,
 დღე და ღამე ჰყეფს სულაო...
 საცა მგელია, იქ ძაღლი
 ღმერთმა რად გაარჯულოა?!..

სოფელი რაღას ჰფიქრობს თავისს თავზე? ჰფიქრობს რაღაცას, სიზმრებსაც კარგსა ჰხედავს, მაგრამ გამორკვევით-კი ვერაფერს გეტყვით, ბურანშია ჯერ და იმიტომ.



ს ა რ ჩ ე მ ე ნ ი

პ რ ე მ ე ბ ი

	გვ. რ.
მცხეთის ნათქვამი	5
გოგათურ. და აფშინა	17
აფხუდა ქეთელაური	35
კაზაღა	58
ბანტრიონი	71
ეთერი. —	129
სტუმარ-მასხინძელი. —	185
ხის ბეჭი	226
მონადირე	249
ტიგლა	261

წვრილი ლექსები

დამშეული	279
იმედი საზიკაული	283
ღამე მთაში	286
დაუსრულებელი კვანთა	289
ბუბერი ღამი	293
ჩემი გედრება	296

II


სიმიღერა	299
აკაკეს	302
მკვლანება	305
სიმიღერა	308
სიმიღერა	309
ღარბის სიმიღერა	310
მთა და ბარი	312
სიუვარულე	314
მკვლადინი	316
არწივი	318
მწვემისი ქალი	319
ფშავლის სიმიღერა	321
მესტვირის ჩივილი	323
ქეიფი	325
ფშავლის სიუვარულე	326
ქალას	329
ვარსკვლავი	330
მწვემის სიმიღერა	332
სამეფო სიმიღერა	335
სიმიღერა	336


პ რ ო ბ ა


შვილის ნუკრის ნაამბობი	339
ია	352
ხმელი წითელი	356
მთის წყარო	362
ჩვენი სოფელი	365
კურდღელი	373


შეკრება	378
საადგილო მხარე	395
დაკრძალვა	401
ქუჩი	424
კაპიტალი და იანსარი — დევების შეპყრობა	430
ხატის მწვერულის ფიქრები	438
ჩინოვება ქრისტიანობა	445
ფესვები	457
სურათები	460
მთანი მადლი	469
სოფლის სურათები	472











• 50
PK

U.C. BERKELEY LIBRARIES



C024263525

M172241

THE UNIVERSITY OF CALIFORNIA LIBRARY

PAUL R. CARR
Oriental and
Linguistic Bookseller
WARWICK, N. Y., U. S. A.